

114
1945/2


საქართველოს
ხალხთა ბიბლიოთეკა

მნათობი

4-5

თბილისი
1945



მნათობი

სრულიად-საქართველოს საშჩიოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,
სახელთუნთ და საბოტაჟებრივ-საპოლიტიკო
ქერნალი

წილიწადი მოცდაორა

4-5



19

აკრილი — მაისი
სახელგაში

45

საქართველოს
მუშაკთა პარტიის
საბჭოს
გამომცემი

საკრედიტო კოლეგია:

აბაშიძე ირაკლი
ასათიანი ლევან
ბაგსაჩუკია კონსტანტინე
კალაძე კარლო
მაზაშვილი ალიო (პ/მგ. რედაქტორი)
მოსაშვილი ილო
ტაბიძე ვალანტინე
ქიქოძე ლეო
შენგელაია დიმიტრი

ბელმოწერილია დსაბეჭდად 28/V-45. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 12 ფ.
შეკვ. № 624, შპ 01479, ტრაფი 4800.

საბეჭდამის ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტი, თბილისი, ვორცხის ქ. № 5.
რედაქციის მისამართი: მახაბლის № 13, მწერალთა კავშირი. ტელეფ. 3 — 04 — 64.



ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ
ՅՈՒՐԱԿՐԻՈՅԵՑ



ამხანაგბ ი. ბ. სვანიძის მიმართვა ხალხისადმი

ამხანაგებო! თანამემამულენო!

დადგა დიადი დღე გერმანიაზე გამარჯვებისა. წითელი არმიისა და ჩვენი მოკავშირეების ჯარების მიერ დაჩოქებულმა ფაშისტურმა გერმანიამ თავი დამარცხებულად აღიარა და უსიტყვეო კაპიტულაცია გამოაცხადა.

შეიღ მაისს ქალაქ რეიმსში ხელმოწერილ იქნა კაპიტულაციის წინასწარი ოქმი. რვა მაისს გერმანიის მთავარსარდლობის წარმომადგენლებმა მოკავშირეთა ჯარების უმაღლესი სარდლობის და საბჭოთა ჯარების უმაღლესი მთავარსარდლობის წარმომადგენელთა თანდასწრებით ბერლინში ხელი მოაწერეს კაპიტულაციის საბოლოო აქტს, რომლის შესრულებაც დაიწყო რვა მაისს ოცდაათი საათიდან.

ვიცით რა მგლური ჩვეულება გერმანელი მმართველებისა, რომლებსაც ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი ფარატიანა ქალაქად მიაჩნიათ, ჩვენ საფუძველი არა გვაქვს ვერწმუნოთ მათს სიტყვებს. მაგრამ დღეს დილიდან გერმანელთა ჯარები კაპიტულაციის აქტის შესასრულებლად მასობრივად შეუდგნენ იარაღის დაყრას და ტყვედ ნებდებიან ჩვენს ჯარებს. ეს უკვე არ არის ფარატიანა ქალაქი. ეს გერმანიის შეიარაღებული ძალების ნამდვილი კაპიტულაციაა. მართალია, გერმანელთა ჯარების ერთი ჯგუფი ჩეხოსლოვაკიის რაიონში ჯერ კიდევ არიდებს თავს კაპიტულაციას. მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ წითელი არმია შესძლებს გონს მოიყვანოს ეს ჯგუფი.

ახლა ჩვენ სრული საფუძველი შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ დადგა გერმანიის საბოლოო განადგურების ისტორიული დღე, გერმანიის იმპერიალიზმზე ჩვენი ხალხის დიდი გამარჯვების დღე.

დიდ მსხვერპლს, რაც ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის გავიღეთ, აურაცხელ გაქირვებასა და ტანჯვას, რაც ჩვენმა ხალხმა ომის მსვლელობაში გადაიტანა, ადაბულ შრომას ზურგში და ფრონტზე, რაც სამშობლოს საკურთხეველზე მიეიტანეთ, — ამოდ არ ჩაუვლია და მტერზე სრული გამარჯვებით დაგვირგვინდა. სლავი ხალხების საუკუნეობრივი ბრძოლა თავიანთი არსებობისა და თავიანთი დამოუკიდებლობისათვის დამთავრდა გერმანელ დამპყრობლებსა და გერმანულ ტირანიაზე გამარჯვებით.

ამიერიდან ევროპაში იფრიალებს ხალხთა თავისუფლებისა და ხალხთა შორის მშვიდობიანობის დიადი დროშა.

სამი წლის წინათ ჰიტლერმა საჯაროდ განაცხადა, რომ მის ამოცანას შეადგენს საბჭოთა კავშირის დანაწილება და მისგან კავკასიის, უკრაინის, ბელორუსიის, ბალტიისპირეთისა და სხვა ოლქების მოწყვეტა. მან პირდაპირ განაცხადა: „ჩვენ მოვსობთ რუსეთს, რათა მან ვერასოდეს ვეღარ

შესძლოს წამოდგომა“. ეს იყო სამი წლის წინათ. მაგრამ პიტლერის უგუნურ იდეებს ასრულება არ ეწერა, — ომის მსვლელობამ გააქვამტვერა ისინი. ნამდვილად გამოვიდა რაღაც იმის პირდაპირ საწინააღმდეგო, რასაც პიტლერელები ბოღავდნენ. გერმანია სასტიკად დაეწინააღმდეგებინა იმის ჯარები კაპიტულაციას ახდენენ. საბჭოთა კავშირი გამარჯვებას ზეიმობს, თუმცა იგი გერმანიას არც დანაწილებას უპირებს და არც მოსპობას.

ამხანაგებო! დიდი სამამულო ომი ჩვენი სრული გამარჯვებით დამთავრდა. ევროპაში ომის პერიოდი გათავდა. დაიწყო მშვიდობიანი განვითარების პერიოდი.

მოგილოცავეთ გამარჯვებას, ჩემო ძვირფასო თანამემამულენო! დიდება ჩვენს გმირ წითელ არმიას, რომელმაც დაიცვა ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობა და მოიპოვა მტერზე გამარჯვება!

დიდება ჩვენს დიდ ხალხს, გამარჯვებულ ხალხს!
სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ მტრის წინააღმდეგ ბრძოლებში და თავიანთი სიცოცხლე შესწირეს ჩვენი ხალხის თავისუფლებასა და ბედნიერებას!

ბ რ ძ ე ნ ე ბ ა

უმაღლესი მთავარსაჩუქრისა

წითელი არმიის ჯაგებისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტისადმი

1945 წლის 8 მაისს ბერლინში გერმანიის უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს გერმანიის შეიარაღებული ძალების უსიტყვო კაპიტულაციის აქტს.

დიდი სამამულო ომი, რომელსაც საბჭოთა ზალხი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ეწეოდა, ძღვევამოსილად დამთავრდა, გერმანია საესებით განადგურებულია.

ამხანაგო წითელარმიელებო, წითელფლოტელებო, სერჟანტებო, ზემდეგებო, არმიისა და ფლოტის ოფიცრებო, გენერლებო, ადმირალებო და მარშლებო, მოგილოცავთ დიდი სამამულო ომის ძღვევამოსილად დამთავრებას.

გერმანიაზე სრული გამარჯვების აღსანიშნავად დღეს, 9 მაისს, გამარჯვების დღეს, 22 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი, სამშობლოს სახელით ათასი ქვემეხის ოცდაათი საარტილერიო ზალხით სალუტს აძლევს წითელი არმიის მამაც ჯარებს, სამხედრო-საზღვაო ფლოტის სომალდებსა და ნაწილებს, რომლებმაც მოიპოვეს ეს ბრწყინვალე გამარჯვება.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

ვაუმარჯოს ძღვევამოსილ წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

უმაღლესი მთავარსაჩუქრი

საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1945 წლის 9 მაისი, № 369.



ქართველთა
წიგლისწერთა
კავშირი

ბრძანება უმაღლესი მთავარსარდლისა

1945 წლის 1 მაისი. № 20. ქ. მოსკოვი

ამხანაგო წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, სერჯანტებო და ზემდეგებო, არმიისა და ფლოტის ოფიცრებო, გენერლებო და აღმირა-ლებო!

საბჭოთა კავშირის მშრომელნო!

დღეს ჩვენი ქვეყანა დღესასწაულობს პირველ მაისს, — მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულს.

წელს ჩვენი სამშობლოს ხალხები პირველ მაისს ეგებებიან დიდა სა-მაყულო ომის ძლევაშისილად დამთავრების ვითარებაში.

წარსულს ჩაბარდა და აღარ დაბრუნდება მძიმე დროება, როცა წითელი არმია მტრის ჯარებს იგერიებდა მოსკოვთან და ლენინგრადთან, გროზ-ნოსთან და სტალინგრადთან. ახლა ჩვენი ძლევაშისილი ჯარები ანადგუ-რებენ მოწინააღმდეგის შეიარაღებულ ძალებს გერმანიის ცენტრში, შორს ბერლინს იქით, მდინარე ელბაზე.

მოკლე ხანში განთავისუფლებულია პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხოსლოვა-კიის მეტრ ნაწილი, აესტრიის მნიშვნელოვანი ნაწილი, აესტრიის დედაქა-ლაქი ვენა.

ამასთან წითელმა არმიამ დაიკავა აღმოსავლეთი პრუსია — გერმანიის იმპერიალიზმის ბუდე, პომერანია, ბრანდენბურგის მეტი ნაწილი და გერ-მანიის დედაქალაქ ბერლინის მთავარი რაიონები და გამარჯვების დროშა ააფრიალა ბერლინში.

წითელი არმიის ამ შეტევითი ბრძოლების შედეგად გერმანელებმა სამი-ოთხი თვის განმავლობაში 800 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცე-რი დაჰკარგეს ტყვეთა სახით და ერთ მილიონამდე მოკლულთა სახით. ამავე ხნის განმავლობაში წითელი არმიის ნაწილებმა ხელთ იგდეს და მოსპეს მტრის 6.000-მდე თვითმფრინავი, 12.000-მდე ტანკი და თვითმა-ვალი ქვემეხი, 23.000-ზე მეტი საველე ქვემეხი და სხვა სახის უამრავი შეიარაღება და საჭურველი.

აღსანიშნავია, რომ ამ ბრძოლებში წითელი არმიის მხარდამხარ წარმა-ტებით უტევდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ პოლონეთის, იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთისა და რუმინეთის დივიზიები.

წითელი არმიის მიერ მიყენებული გამანადგურებელი ღარტყმების შე-დეგად გერმანელთა სარდლობა იძულებული იყო საბჭოთა კავშირ-გერმა-ნიის ფრონტზე გადმოეყვანა ათობით დივიზია და სხვა ფრონტებზე მთე-ლი უზნები გაეშვიშლებინა. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო ჩვენი მოკავ-შირეების ჯარებს წარმატებითი შეტევა გაეჩაღებინათ დასავლეთში. ამას-თან გერმანელთა ჯარების წინააღმდეგ აღმოსავლეთიდან და დასავლე-

თიდან ერთდროული დარტყმების გზით მოკავშირეთა ჯარებმა და წითელმა არმიამ შესძლეს ორ ერთმანეთს მოწყვეტილ ნაწილად გაუკვეთათ გერმანიის ჯარები და განეხორციელებინათ ჩვენი და მოკავშირეთს ჯარების შეერთება ერთიან ფრონტად.

ეკვი არ არის, რომ ეს გარემოება პიტლერული გერმანიის აღსასრულს მოასწავებს.

პიტლერული გერმანიის დღეები დათვლილია. მისი ტერიტორიის ნახევარზე მეტი დაკავებული აქვთ წითელ არმიასა და ჩვენი მოკავშირეების ჯარებს. გერმანიამ დაჰკარგა უმნიშვნელოვანესი სასიცოცხლო რაიონები. პიტლერულთა ხელში დარჩენილ მრეწველობას არ შეუძლია საკმარაოდენობით მიაწოდოს საკურველი, საომარი მასალა და საწვავი გერმანიის არმიას. გერმანიის არმიის ადამიანთა რეზერვები ამოწურულია. გერმანია სავსებით იზოლირებულია და მარტოდმარტო დარჩა, თუ არ ჩავთვლით მის მოკავშირე იაპონიას.

ექებენ რა გამოსავალს თავიანთი უიმედო მდგომარეობიდან, პიტლერული ავანტიურისტები მიმართავენ ყოველგვარ ხრიკებს, მოკავშირეებთან ლაქუცსაც კი, ცდილობენ განხეთქილება ჩამოაგდონ მოკავშირეთა ბანაკში. პიტლერულთა ეს ახალი ყალბაბანდური ფანდები განწირულია სრული ჩაფუშვისათვის. ამ ფანდებს შეუძლიათ მხოლოდ დააჩქარონ გერმანიის ჯარების დაშლა.

ფაშისტთა ცრუ პროპაგანდა აშინებს გერმანელ მოსახლეობას სულელური ჩმახვით — თითქოს გაერთიანებულ ერთა არმიებს სურდეთ გერმანელი ხალხის გაუღეტა. გაერთიანებულ ერთა ამოცანას არ შეადგენს გერმანელი ხალხის მოსპობა. გაერთიანებული ერები მოსპობენ ფაშიზმს და გერმანიის მილიტარიზმს; სასტიკად დასაჯიან ომის დამნაშავეებს და აიძულებენ გერმანელებს ანაზღაურონ ის ზარალი, რაც მათ სხვა ქვეყნებს მიაყენეს. მაგრამ გაერთიანებული ერები არც ამჟამად და არც მომავალში ხელს არ ახლებენ გერმანიის მშვიდობიან მოსახლეობას, თუ იგი ლოიალურად შეასრულებს მოკავშირეების სამხედრო ხელისუფალთა მოთხოვნებს.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ჯარების მიერ მოპოვებულმა ბრწყინვალე გამარჯვებებმა ცხადჰყვეს წითელი არმიის დევგმირული ძლიერება და მისი მაღალი მხედრული ოსტატობა. ჩვენმა სამშობლომ ომის მსვლელობაში მიიღო პირველხარისხოვანი კადრის არმია, რომელსაც უნარი შესწევს დაიცვას ჩვენი ხალხის დიადი სოციალისტური მონაპოვარნი და უზრუნველჰყოს საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებრივი ინტერესები.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირი თითქმის ოთხი წელია აწარმოებს უმაგალითო მასშტაბების ომს, რაც კოლოსალურ ხარჯებს მოითხოვს, ჩვენი სოციალისტური ეკონომიკა მტკიცდება და იზრდება, ხოლო განთავისუფლებული ოლქების მეურნეობა, რომელიც გერმანელმა დამპყრობლებმა გაძარცვეს და დაანგრის, წარმატებითი და სწრაფი აღორძინების პროცესშია. ეს შედეგია იმ გმირული ღონისძიებებისა, რაც გამოიჩინეს ჩვენი ქვეყნის მუშებმა და კოლმეურნეებმა, საბჭოთა ინტელიგენციამ, ქალებმა და ახალგაზრდობამ, რომლებსაც აღაფრთოვანებს და წარმართავს დიადი ბოლშევიკური პარტია.

გერმანელი იმპერიალისტების მიერ გაჩაღებული მსოფლიო ომი და-

სასრულს უახლოვდება. ჰიტლერული გერმანიის დამხობა სულ ახლო მომავლის საქმეა. ჰიტლერულ მესვეურებს, რომლებმაც თავიანთი თავი მსოფლიოს ბატონ-პატრონად წარმოიდგინეს, კოვზი ნაცარში ჩიუქარდათ. სასიკვდილოდ დაკრილი ფაშისტი მხეცი სულს ლაფაფს კრავს. მოციანა ერთია — ბოლო მოვულოთ ფაშისტი მხეცს.

გინგლიჩიუნი

წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრებო!

სწარმოებს ჰიტლერული ბუნავის უკანასკნელი იერიში. დამამთავრებელ ბრძოლებში გამოიჩინეთ მხედრული უნარისა და მამაცობის ახალ-ახალი ნიმუში. უფრო მაგრად ურტყით მტერს, უნარიანად ამსხვრიეთ მისი თავ-დაცვა, სდევნეთ და გარს შემოერტყით გერმანულ დამპყრობლებს, არ მისცეთ მათ სულის მოთქმის საშუალება, ვიდრე წინააღმდეგობას არ შესწყვეტენ!

იმყოფებით რა მშობლიური მიწა-წყლის ფარგლებს გარეთ, გამოიჩინეთ განსაკუთრებული სიფხიზლე!

წინანდებურად მალა გეჭირთ საბჭოთა მეომრის ღირსება და სახელი!

საბჭოთა კავშირის მშრომელნო!

შეუპოვარი და დაუღალავი შრომით ამრავლეთ ყოველმხრივი დახმარება ფრონტისადმი. სწრაფად მოუშუშეთ ჩვენს ქვეყანას ომით მიყენებული ჭრილობები, კიდევ უფრო აამაღლეთ ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება!

ამხანაგო წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, სერჯანტებო და ზემდეგებო, არმიისა და ფლოტის ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო! საბჭოთა კავშირის მშრომელნო!

საბჭოთა მთავრობისა და ჩვენი ბოლშევიკური პარტიის სახელით მოგესალმებით და მოგილოცაეთ პირველ მაისს!

წითელი არმიის მიერ ფრონტზე მოპოვებულ ისტორიულ გამარჯვებათა და ზურგში მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის დიად წარმატებათა პატივსაცემად, მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულის აღსანიშნავად —

მზრძანებ:

დღეს, 1 მაისს, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში: მოსკოვში, კიევში, მინსკში, ბაქოში, თბილისში, ერევანში, აშხაბადში, ტაშკენტში, სტალინაბადში, ალმა-ატაში, ფრუნზეში, პეტროზავოდსკში, ვიშინიოვში, ვილნიუსში, რიგაში, ტალინში, აგრეთვე გმირ ქალაქებში: ლენინგრადში, სტალინგრადში, სევასტოპოლსა და ოდესაში მიცემულ იქნას სალუტი ოცი საარტილერიო ზალბით.

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ საბჭოთა სამშობლოს!

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს, გამარჯვებულ ხალხს!

გაუმარჯოს ძღვეამოსილ წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

წინ, ჰიტლერული გერმანიის საბოლოო განადგურებისათვის!

უმაღლესი მთავარსარდალი

საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

9 მ ა ი ს ი

თითქო ზეციდან უეცარი რეკა მომესნა,
ცისფერ განთიადს თან ჩამოჰყვა ხმა საამური:
დაიჩოქათ ჩვენ წინ მტერმა უბოროტესმა —
დღესასწაულობს გამარჯვებას ჩვენი მამული.

სხივი მოვარდა, ცხრა მაისის დანაკვესარი,
და თითქო ცხრა მზე შემოვიდა ჩვენს ცაში ერთად.
ჩემო კალამო! გიბაროდეს, ხომ მოვესწართ,
ხომ დავინახეთ სანატრელი შემუსვრა მტერთა?

ჩვენი სამშობლო დღეს აღისფრად მოიფარჩება,
მზე დაფნის გვირგვინს გაანათებს კრემლის კარებთან.
ჩვენი დიდების საუკუნო გრგვინვად დარჩება
ომის გრიგალი, ჩვენს მიწაზე რომ მძვინვარებდა.

ჩვენმა გმირებმა გაარღვიეს ეს ქარტეხილი
და ბედისწერის ჩარხი წაღმა დაატრიალეს.
გდია ბერლინი, ურჩხულივით თავგაჩეხილი
და მაღლა ჩვენი გამარჯვების დროშა ფრიალებს.

დიდება იმათ, ვინც დაეცნენ სამშობლოსათვის,
ვისაც თვალებში სამუდამოდ ჩაუდგა ნისლი!
დე, იმათ სახელს სიყვარულის ალი ჰმოსაედეს, —
ეს გამარჯვება დავიმკვიდრეთ იმათი სისხლით.

დიდება ჩვენს ჯარს, ძლევამოსილს, ჩვენს ბურჯს და იმედს!
საუკუნენი იმის დროშას თან გაჰყვებიან.
დიდება ჩვენს ხალხს, ვინც გაუძლო განსაცდელს მძიმეს
ვინც მტერს მოსეულს ბევრჯერ მკერდით დასჯახებია.

დიდება ბელადს, ვინც ჩვენ გული გაგვიფოლადა,
ვინც ვაეყაცს ქუდი უსახელა და ქალს მანდილი,
ვინც პირველ დღესვე გაგვინათა გმირულ ბრძოლათა
დიდი მიზანი და ოთხი წლის შორი მანძილი;

ვინც მტრის მუქარას ბრძნული სიტყვის ელვა ესროლა,
როცა ჩვენს ცაზე ღამის ჩრდილმა გადაიბრინა,
ვინც წინ გაუძღვა ქვეყანას და ხალხთა ეს ბრძოლა
უბრწყინვალესი გამარჯვებით დააგვირგვინა!

ხარბონ ვარდოშვილი

ს ი ხ ა რ უ ლ ი

ია და ვარდის მიჯნურო —
მაისო, ცისფერთვალეზა,
შენა ხარ კაცის ხალისი
და ქვეყნის ფერისცვალეზა.

მოხვალ და დედაბუნებას
ლურჯი მთიებით აშუქებ.
ო, რა სიაშე მომფინე,
რა სიხარული მაჩუქე!

ბეერი მინახავს მაისი,
შენი სადარი კი არა.
გულს დარდი შემისუბუქე,
და განმიკურნე იარა.

მოფრინდი ჩემთან ვით შუქი,
და გამინათე ცისკარი,
შვის გამარჯვება მახარე
მარადეამს დაუფიწყარი.

მითხარი: „ბოლო მოედო
სისხლის გრივალეზს — ელვიანს,
„კეთილმა სძლია ბოროტსა —
არსება მისი გრძელია!“

„არ იკარგება ამოდ
ცრემლები განაწვალეზის,
სინათლემ მოსპო ბნელეთი
გმირთა მგზნებარე თვალეზით.“

მე მაგონდება მაისი —
შავი მაისი, საზარი.
როდესაც დედა-სამშობლოს
ზეცას გაჰქონდა ზანზარი.

კაცკასიონი დრკებოდა,
მიწაზე სისხლი დიოდა,
ტფილისის მალალ ბჭეებთან
შავი ყორანი ჰყოდა.

ცის თალეზამდე ახრილ მთებს
თავს ცეცხლის ალი ეხურათ,
გმირი ქართველი მებრძოლნი
ღუშმანს უტევდნენ ვეფხურად.

ბრძოლებში ნაწრთობ დევ-გმირებს
სიკვდილი ვერ მოერიდა,
როს გამარჯვებას კაცკასთან
სჭედდა ვაჟკაცი ბერია.

მე ის მაისი მატრეოლებს
სისხლით და ცრემლით ნალესი,
შენ სხვა ხარ, ო, ცხრა მაისო —
შენ მზე ხარ უბრწყინვალესი!

მოხველ და ლურჯი მთიებით
მიდამო მიმოაშუქე,
ო, რა სიაშე მომფინე,
რა სიხარული მაჩუქე!

გამარჯვების მაისი

გამარჯვების მაისო, შვეებით მოგესალმებით,
ფრიალებენ ბერლინში სტალინური აღმშენებლები!

ჩვენი დროშა მზიური, შედებილი სისხლითა —
არასდროს არ დგხრილა მტარვალების რისხვითა!

ლენინის და სტალინის დროშა როცა ფრიალებს —
მასში შენი ძალაა, შენი სულიც ტრიალებს!

მოდო, გამოგვედარე, ჰიმნი გვითხარ სადარი,
გაგვიღვივე გულებში დაუმცხრალი ღაღარი!

იელვე და იქუხე ისევ წინანდებურად,
ვინ სთქვა: — ნისლში იყავი და წყვედიადი გებურა?!

ჰქუხს სტალინის ლაშქარი, — უძლეველი თაობა,
მასში შენი სუნთქვაა, შენი გამბედაობა!

ნახე გმირი, ვინც შენი მობრძანება გვახარა,
ვინც გვასმინა საბრძოლო გამარჯვების ნალარა!

საოცნებო მაისო, გამქარებო დარდისა,
ნახე ბერლინს შესული ჯარი სტალინგრაღისა!

ნახე დროშა ბრძოლების ცეცხლში გამონატარი —
უძლეველი გმირობა დიდი ბაირახტარის!

ჩვენო ტკბილო მაისო, იმედის და შვებისა,
ხმაშეწყობით გვამღერე ჰიმნი გამარჯვებისა...

კონსტანტინე ზიზინაძე

ქველი ჩვეული

დედის ყუთში დღეს დილით მე
ხელში მომხვდა ეს რვეული
„ცნობის ფურცლის“ მონახვევში
გულმოდგინეთ შეხვეული.

გადავფურცლე, შიგ ეწერა:
„ია, უთო, აი თითი“
და ათამდე ანგარიშის
რამდენიმე მაგალითი.

ასოები და ციფრები,
მოხაზული ბავშვის ხელით,
ერთ დროს ჩემი, ახლა უცხო,
საცნობიერ კი იყო ძნელი.

მაგონდება, ვით სხვა ვინმე:
ცელქი, სუსტი, ფერწასული,
ხან ხის ძირას მოთამაშე,
ხანაც კიდევ ზედ გასული.

ღარბოდა და ქვებს ესროდა
შაშვის ბარტყებს და ბელურებს...
შემდეგ რა გზა გაიარა
რამდენს აჰყვა საფეხურებს!

შეუქმნევლად იცვლებოდა
მისი სული და სხეული.
უკან ღარჩა ბევრი ვნება
და ხალათი დახეული.

ნახევარმა საუკუნემ
რა დასტოვა ბოლოს გულში?
წლები გადნა დავიწყებულ
სევდასა და სიბარულში.

ჩვენ გზადაგზა გვეკარგება
ჩვენი სულის ნაწილები.
ვღელავთ ერთხანს, რაც გვიყვარდა,
იმისაგან დაცილებით.



მერე გული — ო, ეს გული —
ახალ გრძნობებს უღებს კარებს
და ვიგონებთ გაღიმებით
ჩვენს წინანდელ ცრემლთა ღვარებს.

დედას ალბათ იმედებით
გულს უვსებდა ეს რვეული,
მიტომ დარჩა ქველ გაზეთში
ასე ფრთხილად შეხვეული.

ალექსანდრე კუთათელი

დ ე რ უ ლ ე თ ი

ზეპარზე

ცა მოიდრუბლა. ჩამოეშვა მთაში წყვედიადი.
ისევე ბნელი მთის აღმართადმართ მიველ დედულეთს.
მაკრთობს დუმილი მწველ ფიჭრით უცხო, დიადი,
რომ ვერ გაუმხელ ორპირსა და წინდახედულებს.
გაელა. ელვის შუბმა დასკრა უმაღ ვეშაში,
ბნელი ძალები აგრუხუნდა ცოდვა-მადლითა
და კაცთა გულის სიხარულით მარად მგეშავი,
ზეკარის მთიდან ამოცურდა მზე სინათლია.

დიდედა

მზემ განანათლა მთა, გიორგის თეთრი ტაძარი.
ძველი სამარხი წინაპართა ძელებით აესილა.
იქ დაიშალა, ჩაიფერფლა როგორც ნაცარი
დიდედა ჩემი, ჯანიანი ქალი ასინა.
შტობებმრავალი გვარის მუხა ჩვენი ის არი.
მისი ფესვების ერთი ძუძუ მეც მიწოვია.
მან გაგვიტენა ჩვენ აღდგომის ბეერი ცისკარი
და ახლაც მისი ტკბილქართული მესმის მგონია.
მოგეცა ყვინჩილა, ჩიჩილაკი და კურკანტელი.
ია და ვარდით გვიამებდა სენს და საზადსა.
ბევრჯერ წაგვაცხო თავქოჩორზე თავლის სანთელი,
რომ არ შეგვეყროდა მავნე სული ბავშვებს აღარსად.
მას უკან გრგვინვით გადავიდა წელი მრავალი
და მაინც ისევე აღმართულა იმ წლების მიღმა
სოლომონ მეფის მხნე სარდალის შთამომავალი —
დიდედა, და მის ჩიხტაკოში ჩასმული ჯილა.

ასი წლის კაცი — მარაბაჰი

მე დედულეთის მოგონება სიცოცხლედ მიღირს:
მშობელი კერა, შუაცეცხლი, სუფრა-ტაბაკი...
დამხსნელად დარჩა ქართველობას მათი ამაგი
და ახლაც ვისმენ ბერიკაცის წამოკრულ ლიღინს.

მინახავს მისი კაჟიანი თოფის ფალია,
 კროლა თვალები, სატყეარი მკრელი-მახვილი,
 მთა საირმზეუ ნადირობა, სად ნაპრალია
 და ნადეგარი შვლის ნუკრით ტყეში ძახილი.
 მახსოვს მე მისი ანდაზები, ძველი ქართული,
 „დილა-ოდლა“, წარმართული ლხინის „ზეღზევაი“.
 ამ მოგონებით მე ვიყავი გზაში ვართული
 და ირგვლივ იღვა მთის დუმილი ჟამთა მხერხავი.
 მე გაივგონე დაქცეული ციხის ოხერაში,
 წარსულ დროების ქარაგმათა ამოსახსნელად,
 როგორ გალობდა „ქრისტე აღსდგას“ გლახის ჩოხაში
 ასი წლის კაცი — ქარაბაკი უკანასკნელად.



დანგრეული სახლის აივანზე

მთაზე გამოჩნდა, ვით ნიშანი დაობლებისა,
 დათა ბატონის უკაცური სახლი აივნით.
 ვილაც ბედშავი დედაბერი გლოვით გაივლის,
 მუნჯი აჩრდილი გარდასული თაობებისა.
 დაშრეტილ თვალზე დამბლისაგან უტოკავს წარბი.
 გამოიტირა კარმიდამო ეს მიგდებული,
 სინდიდრით, ლხინით და ზეიმით წინად ქებული,
 სად კაცის ნაცვლად ქეციანი ძაღლიც არ დარბის.
 სახლის იატაკს მიაყენა ჟამმა ზიანი.
 ქართულ აივანს შერჩენია ზოგან ბირკვილი.
 ჩამოქცეულა სვეტისთავი ჩუქურთმიანი
 და ხავსმოდებულ საძირკველზე ხართბს ძირტკბილა.
 ძელქვის ფიკრები ლაფაროში ღებება მიყრილი,
 ღებება სარტყელი, ლარძაყინი ჩამოსაყრელი
 და როგორც ჩემი მასპინძელი სულმთლად მიხრწნილი,
 არის ეს სახლიც ავი დაშლის გამომსახველი.
 აწ აღარ მღერის აივანზე ყელმოდერილი,
 კნეინას მიერ მოწვეული ფრანგულ წერილით,
 ვილაც თავადი, ქარაფშუტა და ბატისტინა,
 ძველ რომანსებს მომღერალი — ცრუ ბატისტინი.
 შამომეგება საკოცნელად წამოწეული,
 კბილჩაეცენილი დედაბერი უშნოდ დამკეწარი,
 როგორც ზამთარში შერჩენილი ხეს ბროწეული
 და თან იცინის ვით ჩხარელი ყველის ვაქარი:
 „ხანისწყლის პირას არ შეგხვდებათ, როგორც კალიძსო,
 ტურფა ივდითი, აგრაფინა და კალისტინე“.
 თქვა და შეირბა კვიპაროზი — ხე პალესტინის
 და სასაფლაოს მწუხარებით გული ამივსო.
 მზე ჩაესვენა, აივნისდან მოსჩანს პირწმინდათ
 კავკასიონი, აჯამეთი და წინაველი...
 ასი წლის ვაზი ამოსული დედამიწიდან,
 სვეტს დაჰგრაგნია, თუმც დანგრევას ველარა შველის.

აღარ მასვენებს მე წარსულზე ფიქრი ამადამ.
 მთვარემ აივანს მგლოვიარე შუქი დაჰფინა
 და მე ჩაესძახე ყრუ დედაბერს ყურში ხმამაღლა:
 — საწყალობელი კალისტინე და აგრაფინა!



ხრიკა


სარზე დააგეს მწარე გოგრა გამოხაბული.
 მუმ გამოაბმო ხორკლიანი ხოყრა ქალა.
 არაიის ესმის მისი ტანჯვა, ცრემლის შხაბუნი,
 შაში ჩაპკორტნის ხილისაგან თუ მოიცალა.
 კაცი აიღებს, შემოდგომამ ზედ არ აწვიმოს,
 სხვენზე აიტანს, შუაცეცხლის აღმა გარუჯოს,
 რომ მოტუშდეს გულის დარდი და საყმაწვილო.
 ამ ტანჯვას მართლა ჯოჯოხეთი ათასჯერ უჯობს.
 მსუნავი ჭინკა შუადამით მიეპარება,
 ხოყვას დაუწყებს, რათა კანი დიღამდე ცუცქნოს,
 ვერას დააკლებს და ოჯინჯალს მიეფარება,
 შიშით გასცქერის რკინადქცეულ გარუჯულ უცნობს.
 ზაფხულზე გოგრას კვლავ გახეხენ, გამოხარშავენ,
 წამოაგებენ ორლობეთა ათას მარგილზე.
 დღისით მზე ხრუკავს, მზე ვარვარა წვავს და აშაევებს,
 ხოლო ღამდამით საამურდ ცვარი აგრილებს.
 მერმე ყანყრატოს გამოსჭრიან კაცი ხელადა,
 ჯოხს მიაკრავენ, რადგან შვინდის შვენია შეხება,
 „ხრიკა-ორშიმოს“ შეარქმევენ მეტსახელადა
 და საესე ქვევრის საფერავი წითლად შეღებავს.
 ელავს ორშიმოს სააღდგომო კვერცხის მავკარი,
 ფერსათის ტკბილი ღვინის მადლი მას არ აკლია.
 ხრიკა შავკუპრი უნაპირო ღვინის ნათლია,
 საშვილიშვილოდ გამომდგარა წლებით მაგარი.
 ბევრი შინახავს ტალავარში, ნაცნობ იერით,
 ხრიკა-ორშიმო... ათასკვარი სახე იმათი,
 თითქო ქალაა გრძელი, მოკლე და განიერი,
 ყველა ხალხების, კაცთა მოდგმის და ხასიათის.
 ზოგი მეფეა, ზოგი ბრძენი, ზოგიც მასხარა.
 თხაფეხა ღმერთმა ხანისწყალთან გაღიზარხარა,
 რადგან იხილა თავდათრობის ხატი — სახება
 და ღვინით საესე ხრიკის დაცლა არ ეძრახება.
 ლურჯტალეზიან ტალავარში ენახე ხოკორა,
 სახეჩოფურა, დასკუპული მარგილზე წყვილად
 ხრიკა თავწერილი, თავკომბალა და თავგომბორა:
 ნაცარჭექია, როსტომბრძენი და ქოსატყვილა.
 აგერ, ღვინისგან ჭარხალივით გაწითლებული,
 ხრიკა ცრუკაცი, ჭორისგულა მართლა მვონია.
 ეს კი ბრძენია, ოქროპირი ხალხში ქებული,
 ვაცევილ აზრის ქაღაგებს ვადაპყოლია.



შეხორცებია გმირს და რაინდს თავზე ნახმლევი და აცქერდება უღღვეური ქართლის ნამლევი. მინახავს ალა-მაჰმად-ხანის მახინჯი ქალა, ქართლის დამკვეცი — შაჰ-აბაზის, ღეთისგან წყეუ ქალა თემურის, მონღოლისა იმ დამთხვეულის, ურაგანივით შმაგ ბრძოლებით რომ დაიცალა. აგერ იმისი ნაშიერი ზის ლოიოლა, ამ ინკვიზიტორს თავდაკუთხულს ვიცნობ იოლაღ. იქვე ჰვიდია სხვა ორშიშო და მწარე ხაზი — ქალა ხელმწიფის, ღეთისშიერი ეზუიტ პაპის. ძველი რომიდან შემკვიდრებებს აქებს ნერონი ქრისტიანების მწვალებელი, ბილწი, ვერანი. აგერ ჭიპალა შარიანი ავკაცის კეფა, — მუშტისოდენა კვინიხიდან ღვინო ცემს ჩქებაღ. ეხედავ ჩარჩვაჰარს დასჩენია შუბლზე კოპები და ესიზმრება ოქროვერცხლით სავსე გობები. მე ეს ორშიშო შევიცანი მართლა ჰაფიზად: ამაოებით გატეხილი კუპრმა გაფისა. ასე ათასი მეცხადება, უცხოღ განცდილი, ხრიკისმაგვარი კაცის ქალა, სახე, აჩრდილი. როგორც ზნეობის, შხამიანი ექვის სურათი — ელავეს სოკრატის თავის ქალა: სიბრძნის გუმბათი. მშვიდსა და ნათელ ქრისტეს სახეს, აგერ ჯიუტად, გამცემის თვალით აცქერდება შავი იუდა. აღშფოთებული ბოროტებით და სიმდაბლეთ, ისევ დასცქერის დედამიწას ფიქრში ჰამლეტი. ველარ აიღებს იორიკის ქალას საბრალო. დღეს პრინცის ქალას სხვა გამოსცლის, იტყვის: „პარაღოს“. „ახალი სუფრა!“ — განთიადზე ყვირის მახარა. თხაფეხადმერთმა ხანისწყალთან გადიხარხარა. მოდის შუადღე. წამოვიდა ლხინი, ქორწილი. ისევ ატირებს მთვარეული ქალი გიტარას. და ცეკვავს ისევ ღიონისეს ცეცხლით მოსილი, ბრძენი, რაინდი, ქარაფშუტა და ხრიკიტარაც. ბნელ კუთხეში კი განაბული, თვალდაგეშილი, გამსწორებელი სიმღერებით დღის და ღამისა, — კვდება სიცილით გადამთვრალი და ვალეშილი ბეზრეკა ხრიკა, ძველისძველი ხახა ხაპისა.

პანი

მაღალ გორაზე, ხანისწყალთან დამუნჯებულ ხეში ჩამგდარა აღისფერი აღისმერეთი, თითქო გარდასულ თაობათა, ქართლ-იმერეთის ზღვა საიდუმლო მას ჰქონოდეს დაუნჯებულო. გაყუნებულან ქარაფები მულამ ხმოვანი,



მაგრამ ჩიტების კრიმანჭულით ფიქრში გართული,
 სიჩქემის ცელმა ვერ დაბელა მუხა ქართული
 და კვლავ შრიალებს ღვთიურ შიშით ტყე ასწლოვანი.
 ხევეში გაშლილი მცენარეთა ზღვა დანაშელი
 მსურს გაგვარდვიო მოციქულთა საშვენი კვერთხიანი
 და საირმეზე გავიგონო ხმა-საამერი
 გამოჯნურებულ ხარიუმის ნაღარა მკვეთრი...
 აღისმერეთში განაბული თხაფეხა ღმერთი
 დაღს მოუხმობდა შვიდმილიან ტკბილ სალამურით.



ეროვნული
 ჟიურის წევრი

სიზმარი

გადავიარე შევიარებით შემკული ველი,
 შეინდის ყავარჯნით და ორკამი სახრით მეზრისა.
 ჩაშვებულყო ხანისწყალში ფესვი ვერხვისა,
 როგორც ვეება, რქანაყარი წითელი გველი.
 ვერხვს დასჩენოდა დაკლავნილი დაღი მეზისა,
 მაგრამ ნახმლევის შეხორცება ხესაც ეღირსა.
 ეს ვინ დასტეინა? გველი უხმობს თავის წიწილას,
 თუ ნიაფია ხმელ ჯაგებში, რომ დაიწივლა?
 არა! ცივ წყალში ჩაშვებული ქანაობს ფესვი.
 ისევე გასძახის ღურჯ ტალღების ნაღარას დაღდა.
 ხარბი პეშვებით ხანისწყალის კამკამი შევსვი
 და დამიამდა ჩაღვარული სახსარში დაღდა.
 მაგრამ მაშინვე ხელი ვტაცე ჩემს გუდანაბადს:
 ფესვი კი არა, გველი სეამდა დემილის შარბათს.
 მერმე დაცურდა. გადაიჭრა ფერსათის შარა.
 თურმე იგზნებდა მზის გენიას უხსენებელი.
 გველი შეირბა, დაიკლავნა და გაიშალა,
 როგორც ზამბარა, ბერბეშულა უშველებელი.
 წამით გამტერდა, იტყუნური თვალი დამადგა.
 ააბულბულა საღალღობოდ სატანის ენა,
 სამჯერ გამოსცა საზარელი მისნური სტვენა
 და ვერ მომწესა ჭეჭწარმავალ ძალთა თამადამ.
 უშალ ავიღე მე ორკამი სახრე მეზრისა.
 გველს დაღმიზნე. ვიჭვი: გამოცდა თვალის მეღირსა.
 ბეჭე დაიღო, თავისიერი და მე ყავარჯნით
 ზედ მივაჭედე ბორბოტების ავი დარაჯი.
 ტალღამ წაიღო. გადაჩენას არა ედილობდა
 და მაენეკმნილთა, ჯოჯოებების გლოვა-ურგაზე, —
 შემომხევიდა გველის ნაცვლად ხეს უსურგაში
 და ბრწინულის ყვაილებიც მას უცინოდა.

მზის ამბორი

ცეცხლი მოგტაცე, როგორც ღვთაებან,
დამსაჯე, შორს ვარ შენგან წყეული,
შენი თმის ჯაჭვით კლდესთან დაება
ომგადაბდილი ჩემი სხეული.
მე სიყვარულის ცეცხლი მიწოდოდა,
მზის ამბორს მოჰყვა რისხვა მეხისა,
ტანთ მივლის ჭარი უამინდოთა,
ასე უცეცხლოდ მე წვა მეღირსა.
შემომესია ფიქრთა გუნდები,
ვაი, რა მწველი ელვა დამეცა?
როგორ ავსწყვიტო თმების ზუნდები,
როგორ ავსწიო ეს დედამიწა?
შველას ვერ მოვსთხოვ ყრმობას შორეულს,
მორევში დგას და... ბორგავს სიცივით,
გაუმიჯნურდა თავის ორეულს,
აღრე გადაჰყვა წყალს ნარცისივით.
ამ წვას, ამ გვემას, თავზარ-დაცემას
ჯგვარცმა მერჩია მე ათასწილად,
შემინდე! ცეცხლის მოტაცებისთვის
ასე უღმერთოდ კაცი დასჯილა?
გული შენ ვიხმობს, ტანი ცახცახებს,
ტანჯვად განვიციდი მე უშენობას,
ყრუა საწყარო... შენი სასახლეც
დამსგავსებია ღრუბელთ შენობას.
სახეს მარიდებ და სულში გიმზერ,
ნეტავ შორიდან მაინც ელავდე?
განწირულია ჩაძირული მზე,
ჩაკირულია კლდეში ყელამდე.
არ ველი მე შენს თვალთა განთიადს,
არ ჩანს ვნებათა მკაცრი მსაჯული,
ფიქრებს რომ ებრძვის — ჩემი ლანდია,
ამირანივით კლდეს მოჯაჭული.

სანდრო შანშიაშვილი

ღ ე ღ ა

პოემა

კარგი მესამე

მინდა გიჩვენოთ ერთი ნატეხი,
ომის ამბავი და თავსატეხი.
მაინც რაც მოხდა დნებრთან ნამდვილად!
წინაზე მითხრეს,
აქვე არიან:
ჩემი ტარიო

ჩემი თანდილა!

იმათ დავეძებ, ესდგე მათ წინაშე,
იქ, ბრძოლის ველზე, უკრაინაში.
გესმითა გუგუნისი..
ცა ილეწება,
თუ მიწის გული?..
მას რა ზანზარებს?!
გულს რა აზარებს?
შეხედეთ აქეთ, შეხედეთ იქით!
შლეგი და ჯიქი,
შემოსეული მტერი მძვინვარებს.
ხოცავენ ბავშვებს... ხოცავენ დედებს...
ტყვია და ნაღმი... ყუმბარა ქედებს...
დულაბი სჭდება, მიწა ითხრება!
კაცთა ნაშრომი უცბად ინთქება.
იყო ქალაქი, დღეს აღარ არის,
აფეთქებისგან ყველგან ხანძარი!
ცეცხლით გავლილზე აღარ რჩებიან...
ცხენის და კაცის ნაფლეთებია;
და მილეწილი რკინა, ფოლადი...
და წყლის უფსკრულში მიდის ხომალდი.
ქალაქის ნაცვლად ფერფლი, ლადარი,
სისხლი, კვლავ სისხლი!.. სისხლის აედარი!

ერთ დროს ჯოჯოხეთს კხატავდა დანტე —
 და მასზე მძაფრი ნამღვილად ვნახეთ.
 და წარმომიდგა პიტლერის სახე,
 როგორც სიკვდილი, ჩონჩხი ძელებისა,
 პირბასრი ცელით, ღოჯების ცემით,
 თაეზე ცილინდრით სისხლოუძღებისა,
 და ამავე დროს რამ გამახსენა,
 საბედისწერო ერთი სიმღერა,
 რაც ხალხს ძველთაგან მოეპოვება?
 „რაც არ გერგება
 არ შეგერგება!
 და არც შეგრჩება

ერთი დროება!

პასუხისგებაც მოგეთხოვება!“
 აღმათ ასეა და ეს წესია:
 ბოლოს დამპყრობელს დაუკენესია
 და მას მოიმკის, რაც უთესია!

ამ მიწის ზანზარს ზეცა ბანს აძლევს,
 მდინარეს თითქოს აფარებს ძაძებს!
 ეხ, რარიგ ბნელა უკრაინაში!
 ოქტომბრის ზეიმს მაინც იხდიან
 პეტროს ბინაში!

მის სახლს, შენიღბულს, მტერთა ყუმბარამ
 თხრილი და ორმო ირგვლიე უბარა.
 და მაინც კრება პეტროსთან ზღედა...
 ოქტომბრის ზეიმს ხალხი აქ ზღედა.
 გარედ ზრიალი... ტეხა, დგანდგარი!
 გველი იელეებს, ქალაქს უშენენ;
 გულით მტკიცენი, ფეხზე ამდგარნი
 ოქტომბრის სიტყვას სტალინს უსმენენ.
 სიტყვაა მტკიცე, იმედით საეხე!
 გარედ ყუმბარებს მაინც უშენენ...
 სქდებიან ახლო, სქდებიან განზე...
 იქ, მაგიდაზე, წითელ სუფრაზე,
 სდგას მინის სურა, ჭიჭა მის თავზე.
 და იგი ჭიჭა ზარბაზნის ხმაზე
 რეკავს და რეკავს... კიდეც უშენენ...
 კრემლიდან სტალინს მაინც უსმენენ,
 და მით ვაეკაცის გული მღელვარებს,
 შურისძიების ცეცხლი ელვარებს.
 და ბელადს ასე ერთხმად შესძახეს:
 „ეფიცავთ სამშობლოს, ეფიცავთ შენს სახელს,
 ვიბრძოლებთ მედგრად, გამარჯვებამდე!“
 ეს ფიცი მოხდა განა თუ ერთგან?
 საზღვრებს იჭითაც და შორს ზღეებამდე!



ცეცხლის დილაა დნებრის ველზე...
ქუჩაში კვამლი... სისხლი ხელებზე,
დამწერების სუნი

გვამთა სიჩუმე... სიჩუმე სრული
და ამ საჩუმეს არღვევს კივილი...
გესმით გოდება, დედის ჩივილი?
გულში ჩაუკრავს პაწია მკვდარი.
— ხალხო, უცქირეთ, მომიკლეს შეილი!
ლოყას უსველებს ცრემლი მას ცხარი.
თვალეებს გაახელს, თმაჩამოშლილი,
ასწევს ბავშვს მალა, როგორც შეშლილი.
— რატომ მომიკლეს? ვის რას ერჩოდა?
და შორს გარბოდა თავის ეზოდან...
და სად გარბოდა, თვით არ იცოდა,
„იძიეთ შური!“ მხოლოდ ისმოდა.
დნებრის ნაპირი ცეცხლში იწოდა.



დნებრო, რატომ ჰდელავ,
მღვრიედ უცქერ ნაპირს?
ნაქენარს ვეღარ ჰხედავ,
ცამდე ტოტებ აყრილს!

რატომ სტიჩის ზვირთი,
უკრაინის ველო?
მძიმე გაწევს ტვირთი,
შენ, უსაზღვროდ ვრცელო!

არ მოხდება, ვიცი,
შენი დამარცხება!
სტალინს მისცეს ფიცი,
ხალხი ფეხზე დგება!

აგერ, ტარას ბულბა
მკვდრეთით წამომდგარა;
ვაყვავ პარტიზანებს სათავეში უდგას.
და უყვირის: ჩქარა!
მოთმინება კმარა!

შენი დამარცხება არ იქნება, არა!
„უკრაინა ცოცხლობს და იცოცხლებს მარად!“
უკრაინის ველო,
შენ, უსაზღვროდ ვრცელო!
შენს საშველად გზავნა
შვილნი საქართველომ.

სხვა მრავალთა შორის
 ორმა ბიჭმა, სანდოკ,
 ვზა გამოვლეს შორი
 ტარიამ და თანდომი
 არ გინახავს სადმე
 ეს ორი ძმა სანდო?



მათ მარინე ელის
 და არც სწერენ წერილს,
 მითხარ, სასურველო,
 სად არიან ეხლა?
 მტერთან თუ აქვთ შეხლა?
 მითხარ, სასურველო,
 შენ, უსაზღვროდ ვრცელო,
 უკრაინის ველო!

როცა დნებრს ასე იქ შეეჩიოდო,
 მასთან მიმქონდა სალაში ძმური, —
 დაჭრილი დედა კვლავ გაჰკიოდა:
 — იძიეთ შური! იძიეთ შური! —

მიდის ზღვა ჯარი, წითელი ჯარი,
 და მტერთან ვიაქვს რისხვა და ზარი
 სხივად წინ უძღვის სტალინის სახე,
 იმ ჯარში ვნახე
 საქართველოდან თანდოც, ტარიაც
 იბრძოდენ გულით და მხნეთ არიან.

ქარი მემოთხო

ძალო სოფელში ყოველ დილა ადრე დგებოდა
 და არ სცხრებოდა.
 როგორც მიმინო, უბნის ქალებს ჩაუქროლებდა,
 ძილის მოყვარულს გაჰკიცხავდა, შეაგონებდა:
 — შენ კი დაიწვი! არ გრცხვენიათ, წევხარ და ზერინავ.
 განა შენს საქმროს იმ თბრილებში ამდენი სძინავს?
 ადექი ჩქარა! სამუშაო ჩვენი დიდია!
 არ იცი, ქმრების გამარჯვება ჩვენზე ჰკილია!
 და წაიყვანდა...

პირველ რიგში თვითონ დგებოდა:
 და არ ცხრებოდა,
 ასე ღარაზმა დიდი, მცირე, თეთრა-თმიანი
 და მოსავალიც მოსდიოდათ ბარაქიანა!

გადმოადგა მწვერვალებს
 ცეცხლის სახე ვაფური;

მაგრამ დილა გრილია,
როგორც წყარო ნაეური!
სიო ისე საამო,
როგორც კოცნა პატარძლის;
გულსაც გიხალისებენ
მუხა-ვერხენი ათასწლის!
თვალს შეასწრებ კრელ ხოხობს,
ყივის, ტოლებს უძახის...
ალაზანი მიდის ყრულ,
თითქოს კაცის უმძრახი!
და იმ დილით,



ეროვნული
ბიბლიოთეკა

იმ ალაზნის ველზე
მწკრივად ეხედავ კოლმეურნე ქალებს,
ოცნებობენ ომში წასულ კმრებზე —
თან მარგლიან თვალუწედეულ ყანებს...
ყვავილიანს, ბილილიანს

ყაყაჩოს და ნარს —
ძირში ჰგლეჯენ, გეჯილს სწმენდენ
და მისდევენ კვალს!..

ვინმე ჩვენი მეოცნებე აუტეხდა შარს:
„შინდორს რატომ აპარტახებთ,
ტურტას რად სთხრით თვალს?“

— მარტო გარე სილამაზე ჭკუით მოკლეს სწამს! —

კახეთის შუადღე
თონგა მხურვალი;
ძლივს მსუნთქავ ცხელ ჰაერს,
ალივით პრიალებს;
პირუტყვი ქაქანებს
და გველი მგლუნავი
ნადირობს თაგვებზე
და მარდად სრიალებს.
ხან თითქოს ფეხს იდგამს,
გადადის მაღაყებს;
ჭაობში მისცურავს
და ზეერავს ბაყაყებს.
ცის ქვეშე გაისმის
რაღაც ყრუ გუგუნვი:
ფუტკარი ზუზუნებს,
თუ მწერი მრავალი?
გვრიტებმა, ქედნებმა
შესწყვიტეს ლულუნი...
ბინაში ვერ მიხვალ,
შორია სავეალი.

და იქვე ურმებზე
ნაბღები ჰფენია:
მის ჩრდილ ქვეშ მარინე

ბრიგადას ასეენებს;
 იქ სადილს შესკამენ
 და იქვე მღერიან;
 კუდრაქა გოგონა
 დანიშნულს ახსენებს!
 მეთაურობს, კვლავ ამხნევებს
 მათ მარინე ძალო:
 — მოილზინე, გაიღიმე,
 შე დავსილო ქალო!
 ციალაც ხომ შენს დღეშია,
 ნუ შეგცვლია ფერი!
 ქმარს თუ ცოლი მზარს უმაგრებს,
 დამარცხდება მტერი!



იყო ეენახში, თუ სიმინდს სტეხდა,
 ვაჟიშვილები სულ თვალწინ ედგა,
 თან ღიღინებდა: ვაი თქვენს დედას,
 თუ ჩვენი ხილი მანდ გენატრებათ?
 და მოუვიდა აზრი მშუქარი, —
 რომ გაუგზავნოს ჯარს საჩუქარი.
 როცა გაიგო და ნებაც დართეს,
 იმავე საღამოს მიეჭრა მათეს...
 გრიგოლს და დონას...
 და გაიხადა თანაზიარად,
 ახლო სოფლებიც შემოიარა...
 გზაში გამვლელსაც შეაჩერებდა,
 თუნდ ყოფილიყო უცნობი მგზავრი,
 ეუბნებოდა:
 — ძღვენს არა ჰგზავნიო?
 უკან რო რჩებით, რა გემართებათ?
 იქ შვილებს ლუკმა გულზე ადგებათ...
 მცირეოდენი თვითოდან კმარა...
 შეკრიბეთ ჩქარა!

მარინე ძალომ შესძრა ქვეყანა!
 ზოგს შეარცხვენდა და ზოგსაც სთხოვდა.
 თან დავალებით ჰგზავნიდა ბიჭებს.
 ზოგი მატყლს სწეწდა და წინდებს ჰქსოვდა,
 ზოგი ხელთათმანს, ზოგი პაკიჭებს.
 ზოგი ჩურჩხელას ავლებდა ორჯერ...
 ზოგი ჰკინძავედა ლეღვის ჩირს ძაფზე
 და მოდიოდა პარკები საესე,
 ტენილი ძალზე!
 ზოგი თხილს ჰკრავდა, ზოგი თამბაქოს...
 ჩანგმა ეს ხალხი როგორ არ აქოს? —

ვისაც რა ჰქონდა,
ის გამოჰქონდა!..

ოღონდ კი ჯვარში მისვლოდათ ძღვენი...!

ამ მზადებაში მიჰქროდა დღენი...
კრწანული
გინგლიძის ქუჩა

თაებრუ დაესხა მარინე ძალოს!
უცხო, ნაცნობი ყველა ეძებდა;
მას დაეხმარენ სხვა მეზობლებიც,
თორემ ის მარტო როგორ შესძლებდა?
სადგურზე ურმებს თვითონ გაუძღვია...
საქმე არ სწამდა სხვის ანაბარა;
არ წამოვიდა, არც სხვა გაუშვია,
სანამ სადგურში არ ჩააბარა!

გულით მხარობდა
და თან ამბობდა:

— აგრემც ჩვენს შვილებს გაუხარიათ...

თხრილში ათევენ, თოფქვეშ არიან...

ძღვენი მიუღა წითელ არმიას!“

თან თვალზე ცრემლი მოადგებოდა.

სხვა იმის ფიქრებს ვერა მხედებოდა.

და იმ საჩუქრებს ლოცვას ატანდა.

რა ძალა ჰქონდა, არც იძიებდა;

არც ღმერთი სწამდა და არც ეშმაკი,

ბოლოს ღმერთს მაინც იშველიებდა.

ღეღეღი ამოიშვილებით!

აღრეც მზე მათზე ამოსდიოდა;

მაგრამ წერილი რატომ არ მოსდის?

ეს აფიქრებდა, დარდსაც ეს ჰკერიდა...

მაინც სახეზე არას იმჩნევდა.

„ალბათ ძნელია შორეულ მხრიდან“.

ისევე თავის თავს ანუგეშებდა.

უკანასკნელად ტარია სწერდა:

„უკრაინაში ვიყავ, დედოცო,

გებბრძვიან, ვებრძვიით, იკაფებდიან“...

და ამ წერილით მხოლოდ გაიგო,

ძმები ერთმანეთს დაშორებდნენ.

მას შემდეგ იგი არ ნათობს შუქით.

რამდენი წყალი ჩამოიღვარა;

ორმა ზამთარმა განვლო ქარბუქით,

წერილი არ სჩანს, სრულად აღარა.

როცა ცილას მოლხენილს მხედავს,

ძალოს მსურს ჰკითხოვს: რა გაუგია?

მაგრამ ვერ მხედავს...

ექვეში ჩააგდოს, უფრო ცუდია!

თვის სიხარულსაც ფანტავს ნართებად...

და დროც თავის გზით მიიმართება.

კაცი თუ ზრუნვას გადაჰყოლია,

დროც სწრაფად გარბის, ასე ჰგონია!
 შეღამეა! ზამთრის ღამეა!
 ქარი ხმაურობს, ხან დაჰკრავს დაფით,
 ყინწამ იყვილა კარგა ხანია,
 ძალო ჰქსოვს წინდებს — ორწვერი ძაფით.
 ბელი ხანდახან შეუჩერდება,
 თავს დაბლა დაჰხრის, მილულავს თვალებს;
 ისევ გაახელს, მიაშტერდება
 ფანჯრების იქით დახურულ კარებს.
 ხომ არვის ელის? რად უძგერს გული?
 ან რად აღელვებს წინაგრძნობანი?
 და აგონდება მას ამბად თქმული
 მოხუც დედაზე ლექსი — მკობანი!
 სად წაიკითხა? სად გაიგონა?
 ჰო, ახსოვს, ახსოვს... ერთმა გოგონამ
 ზეპირ წარმოსთქვა... როგორ ეამა!
 ლენინს რომ გაჰყვა, თუთრებს ეომა...
 იჭაც ასეა... ქარი ჰკენესოდა,
 ეზოდან შვალი ეძახდა დედას;
 კარსაც უღებდა... ვერვის ჰხედავდა...
 თურმე საბრალოს ეღანდებოდა!..
 ის ლექსი ძალოს გულში ხედებოდა
 და თავის ფიქრებს ეძალებოდა!..
 რომ მოუვიდეს რაიმე ცნობა,
 ან რომ მოსწერონ?.. შეეკრა გრძნობა!
 და გული უწუხს, თვალი უბნელდება...
 შუბლზე ოფლს იწმენდს... ეს არ მოხდება!
 და იმავ წუთში თვითვე მხნევდება,
 „არა, შვილები კარგად არიან...
 ჩემი თანდილა, ჩემი ტარიია!“
 ასე ფიქრობდა, გარედ ციოდა,
 სადღაც მამალი კიდევ ჰყიოდა...
 არ ეძინება...
 მიიდგა სკამი ბუხართან ახლოს,
 ცეცხლს შეუკეთა...
 — „ჩემმა დეშმანმა კარგი ვერ ნახოს!
 როგორც ეს შეშა, დაიწვას შტერის
 ისე იკენესოს და ივაგლახოს,
 რაც მან ჩვენ ფეხით ვერ გადაგვლახოს“.
 და კვლავ ფიქრები მოაწვა ჯარად...
 ბურანში არის: გზას ჰხედავს, შარას...
 იქვე ზღვის პირი, რაღაც დაბლობი;
 სადღაც ჰაობი, ჰალა საფლობი.
 და უცხვირპირო რკინის ვეშაპნი
 მოქაქანებენ, მოსრიალებენ...
 მიწას გაჰკვრიან... სწვავენ... ჰქელავენ...



ეროვნული
 ბიბლიოთეკა

თითქოს ბზინავენ, თან ზრიალებენ,
ხან ბზრიალებენ.

ცეცხლით ქშინავენ... ასდით აღმური,
სჩანან, არც სჩანან... მათ წინ ბოლია...

როგორც ღრუბელი, ჩამოსწოლია...

აგერ გამოჩნდა ჩირგვს ჩამალული...

ახლო მოხობდა, უჩრხულს წინ დახვდა...

თითქოს ანთებულ მუგუზლებს ისვრის...

ავარდა ალი, გავარდა მეხი...

მიწა შეინძრა... რკინაც კი იწვის!

ვის მოსწყდა მკლავი? ვის მოსწყდა ფეხი!

საზარი კენესა და გმინვა ისმის!

ნეტა ნაცნობი აქ ვინმე თუა?

აგერ, წაადგნენ ჩირგვებში მხოხავს...

აღმართეს ხმალი... გაკვეთენ შუა...

მარინე შფოთავს, მარინე ოხრავს...

იცნო ვინც არის, იცნო ნამღვილად.

და დაიკილა: შეილო თანდილა!

გამოეღვიძა. გარედ ციოდა,

სადღაც მამალი კიდეგ ჰყიოდა,

არც ჩამდგარიყო ის შლეგი ქარი.

და ფიქრს მიეცა:

„გუშინ მითხრეს: უკან იხვეს ჯარიო!

ამის მთქმელი ღმერთმა კკუით არიოს!

აღბათ ასე საქმეს უჯობს, მგონია!

ხერხი ჰნახო, ესეც კარგი ღონეა,

სულმოკლენი და პირშავნი ყელამდი,

რო ამბობდნენ, მე კი როგორ ველავდი!

არ მოხდება დაშარცხება...

ჩვენთვის ფიქრობს ბელადი!“

ასეთს ფიქრში გართულიყო,

დაავიწყდა წინდის ქსოვა;

კვლავ ჩასთელიმა! ეზმანება

გველესაშთა დიდი გროვა.

მოცოცაედნენ, მოხობადნენ

და მოვიდნენ, აგერ, ახლოს;

ჰსურს იყვიროს და არ ძალუძს,

ჰსურს მეზობლებს დაუძახოს!..

რა დაალო ერთმა ნახა,

გადმოხეთქა ცეცხლის ალი;

და ის ალი სურათს მოხვდა,

შემოავლო ბელადს რკალი.

თუმცა ცეცხლი ეკიდება,

სურათი კი არ იწვება!

ხოლო დაბლა, იმ აღმურში

მოსეული ხროვა წყდება!



შფოთავს ძალო... ჰსურს წამოდგეს...
 თითქოს ვიღაც აკერს ეშვებს:
 თითქოს სახე ბელადისა
 „ნუ სწუხარო“ ანუგეშებს.
 „წყეულებო!“ დაიძახა...
 გაჰქრა, სიზმრად რაც კი ნახა.
 თვალებს იფშენეტს, სურათს უმზერს.
 შიგ ბელადი დინჯად ზის!
 და ნიბუხიც კვლავ ბოლს უშვებს
 თვალთა მზერა სიფრცეს სჭრის,
 ცეცხლის შუქი სახეს უნთებს,
 და ნათელი ნათელს ჰღვრის:
 — შენ ვინ უნდა გიღალატოს?
 ვინ იქნება კაცნა მტერი?“
 სთქვა, მიიხედ-მოიხედა,
 აღარ ჰქონდა სახეს ფერი!
 „ქვეყნად შენი საუბარი,
 სიმართლეა სანუკვარი!
 შენთვის ცუდი ვინც იზრახოს,
 აქ სიკეთე ნულარ ნახოს!“
 ერთს დღეს მოვიდა დეპეშა მალი:
 თანდო გამხდარა საბჭოთა გმირი!
 „ის ჩუმი ბიჭი მორცხვი და მკრთალი!“
 დონა დარბის და მთელი დღე ყვირის:
 (თან გრიგოლ დასდევს თავისი ცხვირით).
 — ხალხო, გაიგეთ, რა ამბავია?
 ის ჩვენი ბიჭი, კოხტა თანდია
 საბჭოთა გმირი!
 ჰხედაეთ, გაზეთშიც ჩაუხატიათ!
 ის აქ გალაზეს,
 ზურგით მიაკრეს მიწას, ბალახებს...
 ვაჰ, რომ აბუნად ავიგდე მაშინ...
 არა, მასხარად არც ამიგდია,
 მხოლოდ ვეხუმრე:
 ხარ-მეთქი ბავშვი!
 და არა ღლაპი! და ანუ კატა!
 არც მითქვამს, თავზე დაგესხას ლაფი!
 იმას ვანიკო
 ვერც წააქცევდა.
 გვერდზე რო გახტა,
 ის, იმიტომაც,
 იქ გაიმხლართა!
 მოწმე მყავს გრიგოლ,
 მოწმე მყავს მართა!
 იტყვიან მართალს.
 ეხლა, უყურე...



ცნობა მოვიდა: აქ მოდის თურმე,
 საბჭოს გმირით!
 რა სუფრას გაეშლი, სულ არ გენახოთ".
 და წაიმღერა თვის უნებურად:
 „ვბი ვენახო, ჩემო ვენახო!“
 მით გამოხატა ვითომ ნებანი,
 რაღაც უთქმელი აღტაცებანი!
 მარინეს ეზოს მოაწყდა ხალხი...
 ჯერ ახლობელნი, ბარე ოცამდე,
 გარს ეხვეოდნენ და ულოცავდნენ.
 — თუ კი თანდილა ასე გვარია,
 რაღა იქნება ვეფხვი ტარია?
 ეზლა რა გიჭირს ბედნიერ დედას".
 ხალხი ირევა სადგურთან ახლო...
 ხალხი მრავალი, დიდი, პატარა;
 საბჭოთა გმირი მსურთ თვალთ ნახონ,
 ყველაზე წინ სდვას დედა ქალარა.
 აგერ, ჩამოდგა პატარებელი
 დასცეს ყიფინა მისაგებელი
 ყართან გამოჩნდა ბიჭი თანდილა
 დამსხვილებულა, თითქოს გაზრდილა
 ყველას უღიმი, ყველას თავს ეკრავს...
 ვაშას ძახილი, მუსიკაც უკრავს.
 მარინე ძაღვს ამართა წელი,
 არ დაუკარგავს იერი ძველი!
 შვილი დედისკენ გამოეჭანა,
 გადაეხვია.

— იცოცხლე, შვილო...

გლოცავს ქვეყანა!
 დედამ აკოცა მის ორდენს გულზე,
 მერე შვილს შებლზე.
 მრძანეს, მოართევს უცბად შანჭანა.
 აეტომ ერთი კი შეიჭაქანა
 და გააქანა
 დედა და შვილი,
 სად საწვიმოდ სუფრაა შლილი
 რაიონიდან აქ არის ყველა!
 მურობა იქნეს, მოაგეტუ ღზუნა!
 მაგიდის თავში უკვე დამუჯდარა
 ძველად ნაცნობი ჩვენი თამადა.
 ღვინო გაღმოდნს როგორც ჩანჩქარა,
 სულ თავანკარა,
 სიმღერაც მოდის თავისთავადა!

(ვაგრალები იქნება)



მეზ ნითლად ამოდირლა*)

ზოისტიმა

ერთ დღეს სახერხ განყოფილებაში შმაგის საშინელი ყვირილი მოესმა. ვეულამ მიიხედა. შმაგიმ დაინახა, მის მასპინძელს, ნოე ჩხაიძეს, მარჯვენა ხელი ზევეით აეწია და გასასვლელისაკენ მიდიოდა. მანქანას სალოკი თითი და შუა თითის ნახევარი მოეგლიჯა მისთვის. შმაგი ეცა ნოეს, მავრამ ნოემ უთხრა:

— ნუ მოცდები, ბიძია. დაგაჯარიმებენ კიდევ... მე არა მიშავს...

შმაგიმ ერთი ამოიკენესა და სამუშაოს დაუბრუნდა...

სადილის შაბაში რომ დაჰკრეს, შმაგიმ და ალექსიმ მოძებნეს ნოე. მას ხელი შეეხვია და ჯირკჭე ჩამოჰგდარიყო ეზოში.

— ძალიან გტკივა, ბატონო? — ჰკითხა შმაგიმ.

— არადერიია, ბიძი, — უპასუხა ნოემ. — ის მაწუხებს, რომ რამოდენიმე ბანი უნდა გავაცდინო.

— ძირშია თითი მოკრილი თუ შუაზე?

— შუაზე.

— მადლობა ღმერთს, — ანუგეშა ალექსიმ. — მე ორი თითი წამართვა ამ ქარხანამ. — ალექსიმ მარჯვენა ხელი ასწია. ხელზე სწმნახევარი თითი ჰქონდა.

— ღმერთს ასე გაუჩენია, მუშა კაცი სათვალავში არაა, — დამსვენა ნოემ.

— ღმერთს მაგაში არ ვეთანხმები მუშა რომ სათვალავში არ ყავს, — მოისმა ახალი ხმა.

შმაგიმ მიიხედა. მალალი, ღამაზი, ამოლტილი ტანის ვაგეციე შემოვიდა ჯგუფში. პატარა წვერი და კობტა ულვაში მოთეთრო სახეზე საუცხოვოდ შეენოდა.

— აა, თეოფილე, — მიმართა ახლად მოსულს ალექსიმ. — ღმერთს ასე ნუ ახსენებ, თორემ მეწყინება. ამას გასწავლიან იმ საკვიროშოში?

— საკვიროშოში შენც რომ დადიოდე, არა გიშავს. ჰკუას ისწავლიდი, — ღიმილით უთხრა თეოფილემ ალექსის, და მიუბრუნდა ნოეს — სილიბისტროს ელაპარაკე და სთქვა ადგილს არ დმუტყარგავო. წავიდეს და ხელს მოირჩინოსო.

— ააშენა ღმერთმა, — გაეხარდა ნოეს. — ნახვამდის, ბიჭებო!

*) იხ. „ნათობი“ № 2—3.

ნოე გასასვლელისაკენ გაემართა. შმაგი კუნძუზე ჩამოვდა, ფუხი გახსნა, ჭადი და ყველი ამოიღო და ქამა დაიწყო. თვალი მოჰკრა მამიას მარცხენა ხელში გამხმარი პური ეჭირა, მარჯვენა კი უძრავად ედო/მუხლზე. ეტყობოდა, ბავშვი ასვენებდა დაკაწრულ ხელს. *მარცხენა*

შმაგიმ ვერ მოითმინა. თავისი ყველის ნაჭერი შეჰკმტა/გსწყისა მამიას მისცა და ჰკითხა:

— რამდენს გაძლევენ დღეში?

— სამ შაურს, — უპასუხა მამიამ და ციციქა ყველი მოსტეხა.

— რამდენი გირვანქა ლურსმანი უნდა ჩაალაგო ღარში?

— ორმოცი. თუ დავაკელი დამაჯარიმებენ. ორჯერ დამაჯარიმეს...

ბავშვს ტუჩები აუთრთოლდა.



ნოეს მოგლეჯილი თითი გაუმიზეზდა და ქალაქის საავადმყოფოში წავიდა.

— ბედი შენი, — უთხრა ფერშალმა, როცა გაურეცხა და შეუხვია. — იოლად გადარჩენილხარ. თქვენი ქარხნის ვიღაც მუშა სულ თავგატეხილი მოიყვანეს.

— რაში დაურტყამთ?

— თავში. რკინის წვეტიანი ჯოხი.

— თავში? ეგ შტუბნერის ხელი იქნება, — დაასკენა ნოემ. — იმან იცის თავში წვეტიანი ჯოხის დარტყმა...

საოპერაციო ფანჯარა ოღნავ გამოაღეს. ნოე ფეხაკრეფით მივიდა. ცალი თვალით შეიხედა.

გრძელ თეთრ მაგიდაზე ჭალარა კაცი იწვა. თავის ქალა გადახსნილი ჰქონდა. სისხლს შეეღებდა ჭალარა. ექიმი იხედებოდა ღია ქალაში და რაღაცას ეძებდა. ბოლოს ამოიღო რკინის ნატეხი და იქვე მდგომ თეთრ ხალათიან ქალს გაუწოდა. თან თავი დააქნია. ნოეს გაუკვირდა, რომ ექიმს პირი ახვეული ჰქონდა. ექიმის თვალები სასტიკი სიძულელით დააჩერდა რკინის ნატეხს. ბოლოს ექიმმა ხელი ჩაიქნია. გაჩეხილი ჭალარა თავი უმწეოდ იღო გრძელ მაგიდაზე. თეთრშერეულ წვერში სისხლი ჩამხმარიყო. ღონიერი, კუნთებიანი ხელები უმწეოდ ეწყო ტანის გასწვრივ. ჩამოხსნილი ტყავი სახეს ფარავდა. ნოემ ვერ იცნო მუშა. თავი დააქნია და თავის ხელს დახედა.

— მართლმ ბედი ჩემი, — ჩაილაპარაკა და გასასვლელისკენ გაემართა. — მოდი და არ დაიჯერო ბედი არ არისო... ის ჯოხი რომ დაერტყა ჩემთვის, ხომ აქ ვიქნებოდი გაქიმული?..



კონა შევლივით გადმოხტა ღობეზე და დაიძახა:

— დედა, დედა, შმაგის წერილია.

ჭიონია ბოსტანს ბარავდა. ბარი მიწაში ჩნასო და გაშეშდა. კარგი წერილია თუ ცუდი? სიკეთე მოაქვს თუ სიბუდე? წელში რაღაცამ შეჰკრა და ისე მშვილდივით მოღუნულად გააჩერა.

— ნათლიამ სთქვა კარგად არისო, — უპასუხა კონამ.

ქიონია გაიმართა წელში.

დედა და შვილი თეთრად აყვავებულ ტყემლის ძირას დასდნენ. დედამ ხელს კანკალით ვახსნა წერილი. ბოლოს დააკვირდა იქ, სადაც ეწერა „შენი შვილი შმაგი“. თითქოს ნამდვილი შმაგის თვალუბრები ეჩვენებოდა იმ ასოებიდან.

— წაიკითხე, დედა, წაიკითხე.

დედამ დაიწყო.

„ჩემო ძვირფასო დედა!

პირველათ მოკითხვას გიძღვნიტ და მალალ ღმერთსა ვსთხოვ შენს კარგა ცხოვრებას, ყოველი შენი მოკეთებებითა და ნათესავეებით. გარდა ამისა მე თუ მიკითხავთ მე კარგად ვარ ღვთისა და თქვენის იმედით. ვმუშაობ როტშილდის ქარხანაში, მაქვს დღიური ქირა 60 კაპ. და ვცხოვრობ ისე, როგორც სხვები. არც კვირას, არც უქმეს არ ისვენებს ქარხანა. რომ კვდებოდე არ დაგასვენებს ხაზეინი. კვირაობით ცალკე ცვლები მუშაობენ. აქ ძალიან ბევრია მუშა. მარტო ჩვენს ქარხანაში სამიათასი მუშაა. სხვა კიდევ ბევრი ქარხანა ყოფილა.

ძალიან ვიწროდ ცხოვრობენ აქ. არ დაიჯერებ. ოთხი-ხუთი კაცი შეერთდება და ერთს ოთახს დაიჭირავენ. თვეში სამი მანეთი ღირს, ან ოთხი.

ჩემი მასპინძელი ნოე ჩხაიძე და მისი ცოლი გაიანე მშვენიერი ხალხია. გულკეთილი და პატიოსანი. მომილოცე, დედა ჩემო, მე იმათი ვაჟი მოვნათლე, ორი წლის. ისეთი ბიჭია, რომ გაგიხარდება. მე ძალიან შემიყვარდა ეს ოჯახი და ჩემი ნათლული.

მათომი ძალიან დიდი ქალაქი ყოფილა. იმდენი ხალხი ყოფილა აქ, რომ სენაკის პეტრობაზე ვერ ნახავ ამდენს. ყველაზე მეტი ხალხია ზღვის პირას, სადაც ეს ობერი ქარხნებია. ამ ქარხანაში კაცს კაცად არ სცნობენ. არის ერთი ცემა-ტყეპა, გინება და ჯგლითი. ახლა ავიწერ ჩემს ქარხანას.

ქარხანას სამი მთავარი განყოფილება აქვს: სახერხი განყოფილება, თუნუქისა და ნავთის ჩამომსხმელი. სახერხში ისეთი ხმაურობა დგას, რომ ელიობის დამეში კუდიანების შაბაში გეგონება. ერთმანეთს ხმას ვერ მიაწვდნენ და ლურსმნებით ელაპარაკებიან“.

— დაილოცა, ღმერთო, შენი სახელი, ეს რა მესმის? — გადაიწერა პირჯვარი ქიონიამ.

კოჩა ყურს უგდებდა წერილს, თითქოს ზღაპარს უსმენსო.

— მერე, დედა, მერე!

ქიონიამ განაგრძო:

„ამ განყოფილებაში 700 კაცი მუშაობს. გარდა ამ 700 კაცისა ორმოციოდე ბავშვიც მუშაობს ამ განყოფილებაში. ზოგი 10 წლისაა, ზოგი 12-სა. დღეში სამ შაურს აძლევენ. შეგეცოდება ეს ბავშვები რომ ნახო, მაგრამ აქ გული არაფის ქიონია.

თუნუქის განყოფილება რკინისგზის პირადაა. აქ ბიდონებს აკეთებენ. ამ ბიდონებში ასხამენ საზღვარ-გარეთ გასაზიდ ნავთს. თითო ყუთში ორი ბიდონი ეტევა.

ნავთის ჩამომსხმელ განყოფილებას მუშები „რაზლიენობი“ ეძახიან. ამ განყოფილებაში ხმაურობა არაა, მაგრამ ნავთი და მახუთი ისე სერის მუშას, რომ დედა დეიძლ შვილს ვერ გამოიცნობს. ჩვენები ამ განყოფილებას გაურბიან. აქ უმთავრესად თათრები და სომხები მუშაობენ.

არის მეოთხე განყოფილება. ესაა ყუთებში ბილონების განყოფილება. ამ განყოფილებას უცნაური სახელი ჰქვია: „გველაზე სუფთა განყოფილება“. ამ განყოფილებაში რომ მოეწყო დიდი ხათრი უნდა დაგდონ უფროსებმა.

ქარხანას ერთი დიდი საზენკლო აქვს და ორი პატარა. ამ გამოცდილი და ნასწავლი მუშები მუშაობენ.

ქარხანაში ორთქლის სამი მანქანა მუშაობს. ერთი სათუნუქოში, ერთი საზენკლოში და ერთიც, ყველაზე დიდი, საზერბ განყოფილებაში.

გემი რომ შოვა რეიდზე გაჩურდება, ე. ი. ნაპირის ახლო სღვაში. ქარხანას თავისი პატარა გემები აქვს, კატერები ჰქვია. ყუთებში ჩადგმულ ბილონებს კატერებში ჩააწყობენ და გემზე მიაქვთ.

მომიკითხე ჩემი კონა. უთხარი მანდ შიმშილი სჯობია აქაურ წვალებას თქო. მომიკითხე დიდი სიყვარულით შუკონია. უთხარი აქ ბევრია არწივებივით ვეჯაკები, მაგრამ დღეს ყველა ფრთაჩამოყრილია თქო. ზოგს ხმალიც კი ჰკიდია კვირა-უქმეებში, მაგრამ სამუშაოზე რო სილა გააწვან ხმას ვერ ამოიღებენ-თქო. აქ სამი ძაღლია უფროსი: ვაინსტიინი, შტუბნერი და ალექსანდერი. მართლა ძაღლები არ გეგონოს. ლემენცებია, მაგრამ კაცად არ გაუჩნდია ღმერთს. ორფეხა პირუტყვებია. ალექსანდერი უფროსი ნოქარია, ვაინსტიინი — ქარხნის დირექტორი. ისე ძელს მუშები, რომ ვერ ავიწერ. როცა შემოგხედავს, ასე გგონია პირში ფურთხი აქვს დაგუბული და უნდა შეგაფურთხოსო. ჩვენ მას ვაიშენს ვეძახით. ასეა, დედა, მაგრამ ვაუძღვებ მაგათ. ფულს მოვაგროვებ და ჩამოვალ. ახალ ოდას დავიდგამ, ახალ კაბებს ვიყიდი, დედიკო. კონას სკოლაში შევიყვან, დიდ სკოლაში. კაცი უნდა გამოვიყვანო...

ნახეამდის, ჩემო კარგო დედა, შენი შვილი შმაგი“.



შმაგის ვააცივა. ორი კვირა იწვა და ვეფხვის ბოკვერით ვაეკაცი სანთელივით ჩამოძნა. დღეს პირველად გამოვიდა ეზოში და ატმის და ალუბლის ყვავილებს შეაფარა თავი. ზის მერხზე და ანგარიშობს: თუ ხვალ შესძლო სამუშაოზე გასვლა, დაეკარგა 15 დღე, თუ ზეგ, მაშინ დაეკარგება 16 დღე.

დასწყველოს ღმერთმა, რაღა ახლა ვააცივა შმაგის... დაეხმარებოდა ზოსიმეს და ნოეს. ნოეს ორი პატარა შვილი ჰყავდა. მისი ცოლი გაიანე მრეცხაობით შეელოდა ოჯახს. უჭირდა ოჯახს.

— დასწყველოს ღმერთმა ის უფროსები, — იწყველებოდა გაიანე. — კაცმა თითი მოიგლიჯა და რა უჭირდათ ერთი-ორი მანეთი ერთქებინათ. სანამ ავთაა.

— ერთქებინათ რას ჰქვიან, ქალო. — უბასუხა ნოემ. — რატომ უნდა ერთქებინათ? როცა არ მუშაობ, რატომ უნდა მოგცენ ფული.

— ეგ მართალია, რომ არ მუშაობ არც გერგება, მაგრამ ღმერთი არა ყავთ მაგათ?

— ღმერთთან რა ხელი გაქვს. მან იცის თავისი საქმე, — გაუწყრა ნოე.

— ღმერთო შეგცოდნე! დაგაეწყვი და გაგეთამამე! — და გაიანემ შეკუმშული მუშტი ტუჩზე სამჯერ მიირტყა. — რამდენი ხანია ეკლესიაში არ ყვოფილვარ.

— ვინც დადის, რა გაუკეთდა, შე ქალო — და კიბეზედ ახალგაზრდა, მაღალი, ლამაზი, შავთვალწარბა ქალი ამოვიდა.

— ოო, დესპინე, მობრძანდი, მობრძანდი! — და გაიანემ სიოტეტი მიატოვა, სველი ხელები ფესტამალზე მოიხოცა, ოფლიანი თმის წვეთები წვეთდა. შმაგიმ ყურები ცქვიტა, დესპინეს სახელი რომ გაიგონა. მას ზმირად ესმოდა ეს სახელი. მუშები და შათი ცოლები დიდი მორიდებით და პატევისცემით იხსენიებდნენ დესპინეს.

„დესპინეს არაფრის ემინია. დესპინე დიდად ნაკითხია. დესპინემ ხუთი ენა იცის. დესპინეს მთავრობა სძულს. დესპინე ეკლესიაში არ დადის“ — ესმოდა შმაგის.

— ბატონო ნოე, როგორაა შენი მდგმური? — იკითხა დესპინემ.

— გაუარა ციებაა. დღეს უკეთაა. ხეალ, ალბათ, წავა ქარხანაში.

— იცი რას გეტყვით? მოეაწყოთ მაი ბიჭი ბარაკებში.

— როგორ, ჩემი შვილის ბუღუა სხვაგან წავიდეს?

— რა ვუყოთ მერე. განა იქ ცოტაა მუშები? უცოლშვილო და ჩამოსული ხალხი ყველა იჭაა. თქვენც არ დაგაწყებათ კისერზე. თავის გზას გაიკვლევს. ვეფხვივით ვაეკაცია. სხვისი შემყურე კაცი რათ ვარგა.

შმაგის ეწყინა. როგორ! განა ის სხვისი შემყურეა?

დესპინე კი განაგრძობდა:

— შე ვიყავი სილიბისტროსთან. ვთხოვე ბარაკში მიეცა ბინა. სიტყვა მომცა.

— რას სწუხდებოდი, ჩემო დესპინე, — ჩაერია საუბარში გაიანე. — რა ვიცი, არ ეწყინოს შმაგის... თუმცა ახალგაზრდა კაცია, მტეტი ხალვათობა ექნება. ტოლებში იქნება.

— ეგ მართალია — დაემოწმა ნოე. — ახალგაზრდობა თავისას მოითხოვს, მაგრამ მინც უხერხულია...

„მართლა ხომ არა ვარ სხვისი კისერზე?“ — გაიფიქრა შმაგიმ და გამოიანგარიშა:

— სამი თვის ხელფასი 54 მან., ჯარიმა 24 მან. ჩხიკვაძეს 10 მან., შინ გავაგზავნე 5 მან., შარვალი, ხალათი, ქამარი და წულა 5 მან., სულ 44 მან. მაშასადამე დარჩა 10 — „ხედავ, ჩემო ჩონგურო, 10 მანეთად გიცხოვრია სამი თვე სხვისას“. უთხრა თავის თავს მუკოჩიასებურად.

— მართალია... — დაასკვნა შმაგიმ — უნდა გადავიდე. რა ქვეიანი ქალია ეს დესპინე შაფათავა, როგორ მიხვდა ამ სიშორეზე. ახლოს მჩხენა ნეტავი, როგორია ეს ქალი.

მაგრამ დაკერებულ ტანისამოსზე რომ დაიხედა, შერცხვა და ხეს მიეფარა.

შმაგი მეორე დღესვე გადავიდა ბარაკებში.

ერთი ხანია, რაც შმაგი ბარაკებში ცხოვრობს. მუშებს უფრო დაუახლოვდა და ქარხანას უფრო შეეჩვია. წინადაც იცოდა შმაგიმ, რომ მუშათა ერთ ჯგუფს მოწინააღმდეგეებს ეძახოდნენ. ამ ჯგუფს დიდი გავლენა ჰქონდა მუშებზე. ამ ჯგუფის მუშები რაღაც საკვირაო სკოლაში დადიოდნენ, წიგნებს კითხულობდნენ, ერთმანეთს ელავებოდნენ, კამათს მართავდნენ. შმაგიმ შენიშნა, რომ ბარაკში და ქარხანაში სამი პარტია არსებობდა.

პირველ პარტიაში წიგნის კაცები იყვნენ: ესენი საკვირაო სკოლაში დადიოდნენ. მათ შორის რომ ჩაერეოდა, ესმოდა სიტყვები: საფრანგეთის რევოლუცია, ინგლისის რევოლუცია, სახარების კრიტიკა, ბელადი, კაუცკი, ბლოკი, მარქსი, ჩერნიშევსკი, კამპანელა, პოლიტიკური ექსპროვოკაცია, კარლომ სთქვა... ნოემ დასწერა... „კვალი“ წაიკითხე? ამ ჯგუფს ივანე მგელაძე და თეოფილე გოგიბერიძე მეთაურობდნენ.

მეორე პარტიას ტარიელ ჯოლია, მიქელ ხირიმიანი და მირიან ხომერიკი მეთაურობდნენ, ამ ჯგუფში ჩასილადებული ხალხი იყო. ხმალხან-ჯალი, მოქნევა, ვაქეაცური ამბები — აი რა მოსწონდა ამ ჯგუფს. წიგნებიდან საგმირო ამბებს ეტანებოდნენ.

მესამე პარტიაში კარტის მოთამაშე, ლოთი და ავარა ხალხი იყო. ღვინო, არღანი, ქალები — აი რაში იყო გართული ეს ჯგუფი. ამ ჯგუფს მიხაკო ყენია და სამსონა ჭყონია მეთაურობდნენ.

შმაგი ტარიელის, მიქელის და მირიანის ჯგუფს შეუერთდა. ტარიელთან დაახლოვებამ იგი ახალგაზრდების თვალში მალა ასწია. ტარიელისა ყველას ერიდებოდა. შმაგმ შენიშნა, ეს მორიდება ტარიელის ფიზიკურ ღონეზე იყო დამოკიდებული. შუათითით ხარის ბეჭს შუაზე გადაამტვრევსო ტარიელი. ერთხელ პირადათ ნახა, ნაკეთიერმა ტარიელმა კაციანი ცხენი რომ ასწია. ამბობდნენ ოდიშში, ქორწილზე, ტარიელმა ერთის დამკვრით თავი გააგდებინაო ხარს... მირიან ხომერიკმა გაფრენილი ჩიტი ჩამოაგდო რევოლვერით. ეს თავისი თვალთ ნახა შმაგიმ... ზოლო მიქელმა ერთის ხელის დაკვრით დაზვა დაამსხვრია. მუკოჩიას გაწვრთნილ ქაბუჯზე დიდათ იმოქმედა ტარიელის და მირიანის ვაქეაცობამ და ისინი მისი სათაყვანებელი გმირები გახდნენ. ტარიელი ხშირად გაესაუბრებოდა შმაგის, უსმენდა მის კითხვას. თვითონ ტარიელს კითხვა არ უყვარდა (ბერი ხომ არ ვარო), სხვას აკითხებდა.

აი ახლაც, ათ საათზე შმაგში დაჰკრეს. მუშებმა ხელპირი დაიბანეს, ივახშმეს. ხვალ კვირაა და დილით ადრე ადგომა არაა საჭირო. ზოგი ლაზღანდარობს, ზოგი ზარსა და ნარდს თამაშობს. ზოგი — წიგნის ხალხი — ისევ კამათობს ინგლისზე, საფრანგეთზე. ზოგიც ანეკდოტებს ლაპარაკობს.

შმაგი „დიდ მოურავიანს“ კითხულობს. ტარიელი მუთაქაზე წამოწოლილა, პაპიროს აბოლებს და ყურს უგდებს. ზოსიმე ოჩიგავა იდაყვს დაყრდნობია და უძრავად ზის. კედელზე ლამაა ჰკიდია. ხანდახან ფარვანა ეცემა ლამპას, შემოუტრიალებს და ფარვანას ლანდი სტრიქონებში ვაეჩხირება. მირიანს რევოლვერი დაუშლია და სწმენდს.

„თავი ჩემო, ვით გასრულო, სევდიანო, როგორც წყულუო, საქართველოს გულსათვის ათასფერად წამებულო“.

— დუშაში, კამათელო! — ისმის მიხაკო ყენიას ჯგუფიდან ხრინწიანი ხმა.

— ქესტუმ! — მოუტრა სამსონა ჭყონიამ მიხაკოს და გამოგორებულ კამათელს თითები გვერდულად ააფარა.

მეორე ჯგუფში ანეკდოტებს ლაპარაკობენ და ისმის სიცილი.

ანეკდოტების თხრობაში განსაკუთრებით ანდრო შანიძე და ალექსი ზამბახიძე განირჩეოდნენ. ახლაც ესენი აცინებდნენ ხალხს.

ერთი მეორეს ცვლიდა ხუმრობა გურულუბზე, მეგრელებზე, რაკველებზე.

ალექსი ზამბახიძემ სიცილი რომ გაათავა, ქერა, ლამაზი უღვაშები აიგრიხა.

— არა, მე უკეთეს გეტყვი — სთქვა ანდრო შაჩხაძემ. — სთქვარელი იმერეთს წავიდა. იქ მისს ნათესავს დედა მოკვდომოდა. მეგრელება დაიტირა მიცვალებული და დაბრუნდა. „სად იყავი მეგრელოვო?“ ჰკითხეს. „იმერეთში ვიყავი, პატენი, და დედა ვუტირე იმერელს“, — უპასუხა მეგრელება.

— ხა... ხა... ხა... — ხარხარებს ჯგუფი.

— კარლო ჩხეიძე ამბობს ევოლუციის კანონით მიდისო ცხოვრება. ცხოვრებასო ნახტომი არ უყვარსო, — ისმის „წიგნის ხალხის“ კუთხიდან.

— დუშაში, კამათელო, — გაჰკივის ყენია.

— არ დააჯინო თორემ ყაბულს არ ვიქნები, — აფრთხილებს სამსონა.

— დუშაში, კამათელო! — ისევ გაჰკივის ყენია. — ვენაცვალე შენს გამჟღელს...

— ყაბულს არა ვარი — გაბრაზდა სამსონა. — შენ დააჯინე.

— შენ არ მომიკვდე. რას ამბობ? — არწმუნებს მიხაკო.

— დააჯინე მეთქი. ხელახლა გააგორე. შენი მოტყუებული შინ გეყოლებდა.

ატყდა ზმაურობა. რამდენიმე მუშა მაჩხუბრებისაკენ წავიდა. შმაგი კი განაგრძობს:

„ბრძოლა, ომი, ჯაბევი, ზღრი, შუბი, ლახტი, ხმალი მკვეთი მით მიყვარდა, ბევრჯერ შევექმენ მტერი შუა განაკვეთი“.

— აი ვაჟკაცი, — მოსწონს მირიანს. — ეხ, სადღაა ახლა ასეთი ბრძოლა.

— მე ხმალი ჩამიფანგდა ქარქაშში, — დაუდასტურა ტარიელმა.

— ეხ, ტარიელ, გვიან დავიბადეთ მე და შენ, — ამოიოხრა ზოსიმემ. — ხმალი რომ მოიქნია ამ ქარხანაში, ვაიშენი სულ ვაიდელდას გადახებინებს.

— მაშ ბრძოლა სულ არაა საჭირო? — იკითხა მირიანმა. — ჯარიმებით რომ დაგაძაბუნეს მგელივით ვაჟკაცი, ეს არაფერი?

— ბრძოლა ახლა სხვანაირი უნდა, ჩემო მირიან.

მირიანმა თავი ასწია. ივანე მგელაძე უღიმოდა.

— მობრძანდი, მობრძანდი! — და ყველასა წამოდგნენ.

— გმადლობთ.

— ხელს ხომ არ შეგიშლით? თქვენ წიგნს კითხულობდით და მირიანს ბრძოლა უნდოდა მგონი. ავიწყდება, რომ ახლა სხვანაირი ბრძოლა უნდა.

— ჰო, რანაირ სხვანაირ ბრძოლაზე ლაპარაკობ, ბერიკაცი? — ჰკითხა ტარიელმა და ყველას გაეცინა. იცოდნენ, რომ ივანე ერთდროს საბეროდ ყმზადებოდა.

ივანემაც გაეცინა და დარიგების კილოთი უთხრა:

— ხმლის დრო წავიდა, ჩემო ძმაო. ახლა წიგნია საჭირო, განათლება.

— განათლება ხმალს რას უშლის? — შეედავა ტარიელი. — ჯანაშვილის ისტორიაში არ სწერია (შენ თვითონ წაგვიკითხე, შე კაცო) დაიით აღმაშენებელი ღიდი ვაჟკაციც ყოფილა და განათლებულიც.

— პო, მაგრამ ის დრო სხვა იყო. ახლა სხვა დროა.

— არ დაიჯერო ეს ამბავი, — მკაცრად უთხრა მირიანს — რომ საწყალი სომხები დაარბიეს და აქეთ გადმოირყეს, ხმალი ვერ გაჭრიდა?

— დამიჯერე, მირიან, — დარიგების კილოთი დაიწყო ივანეს ვაეცაცობა წავიდა. ახლა განათლების ვაეცაცობაა საჭირო. ილია ამბობს:

„ხმალი იმოდენ ვერას იჭმს
მრისხანე და ძლიერი,
რასაც იჭმს მშვიდობიანი
კალმის პატარა წვერიო“.

— ღუშაში, ბიჭო! — მოისმა უცებ მიხაკოს ყვირილი, — ერთი ღუშაში და კვირას ეიქეიფებთ.

— კიდევ დააჯინე... ეს, მართლა არ შეიძლება, — წამოიძახა სამსონამ. — გააგორე ტიქით!

— არ დამიჯენია, — ყვიროდა მიხაკო. — ნუ თაღლითობ!

— მე თაღლითობ?

მოისმა ჩამოგდებული წარღის ხმაურობა. მუშების ნაწილი იჭითენ გაეჭანა.

ივანემ შმაგის თვალი ჩაუკრა და კუთხისკენ წაიყვანა.

— შმაგი, მე გაკვირდებოდი ამდენ ხანსა და ვფიქრობ... სანდო ხარ. იარე საკვირაო სკოლაში. განათლები. ცოდნას შეიძენ. ხალხში გაერევი.

— კი ბატონო, თუ მიმიღებთ.

— მიგიღებთ. მე უკვე ველაპარაკე იქ... მანამ აი ეს წიგნი წაიკითხე. სხვას არავის აჩვენო და არც უთხრა. ნამუსი უნდა შეინახო და ამხანაგა არ უნდა გასცე. მე იმედი მაქვს საიმედო იქნები. ტარიელი და მირიანი დიდი ვაეცაცებია, მაგრამ ვაეცაცობა სხვანაირიც არის... ნახვამლის.

შმაგმ წიგნს დახედა: „სახარების კრიტიკა“.

გააეროლა. ივანემ თითქოს პირისპირ შეაჯახა ღმერთს, წიგნმა თითქოს ხელი დაუწვია. მაგრამ შაინც ჩაბლუჯა...

— რაო, შმაგი, რა ვითხრა მაგ ბერმა? — ჰკითხა ტარიელმა.

— არაფერი, ბატონო. მიხაკო ყენიას და სამსონა კყონიას ნუ აყვები, არ გამოგადგებო.

— პოო, ეგ კი სწორი უთქვამს. მიხაკოსა და სამსონას ქეფისა და ცეკვის მეტი არაფერი უნდათ. პო, ცეკვა თუ იცი, შმაგი?

— კი, ბატონო.

— აბა ხეალ ბარცხანაში, ჯარობაზე.

— ტანისამოსი არ მაქვს, ბატონო, სირცხვილია...

ნოეს რომ თითი მოურჩა, საამქროში გამოცხადდა. გამოცხადების დღაზე თავისი ნომერი ჩამოხსნილი დახვდა.

— ესაა სამართალი? — ჩაილაპარაკა ნოემ. — თითები მომგლოჯეს და ქუჩაშიაც მაგდებენ?

ნოე მძიმეთ დაეშვა ოთხ საფეხურიან კიბეზე. ეს ოთხი საფეხური დაუსრულებელ მანძილად მოეჩვენა. ჭისკარისკენ გასწია. ჭისკარი ერთი კიდევ მოიხედა და შეჩერდა.

— რამდენი წელია აქ ვწელობ... რამდენი ფუთი ოსტრინა ამ დასაწვავში და ახლა...

შორს ეკლესიის ზარი მოისმა. ნოემ ასწია ხელი, მაგრამ თითნახევრით პირუღარი ვერ დაიწერა.

— ღმერთო, ნუ ჩამითვლი ცოდვად. შენი სადიდებელი თითები აქ მომგლიჯეს...

ზარი ისევ განმეორდა. ნოემ შორეულ გუმბათს შეხედა.

— ღმერთო, დიდია შენი სამართალი. როგორ გადიდო ამ ფიწალით, — და ხელი ასწია. — რატომ ითმენ ამ უსამართლობას? ვერა ხედავ?

ნოეს ვოცა. რაო? ეს რა გაბედა ღვთის მოსავემა ნოემ? ღმერთს უსაყვედურა? ეს ხომ ღმერთმა გააჩინა ასე: ქარხანა შექარხნისაა. მუშას უნდა ამუშავეს, უნდა არა.

— ჰო, მაგრამ... მე რომ ცხოვრება მინდა? — შეედავა ვილაცას ნოე. — შინ რომ მივალ, რა ვუთხრა ბავშვებს? პური მშინაო რომ იტვირებენ, რა შავი ქვა მივსცე? საღ წავალ უმუშავეარი კაცი? სულ გამოვსწყვედე ქვეყანასა და ამხანაგობას?

— ნოე, როგორაა საქმე? დაბრუნდი? — მოესმა ნოეს.

ზოსიმე ოჩივადა ედგა წინ.

— დაბრუნდი, მაგრამ სამუშაოდან გაუუგდევართ.

— როგორ? — აენტო ზოსიმე.

— ჩემი ნომერი მოხსნილი დამხედა.

საამქროდან გამოვიდა ალექსანდერი. ეტყობოდა, გაბრაზებული იყო.

— ერთი ვსცადო, — სთქვა ნოემ და ალექსანდერს გზაზე დახვდა. — ბატონო, შენი ჭირიმე, ნუ დამტოვენ ულუქმამუროდ, ეს თითი აქ მოვიგლოჯე.

— შენს ალაგას სხვა მივიღე.

— შენი ჭირიმე! — და ნოემ კალთაში ჩააგლო უთითო ხელი.

ალექსანდერის ჯოხმა პაერში გაიშვლილა და ნოეს ნათითარს სისხლი დაედინა.

— ღმერთო, რისთვის დამსაჯე ასე? — შექლადადა ზეცას ნოემ. — ღმერთო, რა დავიშავე ისეთი?

— ბატონო, ცოდვა კაცია, მიიღეთ სამუშაოზე! ის ხომ აქ დაზიანდა? — გამოექომაჯა ნოეს ზოსიმე.

— შენ ვინ გეკითხება? — და ალექსანდერის ჯოხი ახლა ზოსიმეს მოხედა. ზოსიმემ ხელი იტაცა თავზე. ძალიან ეტკინა. ჯერ არავის დაურტყამს ზოსიმესთვის ჯოხი...

— ერთხელ დავიბადე, ერთხელ მოვეკედები! — წამოიძახა ზოსიმემ და ეცა ალექსანდერს.

ალექსანდერი არ მოელოდა შეტევას. მოულოდნელობისაგან დაიბნა.

— არ გატეხი ჩვენი წვალებით? — შეევირა ზოსიმემ და ისეთი სილა სტიცა, რომ ალექსანდერი ძირ-დამძალ სარივით დაეცა.

ძლივს ადგა ალექსანდერი. ახლა მეორე სილა გააწნა ზოსიმემ. ალექსანდერი წაბარბაცდა.

ამ დროს დაჰკრეს შაბაში და მუშები ეზოში გამოეფინენ. ალექსანდერის ცემა რომ დაინახეს, შორიასლოს დადგნენ და გაინახნენ.
— ეგრე! ეგრე! დაგელოცოს მარჯვენა! — წააქეხეს ზოსიმე.
ქარხნის პოლიციამ ძლივს გამოგლიჯა ალექსანდერი შიგნით სულადან.

— ზოსიმე დაითხოვეს! — გაეარდა მეორე დღეს ქარხანაში ხმა. — ნოესაც უარი უთხრეს სამუშაოზე. დიდი ჩხუბიც ჰქონდათ ალექსანდერსა და სილიბისტროს. ვაიშენმა ალექსანდერს დაუჯერა.

— ძმებო, აგრე არც ერთი ჩვენგანი არაა დაზღვეული თვითნებობისმგან, — თქვა თეოფილემ. — რამე ვიღონოთ.

— რა ვიღონოთ. ჩვენ რა შეგვიძლია?

— ყველამ ერთად შევეკრათ პირი და არ გამოვეცხადოთ სამუშაოზე. მოვითხოვოთ ზოსიმესა და ნოეს უკან დაბრუნება.

— ეგ ცოტაა — დასძინა მირიანმა — მოვითხოვოთ ადამიანური მოპყრობა. ნუ გეცემენ.

— ნუ გეცემენ, ნუ! — მოისმა გრიალი. — ადამიანები არა ვართ? ჩვენც ღმერთმა გაგვაჩინა.

— დაწყნარდით, ხალხო, ნუ აჩქარდებით! — ურჩია დინჯმა ივანემ. — საკვირაო სკოლაში შეგვეკითხოთ.

— შევეკითხოთ, შევეკითხოთ!

— ამოვირჩიოთ თავკაცები.

— მირიანა!

— თეოფილე!

— ივანე!

— მიქელი!

— ტარიელი!

— ქარხანაში ბევრი ახალგაზრდებია, — განაცხადა თეოფილემ — იმათგანაც ამოვირჩიოთ ერთი.

— შმაგი, შმაგი, — გაისმა ახალგაზრდებში...

— წავიდეთ კარლოს ბინაზე. — უთხრა დელეგაციას თეოფილემ.

— ბინაზე არ ვარგა, — გააფრთხილა ივანემ დელეგაცია. — ამას წინად კარლომ თქვა, ჩემს ბინაზე ნუ დაიარებითო. პოლიციას რამე ეგონებო. ხვალემდე დავიცადოთ და საკვირაო სკოლაში ვნახოთ...

ივანეს დაუჯერეს.

III

ბარცხანაში ერთი დიდი სახლი გამოიჩნეოდა სხვა დანარჩენებში. ამ სახლს ფართო შუშაბანდი და აივანი ჰქონდა. აქ იყო გამართული საკვირაო სკოლა. ამ სკოლაში იკრიბებოდნენ მოწინავე მუშები და უსმენდნენ გამანათლებელთა ლექციებს. ლექციებს რიგრიგობით კითხულობდნენ. ლექტორებში ერთი ზუცესიც კი არაა. კარლო ჩხეიძემ ზუცესის მოწვევა ასე ახსნა: პოლიცია კარგი თვალით შეგვხედავსო. თავად კარლო პოლიტიკურ ეკონომიასა და ზოოლოგიას კითხულობდა. დღეს ზოოლოგიის ჯერი იყო და კარლომ ძაღლის ამბავი დაამზადა...

კარლოს შემოსვლაზე ყველა ფეხზე წამოდგა. წამოდგა სამრთავლუშროთ გამოგზავნილი ბოჭაულის თანაშემწე არსენიშვილიც.

— დღეს ბევრი მოსულა, — გაეხარდა კარლოს. — მაშასადამე მუშებს უნდათ განათლება, განვითარება, ეს კარგია.

შმაგემ მოწიწებით გააყოლა თვალი კარლოს. კარლომ კარგად ჩაიხიდა და დაჯდა. აუდიტორიაც დაჯდა. ბოჭაულის თანაშემწე არსენიშვილი ავიდა კარლოსთან. კარლომ კონსპექტი გადაუშალა...

— შმაგი, გასულ ლექციაზე იყავი? — მოესმა შმაგის. შმაგემ მოიხედა. შირიანს ხელი ხანჯალზე დაედო და უღიმოდა.

— ვიყავი, მერე რა.

— როგორ უგდებდა ყურს ეს ძაღლი, — და შირიანმა პოლიციელზე უჩვენა. — სულ ფანჯარი ეკირა ხელში, მაგრამ ერთი სიტყვაც ვერ ჩასწერა. ან რას ჩასწერდა — დაიკრა ხანჯალზე ხელი შირიანმა. — ის დალოცვილი ისე ლაპარაკობდა, რომ სოლომონ ბრძენიც ვერ მიხვდებოდა სად, როდის, რომელ ქვეყანაში, ცაზე თუ მიწაზე იყო ის ამბები... თითქოს ამერიკაში, ავსტრალიაში თუ ევროპაში ხდებოდა სული მუშებს, ჩვენში კი ია და ვარდი ეფინოსთ.

შმაგის გაუგეირდა. რას ამბობს შირიანი? კარლო ჩხეიძის საყვედურს? იმ კარლო ჩხეიძისა, რომელმაც მუშებს საკვირაო სკოლა მოუწყო, ლექციას კითხულობს, ხალხში განათლება შეაქვს, წერა-კითხვასაც ასწავლის. დღეს ხომ მასთან მივიდნენ საჩივლელად და რჩევა-დარიგებისათვის დელეგატები?

შმაგის ძალიან მოეწონა სიტყვა დელეგატი. დელეგატი, დელეგატი... რამოდენიმეჯერ გაიმეორა გზაში ეს სიტყვა, თითქოს ამაღლდა ამ სიტყვით. თითქოს გუშინიდან გაზარდა კიდევ ამ სიტყვამ...

შმაგის უნდოდა საყვედური ეთქვა შირიანისთვის, მაგრამ შირიანი უფროსი იყო და ვერ გაუბედა. ახლა საუბარში თეოფილე ჩაერია.

— ვერ გაიგე, კარლოს ლექცია?

— რა ვიცი, ძმაო, — უპასუხა შირიანმა. — არაფერი მესმის, დავიბენი. ვგებ ჩემს თავში არ შედიოდეს მეცნიერების სიბრძნე. მე ის მინდა ვიცოდე ჩემს გარშემო რა ხდება და რატომ ხდება.

— შენ მართო როდი ხარ ასე, — უთხრა თეოფილემ, — ყველანი ასე ვართ. კარლო კი ამბობს არ ავჩქარდეთო.

— სული ყელში მებუჩინება, მოთმინება არ მყოფნის, — სთქვა შირიანმა, ქარქაშიდან სატყეარი ამოსწია, ისევ ჩაავი.

— ს... ს... ს... — გაისმა დარბაზში. — სიჩუმე!

კარლო ჩხეიძე კათედრაზე იდგა.



დელეგაციის მოსვლა მთელ საკვირაო სკოლას მოედდა. მუშები არ იშლებოდნენ. ყველას უნდოდა გაეგო რას იტყოდა კარლო ჩხეიძე. ზოგი წინასწარ გამოსთქვამდა აზრს: არ მოიწონებსო. მოდის, მოდის. — გაისმა აქეთ-იქეთ. დელეგატები შემოეხვივნენ კარლოს, ეტყობოდა, მან უკვე იცოდა ყველაფერი.

— გაფიცვა, ამხანაგებო, დიდი საქმეა, — დაიწყო კარლომ — გაფიცვას

მომზადება უნდა. ამისათვის დამხმარე სალარო უნდა იყოს იქვე. რამდენი ათასი მანეთი გაქვთ სალაროში?

— რამდენი ათასი... — ჩაიცივნეს მუშებმა.

— ათასი მანეთი კი არა ასიც არა გვაქვს.

— აი, ხომ ზედავთ. გაფიცვა ნიშნავს კაპიტალისტებთან ბოროლად. რასაკვირველია, ეკონომიური გაფიცვა. პოლიტიკურისაგან ღმერთმა დაგვიფაროს. ამას ათეული წლები უნდა.

— ბატონო კარლო, შარშან თბილისში იყო გაფიცვა მთავარ სახელოსნოებში, — უთხრა თეოფილემ.

— დიდი სისულელე ჩაიღინეს, ჩემო კარგო, — უპასუხა კარლომ. — ვთქვათ არ დააკმაყოფილეს თქვენი მოთხოვნილება, მაშინ რას შერებთ? დელეგატებმა ერთმანეთს გადახედეს.

— მაშ პირუტყვებივით ვიყოთ? — გაცხარდა მირიანი. — ჯობით სცემენ მუშებს, ბატონო კარლო, ჯობით. მეტის ატანა შეუძლებელია. ვაჩვენოთ ცხელი თვალი უფროსებს, კაპიტალისტებს.

— არ უნდა შევაშინოთ კაპიტალისტები, — ისევე დარიგების კილოთი დაიწყო კარლომ. — თუ შევაშინეთ მიკეტავენ ამ ქარხნებს და ყველანი დარჩებით შშიერი. უნდა იცოდეთ ვის ენარჩევთ და რით...

მიქელი აქამდე ჩუმად იდგა. ვერ შოიოძინა და ჰკადრა:

— ბატონო კარლო, მე რომ ბათოშს ჩამოველი ხამი ამოდენა ვიყავი. ახლა ჩამოვხში. იმდენს ვმუშაობ, რომ თმიდან ოფლი მომდის. პო და ხვალ რომ როტშილდმა გამაგდოს არაეინ დამიფაროს?

კარლომ ახედ-დახედა მიქელს. მიქელი იყო ახოვანი, მშვენიერი ბრვე ეყვაციო.

— შენ თუ გამხდარი ხარ, ჩემო ძმაო, მე რა მეტქმის? — ევლავ ოოზუნჯა კარლომ და მუშები გააციინა. გაეციინა ნოესაც. კარლოსთან მიქელი გოლიათად მოსჩანდა.

— ასე, ასე, — დაასკვნა კარლომ. — ხვალვე დადევით სამუშაოზე და ჭკუით იყავით.

— აბა როგორ ზღებოდა სხვა ქვეყნებში გაფიცვებს რომ გამოაცხადებდნენ და შოიგებდნენ მუშები? — ჩაილაპარაკა თეოფილემ, — მაგალითად, ინგლისში.

— ამას ჩვენ ვერ მოქესწრებით, — უპასუხა კარლომ. — და ქუდი დაიხურა. შემდეგ გადახედს მუშებს და შმაგზე აჩვენა. — ამას ამისი შვილები ან შვილიშვილები თუ მოესწრებიან.

დელეგატები თავდადუნული გამოვიდნენ საკვირაო სკოლიდან.

— დაეუჯეროთ კარლოს. ჭკვიანი კაცია. — არიგებდა მათ ივანე.

— რა ვიცო, ძმაო. — ამოიოხრა ტარიელმა. — ამბობენ ჭკვიანიაო, მაგრამ, ალბათ თავისთვისაა ჭკვიანი.

— ბრინჯივით დავიბენი, მეტი არაფერი, — უპასუხა თეოფილემ. — კაცო, ვიცო, სადლაც ახლოსაა სწორი გზა და ვერ მიმიგნია... გინახავს?..

— წაიდე დენოს მაინც გადაეყოლო გული, — და ტარიელმა ფეხს აუჩქარა...

IV

შმაგი და მირიანი თაყნაღუნული მიდიოდნენ. შმაგის თვალწინ ედგა ლექციაზე გაგონილი ძაღლი, თითოვლუჯილი ნოე, ^{მეცხრამეტე} ~~მეცხრამეტე~~ ^{სკოლა,} ~~სკოლა,~~ ^{გინგლიჩისა} ~~გინგლიჩისა~~ ალექსანდერის ჯოხი და მამაცი ზოსიმე.

— ზოსიმე ხვალ ქუჩაში დარჩება, — ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ ჩაილაპარაკა შმაგიმ. — რატომ? ამხანაგის გამოქომაგებისათვის. განა ეს ცუდი საქმეა? ეს სომ კეთილშობილებაა?

— ამაზე უკეთესი რა იქნება ამხანაგს არ უღალატო? — დაეთანხმა მირიანი.

— მუკარია ბაბუა სულ ამას მემჩინებოდა: „ვაეცადი იყავი, ამხანაგს არ უღალატოვო“. ამ ქალაქში კი სულ სხვა აზრისა ყოფილან... ნეტავი მე გამოვსარჩლებოდი გუშინ ბუღუჩემს.

— შენც გაგაგდებდნენ...

კერა დღე იყო. ხალხი ქუჩაში გამოშლილიყო. აპრილის მზე თბილად დაფრქვეოდა ქუჩებს. შმაგი და მირიანი ხეივანში გამოვიდნენ. დღეს პირველადაა შმაგი ხეივანში. ფრთხილად იკვლევდა გზას და გამვლელ-გამოვლელთ აკვირდებოდა.

უცებ ერთი ჯგუფიდან ნაცნობი სიცილი შემოესმა. გიმნაზიელმა ქალებმა ჩამოიარეს და შმაგიმ ცირუ დაინახა.

— გამარჯობა, ცირუ! — მივარდა შმაგი.

ცირუმ გაუცინა. მიიწია შმაგისაკენ. გიმნაზიელმა ქალებმა ირიბად ახედდახედეს შმაგის და ცირუს. ცირუ გაწითლდა, უკან დაიხია, ყრუდ თქვა:

— უკაცრავად, მშვიდობით.

შმაგი ერთხანს უსიტყვოდ იდგა, და უცბად მიხვდა, გაწვდილი ხელი ნატყვიარ ფრთხავეთ ჩამოუვარდა. მობრუნდა. მირიანი უსმოდ აედევნა.

— მომეცი ის, რა ჰქვია იმ თხერს, — თხოვა შმაგიმ.

— ინებუ... ოღონდ ღრმად ნუ მოსწევ, — და მირიანმა პაპიროსი გაუწოდა.

უცნაური იყო პირველი პაპიროსის შეგრძნობა. რაღაცამ დაკერა მთელს ტანში და სიმწარემ პირი გაუესო. შემდეგ ტკბილმა ბურტუსმა მოიცვა ყველაფერი.

და პირველად ეუცხოვა ამ ბურტუსში თავისთავი შმაგს: ძველი წულები, დაკერებული შარვალი, გარღვეული ხალათი, გაცვეთილი ყაბალახი...

— რასაკვირველია, შერცხვებოდა, — გაამართლა შმაგიმ ცირუ.

მირიანს ეწყინა:

— მამ იმათი აზრით ჩვენ აღამიანები არა ვართ? აბა რა ვართ ჩვენ? მოპასუხე არავინ იყო. მხოლოდ ზღვა ბუტბუტებდა რაღაც გაუგებარს.



სილიბისტრო ლომჯარიამ შმაგის თხოვნა მოისმინა და ერთხანს ჩაფიქრებული იჯდა. შემდეგ ჰქვიანი თვალეხი შმაგის შეაჩერა და ხელი გაუწოდა:

— ვაეცადურად იქცევი, ჩემო შმაგი. კეთილშობილი აზრია.

— ეგ ჩემი აზრი რა არის ნოეს უბედურებასთან შედარებით. მე მხოლოდ იმას ვწუხვარ, რატომ მეტი არა შემიძლია რა...

— რომ გავიჭირდეს?

— ნოეს თითები აკლია. მე ყველა თითები მაქვს.

— იარე ჩემსას, მერე ვეცდები ისეე მოგაწყობ. ამას კი მოგახერხებ...
და შმაგიმ თავისი ადგილი დაუთმო ნოეს...



ქართული
ზინგლინიანი



ეს ერთი ხანია შმაგი უადგილოდ დადის. ერთხანს ზოსიმესთან ერთად დიდიურ სამუშაოზე გადიოდა. ხან ზღვის პირად, ხან ბაზარში, ხან რკინისგზაზე იცდიდენ, რომ ვისიმე ბარგი წაეღოთ. პურის ფულს ძლივს შოულობდნენ.

ბოლოს საქმე ისე მისჭირდა, რომ შმაგის ხუთი დღე არა ექამარა. დიდი ყოყმანის შემდეგ ადგა და მამისეული ქამარი გაიტანა ბაზარში გასასყიდლად. ბაზარში რომ გავიდა გაყიდვა დაენანა და ქუჩის პირას ჩამოჯდა.

— ჯდომა არ შეიძლება. ადექი! — მოესმა შმაგის.

ბოქაული ჩხიკვაძე ზედ თავზე ადგა. შმაგი წამოხტა. დამნაშავესავით შეეშინდა და გაბრუნდა.

— მოიცა, კოე, ვინა ხარ შენ? — დაუძახა ჩხიკვაძემ.

შმაგი მოტრიალდა, გვარი დაუახელა.

— მეცნობი, სადღაც ნინახაგხარ...

შმაგიმ გაახსენა.

— პოო... ეხლა სადა ხარ?

შმაგიმ აუხსნა.

— აჰ, შენ უმუშევრად როგორ დაგტოვებ? ხვალეე გამოცხადდი მანთაშევის ქარხანაში. იკითხე ტერ-აკოფოვი, დირექტორი, და მიგიღებს... ოღონდ იცი რა გითხრა! — და ჩხიკვაძემ ხმას დაუწია, — არაეის უთხრა, რომ მე მოგაწყვე ქარხანაში, თორემ, ხომ იცი ჩვენი ხალხის ამბავი, ყველა მომადგება კარზე, უცნობ-ნაცნობი. ყველას კი ვერ მოგაწყობ. მე ცოლის ხატრით ჩავდივარ ამას! ჩემი ცოლი მეგრელის ქალია. შენც მეგრელი ყოფილხარ. მშვიდობით...

— ჰაი, რა კაცი ყოფილა, — გაიფიქრა შმაგიმ. — მუშებს კი სძულთ... ააშენოს ღმერთმა, ქამარი უნდა გამეყიდა. მამის კარგი ქამარი... მაგრამ ეს რატომ მითხრა არაეინ გაიგოსო რომ მე მოგაწყვეო?.. თუმცა, მართალია, შეაწუხებენ სხვები: ჩვენც მოგაწყვეთო...



მანთაშევის ქარხანაში ერთი თვის მუშაობის შემდეგ შმაგიმ ასე დაასკვნა: — როტშილდის მუშებს აღამიანურად მაინც გაელაპარაკებოდი, აჰ კი ძალღებვიით უღრენენ ერთმანეთს.

განსაკუთრებით სომეხ-ქართველებს შორის იყო შერიანობა. სომხები ქარხანაში უმრავლესობას შეადგენდნენ, ქართველებს არ ენდობოდნენ და მუდამ ცალკე იყვნენ. ქართველებიც არ იყვნენ შეკავშირებულნი. ამ ერთი თვის განმავლობაში შმაგი მხოლოდ რამოდენიმე მუშას დაუახლოვდა. ესენი იყვნენ: ილარიონ დარახველიძე, დომენტი ვადაქორია, პავლე დოღუბაძე, მიხა გაბუნია, დარისპან დარახველიძე. სომხებიდან კოტე კალანტაროვი, ვართან ყაზარიანი და ხაჩიკ ყაზარიანი მოსწონდა. ეს იყო და ეს.

უნდოდა და ვერ დაუახლოვდა სომხებში ყველაზე გავლენიანს, გრძელ-
ულეაშა ოპანეზას.

ერთხელ, სადილობის დროს, შმაგი ონკანთან მივიდა ხელის დასაბანად.
ონკანთან მუშები შეგჯუფულიყვნენ. ზოგი არც კი იტანდა მუშებს, ისე
შეუშვერდა, დაისველებდა, მერე სველ ხელებს ღლიავში წაშრიტებდა ან
ხალათის კალთით გაიმშრალებდა.

ონკანთან ერთი მუშა მივიდა, დაბალი ტანის, მხრებჩამოგდებული,
თავჩაღუნული, გამხდარი. ცხვირპირი დასისხლიანებული ჰქონდა. მუშას
მხრები უძიგძიგებდა. გვერდით მოკყვებოდა ოპანეზა.

— საწყალი მუშა, საწყალი მუშა, — გაისმა ჯგუფში. — ვზა მიეცი
საწყალ მუშას.

— ისევ უცემიათ საწყალი მუშა, — ჩაილაპარაკა ილარიონმა.

შმაგის უნდოდა გაეგო, თუ რატომ სცემეს საწყალ მუშას, და შეეკითხა
ოპანეზას.

— რა შენი საქმეა? — ჩაიღრინა ოპანეზამ, — უფროსებმა უკეთ იციან
თავისი საქმე. შენ რაში გეკითხება სომეხი მუშა?

შმაგი გულნატკენად დააკვირდა ოპანეზას... ჰმ... ხალ უნახავს მას ეს
კაცი? რა ხანია აკვირდება, აგონდება და ვერ იგონებს.

— რაო, შმაგი, არ გიპასუხა? — ჰკითხა ილარიონმა.

— რატომ უძახიან მაგ კაცს საწყალ მუშას? — იკითხა შმაგიმ. — მე ჯერ
არ გამიგონია, რომ ვინმეს მისთვის სახელი დაეძახოს.

— ყველა მას ჩაგრავს, დირექტორი, ოსტატი, ნოქარი. სცემენ, აჯარი-
მებენ. ხანდისან იმდენს დააჯარიმებენ, რომ ხელფასსაც ვერ ღებულობს
და შიშნულით კუჭი ეწვის. ისე დაჩაგრეს საწყალი, რომ ენასაც ვერ
იღებს. ამიტომ შეარქვეს საწყალი. შერჩა ეს სახელი და ნამდვილ სახე-
ლად გადაექცა. შეხედე, რას გავს.

შმაგი დააკვირდა. ისე საცოდავად გამოიყურებოდა საწყალი მუშა,
რომ შმაგის ლუკმა გაუჩერდა პირში. ასეთი საწყალი კაცი ჯერ არ
უნახავს შმაგის. ზანტად ღეჭავდა ლუკმას საწყალი მუშა.

— ს... ს... ს... ზედამხედველი მოდის, — გაისმა რიგებში.

ზედამხედველმა ჩამოუარა გრძელ სუფრას.

ოპანეზასთან შეჩერდა და ჯობი ასწია. ოპანეზამ ინსტინქტურად იფარა
ხელი, და წამსვე გაახსენდა შმაგის, აი, ასე იფარავდა ხელით თავს ის
მუშა, ჩამოსვლის პირველ დღეს რომ ნახა და გოროდოვოი რომ სცემდა.
სწორედ ისაა, მაშ, ესაა ოპანეზა? ათი მანეთი დაუჯდა ამისი გამოსარჩ-
ლება შმაგის.

ზედამხედველი ხმამაღლა აცხადებდა:

— ჩვენი ხაზინისა და მფარველის, ბატონი მანთაშევის განკარგულე-
ბით ვაცხადებ: ხვალ, კვირას, მუშაობა არ იქნება.

ეცალემა ყველა სომეხ მუშას სრულ 12 საათზე გამოცხადდეს ამ სასა-
დალოში. თვითონ მანთაშევი მოზრძანდება და სურს თქვენთან საუბარი...

არაჩვეულებრივმა ამბავმა ყველა დააინტერესა. მაშ, ხვალ მუშაობა არ
იქნება. მაშ, ხვალ თვითონ მანთაშევი მოზრძანდება.

— რატომ მართო სომეხი მუშები? — გაუკვირდით ქართველებს.

— ხვალ მეც მოვალ, — გადასწყვიტა შმაგიმ — ვნახო რა იქნება. შეე-
ხედო მაინც მანთაშევს... ვინაა, რა კაცია...



თორმეტი საათისათვის ყველა სომხები შეიკრიბნენ. შმაგიც მოვიდა. სომხები ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ, სქელ წარბებქვეშ შავი თვალებით უკლა-დათ. გრძელი, სქელი უღვაშები ხანჯლის ქარქამებზედ ეკიდათ. დინჯად იდგნენ. არც სიცილი, არც ხუმრობა...

— რატომ არიან ასე დაღონებული სომხები? — ჰკითხა შმაგიმ ილარიონს. — რატომ გასტეხიათ გული?

— თურქებმა გადაუბღვეს სახლკარი, ამოუწყვიტეს ცოლ-შვილი და გამოორეკეს სამშობლოდან, — მწარედ ჩაილაპარაკა ილარიონმა — მე რომ მათ აღვიღზე ვიყო, ტყუიდან შევიშლებოდი.

— ალბათ დიდი ბრძოლები ექნებოდათ, — მოისაზრა შმაგიმ — ეტყობათ ეაყვაცი ხალხია...

— მართალია. — დედამსტერა ილარიონმა. — სულთანმა თურმე ზარბაზნები დაუშინა: ამით მხოლოდ ცივი იარაღი ჰქონიათ. რას განდებოდნენ. ვაჟკაცურად კი იბრძოდნენ თურმე. ბევრი ამოწყდა. მხოლოდ მცირე ნაწილმა დაიხია რუსეთის საზღვრისაკენ. რუსეთმა დეთის გულისთვის შემოუშვა საზღვარში... მანთაშეგმა თავის ქარხანაში მოაგროვა ყველა... პირველ ხანებში ძალზე ეშინოდათ ჩვენი. სულ ეკითხებოდნენ ვართანასა და ხაჩიკას (ესენი ჩვენებური სომხებია) რა ხალხია ქართველები, ესენიც თურქებზედ ხომ არ დაგვარბევნო.

— აქ ერთი ძველი მახაჯირი აფხაზია, ხაშიმ სმირბა, იმან მიამბო საცრემლო ამბავი. საზღვარზე ყოფილა როცა მთავრობამ ლტოლვილები შემოუშვა. ქალებს ეშინოდათ. ბავშვები ზევით ასწიეს და ისე გადმოლახეს საზღვარი: ესაო და არ მოგვაცუოთ, არ გვესროლოთ, შეიბრალოთ ჩვენი ბავშვებიო...

— მერე და, ილარიონ, რატომ ვართ ასე დამდურებულნი ერთმანეთთან? — გაუკვირდა შმაგის. — რატომ არა ვართ ერთმანეთთან დაახლოებული?

— ეხ, შმაგ, მაგას არ ვჩივით ჩვენც! მაგრამ წყევულმა დაშნაყებმა ხმები დაჰყარეს ქართველებს არ ენლოთო, არ დაუხალოდეთო... ესენიც დაშინებული არიან და უჯერიან.

— დაშნაყები ვინაა?

— ამბობენ სომხების პარტია არისო. მაგრამ კარგი სომხები არ უნდა იყვნენ...

უცებ ჩოჩქოლი ატყდა. გამოჩნდა დირექტორი ტერ-აკოფოვი, ნოქრებისა და ხელმძღვანელების ამალით. ტერ-აკოფოვი სქელი, წარმოსადგვი კაცი იყო. მსხვილი, მსუქანი ცხვირი ჰქონდა, მსუქანი, გაპარსული ლოყები, ნიკაპზე წაწვეტილად შეკრებილი წვერი, კისერი მოკლე, ლაბაბიანი, ეხურა შლაპა და ეცვა ფართო პალტო. ხელში ოქროსთავიანი მსხვილი ბზის ჯოხი ეჭირა.

— რამდენი ოქროს ბეჭედი აქვს ხელზე! ერთი მომცა ნეტავი — ინატრა შმაგიმ.

— რამდენი მუშების ზურგზე უსერიანია მაგ ჯოხს, — ჩაილაპარაკა ილარიონმა — მაგიც კი ძაღლია...

ტერ-აკოფოვმა ჯგუფებს ჩამოუარა. თავი მხიარულად წარბებ ქვეშ მსხვილი გიშერივით შავი თვალები უბრალოდ — გამარჯობათ, გამარჯობათ! — არიგებდა გამარჯვებას მარცხნივ ტერ-აკოფოვი.

საწყალ მუშას რომ მიუახლოვდა შეჩერდა. გაუქვირდა. ვეებელი კაცი ჯერ არ ენაბა. მათხოვარი ეგონა და ზედამხედველს ჰკითხა: — ეს ვინაა? აქ რატომ შემოღუშვით?

— ეს საწყალი მუშაა, — ერთხმად მოახსენეს მას.

— ახ, შენა ხარ საწყალი მუშა? საიდან ხარ?

საწყალ მუშას ენა დაება მოთლოდნელობისაგან. როგორ, მას, საწყალ მუშას, თვით დირექტორი გამოელაპარაკა, თვით ტერ-აკოფოვი?

— ასტეაც, ასტეაც! — და ხელები გულზე დაიკრთა. — გეოქიმიდან, ბატონო, გეოქიმიდან.

— პოო... ძალიან კარგი. ცოლი გყავს, შეილი გყავს?

საწყალი მუშა კინლამ შეიშალა. როგორ, ცოლსა და შეილსაც კი ჰკითხულობს ეგ ღვთის კაცი?

— დიხ, ბატონო. ცოლი მყავს, ორი შეილიც...

— ოპანენს! — ახლა ოპანენსას მიმართა ტერ-აკოფოვმა და ხელი მხარზე დაადო — ხომ კარგათ ვართ, ა? მანთაშევის წყალობით პური გვაქვს, არა? ოპანენსამ კისერში ჩარგული თავი დააქნია და გაიღიმა.

— ღვთისა და ხაზეინის წყალობით ლუქმა გვაქვს...

— ესენი ვინაა? — და ტერ-აკოფოვმა შმაგისა და ილარიონისკენ ასწია ბეჭდებიანი თითი. — ჩვენ ქართველები არ მოგვიწვევია... გაიყვანეთ.

შმაგისა და ილარიონს ბრაზისაგან ალი მოედოთ. გაძალიანდნენ.

— წადით, ძმებო! შე დაერჩები აქ. ყველაფერს გიამბობთ, — უთხრა მათ ვართანამ.

შმაგი და ილარიონი მძიმედ გავიდნენ ალაყაფის კარებში.

ქარხნის ალაყაფთან ეტლი გაჩერდა. ეტლიდან ლამაზად, მდიდრად გამოწყობილი კოხტა კაცი გადმოვიდა. ეს იყო თვითონ მანთაშევი. ტერ-აკოფოვი მივარდა ალაყაფის კარებს. სქელი კისერი და ტანი მოღუნა, თავი მდაბლად დაუკრა და მიესალმა.

მანთაშევი მსუბუქი ნაბიჯით, დარდიმანდულად შევიდა მუშათა ლიანგში. მარჯვნივ, მარცხნივ თავს უკრავდა ტკბილის ღიმილით, თითქოს დიდი ხნის უნახავი მეგობრებიო:

— გამარჯობათ, ძმებო! გამარჯობათ, ჩემო კეთილებო!

— ხაზეინს გაუმარჯოს! გაუმარჯოს!

წამსვე გაჩნდა მაუღგადაფარებული მაგიდა. მაგიდასთან ოლარიანი ტერტერა და ტირაცუა.

მანთაშევემა ქლდი მოიხადა. ლიანგმაც თავი მოიშინებდა.

საიდანღაც თაფლის სანთლები გაჩნდა და ქარხნის პოლიციამ მუშებს დაურია.

მანთაშევი ოპანენასთან მივიდა და მისი სანთლის აღზე თავის სანთელს მოუკიდა. ტერ-აკოფოვმა საწყალი მუშის სანთელზე მოუკიდა თავისას. საწყალი მუშა თავისი სანთელივით აენთო. გაეხარდა და ბუნდოვანად იგრძნო, რომ ისიც რალაცასთვის ესაჭიროება სხვას, აი, თუნდაც ამ ტერ-აკოფოვს.

პარაკლისი რომ გათავდა ტერტერამ ჯვარი გადასახა მუშებს და ოლარო მოიხსნა. ჩამოდგა სიჩუმე. ყველა გრძნობდა, რომ დღევანდელი დღის მიზეზი აწი იწყებოდა და ყველა უხმოდ მიაჩერდა მანთაშევს. მანთაშევსმა თვალი უქნა ტერ-აკოფოვს, ტერ-აკოფოვმა კი ქარხნის მანთაშევსს ეზოში, ღია ცის ქვეშ, გრძელი მაგიდები გაჩნდა. მანთაშევსს ბჭური, მწვანელი, შემწვარი ცხვრები, ცხვარი იქვე აჭრეს და კერძებად გაანაწილეს.

— აბა, დასხელით და მიირთვიეთ, — შესთავაზა მანთაშევსმა მუშებს.

— აგაშენა ღმერთმა — მოისმა აქეთ-იქით და მუშები მოუსხდნენ მაგიდებს.

— ღვინო! — გასცა განკარგულება მანთაშევსმა.

მოათრიეს რუმბები და მაგიდებთან ააყუდეს.

ჩამოასხეს ღვინო. ტერტერამ ლოცვა წაიკითხა. პირჯვარი დაიწერეს. დასხდნენ. პურობა იწყეს.

მანთაშევი მაგიდის თათან იჯდა. იმანაც დაიდო ერთი ნაჭერი ზორცი, პური, დაისხა ღვინო, ასწია ჭიქა, პირჯვარი გადაისახა, ჩამოილოცა:

— ღმერთო დიდება, ღმერთო მშვიდობა, — დალია. სხებმაც ჩამოილოცეს. ერთმა ხანმა სიჩუმეში განვლო. ისმოდა შორიდებული ღებვა და ჩურჩული. ყველა გრძნობდა, რომ რაღაც მთავარი ისევ წინ იყო.

მანთაშევსმა ლურჯად გადმობურთულ მზიან ცას ახედა, ნატიფი ხელი ნიკაპზე მიიღო, მერე მუშებს გადახედა და სთქვა:

— ძმებო, სომხებო! თქვენ ბევრი უბედურება გადაგხდათ თავს. გქონდათ სახლკარი — გადაგიწვეს. გყავდათ ცოლშვილი — დაგიხოცეს. რაც გქონდათ წაგართვეს. ათეული წლობით ნაამაგი, ნაოფლარი მამაპაპური კერა გაგიციეს.

— ობხ... ობხ... — მოისმა მუშებში...

— მე ახლაც თვალწინ მიდგას თქვენი სისხლი, ტანჯვა და ცრემლი. ვაბხ, ჩემო სომხებო, ჩემო ღვიძლო ძმებო!

მოქარგული ცხვირსახოცა ამოიღო და თვალებთან მიიღო.

სომხებში ქეთინი მოისმა. ოპანეზამ მჯილი მიიღო თვალებზე. საწყალ მუშას მარცხენა ხელში სანთელის ნამწვი ჩარჩენოდა. თითონაც დამწვარი სანთელს გაედა და მანთაშევს პირში შესჩერებოდა.

— თქვენმა უბედურმა ბედმა უცხო ქვეყანაში მოგრეკათ. ჩვენმა დიდმა მეფემ შეგივრდოთ, შეგიწყალოთ, გაგიხსნათ საზღვარი. მართალია, თურქების ზარბაზნებსა და იათაღანს გადაჩრით, მაგრამ შიმშილი უფრო საშინელი იყო. თქვენ მოგელოდათ შიმშილისაგან გაწყვეტა და მაშინ მე მოგეშველეთ თქვენ. მე გაგიღეთ ჩემი ქარხნის კარი. მე გიხსენით შიმშილისაგან.

— მართალია! — დაემოწმა ტერ-აკოფოვი.

— მართალია! — მოისმა მუშებში.

— მე მოგეცით სამუშაო, — განაგრძო მანთაშევსმა. — შემეცოდეთ... იმითომ, რომ მე სომეხი ვარ და თქვენც სომეხები ხართ. ჩვენ ერთი ღმერთი გვყავს, ერთი რჯული გვაქვს, ერთი ენა გვაქვს... დიღია სომხის ღმერთი. ასტვაც.

— ასტვაც, ასტვაც! — და სომეხმა მუშებმა პირჯვარი გადაიწერეს.

— შენი ღმერთი და შენი რუჯული!—და ვართანამ ხმადაბლა შეუკურთხა მანთაშევს.

— ამიტომ, ძმებო, — განაგრძობდა მანთაშევი. — თქვენცა და მეც უნდა ვეხვეწოთ ღმერთს, მიკურთხოს ჩემი საქმე, რადგან ზღვირუთი ღმერთობა თქვენი კეთილდღეობაც არის. მე თუ მოგებაში ვიქნები, — ხაჭკვენი მოგებაც არის. მე თუ წავაგე ეს თქვენი წაგებაც იქნება, რადგან უნდა შევამცირო წარმოება და დაგიბოვოთ. რას იზამთ მაშინ თქვენ, ლტოლვილები?

მუშებს ლექვა გაუჩერდათ პირში.

— ამიტომ რა იქნება ნახევარი საათით ადრე მოხვიდეთ სამუშაოზე და ნახევარი საათით გვიან წახვიდეთ?

— არაფერიც არ იქნება, — შესძახა ტერ-აკოფოვმა. — შენ მამა ხარ ამათი. ნახევარი საათი რომ მეტი წაიმუშაოთ ღმერთიც ჩაუთვლისთ. ასე არაა, მამაო?

— ასეა, შვილო. სახარებაში სწერია ღმერთმა ის აკურთხა, ვინც ბატონისათვის კარგად და ერთგულად იმუშავა — მოახსენა ტერტერამ. — დაილოცა ღვთის სამართალი. იცის ვის შემატოს...

— მამა ხარ ჩვენი, — უთხრა ოპანეზამ მანთაშევს. — შენთვის ნახევარი კი არა ერთი საათიც მეტი წაიმუშაო, ღმერთი ჩამითვლის.

— ჩაგივლის, შვილო, ჩაგივლის, — დაუდასტურა ტერტერამ.

— თქვენი გამარჯვებისა, ძმებო! — და მანთაშევიცა კიქა განიცალა. კიქები დასცალეს.

— ძალიან გაძნელდა ჩემი ქარხნის საქმე, — დაიწყო მანთაშევიცა ისევ — საზღვარგარეთ დიდი მეტოქეობაა. მე იძულებული ვარ, ან დაეხურო ქარხნის ნაწილი, ან შევამცირო ხელფასი ორი შაურით. რას იტყვით?

— შემცირდეს ხელფასი! არ გეინდა დახურვა! — მოისმა აქეთ-იქით.

— მე ვიცი, — ისევ განაგრძობდა მანთაშევიცა. — ზოგი საექვო პირები შეეცდებიან ჩემსა და თქვენს შორის შური დასთესონ, მტრობა ჩამოაგდონ. განსაკუთრებით ქართველები. მე ვაგიგე, სომხებშიაც არიან ასეთი საექვო პირები და მოლაღატენი. ნუ დაუჯერებთ მათ. ნუ აყვებით მათ. გახსოვდეთ ჩემი! ჩვენ, სომხებს, ერთმანეთის სიკეთე უნდა გვინდოდეს. მე სომეხი ვარ, თქვენზე შემტყევა გული... თორემ თუ მოლაღატეებს აყვებით, ურჩობა დაიწყეთ, ჩემი ამაგი დაივიწყეთ, ჩემს პატივისცემას და პურ-მარილს ფეხი დააბოჯეთ, მე...

— უკანვე და-ვა-ბრუ-ნებთ.

ლტოლვილებს გააყრცოლათ. უკან, თურქეთში დაბრუნებას, ყველაფერი სჯობდა.

ოპანეზა ადგა და ყველას მაგიერ სთქვა:

— მამა ხარ ჩვენი, მიტომ ზრუნავ ჩვენზე. ჩვენც ვეცდებით ერთგული მუშაობით გადავიხადოთ მაგიერი.

— ჰო, და ასე, გახსოვდეთ ჩემი სიტყვები! — და მანთაშევიცა ადგა. მუშებიც ადგნენ.

— განაგრძეთ, განაგრძეთ! — უთხრა მანთაშევიცა მუშებს. შემდეგ, ტერ-აკოფოვს ხმამაღლა: — ყოველ კვირას, ჩემს ხარჯზე, ასეთი სადილი გაუმართე მუშებს...

(გაგრძელება იქნება)

მზის შეხვედრა ღვიფთ ალგაშენებელთან

გაეიდნენ წლები... გადირბინა მრავალმა ხანმა...
შშობლიურ მოთების მწვერვალზე აენთნენ მზისებრ
და მზის სხივებმა, ფაქიზმა და ცაში ნაბანმა,
ალმაშენებლის გააბრწყინა სახემა ისევ.

ამეტყველა, ააფლერა მისი ბაგენი
და საქართველოს მიწა ისევ გადაატარა,
ისევ აჩვენა მთით ჩანჩქერი გაღმონადენი
და გაუქარვა გულს ნარჩენი სვედა პატარა.



უჩვენა გრემი, ხორნაბუჯი, შემდეგ იყალთო,
აყვავებული დაანახა რუის-ურბნისი,
უამბო დინჯად: საქართველო ისევ უყვართო,
არ შეუძლია გადათელვა არავის მისი!

უჩვენა მხარე, ყივჩაღების ნამოსახლარი,
დავით გარეჯის ერთ დროს მწირი უჩვენა მიწა,
სად დამარცხებულ მტერს დასცვივდა დავლად ლალები,
სად არაბების დაძლეულნი რაზმები მიწვა.

სულის ცახცახით დაანახა მისი სავანე,
მისი ცხოვრების განთიადი — დიდი გელათი,
რომელიც ყველა მნახველს ურჩევს, ყველას ავალებს,
რომ არ ჩააქრონ ამ წალკოტის ლაქვარდი მნათი.

შემდეგ აჩვენა ისპაჰანი, სადაც როქის სპა
ხშირად დაჰყავდა ვაჟკაცებით, ვეფხეთა ლაშქარით...
სად დარუბანდის ალაყაფის კარები მოსპო
და წამოიღო რაშზე მჯდომმა, ვითარცა ქარი.

ნაქარმაგვეს მოანახა ვრცელი დარბაზი,
სადაც უყვარდა შექცევა და განადიმება,
სად დამეგობრდენ დიდი სიბრძნე და სილამაზე
და დესპანების დარბაზობა სადაც ინება.

უცებ თვალი ჰკრა ელისციხის გადაშლილ მხარეს,
რომლის წიაღში სელჯუკების ჩონჩხი ჩამარხა,
რომლის მიდამოს ახლა სხიენი გადმოაყარეს,  ერეკლეშვილი
რომლის ნათოფარ სარკმელებში მზე გადიხარ  ერეკლეშვილი

ეძებს მის დროს მეგობართა უთბილეს კრებულს
და ეძებს არსენ იყალთოელს და გრიგოლ ხანძთელს,
მაგრამ მათ ნაცვლად ხედავს ჩვენს დროს ამთავორებულს
და ეწაფება გაბედულად ამ მაღალ განცდებს.

ანაბა მის დროს უდაბური მიდამოები,
უჩვენა მუდამ გაუვალი კლდოვანი მთები,
ახლა მის ნაცვლად ბიბინებენ მწიფე რტოები
და ვრცელი შარა მოჩანს ბროლით ნაჩქურთმები.

ის დიდხანს სჭვრეტდა ალამპრებულ თბილისის არეს,
სად ივერიის დაუქნობი გული მუდამ სძვრის;
უცქერდა ციდან შარავანდად გადმოშლილ მთვარეს
და გაჟურებდა მოკრძალებით უკვდავ ქართველ ერს.

შემდეგ მზეს ისევ მდელვარებით მადლობას მიჰყენს
და გადაცურავს მტკვარს და რიონს მსუბუქი ნავით,
დაუბრუნდება ისევ გელათს, შარად სამყოფელს,
სადაც მდღეობს შუქმოსილი მისი საფლავი.

ოთარ ჩხიძე

პეზარძალი

ჩემი სოფლის ეტიჟდებიდან

ნათლიამ გაიწვია მეჭორწინენი. ბაღში, აბიბინებულ ბალახზე გააშლევინა მან ლურჯი სუფრა. გარს ბალიშ-მუთაქები შემოარიგეს და მეჭორწინენი ჩამოწიბეს. გეკლუტობდნენ ქალწულნი, ძირს დასხდომას ვერ ახერხებდნენ, მოკლე კაბები მუხლებზევით უცურდებოდათ, აბრეშუმის ხილბანდებს იფარებდნენ და თვალებს შეღერებულ ქაბუქებისაკენ აპარებდნენ.

ოქრომკელიან ოდნავ პეწგადასულ ძველებური სამზითვო მუთაქაზე დასვეს შეფე-დედოფალი... ვარდისფერი აბრეშუმის კაბის შლეიფი აეკეცნა პატარძალს, ოდნავ გვერდს წახრილიყო და მეფეს ეყრდნობოდა. თავზე ვარდისფერივე ჩიქილა წაეკრა. ნაზად ერხეოდა ოდნავ ჩამოშლილი წაბლისფერი კავეები.

გაზაფხულის ქათქათა დღე იყო. სიო ოდნავ არწევდა ხეხილთა კენწეროებს. ყვავილი ცვივოდა. თეთრ-ყირმიზი ფერფლები ეფინებოდნენ მეჭორწინეებს, სუფრას, ბალახს... მარგალიტებივით მოსჩანდა თურაშაულის ყვავილი მწვანე ბალახზე, ლურჯ სუფრაზე, ნაირფერ ტალავარზე.

თამაღობდა ომგადახდილი ვაჯკაცი.

გულდია მასპინძელი თვით განაგებდა სუფრის ღაზათს: მალი-მალ ეწვეოდა სათონეს, სამზარეულოს, მარანს. მარჯვედ ირჯებოდა. ოდნავ ხელს უშლიდა ნატყვიარი მუხლი.

ნათელი გადაჰფენოდა სიძეს. ამაყად უელავდნენ ტკობის განცდით მინამულნი თვალები. თიფქოს ვერც ამჩნევდა მოყრიაშულე მენინახეებს, ზედისხედ რომ სცილდნენ კეთილი სურვილებით აღსავეგ ბროლის თასებს, ზარნიშთან ჯიხეებს. განდევლილიყო მისი ფიქრი. როგორც მრავალნახულს სჩევია, მზად იყო ყოველ წუთს ესარგებლნა ან დუმილით, ან მსგავს ჩამოვარდნილი სიტყვით და წამოეწყო: „ერთ დღეს“... მაგრამ სიფიცზე ემატებოდა მყარონს. დენო ხარკს თხოულობდა, სხელი ექმუტავდა, ენა ირეოდა: ზმობდნენ, შაირს იტყოდნენ, ბრმა მეჭიანურეს აქეზებდნენ.

მზეწვია თურაშაულზე შეფრინდა ლალი ჰიკიკით. ბუტკოს ჩასცხო ნისკარტი, ვაკაპასდა. მერე თავი აიღო და ტკობით, მუდარით მოუხმო ტოლს.

მოკიკიკე მზეწვიას გაჰხედა სიძემ. თითქოს რაღაც გაახსენდა. თქმა ენება, პატარძლის ყურადღება დაიმართოხელა.

— მაშინ ყირიმში ვიბრძოდით... ფრინველთა გადაფრენა იწყებოდა. ნიდაყვით მუხლს დაეყრდნო პატარძალი, კისერა მოიღერა და შესცივინა მოუბარს.

პატარძალი არ მოაწყინოთო, ბრძანა მასპინძელმა. ერკუნუსული წამოდგა უსინათლო მექიანურე, ბორძიკით გაიკვლია მუხლსა და ფეხებს და დაეხმარა: მარად სიყვარული, მარად სიხარული... ჭერინავს ჩიორა; გული ზღვაური, ფეჭრი უზღაური... ჭერინავს ჩიორა; მიინდე ერთი, შემინდე ერთი... ჭერინავს ჩიორა...

მექიანურეს ღიმი წაჰფენოდა ტუჩებზე, ბისტგაკრულ თვალებს უამოლანდი დაჰფრინავდა. თითქოს ორად გაყოფილიყო სახის ყდა, ორ აზრს ეჩინა თავი: ამო და უამო და ასე მიწყვიც...

მექიანურესაც შესცინოდა პატარძალი. ყველაფერი ახარებდა: ყვავილთა ცვენა, ფრინველთა ეღურტული, მზეზე ახლად გამოსული ხბორების ზმუილი, მაყრების ხუნტრუცი, ასულთა კდვმა, თამადის ზმუები, მერაქიფეთა მოუთმენლობა. იღიმებოდა, ფიფინებდა, სიამით თრთოდა ქალწულობის რთველში შესული. მაგრამ ხანდახან ოდნავი კმუნვა ეტყობოდა, მკედის ჩრდილად წაეფინებოდა ანთებულ თვალებს, მალევე გადიყრებოდა. არ იმჩნეოდა, ვერც სხვა ამჩნეოდა. ოღონდ სიძე მსწრაფლ შეიცნობდა თუნდაც ისე მცირე მკედის ნაჩრდილის ოდენა კმუნვას, ზრუნვით შეჰხედავდა პატარძალს, სათუთად შეახებდა ხელს, შაქარლამას ან გამოზამთრებულ ხილს შესთავაზებდა.

— მოწყენას გატყობ.

— რასა ბრძანებ! — ყელს მოიღერებდა და გადიკისკისებდა პატარძალი. აელეარდებოდა სიძე. წელზე ხელს მოჰხვევდა, ყურის ბიბილოსთან მიუახლოვებდა ბაგეს და შეჰხუტებდა:

— იხარე, სულო, იხარე და შარავანდედად მომფინე სიხარული. ნატყვიარი მხარი მომიშუსდება. ავლეთა ვარამი მიმიწყენარდება, გული შემართების გრძნობით აღიესება. იხარე, სულო, იკისკისე გეთაყვა, და თუ მოიღლები, ზღაპარს გეტყვი, ზღაპარს სინამდვილისას... მშვენიერი თვალები შიშით აგვესება, მხრები ავითრთოლდება. ნუგეშად ჩემს მკერდს კპოვებ, მომეყრდნობი, მომხუტები და სიმშვიდე დაგეუფლება. შენი კრთომა დამატკობს, ჩემი ნუგეში დაგამშვიდებს. იხარე, სიცოცხლე, იხარე გეთაყვა და ოდეს ეამი რთვილს დაგვაფენს, წარსული კრთომითა და ნუგეშით მივიწყათ.

ოდნავ მოეშვა პატარძალი, თავი მხარზე დააყრდნო, მაგრამ მსწრაფლ გამოერკვა, გასწორდა, კაეები გადიყარა. მიიხედა, გვერდით მჯდომი ქალწული მონატრული თვალთ შეჰყურებდა. შესცინა, ხელი მოჰხვია, შებლზე აკოცა და წასხურჩულა: შენც მალე მენახე დედოფლადო. მერე კვლავ შეფეს მიუბრუნდა, გაელაღობა, სურდა კიდევ მოესმინა საამური რამ, მაგრამ მღუმარებდა მეფე, ისიც თვალებით ესიტყვებოდა.

მასპინძელი მიუახლოვდა პატარძალს, საღი მუხლი დადრია და ნაირფერი ყვავილებით მოწული გვირგვინი გაუწოდა.

— ინებე, დღევანდელი დღის დედოფალი, — წარსთქვა, — როგორც ნაშანი ვალეიების, გაფურჩქენის, აყვავების, როგორც ხარკი სიხარულისა!

ხელი გაიწოდა პატარძალმა, გვირგვინს შეეხო. ნაზად ეამბოჯა ვაჟი და ასკილის ყვავილისფერ ბრჩხილებს... თავზე დაიდგა გვირგვინი პატარძალმა. თამადამ დრო იხელთა, ვერცხლის ჯაჭვით გადაბმული წვეილა ჯიხვი მოითხოვა და აყვავების სადღეგრძელო წამოიწყა. ყველა სიტყვას ლეკური მოჰყვა. მასპინძელმა მკლავი გაშალა. ამტყუარებულ მტელი უშლიდა, ლაზათი, სინარნარე აკლდა მის ცეკვას. მაინც არა დრკებოდა ვაჟი, დაზიანებულ ფეხს ძალას ატანდა, შევარდენივით დაჰქროდა მარტიზანყოფილი, დაჰქროდა კვლავ უტები და შემმართებელი, როგორც იქ, უკრაინის ველებზე... პატარძალი გაიხმო. გაჰყვა გვირგვინოსილი დედოფალი. ნარნარებდა, ირხეოდა, სხლტებოდა, აქეზებდა ვაჟი. განს გადა მასპინძელი, მეფე გაეთამაშა დედოფალს. დიდხანს სტკებოდნენ, დიდხანს თვრებოდნენ ყვავილოვანი გრძნობით... ხეხილთა ოდნავ არხვეულ ტოტებიდან ყვავილი ცვივოდა.

ცეკვით გამოდნენ სუფრას მეფე-დედოფალი, აღუბლის ხეივანს შეეფარნენ. ვაჟი დადლა ეტყობოდა, ოფლი მოჰკიდებოდა. ქალს ალურსი მოჰნებებოდა, ოდნავ მოინუსხა. ვაჟმა მკლავი მოჰხვია და კმუნვის მიზეზი ჰკითხა. ქალმა გადიკისკისა და გაუსხლტა. ვაჟმა დაბალი ხმით წაიმღერა: წარილტვი მალი, გრძნობათა მშალი... აღვეგზნე ეშხით: გიჩანს დალალი, მარჯან და ლალი... აღვეგზნე ეშხით და თუ გენუყვი, ნუ მკლავ მე, ნუ... აღვეგზნე ეშხით. მიუახლოვდა პატარძალი, მკერდს მიეყრდნო და იყო ასე დიდხანს გატყრენილი. სდუმდა ვაჟიც, სათუთად მოეხვია მკლავი და ბედნიერი თვალთ გაჰყურებდა საამურად გადაპენტილ ხეხილს.

პატარძალმა თავი აიღო. სუფრას გაჰხედა. ყველა ფეხზე წამომდგარიყო. მასპინძელს ვერცხლის ჯაჭვიანი ჯიხვები ეჭირა, წარბი შეეკრა და ბრძოლის ველზე დაცემულ გმირთა მოსახსენებელს ამბობდა. მკერდს შარაქანდელი დასცემოდა და სამი ორდენი თვალისმომკრელად უღავდა. დიდხანს უყურა პატარძალმა, თვალნი აღვეგზნო. მერე მეუღლის მკერდს დააყვირა, თითქოს პირველად ეხილოს, წარბები აშვილდა:

— შენ მხოლოდ ერთი ორდენი გაქვს!

ჩაილულულდა და ოდნავ გაბუტული ტუჩები მკერდს მიაყრდნო.

ქეთევანის სიხარული

გაზაფხულს მოჰყვა ყვავილების ნაზი სურნელი,
ია-ვარდებით მოიქარგა მთა და ველები.
ბავშვები ხტიან ცვიან მოლზე ფეხშიშველები
და არხევს რტოებს ნიაფი ნელი.

ქეთევან-ქალის ეზოს ამკობს წითელი ვარდი,
წითელი ვარდი გადაშლილა მორცხვად სარკმელთან.
ყანიდან მოსულს მოჰყოლია სურნელი ველთა,
მაგრამ გულს უკლავს საბრალოს დარდი.

ძაძებით მოსილს, ტოლქალებში მუდამ დარცხვენილს,
რამდენი დღეა მის გულს აღარ გაუხარია.
ვაზებშია მზე დგას, ყვავილებშიც წყნარი ქარია.
ფარჩის მანტია გაზაფხულს შეენის.

ქეთევან-ქალმა ნაზ ყვავილებს შეახო ხელი,
გულში ჩაიკრა, მოეფერა, ცრემლებით მორწყო.
სატრფოს იგონებს, ვის რა უთხრას, მარტოკა ცხოვრობს,
ღრუბლად დაადგა ფიქრი მსახველი.

ერთი თვის წინათ მისი გული როგორ ზარობდა!
მაგრამ უეცრივ, როს აენთო ცის დაფიონი,
ჭიშკარს მოადგა გულმართალი ფოსტალიონი —
და ქეთევანი სიკვდილს ნატრობდა.

გულდაწყვეტილნი შეიკრიბნენ ქეთევან-ქალთან
სოფლის ქალ-ვაენი და ასწიეს შესანდობარი.
— ხსენებულ იყოს ჩვენი კარგი ძმა-მეგობარი
ცრემლით დანამეს ქალებმა კალთა.

— ნეტავ იცოდეთ, როგორ მინდა ვნახო თუნდ ერთხელ, —
სთქვა ქეთევანმა, გდახედა შეკრებილთ მძიმედ,
— თქვენ არც კი იცით, სამახსოვროდ მან დარგო ეს ხე —
მითხარი, ჩემო, სად დაიძინე.

ჭეთევან-ქალმა ამოიღო წერილთა კონა,
 ცრემლში გაბანა და დამწერი ისევ დალოცა,
 სახე იბრუნა. სათითაოდ ყველას აკოცა.
 გარეთ გავიდა, ხეს ჩაეკონა.



ჩონგურის სიმებს გამთენიას მისწვდნენ ქალები.
 მტირალ ჭეთევანს იმედები უთხრეს ვაყებმა.
 მზე ამოიჭრა. ბაღჩას გასცდა ნარიყრაყები,
 და... გაუბრწყინდა ყველას თვალები.

რადიოს ხმაა... ვით მერცხალი, ცნობა მოფრინდა
 დააჯილდოეს. ცოცხალია... ჭეთევან-ქალი
 იცინის, ტირის სინჯარულის ცრემლით დამთვრალი.
 თითქოს ანაზღად ცამ მოიწმინდა.

ჭიჭის წყარუნი ქარს გაჰქონდა მინდორ-ველადა,
 ტურტა ასულთა სამაიის ისმოდა ჰანგი,
 — მაშ, ვინადიმოთ — ჭირვეულებს უტყბესი ჩანგი,
 და მოითხოვა ეაქმა ხელადა.

ჭეთევან-ქალი მეორე დღეს მისდევდა ნახნაეს,
 გულმხიარული ტოლ-ქალებთან იდგა ყანაში.
 ანკარა წყაროს წვრიალსა და სათნო ნანაში
 თითქოს ესმოდა — შელოდე, გნაზავ!

შუქი

გემი ნაეთსადგურში იდგა შესაკეთებლად. ყოველი ჩვენგანი ცდილობდა მეტხანს დარჩენილიყო ნაპირზე.

კაიუტაში ჩამძინებოდა. როცა გემბანზე გამოვედი, ვნახე — ყველა ნაპირზე წასულიყო, მხოლოდ მოხუცი სერგო დაბორიალობდა გემბანზე.

ჭარი ამოვარდა. წვიმას აპირებდა. ამინდის შეცვლამ, სალამოს ბინდმა და მარტოობამ ამაფორიაქა. წარსული დღეები წიგნის ფურცლებივით იშლებოდნენ ჩემ წინ. გულშეკუმშული, გზაარეული დაებორიალობდი გემზე.

სერგოს რამდენჯერმე წავაწყდი, მაგრამ არ დავლაპარაკებია. ვიცოდი, სიტყვაძვირს ვერაფრით ვასიამოვნებდი.

კაიუტაში შევედი, მოსასხამი ჩავიცვი. გადავწყვიტე, ამხანაგები მომეძებნა. გამოსვლისას სერგოს ხმა წამომეწია:

— ოთარ, დამიცადე, მეც მოვდივარ.

მოხუცის სიტყვებმა გამაკვირვეს: ორი წელიწადია ერთად ვმუშაობდით. ერთხელაც არ მინახავს, ნაპირზე გადასული. დაუცადე. ნაპირზე გადავედი. წვიმას ქუჩაში მგზავრები დაეფანტა.

ბნელი ღამე იყო. ქუჩებში დამდგარი წუმპეები ფეხებს გვისველებდნენ. ქარისაგან მონადენი წვიმა სახეში გვეცემდა, ჩვენ მაინც სწრაფად და გულმოდგინეთ მივაბიჯებდით, თითქოს გადაუდებელ საქმეზე მიეჩქარებინათ.

ლუღბანის კარებს მივადექით. შიგ შეხულმა იჭაურობა მოვათვალიერე. ჩვენიანი არვინ სჩანდა. სერგომ ფანჯარასთან მდგარ მაგიდას მიაშურა. მეც უხმოლ გავეყვი. მაგიდას მიუჯექით. ლუდი მოვითხოვეთ.

სერგო ჩაფიქრებული იჯდა, თვალს არ ამორებდა ფანჯარას, რომლის მინებსაც წვიმის წვეთები ჰირვეული მგზავრის ათრთოლებული თითებივით ურაკუნებდნენ.

— მაშინაც ასე წვიმდა, — მომესმა სერგოს ხმა.

არ გამოვეხმაურე. შემეშინდა, ჩემ ხმას არ დაეფთხო მოხუცი, ვინ იცის, რა აკავშირებდა წვიმიან ღამესთან ძველ მეზღვაურს.

— ჩემი ცხოვრების ყოველი სიხარული და მწუხარება წვიმიან ღამესთან არის დაკავშირებული, — განაგრძო მოხუცმა. — მაშინაც ასე წვიმდა, მაშინაცვალმა თოთხმეტი წლის პატარა სახლიდან რომ გამომაგლო, მაშინაც, როცა ჩემი ბიჭი დაიბადა.

მოხუცი გაჩუმდა. მოგონებამ გაიტაცა.

— პო და სწორედ ასეთი ბნელი ღამე იყო და ასე წვიმდა, — განაგრძო კვლავ სერგომ, თითქოს ვერ მამჩნევდა, იქვე რომ ვიჯდო და ვესმენდი: — თოთხმეტი წლის ვიყავი, როცა ღელაჩემი გარდაცვალება შემომახვედრა. დიდი ხანი დიდხანია ცდილობდა თავიდან მოვეშორებინა, მაგრამ ვერ შეძელი. დრო და სახლიდან გამომაგდო. ჩვენ ნავთსადგურს მივადგურე. დილით მეზღვაურებმა ნაპირს მომაცილეს. ასე დავკარგე ღელა და სამშობლო ქალაქი.

ქვეყანა შემომივლია. ბევრი რამ მინახავს ცხოვრებაში: გაჭირვება, სიხარული, რამდენიმე გემის დაღუპვასაც დავსწრებივარ, სიკვდილისათვის თვალეზში ჩამიხედნია, გადარჩენისაგან განცდილი სიხარულისაგან დაემტკარე, რა რჯულის გემზე არ მიმსახურნია, სამხედროზე, სავაჭროზე, მეთევზეების გემზედაც ვყოფილვარ, პოლიუსისაკენაც მიმოგზავრნია. ზღვა და გემი — აი მეზღვაურის მუდმივი ბინა.

მაგრამ ერთი რამით მაინც განვსხვავდებოდი სხვა მეზღვაურებისაგან. მუდამ მახსოვდა ღელაჩემის უკანასკნელი თხოვნა: — გეშინოდესო ზღვისა, მამა შენი ზღვამ დაღუპათ. — ზღვისა არ მეშინოდა, მაგრამ ღელის უკანასკნელი თხოვნა მაინც მინდოდა შემესრულებინა: ერთ პატარა ქალაქში სახლი ვიყიდე. მანდარინის ბაღი გავაშენე, ვფიქრობდი: მოვხუცდები, ნაპირს დავებრუნდები, ჩემი სახლკარი მექნება და ღელის თხოვნასაც შევასრულებ.

კარგი ცოლი მყავდა, წყნარი, მშვიდობიანი. როცა ჩემი გემი ნავთსადგურში შედიოდა, შორიდანვე ვხედავდი, როგორ გამოკრთოდა შუქი ჩემი სახლის ფანჯრიდან. ნავთსადგურში შესვლისას ყოველთვის გემბანზე ვიდექი. ჩემი სახლის ვიწრო საკმლიდან გამომკრთალი შუქი გზას მინათებდა. გული იქითკენ მიისწრაფოდა, ვიცოდი, იქ პატარა ბიჭიკო და ჩემი ღელაკაცი მულოდნენ.

მივიღოდი თუ არა შინ, ჩემი ღელაკაცი მისალმებასთან ერთად მერყოდა.

— ეხლა კი ჩავაქრობ: როცა შინ არა ხარ, მხოლოდ მაშინ ვანთებ, უნდა იცოდე, რომ გელოდებით.

შინ მისულს ჩემი ბიჭიკო მუხლებზე დამიჯდებოდა. მეც უამბობდი მოგზაურობის ამბებს. ასე მიდიოდა, ზამთრის გრძელი ღამეებში, იქ ნაპირზე.

ზაფხულში კი დროს ზღვის ნაპირზე ვატარებდით. უყვარდა პატარას ადევნებელი ზღვის ცქერა. ჩურჩულით შემეკითხებოდა:

— არ გეშინია, მამა? — თან დაუმატებდა: — მე არა.

დაკერილ თევზს პატარა ხელში მოიჭყევდა. თევზი ფართხალეზდა, ულონოდ პირს ალებდა, ბიჭი კი იციროდა და ამბობდა:

— ხედავ, მამა, რამოდენა პირს ალებს და ვერ ყვირის.

წყველმა ომმა მთლად მომიწყვიტა ნაპირს. მტერმა აგვაფორიაქა. გაზეთის საშუალებით გავიგე ჩემი ბიჭის გმირობა.

სერგომ უბიდან გაზეთი ამოაცოცა. გამომიწოდა. მხარბუქიანი ვაჟაკი მიცინოდა გაზეთის ფურცლიდან.

— როცა ეს გაზეთი ვნახე, გავიფიქრე, ამას ჩემ ღელაკაცს მიუტან-მეთქი. მაღე ჩვენი ნავთსადგური მტერმა დაიკავა. გაზეთი და შემრჩან

და სურვილი — მენახა როდისმე ჩემი მოხუცი. აი გათენდა ბედნიერი დღეც. ჩვენები შეტევაზე გადავიდნენ. განთავისუფლდა ჩემი ბიჭი ქალაქი, და მე ისეთი სიხარულით მივეშურებოდი სახლისაკენ, თითქოს ჩემი ბიჭი ისევ პატარა ყოფილიყოს და იქ გელოდა დედის გულს.

მივიღიოდი ქალაქის დანგრეულ ქუჩებში. მესმოდა ჩემივე გულის ძეგრა. ჩემდა უნებურად მუშტები მეკუმშებოდნენ. გულის კუნძულში იმედი მიღვივოდა, იქნებ ჩემი სახლი არ იყოს დანგრეული.

წვიმა ასხამდა. ეს უფრო საცოდავს ხდიდა ქალაქის ნანგრევებს. აი მივალწი ჩვენ ქუჩას. თითქმის მივრბოდი. არც კი ვგრძნობდი, როგორ მცემდა წვიმა სახეში.

— იქ, სადაც ოდესღაც ჩემი სახლი იდგა, სადაც ჩემი ბიჭიყო დაიბადა, საითკენაც ასე მოუთმენლად მიისწრაფოდა ჩემი გული, ნანგრევები და დარჩენილიყვნენ. სადაც ვფიქრობდი გამეტარებინა ჩემი სიცოცხლის უკანასკნელი დღეები, აღარ იყო. ხელს უსვამდი დანგრეულ კედლებს. მინდოდა ამეყენებინა მანდარინის დამტვრეული ხეები, გამეაწორებინა გათელილი ბალახი, ამეზიდა ჩამონგრეული ჭერი, თვალებს ვაცეცებდი, დამნაშავეს ვეჭებდი, მაგრამ გარშემო არაფერ იყო. მინდოდა დამეყვირა, გამეგონებინა ქვეყნისათვის ჩემი ხმა. მაგრამ არც ხმა მჭონდა, ვერც ვერაფერს გაიგონებდა.

ნანგრევებში შევედი. კუთხეში შავი ლანდი დავინახე, ვიცანი, მივეარდი, შევძახე:

— ნატო, ნატალია.

ლანდი მობრუნდა, უაზრო თვალები მომაშტერა. პალარა თმა წვიმას დაესველებინა. ხელში დამტვრეული ლამფა ეჭირა, აცოდვლილებდა:

— ლამფა გამიტეხეს, სერგო შინ არ არის, როგორ ავანთო?

ჩემი მოხუცი საავადმყოფოში მოვათავსე.

ხმელეთზე შუქი ჩამიქრა. კვლავ ზღვას დავუბრუნდი, ჩემი ბიჭი აქაც მომძებნის. დედიჩემის სიტყვები არ გამართლდა: თურმე ზღვის არ უნდა მეშინოდეს.

ალან მიტქევიჩი

მოგონება

გახსოვს, ძვირფასო მეგობარო, წლები წარსული:
ვერცხლის ზოლივით გაწოლილი მდინარე ლაღი,
ქის თავზე ნორჩი აკაციის რტო დახლართული
და ზურმუხტებით მოელვარე აღუბლის ბაღი.

წისქვილი, კალო, ალვისხეთა მწკრივი მაღალი
ტოტების რწევით ამრიალებს მწვანე დალალებს;
დაისის ცეცხლში იძირება მზე ჩამავალი
და ვარსკვლავები ცაზე წყნარად ახელენ თვალებს.

შევდივართ ბაღში. მთვარის შუქი ცივ ლაევარდიდან
გიმზერს ალერსით და ბრწყინვალე ოქროთი გამოსაეს.
რარიგ მწველია შენი მზერა ნათელი, წმინდა,
რა ღრმა გრძნობებით გულში წვდება შენს ერთგულ მგოსანს!

ო, რა ძლიერად ეღერდა შენი სიტყვა ცხოველი!
თვალების ელვა გულზე სხივად მეფინებოდა,
მაგიწყდებოდა შენს ახლომყოფს ქვეყნად ყოველი
და ჩემი ცრემლი შენსავე ცრემლებს უერთდებოდა.

თარგმანი მასწ. გორგაძისა.

ქრისტეანობის გზაზე

სტეპებს ნიავე დაჰკრავს მშფოთარი.
 რა დაბლა არის ზეცა ყუბანის!
 პა, გუმბათებიც სჩანს კრასნოდარის
 და მესმის მათთან მზის საუბარი.
 მე მომიშუშდა უკვე იარა,
 გამოვიხურე ჰოსპიტლის კარი;
 ვარ ნაომარი და ნატყვიარი
 და ფრონტისაგან კვლავ მივიჩქარი.
 კრელ თავსაფრიან პატარძლებივით
 გზად ვამომდგარა ასი ხუტორი,
 და ჩამღულუნებს მინდვრის ზეფირი
 თუ როგორ გაჰქრენ შავი ურდონი.
 აქ ქვემეხების მახსოვს გრიალი,
 დღეს კი შემომხვდა აპრილის დარი,
 ჩაფიქრებული და ნაღელიანი
 ფრიცის სამარის წახრილი ჯვარი.
 ჩამოვისევნებ მე ამ გორაკთან,
 წარმომიდგება ფიქრში ძველი ცა...
 აქ წარღვნის მრუმე ზღვა მოგორავდა
 და წითელი კლდის მკერდს შეელეწა.
 დღეს კი ჯვარი სთვლემს დაღუპულ ფრიცის
 ჩამოლანძღული ფრინველთ სკორეთი
 მე მეცივნება, რომ ნატვრად დარჩა
 მას საქართველო და ინდოეთი.
 ჯვარს აღრიზებს, მხოკავს ნარი და ტვია
 და ზედ წარწერა მის ხვედრს გადაშლის,
 პირველ ბრძოლაში პირველმა ტყვიამ
 თურმე გაჰგზავნა იმ ქვეყანაში.
 მე კი მომიჩნა უკვე იარა
 გამოვიხურე ჰოსპიტლის კარი;
 ვარ ნაომარი და ნატყვიარი
 და ფრონტისაგან კვლავ მივიჩქარი.

შენი

შენია ესეც, ეს ველი, —
ვინა გყავს ხელის შემშლელი —
და სიხარულის მთესველი
დილაც შენია, მზეც შენი.
შენია გულით რაც გინდა
(გულით რა გინდა ვინ იცის!)
შენია დედა მთაწმინდა,
შენია დედა თბილისიც.
შენია ჩემი ზიარი,
ჩვენი ლამაზი მამული,
შენია თავაზიანი
ბარათიც ცრემლით ნამული.
კიდევ მომწერე წერილი,
თვალეზ მაცვალა მერცხალო,
ცალხელა გადარჩენილი
შენად მიგულე მეც ქალო.

ჩაღაპ ახალი

მერცხალს ოჯახში ნუგეშო მიაქვს,
ჩამოგვივათო, ნუ გეშინიანთ.
ლამაზი ვერხვი გულს დაიამებს,
ჩრდილს როცა მოჰტენს ადამიანებს.
ვაშლის ხე, მდგარი ვანმარტოებით
ვაშლით ამაყობს, განა რტოებით.
მე კი ლექსებით ნაცახცახარი,
ეხმინობ — მინდა რაღაც ახალი.

ო რ ნ ი

მივდიოდით ორნი,
 გაზაფხულის სწორნი
 სიხარული გვასვა
 მზემ, სიცოცხლეს მსგავსმა.
 მოვეფარეთ ბუნებებს
 და ტუნები-ტუნებებს
 დავაკონეთ მორცხვად...
 გაზაფხულის სწორნი
 სიყვარულის ლოცვას
 ვასრულებდით ორნი.



გამოთხოვა ოკლოგები

აი ამ მთების სინაზე
 ნისლის პატარა მანდილი
 აი ცეარ-ნაში, დილა, მზე,
 ნაში ძირს ჩამოვარდნილი;
 აი ლობესთან ვერხვები —
 გადაპხვევიან მაყვლები
 მაყვალავ, გადაგვხვევი
 მერე გარიშხალს გაეყვები.
 აი, ამ წყაროს სიცივე
 ნაცახცახარი კუნძები
 მიჩურჩულებენ: იცინე,
 წყალმა წაიღოს ეჭვები.
 როგორ ჩააქრობს იმედებ
 ჩამოფრენილი ქიმერა?
 ყველა ვსთქვი, შემოგობედე,
 ერთი სათქმელი კი ვერა.

ს ი მ ლ ე რ ა

ვუძღვნი ფაშისის წინააღმდეგ
მებრძოლ ვაჟიკა ფხოველს

1

საბადური¹ ხეზე მამლის ყვილი,
მთვარის შუქი შეფენილი ზრამებს,
ლუღღებში² დაბნეული სხივები
გედის ფრთებზე რომ ათევენ ღამეს;
განთიადზე დარჩეული კაკალი
გუშაგვიით შენს ჭიშკართან მღვარი;
თემშარაზე, შენი ფეხის ნაკვალევს
რომ დაეძებს, შფოთიანი ქარი;
აზობში გუთნეულის გუგუნი,
ხარ — ჯიხვებით დაფარული ველი.
იკვლივიდან³ აფრენილი გუგული,
მზის ჩონგური და ლერწამის ყელი;
რუხი მთები, ცის მაღალი თავანი,
ჩამოშლილი ჩანჩქერების ნანა;
სიყვარული — შენი გულის სავანე,
ტრფობის ნიშნად შენახული დანა, —
ველოდება!
ვგზავნი კოცნის ბარათებს.
აივანთან ბუღბუღები სხედან,
და შენს სახელს ექსოვება მარადი
სიშღერა და შარიშერი ხეთა.

2

მიყვარს ღამის ანთებული ჭაღები,
კოცონზე რომ დაიწვევა დარდი.
ორთაჭალის მოშრიალე ბაღები
შენს სახელზე მოწყვეტილი ვარდი.
ოცნებათა მოღუღუნე მტრედები,
რკინის რაში ტყვიასავით მალღ.

1) ერწოში ტყეა.

2) ერწოში სოფელია.

3) ქვემო ერწოში მთაა.

თბილისიდან გზას რომ ავედვენები,
 მესხურება უკვდავების წყალი.
 და გაჭრილი, როგორც სულისკვეთება,
 როგორც სუნთქვა თვალუხუჟუნა ქალის,
 ოქტომბერში წინ რომ შემეფეთება
 აქალაში შემოსული ქარი.
 როცა დღეთა იხურება კარადა
 გამინათებს მარგალიტის თვალი
 და შენსავეთ მიმაცილებს კარამდის
 მტკერის დუღუნი და ფარფატა ქარი.



3

ჩემს სიმღერას უბრალოდ ნუ უცქერით,
 მეც ვიბრძოდი კავკასიის კართან.
 მეც თან მჭონდა რუსთაველის ფურცელი
 გმირობის და სიყვარულის გარდა.
 ჩემს სიმღერას უბრალოდ ნუ უცქერით,
 შეკრულია მზის ნათელი სხვიით.
 გულით დამაქვს ცეცხლი მარად უცვლელი
 და ეს ცეცხლი სტრიქონებში ღვივის.



როგორ? მტრებმა ჩვენ ცრემლები გვადინონ,
 ამოშანთონ სიყვარული წმინდა?
 საქართველო ცეცხლით მოინადირონ,
 ვარსკვლავები გაიტაცონ ციდან?
 დაგვიღეწონ ბაზალეთის აკვანი,
 ქართველები დაეიხოცეთ? არა!
 მას ზომ ჩვენი გმირი მამა-პაპანის
 ხმლის შუქი და უკვდავება ჰფარავს.



ბრძოლის ველი—გმირს სხვა არა უნდა რა,—
 ელვის რაში და მახვილი ხელში...
 ძმავო, როგორც შამხანა და ყუმბარა —
 მეც მიგულე კარპატების მთებში.

1944 წ.

ღაჭრილი აჩნივი



დანაეარდობს ფრთა-ფარფატა ნიაექარი,
 ქუხილია, სდუმს კი ჩემი თოფის ლულა!
 ვწევარ, როგორც დაშვებული იალქანი,
 სისხლი მდის და თვალებს ვლულავ.
 გუშინ ამ ღროს იყო ბრძოლა, მტერთა ძლევა,
 ვერაგები ჩვენი შიშით დღესაც სწუხან,
 მაგრამ ეხლა ნატყვიარი ველზე ვწევარ
 და იმედით თავს მადგია, ერთი მუხა.
 იქნებ ფიქრობთ გორგანელი მტრების ტყვეა
 და არ იცით სისხლში ვცურავ,
 რომ ვიტოვებ უკანასკნელ თოფის ტყვიას
 მტერს რომ შევხვდე ვაეკაცურად.
 აიკეცე, მშობლიურო ცაო, კალთა,
 ღამე შექტა ყვავილები დაიბნიე
 და, ნიაეო, დარიალის რკინის კართან
 წადი უთხარ დედას, მტერი როგორ ვძლიე.
 წადი უთხარ შავთვალემა ქართველ ქალებს —
 შევასრულე მათ წინაშე ჩემი ფიცი,
 რომ სიყვარულს მუდამ გულით დავატარებ
 და ყოველთვის იმ პირველი კოცნით ვიწვი.
 ველზე ვწევარ სახელოვან ხალხის შვილი,
 მოგონებებს აღმაფრენით ვათარილებ.
 ცა დამყურებს მზის დალალებ ჩამოშლილი
 და ჭრილობებს იღუმალი სიო მიხვევს.
 გულში ღვივის იმედი და გამარჯვება,
 ირგვლივ ტყეა, ლომებივით მთები წვანან.
 ჩემ შეფიცულ შაშხანაზე დილა დნება,
 მშობლიური ჩანჩქერების მესმის ნანა.
 ქარო, ქარო, ჩამოხიე ნისლის ფარდა,
 წყალი მასვი, გაღიხენი, ცაო, მკერდი,
 არწივების მოფრენამდე გულის გარდა
 თქვენ მოგანდეთ ჩემი ბედიც.

1944 წ.

ნამგაღა მთვარე

დასასრულის

საიდან მოველ? სად და როგორ მიპოვე მე? — ჰკითხა ბავშვმა თავის დედას.

დედა ფოთოლივით შეიხრა!

ცრემლმორეული ღიმილით გულში ჩაიკრა პატარა და უბასუხა:

„შვილო ჩემო!

ნატერისა და სურვილის სახით დამალული იყავ შენ ჩემს გულში, ჩემი ბავშვობის სათამაშო დედოფალებში გხედავდი შენ...

და ყოველ დღით, როცა თინისაგან გამოვსახავდი ჩემი ღვთაების ხატებას, ამით მე გაჩენდი შენ და ისევ გაუჩინარებდი...

შენ შერწყმული იყავი ჩვენი ოჯახის ღვთაებასთან...

და როცა თავყვანს ვცემდი მას, გადიდებდი შენ... ყველა ჩემს იმედში... ჩემს უსასრულო სიყვარულში... ჩემი დედის სიცოცხლეში... და ჩემს საკუთარ სიცოცხლეში არსებობდი შენ. ჩვენი სახლის მფარველი და უკვდავი სულის მუხლებზე საუკუნეთა მდინარებაში გარწევდნენ...

ნანას გიმღერდნენ...

და გილოლიაებდნენ შენ...

ქალწულობის ეამს, როცა გული ჩემი, უმწიკვლო და შეუბღალავი, პირველად შლიდა თავის ყვავილებს, შენ დაჰკროდი მათში, ვით მათობელა სურნელებს...

შენი ნარნარი და სათუთი სინაზე ჩემი ახალგაზრდა სხეულის ქსოვილებში ისე წარმტაცად იქარგებოდა, როგორც განთიადის ანაბზინი ყამყამა ცაზე მზის ამოსვლის წინ...

ზეცის პირველსაჩუქარო!

დილის მზის სხივების სადარო!

სამყაროს სიცოცხლეთა უდიდეს მდინარეში შეუჩერებლად მოჰკროდი შენ და ბოლოს ჩემს გულში შეჩერდი...

ჩემს გულში დამკვიდრდი...

და როცა შევეკჭერი შენს სახეს, მე თავსა ვხრისაიდუმლოების წინაშე...

შენ, რომელიც ყველას ეკუთვნი, ჩემი გახდი... და იმის შიშით, რომ შესაძლოა დაგკარგო, ხარბად გიკრავ გულში...

ნეტავ რა თილისმამ შემოიტყუა და ამ ჩემს სუსტსა და პატარა ხელებში მოაქცია სამყაროს ეს უძვირფასესი საუნჯე?!“

დასასრული



ქართული
ენციკლოპედია

დროა ჩემი წასვლისა, დედა.
მე მივდივარ!
და როცა დაიხის ფერმკრთალ სინათლეში შენი შვილის საწოლისკენ
წაიღებ ხელებს, მე გეტყვი:
„შენი ბავშვი აქ არ არის“.
დედა, მე მივდივარ!
ნიავეის უნაზეს კრალვად ვიქცევი ამ დროს და მოგიალერსებ...
და როცა საბანაოდ შესცურავ მდინარეში, პაწაწა ტალღად ვიქცევი
მაშინ და კოცნას დაგიწყებ...
და ასე მუდამ: კოცნას...
და ისევე კოცნას...
ქარიშხლიან ღამეს, როცა ხეების ფოთლებზე ახმაურდება წვიმა, ჩემი
საწოლიდან ყრუ ჩურჩულს გაიგონებ...
და ჩემი კისკისი შურდულივით შემოიპყრება შენი ოთახის ნახევრად
გაღებულ ფანჯარაში და ცის ელვაში გაბრწყინდება...
და თუ შენ გათენებამდე არ დაიძინებ და ფიქრებს არ შესწყვეტ შენს
ბავშვზე, მაშინ მე ვარსკვლავებზე აფერინდება და იქიდან გიმღერებ:
„დაიძინე, ჩემო დედავ, დაიძინე!..“
მთვარის მოთამაშე სხივებში ჩამალული, ქურდულად მოვიპარები სა-
ყვარელ სარეცელთან...
და შენს გულზე გავწვები, ვიდრე გამოფხიზლდები.
ძვირფასო დედავ!
მე ვიქცევი სიზმრად!
დახუჭულ თვალების ქუთუთოებში შეგიფრინდება და შენი ძილის
სიღრმეში დავისადგურებ...
და როცა შენ გამოიღვიძებ
და შეშფოთებული მიმოიხედავ ირგვლივ, უკუნეთ წყვდიადში შევფრინ-
დები ვით მოღვივლივე ციციანათლა...
და როცა პუჯას დიად დღესასწაულზე მეზობლის ბავშვები მოიყრიან
თავს და ჩვენი სახლის მახლობლად დაიწყებენ თამაშს, ფლეიტის მომჯა-
დობელ მუსიკაში ჩავდნები იმ დროს და მთელი დღის განმავლობაში
სხვანაირად ავინთებ გულს...
და როცა ჩემი ძვირფასი დედა სადღესასწაულო საჩუქრებით მოვა
შენთან და გკითხავს:
„დაო ჩემო, სად არის ჩვენი ბავშვი?“
მაშინ შენ, ჩემო დედავ, ჩუმად უპასუხებ:
„ის ჩემი თვალების გუგებშია...“
ის ჩემს სხეულშია...
ის ჩემს სულსა და გულშია“.

სათავე

სიზმარი, ასე მომჯადოებლად რომ დაჰქრის ბავშვის ლამაზ თვალებზე, აბა, ვინ იცის, საიდან მოჰფრინავეს იგი?

ამბობენ, მისი სამშობლო ზღაპრული სოფელიაო, სადაც ყველა მთელს ფრთებით განათებულ ტყის ჩრდილებში ორი ჯადოსნული ყვავილია ჩამოშვებული...

იქიდან მოფრინავეს სიზმარი, ასე სიყვარულით რომ ჰკოცნის ბავშვის თვალებს...

ეს ღვთაებრივი ღიმილი, ასე დამატყვევებლად რომ თამაშობს მძინარე ბავშვის სათუთ ტუჩებზე, აბა, ვინ იცის, სად წარმოიშვა იგი?

ამბობენ, ნამგალა მთვარის ნორჩი და ფერმკრთალი სხივი უხილავი ფრთებით შეეხო შემოდგომის გაფრენილ ღრუბელსაო.

და ამ დროს დაიბადა იგი...

ეს მოხდა მაშინ, როცა ვერცხლის ცვრით განბანილი დილა ტკბილ ძილს მისცემოდა...

ეს ის ღიმილია, რომელიც დასთამაშებს ბავშვის ლამაზ თვალებს, როცა მას სძინავეს...

ესოდენ ტკბილი და მიმზიდველი სინაზე, ასე წარმტაცად რომ იფურჩქნება ბავშვის ჩვილ ხელებსა და ფეხებზე, აბა, ვინ იცის, სად იმალებოდა ის ამდენი ხნის განმავლობაში?

ამბობენ, როცა დედა ჯერ ისევ სრულიად ახალგაზრდა იყო, ასეთი ტკბილი და მიმზიდველი სინაზე აღაცხებდა მის გულს უსიტყვო სიყვარულის მათრობელა საიდუმლოებითო...

ეს ის სიამტკბილი, მიმზიდველი და ღვთაებრივი სილამაზეა, ასე მომჯადოებლად რომ იფურჩქნება ბავშვის ჩვილ ხელებსა და ფეხებზე...

მოწოდება

ბნელი დამე იყო, როცა ის სახლიდან წავიდა...

ჩვენ გვეძინა იმ დროს...

ახლაც დამეა ბნელი...

და მე ვეძახი მას:

„დამიბრუნდი, შვილო ჩემო, დამიბრუნდი!..“

სამყარო ღრმა ძილშია წასული...

ვარსკვლავები ერთმანეთს შესტრფიან...

და ჩვენს გარდა ვერაფერს გაიგებს თუ ერთი წამით მოხვალ ჩემთან“.

ის წავიდა იმ დროს, როცა ხეები ახლად იცოკრებოდნენ.

და როცა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა განაფხული მოკრძალებით ახელდა თვალებს...

ახლა ყვავილები წარმტაცად გაიშალნენ და მე ვეძახი მას:

„დამიბრუნდი, შვილო ჩემო, დამიბრუნდი!..“

უდარდელ თამაშობის დროს ბავშვები აგროვებენ და ისევ ფანტავენ ყვავილებს...

და თუ შენ მოხვალ და ერთ ყვავილს თან წაიღებ, ვერაფერს შეამჩნევს... ვერაფერს დაინახავს ამას...

ისინი, რომლებიც იმ დროს თამაშობდნენ, ერთობიან ახლაც.

ასეთი ყოფილა ცხოვრების კანონები.

მე ყურს ვუგდებ მათ დაუსრულებელ ტიქტიკს და ისევ ვეძახი...

ისევ მოგიწოდებ შენ:
 „დამიბრუნდი, შეილო ჩემო, დამიბრუნდი!..
 დედის გული აღსაესება შენდამი სიყვარულით“...
 და თუ შენ მოხვალ და მის გამშრალ ტუჩებს ერთ ვმხურისუმიერც გა-
 მოსტაცებ, არავის შეურაცყოფს, ერთ ვმხურისუმიერც გა-
 არავის გააჯავრებს ეს. ზ ი ნ ლ ი მ ი თ ე ნ ა

წვიმიანი დღე

ქარიშხლიანი ღრუბლები ელვის სისწრაფით გროვდებიან შავი ტყის
 თავზე...

ო, ბავშვო, არ გამოხვიდე!
 ტბასთან ჩამწყრივებული პალმები მადლა-მადლა მიისწრაფვიან და
 ღრუბლიან ცას ახლიან თავებს...

ტამარისკის ტოტებზე ყუჩად სხედან ფრთებშესვრილი ყვავები... მდი-
 ნარის აღმოსავლეთით ფარდასავით ეშვება შავი ბურუსი...

ღობზე მიბმული ძროხა ხმამადლა ბღავის...

ო, ბავშვო!

აქ დამიცადე!

მე ძროხას წაეიყვან ბოსელში.

ადამიანები ჭიანჭველებივით მოსდებიან აზღვაებულ მინდორს...

და ხარბად იჭერენ ადიდებულ ტბებიდან გაღმოსულ თევზებს...

ცოკისპირული წვიმა, ჩქარ ნაკადულებად ქცეული, ისე მიექანება ვიწ-
 რო ბილიკებზე, როგორც მოხითხითე ყმაწვილი, დედის გასაჯავრებლად
 რომ გარბის სახლიდან...

ყური დაუგდე:

იმ ნაპირიდან ვიღაც ეძახის მეზორნეს.

ო, ბავშვო!

დღის სინათლე ჰქრება და ბორანზე გასასვლელი გზაც ჩაკეტილია...

ცა თითქო ელვასავით მიფრინავს გაშმაგებული წვიმის ეტლით.

მოუთმენლად...

მაღალი ხმით კენესის წყალი მდინარეში.

ქალები საგსე კოკებით ადრე გამოეშურნენ განგიდან.

ღროა განვაშადოთ ღამის სანათურები...

ო, ბავშვო, არ გამოხვიდე!..

ბაზრისაკენ მიმავალი გზა დაცარიელდა...

მდინარისაკენ ჩამავალი ბილიკიც მოლოძულია...

გაბოროტებული ქარი ლერწმის ტოტებში ისე საზარლად ღმუის და
 ღრიალებს, როგორც გარეული ნადირი, რომელიც რკინის ბადეში გახ-
 ლართულა...

ლეღვის ხე

— თი, შენ ჭოჩორა ლეღვის ხეო, ასე განმარტოებით რომ დგახარ
 გუბურასთან...

შენ ისევე მალე დაივიწყე ბავშვი, როგორც ის ჩიტი, რომელიც ერთ
 ღროს შენს კენწეროზე ცხოვრობდა და გიგალობდა.

ნუთუ შენ სრულიად დაივიწყე ის ბავშვი, რომელიც ჩაფიქრებული
 იჯდა ე მაგ ფანჯარასთან

და განცვიფრებული იყო შენი ფესვებით, ბადესავით რომ გაშლილან და ღრმად წასულან დედამიწის წიაღში?

ვოკების ასავსებად მოდიოდნენ შენთან ლამაზი ქალები...

და გუბურზე გაწოლილი ჩრდილი შენი ისე ზანტად დაეკრძალებოდა, როგორც ღრმა ძილში წასული ადამიანი გამოფხვლებს უძროს... მოციმციმე ტალღებში მაქოსავით დაუღალავად ცეკვავდა მზის სხივი და ოქროს ხალიჩას ქსოვდა...

ლერწმიან ნაპირებთან დაცურავდა წყვილი იხვი და ბავშვი იჯდა ფანჯარასთან ჩუმად, მარტოდ-მარტო და ფიქრობდა...

ის ნატრობდა ქცეულიყო იმ ნიავედ, რომელიც ასე ლამაზად ამოძრავებდა შენს მაღალ ტოტებს...

ის ოცნებობდა ქცეულიყო იმ ჩიტად, რომელსაც უყვარდა ხის კენწეროზე ჯდომა... და ქანაობა ცის სივრცეში ისე, როგორც ლერწმით ამღვრებულ გუბურში მოცურავე წყვილ იხვს...

ბადესავით დაბლართული ფესვებით და ფართოდ გაშლილი ტოტებით დღე-ღამეების განმავლობაში უძრავად დგაბარ შენ, მოხუცო ლელვის ხეო, როგორც ცოდვილი აღსარების სათქმელად. მოიგონებ თუ არა ზანდაზან მაინც იმ ბავშვს, რომელიც შენზე ფიქრობდა და ოცნებობდა?

დედის გარდაცვალება

იმ ღამეს, როცა დედა გარდაიცვალა, ჩვენ ღრმად გვეძინა საწოლ ოთახში.

კარვად არ მახსოვს, რა დრო იყო, როცა უეცრად ყვირილითა და გოდებით შემოიჭრა მოხუცი გადია და ქვითინით გვამცნო: „ოი, ბავშვებო, თქვენ დაპკარგეთ ყველაფერი!“

ჩემმა დეიღამ შეაჩვენა ის ამისათვის და ოთახიდან გაიყვანა...

მას ეშინოდა, რომ ჩვენ გონებას დაგვკარგავდით...

ამ სიტყვებმა შეაშფოთეს ჩემი მყუდროება...

გული თითქო დაგორდა ადგილიდან, მაგრამ მე მაინც ვერ გავიგე, რა მოხდა... და როცა აივანზე გავედი, დაეინახე დედა...

სახლის ეზოში თავის სარეცელზე იწვა ის...

მისი მშვიდი და გაბრწყინებული სახე სრულიად არ გამოხატავდა სიკვდილის საშინელებას.

დილის მზის ოქროს სხივებში ისე ლამაზად და მომზადობლად გამოიციქირებოდა ის, რომ ჩემთვის აუხსნელი რჩებოდა, თუ რა იყო იქ საშინი.

სიკვდილის სანახაობა ამ დილის სინათლეში ისეთი ლამაზი და მიმზიდველი იყო, როგორც შეუშფოთველი და მყუდრო ძილი...

და მე კიდევ ვერა ვხედავდი იმ უფსკრულს, რომელიც არსებობდა სიცოცხლესა და სიკვდილს შორის...

და მხოლოდ მაშინ, როცა დედის სხეული გაიტანეს ვარებიდან და ჩვენ მივუახლოვდით იმ ადგილს, სადაც უნდა დაეწვიათ იგი, სული ჩემი მოიცვა ქარიშხლიანმა მწყურებამ იმის გამო, რომ ჩემი საყვარელი დედა ვერასდროს ვეღარ შემოაღებს ამ კარებს და ვერ დაიჭერს ჩვეულ ადგილს თავის სახლში...

განთიარო*

თანამედროვე ცხოვრებიდან აღებული სოფლური სურათები
ნ მოქმედება

მოკმედება მისამე

მდიდარი გლეხის ოთახი, ტახტზე წამოწოლილი კიკოლა და ყალიონს სწვენ.
საყვარლისეული კუთხეში სკივრს მიჯდომია და ილაგებს.

გამოსვლა პირველი

კიკოლა და საყვარლისეული

კიკოლა—დედაკაცო! აა, დედაკაცო!
საყვარ.—(პირმოუბრუნებლად) შენი დედაკაცი სოფელში გეყოლება და
იქ მოიკითხე!

კიკოლა—(წამოჯდება და ყალიონს ხელის გულზე ჰფენთხავს) უკაც-
რავად, უკაცრავად! ქალბატონო, ბატონო, მარიამ დედოფალო, მზე-
ხათუნ ბატონიშვილო! არც ახლა გესმის?

საყვარ.—რა იყო, რა ღმერთი გიწყრება?

კიკოლა—ღმერთი მტერსა და ავს უწყრება! რომ გეუბნებიან, არ გე-
ყურება? მართალია, დიდკაცებში ხარ გართული, მაგრამ არც სულ
მაგრე ვარგა, რომ ძალადაც აღარ მჯდება. ძლივს მოგაგონდა ოჯა-
ხი და ეხლაც კიდევ ხმის ამოდებას აღარ კადრულობ.

საყვარ.—(მიუბრუნებს პირს) რაო, მოგეწყინა უჩემობა?

კიკოლა—ან აგრე იქნება და ან ისე. სხვა რამ არა იყოს—რა, მარტო
შეჩვევაა და უშეჩვეული პირიც კარგიაო, ნათქვამია. ამ სიბერის
დროს მარტო ყოფნა ობოლივით რა კარგი გგონია. უჯმაჯურა რომ
დამეცეს, შემქანებელი არავინა მყავს შინ.

საყვარ.—სად არის ი შენი ნებიერი ბიჭი? რატომ არ მოგხედავს
ზოლმე?

კიკოლა—რომ არ დამიყენე შინ? რაც შენ იმას ეჯუჯღურებოდი...
ველარ აიტანა და სანამ არ გამოვდე, არ მოეშვი.

საყვარ.—რა შორს წასული ის არის, ემანდერ არა გყავს კარის ყურზე,
მოვიდეს და მოგვიაროს ზოლმე...

კიკოლა—ორ ოჯახს სად გაართმევს თავს! როცა მოიცილის ზოლმე, ვი
არ ეზარება. აბა, ისიც რომ აღარ მყავდეს...

- საყვარ.—თუ მანგრეა და გამოვიდეს, რას შეყურეუტებს იქ?
- კიკოლა—ჯერ ყავლი არ გასვლია.
- საყვარ.—ყავლი თუ არა ბევრს რამეს კი გამოვლის იმათგან?
- კიკოლა—ეგ ზომ მანგრეა, მაგრამ პირს მაინც ვერ გინჯავს...
როგორ უღალატებს! კაცია, უღვაში ასხია და ქუდზე მსურავს...
- საყვარ.—ჰო და, ბრძანდებოდე მანგრე...
- კიკოლა—შენ კი წიხლი უნდა მკრა ამ სიბერის დროს?
- საყვარ.—(მიუჯდება გვერდით) მოგენატრა ჩემი თავი?
- კიკოლა—(იციინის) ცოლი მაინც სულ სხვია.
- საყვარ.—ოო, აბა, მანგრეა, იცოდე! ახლა ზომ გაიგე?
(ხელს ჩაუფარებებს გულში).
- კიკოლა—მაგას რა დიდი ცოდნა უნდა? ორმოცი წელიწადი ტყუბლა სოკოსავით ერთმანეთს შევაბერდით და ახლა რაღა დროს გაშორებაა!
- საყვარ.—(აღერსით) ვინ გშორდება მერე, შე უსამართლოვ?
- კიკოლა—მა რა არის, ამდენი ხანია, სახლისკენ პირი აღარ გიქნია...
- საყვარ.—რა ვქნა, გენაცვალე, ის ყმაწვილიც ცოდვია. მარტოხელია, ახალი მოსახლეა, იმოდენა ოჯახობაა, იმდენ სახლკარობას თვალყურის გდება არ უნდა?
- კიკოლა—თვითონ ვერ მოუვლის? გამდლები ეპირებება?
- საყვარ.—თვითონ რომელ ერთს გასწვდეს! მტერს გაუძლოს თუ მოყვარეს. ათასი საქმე აქვს, ენაცვალოს დედა აქეთ მოდის, იქით მიდის. ახლა კიდევ იმ შავ ქვაში გაება და შენ გინდა, ხელი შეუშალო?
- კიკოლა—ღმერთმა ხელი მოუშაროს, მე რა შემშლელ ვარ, მაგრამ ჩვენც ცოდვა ვართ...
- საყვარ.—არა გვიშავს-რა... ცოტა კიდევ მოვითმინოთ, მტრებს ნუ ვავხარებთ და მერე, როცა ღმერთი მის ბედნიერებას მოგვასწრებს და დაცოლშვილიანდება, ის მისთვის და ჩვენ ჩვენთვის.
- კიკოლა—რავა, ფიქრობს ცოლის შერთვას?
- საყვარ.—იმას არა უთქვამს-რა, მაგრამ მე კი მგონია. ვატყობ, ერთი ვინმე მოსწონს, მაგრამ როგორღაც ვერა ბედავს. შენ ვერას ატყობ?
- კიკოლა—თუ ის არის, ვატყობ კი არა, მეტიც არის.
- საყვარ.—უი, სტყუი, სტყუი, არ გეცოდინება! აბა თუ გამოიცნობ?
- კიკოლა—რომ გამოვიცნო, რა წინძლევა?
- საყვარ.—ახალუხს შეგიკერავ.
- კიკოლა—რად მინდა შენი ახალუხი, ახალუხები ცოტა მაქვს! ჯერ ერთიც არ დამიგლეჯია.
- საყვარ.—აბა, რა?
- კიკოლა—ერთი მაკოცნიე მაგ კუდიან თვალბში.
- საყვარ.—(იმანკება) იიი, რა გუნებაზე ხარ? რა დროს შენი ეგ არის, შე ბებრუტუნავ, აღარ მოგწყინდა?
- კიკოლა—რა შეავე პანტა ეგ არის, რომ მომწყინდეს შენი კოცნა...
- საყვარ.—(იციინის ზუნტრუტით) ბებრუტუნა! ბებრუტუნა! ბებრუტუნა!
(ვითომ გარბის) შეავეა, კბილები რომ მოკვეთილი გაქვს?
- კიკოლა—(ხელს წაავლებს) სხვა თქვი რამე, თუ არა ტუჩები კი არ გამხმობია, ასეთს გაკოცებ, რომ ტყავი აგართვა (მოეხვევა და კოცნის).

გამოხვლა მეორე

იბინიე და ნუცა



ნუცა—დილა მშვიდობისა! დილა მშვიდობისა!
(კიკოლა და საყვარლისეული შეკრებიან).

საყვარ.—უი სირცხვილო და სიკვდილო! დამიდგეს თვალების შე სულ წაწყვედილო, რა მიყავი? (ნუცას) წამომეპარა და სირცხვილი მაქამა.

კიკოლა—(იციანის) აბა რას სტყუი? სტყუის, ამ კუდიანმა თვითონ ამაცუნდრუქა, არ მომეშვა.

საყვარ.—ისემც შენ გაიხარე, მართალს შენ ამბობდე!

ნუცა—გაამოსთ, გაამოსთ! ცოლ-ქმარში ალერსი რა დასაძრახია?

საყვარ.—შენ კი იხარე, მაგრამ რაღა დროს ჩვენი ხუმრობა-ხუნტრუცობის დროა?

ნუცა—საქმეც ეგ არის, რომ საყვარული სიბერემდის თან მოგყოლიათ, თვარა...

კიკოლა—მართალსა ბრძანებთ, მე და ჩემმა ღმერთმა! სიბერე თქვი, თვარა სიყმაწვილე უსიყვარულოდაც არ იმადლება ზევნა-აკოცნას. დაბრძანდით, შენი ჭირიმე.

ნუცა—არა, დასაჯდომად არა მცალიან.

საყვარ.—რაზედ ვარჯილხარ, გენაცვალე?

ნუცა—ლექსო არ დაბრუნებულა ამდენი ხანია და ხომ არა იციან-რა?

კიკოლა—სად გაიხლათ?

ნუცა—სულში არ იყო დაბარებული? ამდენს ხანს რას უცდის? დილას აქეთია...

საყვარ.—არ გამოუშვებდნენ, შენ გენაცვალე, თვარა სხვაგან სად წავიდოდა.

ნუცა—ეგება დააკავეს.

კიკოლა—დაკავეებით რომ დაეკავებიათ, როგორ ვერ გავიგებდით? არა, ასე იციან იმ ოჯახქორებმა, დაბარებით აღრე იბარებენ და საქმის გარჩევას კი გვიან შეუდგებიან ხოლმე. ტყუილა კი არ არის ნათქვამი: „მაძღარ ზუცესს მშვიერი დიაკონიც კი მაძღარი ეგონაო“. ისინი საუზმით გამოიტიკნებიან ხოლმე და ხალხს კი შიმშილით სწყვეტენ. მოშორება არა შეგიძლია, უნდა ზალაში უყურყუტო და უყურყუტო. თვარა თუ ერთი წუთი გარეთ სადმე გაგიგულეს, მაშინვე საქმეს მოგისპობენ და რას იზამ, სადღა წახვალ?

ნუცა—თუ მოვიდეს, მალე გამოგზავნეთ, სახლი მართოა, ჩემს ამარად.

კიკოლა—მამა თქვენი სადღა ბრძანდება?

ნუცა—დღეს ჭიათურაში წავიდა, ფულის საქებრად!

კიკოლა—დათიკო?

ნუცა—(იციანის) საყვარლისეულს ჰკითხე... სად იქნება, თუ არ მიხას-თან! ერთმანეთს აღარ შორდებიან... მშვიდობით, მშვიდობით!
(გარბის).

საყვარ.—ვერც ეხლა მიხვდი? ხომ გამოიცანი?

კიკოლა—რაღა გამოცნობა მინდა, რომ ისეც ვიცი, ვინც არის. მე მაშვალიც მომიგზავნეს და...

საყვარ.—(გაკვირვებით) რას ამბობ? ვინა, ვინ არის?

კიკოლა—ვინ უნდა იყოს, ვინა და შუკაკიძის გოგო.

საყვარ.—(ცხვირის ბზუკით) ირინე? იპი მეზი კი დაგაყარე მაგ გამოჩერჩეტებულ თავზე! ეგ არის, გამოვიცანიო. მერე  მისხას საკადრისია?

კიკოლა—რატომ? ამ ჩვენს სამამასახლისოში ტოლი არა ჰყავს და გლეხის პირობაზე მზითევიც კარგი აქვს.

საყვარ.—ნეტაეი თუ მართლა ამბობ, შე გამოყრუებულო? მერე და მისხა იმას შეერთავს? იმანაც რომ მოინდომოს, გაბრიყვდეს, მე შევართევიინებდი ჩემი ცოცხალი თავით! მეტი რაღა მიქნია, ვახუხულ სოფლის გოგოს წამოვავუნტებ ქვეყნის სასაცილოდ იმ ხემწიფის სარაიაში და იმდენ ყოფა-ცხოვრებას დაეპატრონები მე სულ სხვა მყავს არჩეული.

კიკოლა—ირინეზე უკეთესი?

საყვარ.—მაშ არა და...

კიკოლა—ვინ მაინც?

საყვარ.—ვინ და ის.

(თითხ აშვებს კარბისაკენ).

კიკოლა—ნუცა? რას ამბობ? ეგ კი როგორღაც არ მომდის ჭკუაში. აზნაურის მოყვრობა რა ჩვენი საქმეა? იმათი ქალი ჩვენს ქოხში არ გამოდგება.

საყვარ.—(უბრკელოდ) მერე და ვის მოჰყავს შენს ქოხში? იმათ თავისი სასახლე ექნებათ და იცხოვრებენ თავისთავის.

კიკოლა—კი, მაგრამ მართო შენი სურვილი ხომ არა კმარა?

საყვარ.—ისინი კი უარზე დადგებიან თუ? ვერ ატყობ, სტუმრობა რომ დაგვიხშირებს და ნუცაც წამდაუწუმ ჩვენსას დაიტუნტულობს, შენ გგონია, უაზროდ ძვრებიან? ანგარიში არა აქვსთ-რა?

კიკოლა—რა ვიცი, რა ვიცი... მაგრამ არა მგონია კი, სხვა თუ რამე აქვთ გუნებაში, თვარა... სპირდონი სასახლეში გამოთაღლითებუღია და, ხომ იცი, შემოდგომის აზნაურის ამყობა?

საყვარ.—იმას ვინ რაღასა ჰკითხავს? მე დათიკოსთან კიდევ მოვილაპარაკე და...

კიკოლა—ჰმ! მისხას კი უნდა?

საყვარ.—ნდომით როგორ არ უნდა, მაგრამ ცოტათი ჩაფიქრებულია.

კიკოლა—ოღონდაც, უმართებს... აზნაუშვილის ქალია... ძნელია... მე კი რომ მკითხოს კაცმა, ირინეს ვარჩევდი.

საყვარ.—(წყენით) იპი არჩევდი და გყავდეს! მაგერ არა გყავს მეორე შვილი?

კიკოლა—მაინც მანგრე უნდა ექნა, მე და ჩემმა ღმერთმა, თვარა ისინი ჩვენ აღარ გამოგვადგებიან, წაელენ ჩვენი ხელიდან.

საყვარ.—მისცემენ კი იმ შენს ლექსოს?

კიკოლა—რა აქვს დასაწუნარი, რომ დაიწუნონ? თვალ-ტანადად კარგია და მუშად, წიგნი კარგი იცის და წერა...

საყვარ.—კიდევ ეგ არის მისი უბედურება, რომ წიგნი და წერა იცის. სულაც მაგითი შეაძულა ქვეყნას თავი... ბრუნდსა და მართალს შიორებით აღარ ასვენებს... ახლაც ერთი ამბავი აქვთ გადაღმა... ასეთი

რამ გამოუთქვამს:

„მალე ვნახავთ გლეხკაცები
თავდაზნაურებსაო,
რომ კარი-კარ დადიოდნენ,
თხოულობდნენ პურებსაო“.



ქიკოლა—იმე, იმე, მაგას როგორ იტყოდა?
საყვარ.—ჩემი მიხაც რომ გამოულანძლავს:

„მოვესწრები მიხასაო,
რომ ლოკავდეს თიხასაო“.

მანამდი ნუ გაუხარია, სანამ მისმა ძმამ სამოწყალოდ ხელი არავის
გაუშვიროს და არც არა ლოკოს-რა!

ქიკოლა—რადა წყევლი შეილს? ეგება ტყუილია? მე კიდევ არა მჯე-
რა. ბევრი ჭორები იციან ჩვენში.

საყვარ.—შენ სულ მანგრე იცი მისი გამოსარჩლება. ის კი არა, თუ
მამა ვარ, დავარიგოვო, ჭკუა ვასწავლოვო.

ქიკოლა—ჩემგან ჭკუის სასწავლებელი იმას არა აქვს-რა, და შენ თუ
არ მოგწონს, რატომ არას ეუბნები დედაშვილურად და სიამ-ტკბი-
ლობით. ვითომ არ დაგიჯერებს აუ? რაც იმას, შენი ხათრი და სი-
ყვარული აქვს—მეტი არც კი გაგონილა. მაგრამ შენ რომ არა ჰხე-
დამ. ბევრი ჰოი, ჰოი ცხენსაც გადარევესო. სულ უჯავრდები, ერთ
ტკბილ სიტყვას არ გააგონებ, კაცია ისიც, აღამიანი.

საყვარ.—ჩემი ჯიგრის ამბავი მე უკეთ არ ვიცი. ეგეც ვცადე, მაგრამ
არა გამოვიდა-რა. ის მაინც თავისას არ იშლის. ღმერთმა ნუ მისცეს
კეთილი მაგზს მანგრე გამბრიყვებელსაც და გადამრევესაც!

გამოსვლა შესაბამე

ინიჩე და ლექსო (შემოდის ქალღმერთი ილიაში)

ლექსო—დილა მშვიდობისა! უპ, რა დავიღალე!
(ჯდება).

ქიკოლა—სად ყოფილხარ, შეილო?

ლექსო—სუდში!

ქიკოლა—სუდში? რად დავიბარეს?

ლექსო—შარშანდელ საქმეზე, არუთენამ რომ მიჩივლა.

ქიკოლა—მერე?

ლექსო—არაფერი, გამამართლეს და გამომიშვეს.

ქიკოლა—ძალიან კი ტრაბახობდა, უნდა დაეკარგოვო...

ლექსო—არა გაუვიდა-რა, თვარა კი არ დაუზოგივარ. თითონვე გა-
ამტყუნეს.

ქიკოლა—მოწმეები ვერ იშოვნა თუ?

ლექსო—ჰყავდა ორიოდე მოქეიფე ყმაწვილები, მაგრამ ჩვენებმა
სთქვეს ჩემს სასარგებლოდ. მოსამსახურეებმა, ვინც კი იყვნენ იქ იმ
დღეს, ყველამ მართალი აჩვენა და ივანე ბუფეტჩიკმა ზომ სულ
მღუღარე გადაასხა მის ცრუ მოწმეებს, პოლიციის პროტოკოლიც
ყალბად იცვენს.

ქიკოლა—დავასხი თავსლადი! ეგ რადა მოგიტანია?

- ლექსო—არაფერი, ბიბლიოთეკაში გამოვიარე და წიგნები წამოუღე პალატონს, ეს კი (მიუთითებს) ახალი გაზეთია.
- კიკოლა—მანგრე რას გაუბერია?
- ლექსო—ცოდვას... განცხადებაა, ბანკის მამულები იყიდებოდა...
- საყვარ.—ჯერ არ გაგვიგონია, არ გამოუცხადებიათ?
- ლექსო—ქვეყნისა... ვილა დაუტოვებიათ ყოველ წლებით ორ-ორჯერ სულ ეს ალიაქოთია... ამან დაუქარგა ფერიც და ხორციც მამულის პატრონებს... კლეში ვარდებიან.
- კიკოლა—მართლა რომ კლეშია, ეგ შეჩვენებული ბანკი ვისაც გაუყიდის, ხომ მორჩა და გათავდა და ვისაც არა, ისე აწვალებს დიდხანს და მერე ერთხელაც არის თავისას გაიტანს.
- საყვარ.—ჰმ თავად-აზნაურობა ილუპება და თქვენც ეგ გიხარიათ რაღა...
- ლექსო—როგორ თუ გეხარია, რას ამბობ, დედი?
- საყვარ.—გიხარია და შაირებიათაც შანს უგებ?
- ლექსო—ვერა გამიგია-რა...
- კიკოლა—გემდურის, შეილო, დედა შენი...
- ლექსო—(გაკვირვებული) გემდურის? დედა შეილს როგორ დემდურება?.. მაგრამ, ალბათ, მიწყრება რაზედმე. დედი, რა ამბავია ჩემს თავზე, რა დამიშავებია, რა მიქნია?
- საყვარ.—მეტს რაღას იზამდი, ქვეყანა კი გადაგვიდღე და... ქვეყანას შენ არ ასვენებ და ქვეყანა კი ჩვენ შენი გამოოსობით... შენმა მოშაირობამ ლამის გადაგვასახლოს...
- ლექსო—ჩემმა მოშაირობამ? ვის რა დავა აქვს?
- საყვარ.—აბა რა დასაწერი იყო ის რაღაც უწმამური რომ დაგიწერია?
- კიკოლა—ჰო, თუ მართალია? მაღე მოვესწრები, რომ თავად-აზნაურები პურის თხოვნას დაიწყებენო და მათხოვრად ყარზე მიადგებიან გლეხკაცებსო.
- ლექსო—(გულმოსული) შევარცხვინე თქვენს გარდა მაგის მოქმელი ამას ვილაც ოხერი, უქვეო და უსინდისო დასწერდა, თორემ მე რა გამავლებინებდა გულში... ჩვენი მიწის შეილო, ვინც უნდა იყოს, განა ასე შემეტება, რომ მისი უბედურება ვინატრო და შანიც მოუგო? ე, რა ცოდვია ჩემს თავზე, დედა ჩემო, რომ კარგი ვერა დაგანახვე-რა და ცუდი კი გვერა.
- საყვარ.—მე რომ კიდევ არ დავიჯერო, ქვეყანას ხომ სჯერა.
- ლექსო—მე ქვეყანას რას დავსდევ, დედა რომ ხარ, მე შენი ხათრი და სიყვარული მაქვს და არ მინდა, რომ შენ გეწყინოს რამე.
- საყვარ.—ოჰ, ოჰ, ოჰ ეგ მოქარგული ენა რომ არა გქონდეს...
- ლექსო—არა, დედა, მოქარგულია თუ რაც არის, გულში ამონადებია და ტყუილად ნუ მიჯავრდები!
- (ცხვეა დიდას).
- საყვარ.—მაშ არც მიხაზე დაგიწერია, რომ მთელი ბაზარი იცინია ჩემჩუმაღ.

„მოვესწრები მიხასაო,
 რომ ლოკადეს თიხასაო“.

ლექსო—რას ამბობ, დედა ჩემო, მაგისტანა მართლა და ბაზრული შაინრები როლის ვისმეზე გამოითქვამს, რომ ძმაზე გამოითქვამს? აქაო და დედა ჩემს ვასიამოვნო მეთქი, შენი გულსათვის ყმასავით ვემსახურებოდი მიხას, დღესაც პატივისმცემელი ვარ და... ვერა დაგანახვეთ-რა...
გინგალოცო

საყვარ.—რაში სჩანს ეგ პატივის ცემა, რომ თოფის სროლაზე არ ეკარებები? ის კი შენზე მაინც კარგი გულით არის... გუშინაც, შენმა გახარებამ, მეუბნებოდა შენზე: „რად იჭირებებს საქმეს სხვებთან მოჯამაგირობით, მოვიდეს ჩემთან, ღმერთს ჩემთვის ბევრი მოუცია, ჩადგეს საქმეში და იხეიროსო... ფულითაც შეუწყობ ხელს და რჩევითაცო. მოკიდოს ვაჭრობას ხელი... დღეს, ვისაც კი ჰქვია აქვს, ყველა იმას მისდევსო“. ასე ამბობს ის, ნუ მოუტყდეს ის დედას. მაგრამ მამი შენისა არ იყოს, რომ ვერას შეგაგონებსთ კაცი, რაღაც ჯიუტი მოდგმისა ხართ...

ლექსო—მადლობელი ვარ. განა არ ვაფასებ მაგ სიკეთეს... მაგრამ არ მინდა, რომ მამა-პაპურ ანდერძს ვუღალატო.

საყვარ.—რა ანდერძს, შეილო?

ლექსო—გლეხი ვარ და გლეხად უნდა მოვკვდე, მიწის მუშად.

საყვარ.—რომ არა გამოდის-რა მაგ მიწის მუშაობიდან. ტყუილა ბებერას იჯენთ ხელებზე ნამგალ-თოხის ტრიალით.

ლექსო—სწორედ მაგ ნამგალ-თოხს ვერ გავცელი ლიტრა-არშინზედ, სამეურნეო იარაღის ტრიალი წმინდა საცეცხლურის კმევაა და მიტომაც ნაყურთხია მუშის მარჯვენა...

კიკოლა—მართალს ამბობს, მე და ჩემმა ღმერთმა!

საყვარ.—მე კი ვერა გამიგია-რა და... სად საცეცხლური, სად თოხი, რასი ლიტრა და ვისი არშინ-აღლი რომ არაფერი ჩემი სიტყვის პასუხია?

ლექსო—ყური დამიგდე და გაიგებ დედა. მოჭრით გეტყვი: გლეხი ღეთის მუშაა და ვაჭარი—ეშმაკის. ღმერთმა რომ კაცი მიწიდან გააჩინა, მიწა მისცა სარჩოდ, რომ მერე ისიც მიწამ შესჭამოს და რომ სიცოცხლეცა და სიკვდილიც გაუადვილდეს ადამიანს, თფლით უნდა რწყოს და არბილოს მიწა.

კიკოლა—(სიხარულით შეჭყურებს) ჰმ! მოდი და ნუ დაიჯერებ!

ლექსო—ვინც მიწას მუშაობს, ღმერთს ვერ მოშორდება, სულ იმის ფიქრსა და ვედრებაშია, რომ ჰირნახელი არ გაუფუტდეს; აი, ღმერთო, ახლა დარით, ახლა ავდარით, სეტყვა აგვაშორეო და სულ ამგვარი ვედრება... ვაჭარი კი ეშმაკისაკენ იწევს. სულ იმას ჰფიქრობს, თუ ყალბი და დამპალი საქონელი მოტყუებით როგორ გავასალოო, წონაში დავაკლოო, ზომაში მოვიპაროო, და ვინ მოსთვლის კიდევ, რაები რამ... და ამიტომაც საბოლოო არა არის-რა. სადაც ღმერთი არ არის და რაზედაც ზეცის ბეჭედი არ დაკრულა, ის ხანგრძლივი როდია. აბა, თუ უნახავს ვისმე, რომ ვაჭრობა გვარში დიდხანს გაგრძელებულიყოს? მამის ნაარში შეილს აღარ შერჩება და საშვილისშვილოდ ძვირად გადადის.

კიკოლა—მართლა რომ, მე და ჩემმა ღმერთმა!

ლექსო—გლეხის ლუკმა ვი სულ უკვდავი და გამოუღვევლია. ცოტაა,

მაგრამ რაც არის, გემრიელია, თუ სხვებზე არ გაიწყობა იმანაც ღმერთი... ამას გარდაც, ვანა მიწის მუშაობა კი უნდა იქნება ისიც შრომა-გარჯაზე და მოკიდებული. ვინც ბევრს იშრომებს, ბევრს შეიძენს და ბევრიც ეწეება სულის გაუყიდლად. ახლა, ~~მეტი~~ მიწის მუშა ზეცის მუშაა და მისი შრომა ღვთის სამსახურში... მე ვხედავ ვერ უღალატებ.

კიკოლა—(გახარებული) მართლა, მართლა, ეგ მეც ბევრჯერ მიფიქრია, მაგრამ გამოთქმით ვერ გამომოთქვამს შენსავეთ, შვილო.

ლექსო—კაცია და გუნებაო, ზოგს ერთი იამება და ზოგს მეორე... მე ეს ხელობა მომწონს და სხვას რაც მოსწონს, იმას უნდა დაადგეს... მიხვას ვაჭრობა აუღია და ღმერთმა ხელი მოუშართოს! თქვენც იმას შეუწყვეთ ხელი, ამასთან იხარეთ და მე ჩემს გზას ნუ გადამახვევინებთ.

კიკოლა—როგორც გული გირჩევდეს, ისე მოიქეცი, შვილო. ვიცი, უღმერთოდ შენ არას ჩაიდენ და სადაც ღმერთია, იქ ვაჭირვება ადვილი ასატანია. ახლა კი ადექი, შვილო, ნუღა იგვიანებ, ნუცა გკითხულობდა.

ლექსო—ქალბატონი? სად ნახეთ?

კიკოლა—აქ იყო, დაგეძებდა, შინ არაფერ არისო...

ლექსო—მართლა? (წამოვარდება ზეზე) მშვიდობით, მშვიდობით დედი (მიდის, დიდი ხნის სიჩუმეა ჩამოვარდნილი. ცოლ-ქარი დადიკრებულია).

კიკოლა—(გამოფხიზლდება) ჰმ! რას იტყვი, ქალო?

საყვარ.—იპ, მაგას სიტყვას ვინ მოუგებს, მე შენ გეტყვი ვერ დაგაჯერებს!

კიკოლა—იმიტომ, რომ მართალს ამბობს, რაც სთქვა, არ გენიშნა? სულ სახარების სიტყვა იყო.

საყვარ.—კიდევ ეგა მკლავს, ნეტავი მაგისთანა მაინც არ იყოს ეგ სადაგელი, მაგრამ რად გინდა: ცხოვრება წალმა მიდის და ეგ კი, მაგის ნიჭის პატრონი, უკან ექცევა... ისე თავის უბედურია... ფეხს ეერსად იკიდებს. მოშაირ-მოზღაპრობა რა მაგის საქმეა, მაგრამ იმან გადამიორია, იმ ღვთისა და ხელმწიფის მოღალატეში!

კიკოლა—ვინ?

საყვარ.—ვისთანაც იყო და ვისიც ნაკურთხები!

კიკოლა—ჰო, კარგი რომ ი ბიჭთან არა წაგცდა—რა მის გამზღელზე, თვარა თავს მოიკლავდა... ზომ ვახსოვს, ერთხელ რა ყოფა დაგვაწია და რაები გვიტხრა... თქვენ მშობლები ხართო, სული ჩამიდგით და სიცოცხლე მომანიჭეთო, მაგრამ მონათვლით კი იმან მომნათლა და ჩემს სულსა და გულსაც მირონი სცხო და იმის ძვირს ნუ გამაგონებთო.

საყვარ.—იმას კი რატომ აღარ ამბობს, რომ მოშაირობაც იმან მასწავლა და მეც იმასავეთ შევეყანა გადავიკიდეთ...

კიკოლა—მართალია, მაგრამ ესეც უნდა სთქვას კაცმა, ან ერთი ვის რას უშავებს ან მეორე?

საყვარ.—იმ სხვებს უნდა ჰკითხო... რა ვიცი მე, მაღლიერი კი არავინა ჰყავს იმ დალოცვილსა და, ვინ გინახავს მისთანა ამ ჩვენს თავად-აზნაურობაში, რომ ემაღლიერებოდეს და წუნს არ სღებდეს?

კიკოლა—მართალია, მაგრამ მისთანაც ყი არავენ შემხვედრი, რომ იმ დაწუნების დროს ზედვე არ დაემატებინოს: „ასე, ყოლითვე ასე, რაც ესთქვი, მაგრამ მაინც კარგია ის შეჩვენებულო“. ან სწორედ ისე, როგორც შენ წაგცდა წედან იმის გაზრდილზედ, რომ წმელ-წმელი-ზე — ჩნეტავ კარგი მაინც არ იყოსო.

საყვარ.—განა ვტყუოდი? მართალი არა ესთქვი?

კიკოლა—მართალია, მართალი, მაგრამ სხეებიც რომ მართალს ამბობენ და მიტომაც ვერ გამოვიდა, თუ რას ნიშნავს ეგ „მაინც“. რაღაც ძალაუნებური სიმართლეა მაგ სიტყვაში და მაგას ისტე ლექსო თუ აგვიხსნის, თვარა ჩვენთვის ძნელია.

საყვარ.—(ღიმილით) რაც შევილია, ის მამა ხარ, მოქარგული ენა გაქვსთ ორივეს... ეგ რომ არა გქონოდა, რას გამოგყვებოდი, მაგრამ მაგან შემაცდინა.

კიკოლა—(კმაყოფილი) ახლა მე აღარა გკითხე... ენაც მოქარგული გქონდა და სახეც, თორემ რას გამაბრძოლებდი!

საყვარ.—გაგბრძოყვდი და რაღა დროს!
(იციის).

კიკოლა—ნანობ?.. ახლა გვიან ღა არის. რომ კიდეც მოინდომო, ვიღა გამოგიცვლის ჩემს თავს?

საყვარ.—ეჰ, მაინც საღლა არის საცვალი, ბებრუცანა ხარ, მაგრამ კიდეც შენ სჯობიხარ დღევანდელ ყმაწვილებს და რა გაეწყობა, ისევე შენ უნდა მყავდე.

კიკოლა—(თავის ქნევით) ჰო, ჰო! სწორედ ეშმაკის გამოგონილი არიან ცოლები... უნდათ ძმარს გადენენ ცხვირში და უნდათ თაფლს წაგცხებენ ტუჩებზე... აი, ბეჩა, ჩემო სიყმაწვილევ! ნეტავ კიდეც შემეძლოს რამე...

საყვარ.—(სიტყვას აწყვეტინებს) რას იზამდი?

კიკოლა—ერთს კარგად მიგბეჯამდი, რომ აღარ გამახელო ხოლმე.

საყვარ.—მერე მე, მე კი ხელცარიელი დაგჩნებოდი თუ?

კიკოლა—შენ როგორ შეგეძლო, რომ გაგებედა რამე? არ იცი, რომ ცოლ-ქმარნი ერთ ხორციანი არიან და ქმარი თავია ცოლისა ღვთის ბრძანებით.

საყვარ.—(სიცილ-ხუნტრუტით) უი შენ, ჩემო უბედურო თავო! როგორ დამავიწყდა, უი ამ ჩემს თავს, უი ამ ჩემს თავს, უი!
(უტყაბუნებს თავში ხელს).

კიკოლა—(წამოღებება ზეზე) რას შერები, დედაკაცო, გაგიედი!

საყვარ.—მე ჩემს თავში შემოვიკრა ხელი, შენ რა გენაღვლება? მაშ შენ ჩემი თავი არა ხარ?

კიკოლა—აი დაგწყველა ღმერთმა! თუ მანგრეა, შენ ხომ ჩემი ფეხები იქნები და ახლა მე ვიცი, რასაც უზამ მაგ ჩემ ფეხებს.
(წამოაღებს ჯიხს ხელს და ვითომ გულმოსული გამოუღებება).

მოკმელება მიოთხე

ბაღია. სპირდონის სახლის წინ.

გამოხვლა პირველი

ლექსო მარტო.



ლექსო—(შემოდის ბაღში და ათვალეირებს) არსადა სჩანს, დღლი-
დან საღამომდი ფეხზე დგას, ჯარასავით ტრიალებს, სხეებსაც თვალ-
ყურს ადევნებს. ის არის და მთელი ოჯახი და რომ დაღამდება, წიგ-
ნებს მიუჯდება ხოლმე... ამისთანა ღამეში კი აქ აყოლებს გულს
(ჯდება) მართლა რომ საოცნებო ღამეა, პოეტის თქმისა არ იყოს.
(აღტაცებით კითხულობს):

„ვიშ ამ საღამოს,
მშვიდსა, საამოს,
ტკბილ ნეტარებით შეზავებულსა.
რა უცნაურად,
მაღლით ციურად,
სამოთხისაკენ იტაცებს გულსა,
რომ საიდუმლო,
სასიჭადულო,
ბუნების კაცსაც შეატყობინოს,
და სადაც შეკუა
სცდება და სტყუა,
იქ მარტო მხოლოდ გულს აგრძნობინოს“.

მართლა, რომ რაღაც ძალი ჰხიბლავს ყოველ არსებას და:

„აჰა, ვგრძნობ მეცა
რომ არის ზეცა,
აღესილი რაღაც ძალით საგზნობით
და ეს ქვეყანა,
ყოფლგნით, ყველგანა
თავს უბრის შემქნელს მაღლისა გრძნობით.
დახეთ ამ მოფარეს,
სხივ-მომფინარეს,
თითქოს ტკბილ სევდით ივსებოს გულსა.
მოკაშკაშენი,
მოთამაშენი,
ვარსკვლავნი ირგვლივ აბმენ ფერხულსა.
ძალთა დიდება,
შექმნათა ქება
არს საიდუმლო მათი დიდება.
ქვეყნით ბუნება
ბანს ეუბნება
და ეს ბანია ქებათა ქება“.

ღიან, ქვეყანა ზეცას შეფერადებია, ყოველი არსი, სულიერი თუ
უსულო, თანასწორად გრძნობს ამ ნეტარებას და მაღლს უძღვნის
შემომქმედს. აი როგორ ჰხსნის მგოსანი:

„ყვავილთა ენა
 არს სუნელთ ტშვენა,
 საგალობელად აღმა კმეული
 წყალთა ჩქრიალი,
 თითოლთ შრიალი,
 ბალახთ ბიბინი რაღაც გრძნეული
 ბუნების მაყრულს,
 საქორწინოდ სრულს,
 ეკავშირება, ზე ემატება,
 და ახლა მეც ვგრძნობ
 საიდუმლოდ ესცნობ,
 რომ არის კაცში ღვთისა ხატება“.



არა სტყუა ამისი მთქმელი, მართლა, რომ ღვთის ხატებაა კაცი, თუ გრძნობა-გონება არ დაუკარგავს და ამაღლებულა (ჩაფიქრდება). ნეტავი იმას, ვინც არასა გრძნობს და არა ვაეგება-რა, მე კი „ღეღეღ-ენამ“ ენა ამოშადგმეუენა, „ბუნების კარმა“ გულში ჩამახედა და შგონებმა ქვეყნიერება წინ სარკედ გადამიშალეს (მოისმის ვიტარის ხმა). ჩუ, ნუცა გამოსულა.

(ფურს უგდებს. მოისმის ნუცის ხმა):

„სიყვარულო, ნიჭო სრულო,
 წამ-ტკბილო და ხანგრძლივ მწარე,
 ჯერ აქვანო სიხარულის,
 მერე კუბოვ და სამარე!

დღეს ჩემი ხარ, ხვალ სხვისი ხარ,
 უგზო-უკვლოდ მოარული.
 სად არს შენი დასაბამი,
 ან სადა გაქვს დასასრული?

ზოგი გყვედრის, ზოგი გვედრის,
 ყველას კი სურს შენ გემონოს,
 ვინ არის რომ შენსა სიტკბოს
 სიცოცხლე არ შეუწონოს?

დიდეს ხნობით მუღმივ გრძნობით
 თუმცა არვის არ ახარებ,
 და წამიერ ნეტარებას
 საუკუნოდ წაამწარებ,

მაგრამ მაინც ყველა გეძებს,
 სულდგმულმა ვით დაგიწუნოს,
 ვინ არის რომ იმ ერთ წამში
 არ გასწირავს საუკუნოს?“

ლექსო—(დიდხანს გაქვივებული ყურს უგდებს და ბილოს გამოერკვე-ვა) ციურია ხმა, მაგრამ სიმართლე ჯოჯოხეთურია... ნუთუ სიყვარუ-ლიც წამიერია და არა საუკუნო? (ჩაფიქრდება) მართალია, ქვეყნად

სამარადისო არა არის-რა, მაგრამ სიყვარულიც არის და სიყვარულიც. უბრალო სიყვარული თვით უკვდავებაა, შეყვარებული მიწის შვილი, ამ ქვეყნად ედემში მყოფი ადამაა, და ადამა რომ დღესაც ისევე სამოთხეში იქნებოდა, რომ გულისთქმას არ გვღაქმავდა და ხისგან ცნობადისა არ ეგვმა. ნუ თუ შესაძლებელია, რომ აღმაფრენი სიყვარული ოდესმე დაბლა არ დაეშვას? მაშ, რაღად გვირჩევს მგოსანთ მთავარი: „შორით ქვრეტა, შორით ზნედაო“. (ჩაფიქრდება. ბუღბული სტენს). ხალხის შეხედულებით ეს პატარა ბუღბულიც კი ვარდის ეშხით გამსჭვალული მთვარეს შესჩივის თავის ტანჯვებს და შაშვი, ბუდიდან გადმოფრენილი, დილის მნათობს შეპკოდებს სიყვარულს, მაგრამ ადამიანი კი ცხოვრებისაგან მოუკუდმართებული, ვერ ერევა გულისთქმას და პირდაპირ ამბობს:

„ვინ არის რომ იმ ერთ წამში
არ გასწირავს საუკუნოს“.

ჰმ! ადამაც კი იმ ერთ წამს შესწირა სამოთხე და, როგორც მგოსანი ამბობს,

„უძსხვერპლა წადილს სამოთხისა მშვენიერება,
გარნა იხილა სასუფეველის მან ნეტარება“-ო.

რას უნდა ნიშნავდეს ეს, თუ არა იმას, რომ ვინც ოცნების საზღვარს გადააბიჯებს და სიყვარულის საიდუმლოებას პირბადეს ახდის „უძსხვერპლებს წადილს სამოთხისა მშვენიერებას და მაინც კიდევ დაიბრუნებს მის ნაცვლად სასუფეველის ნეტარებას“. და ის ნეტარება ქორწინებით შეესისხორცება, იმავე ღვთისაგან ნაკურზხი. ჩემთვის კი ეს მიუწოდებელია... მე ვინა და ის ვინ?.. ჩემი სიყვარულის საიდუმლოებას როგორც აქამდე, ისე ამიერიდანაც ვერ ავხდი პირბადეს. „შორით ბნედა, შორით ქვრეტაო“. მაგრამ შემიძლია კი ავიტონო? ნუ თუ ჩიტზე უსუსტესი ვარ და ბუღბულ-შაშვის ოდნობაც არ შემიძლია... ცხადია, რომ არა... დღეს რომ გავიგონე, „ნუცა უნდა გათხოვდესო“, ჰკუა დამებნა, გონება დამეფანტა და თავის მოკვლა ვანვიზრახე... ჯერეც კიდევ გული ვერ მომიბრუნებია. (ზელეს პირზე მიიფარებს და თავს ზალუნავს).

გამოსვლა მეორე

იგივე და ნ უ ც ა (შემოდის ბაღში).

ნ უ ც ა—აქა ყოფილხარ?

ლ ე ქ ს ო—დიახ, ბატონო, დიდი ხანი არ არის, რაც ვიახელი.

ნ უ ც ა—მე კი მკვდრის სულივით დავბორგავ მთელი დღე; გული აღარაფერზე მიმიდის. ხან დავწეები, ხან ავღგები, ხან ვიციანი და ხან ესტირი. მართლა რომ უკანასკნელი ვამია ჩემი სიკვდილ-სიცოცხლისა. ან „ჰო“ და ან „არა“. დაჯექი, რატომ არ დაჯდები?

ლ ე ქ ს ო—(ჯდება) ვინ თქვენ და ვ-ი ეგ ამბავი? აგრე როგორ მოგერიით ზაფრა...

ნ უ ც ა—ი, თავს ზევით რომ ღონე აღარ არის? ბატონმაც დაიგვიანა.

ლ ე ქ ს ო—ეგება ღმერთმა მოგვხედოს და მართლა საქმეს აკეთებდნენ?

ნ უ ც ა—ნეტავი მართლა, მეც მაგის იმედო მაქვს, თვარა...

ლექსო—სხვა საშველი კი აღარა არის-რა?

ნუცა—არის, მარა ვაი მისთანა საშველს! რაღა ის და რაღა სიკვდილი... უნდა ყველაფერი დაგვეკარგოს...

ლექსო—რა გეწყობა. იმისთანას რას დაკარგავს კაცს! ჩემს სამაგიეროს შეძენა აღარ შეიძლებოდეს, გარდა სიცოცხლისა... სიცოცხლის დაკარგვით, კარგი იყო და რაღაი არა ეშველება-რა, თქვენი ჭირი წაიღოს ამ ადგილ-მამულის დაკარგვამ, სხვას შეიძენთ...

ნუცა—აქ, განა მარტო შეძენისა და შეძლების საქმეა. ნათქვამია, „ჩიტი სადაც დაიბადება, მისი ბაღდადიც იქ არისო“. ყველას თავისი კერა უყვარს და დასაკარგავად არ ემეტება, იმიტომ, რომ დაბადებიდანვე თანშეზრდილი და შესისხლხორცებულთა მასთან.

ლექსო—ეგ მართალია, მაგრამ ქალები რომ თხოვდებიან და სხვას მიყვებიან ხოლმე, სახლსა და კარს სტოვებენ და ახალს კერას იჩენენ და ეჩვევიან.

ნუცა—ეგ სულ სხვაა, მაშინ სულ სხვა ძალა იზიდავს, სიყვარული, რომელიც მამულ-დედულთან კავშირს არ აწყვეტინებს...

ლექსო—უსიყვარულოდ ვინც თხოვდება?

ნუცა—მაგას კი ნუღა მკითხავ... კიდეც ეგ არის, რომ... (ჩაფიქრდება) ნეტავი სიცოცხლე შენოდა დაზღვეული, მაშინ ბევრი საფიქრებელი აღარა შექნებოდა-რა, ვუმსხვერპლებდი თავს და საფლავში ის მაინც ჩამყვებოდა ნუგეშად, რომ ჩემი სიკვდილით სხვები გადავარჩინე უბედურებას, ისე თავის გამეტება კი სულით დაცემაა.

ლექსო—აბა რასა ბრძანებთ? ეგ რა უკულმართი ფიქრები მოგდისთ?

ნუცა—შენ არ იცი, ლექსო, რა ცეცხლში ვარ. ან უნდა თავი მოვიკლა და ან გავსთხოვე...

ლექსო—(შეკრთება) გასთხოვდეთ?

ნუცა—(ნადვლიანის ღიმილით) უნდა თავი გავიყიდო და წავეყე იმას, ვინც არ მიყვარს... ოპ, რა საშინელებაა!

ლექსო—მაგას მეც მოვკარ ყური, მაგრამ ვერ დამიჯერებია.

ნუცა—თუ ახლაც ვერა გაარიგეს-რა, ორში ერთი უნდა ავიჩიო. შენ რომ იყო ჩემს ადგილზე, რას იზამდი, რომელს აირჩევდი?

ლექსო—არც ერთსა და არც მეორეს.


ნუცა—ეგ ხომ შეუძლებელი იქნებოდა? იცი, რა გითხრა: მე მგონია, რომ არავინ იყიდის, ბანკს უარჩება და მანამდი ჩვენ როგორმე მოვახერხებთ გამოხსნას.

ლექსო—არა, ბატონო, ეგ ტყუილი იმედია, დღეს დილით თქვენი სახლიაკვი ისეთის მტურის თვალთ ათვალაფერებდა აქაურობას, თითქოს პირველად ჰხედავსო. იმან ოღონდ კი ეს ჩაიგდოს ხელში და სულს გაჰყიდის.

ნუცა—რად უნდა, აკი აქვს თავისი?

ლექსო—რომ თვალი დაუყენოს მეზობლებს. ცუდი დრო დაგვიდგა, ჭაღბატონო, გატანა აღარსად არის, ძმა ძმის მტერია, მოშურნე. კარგიც რომ გინდოდეს შეყვანისთვის, ვეღარ ახერხებ, არ იცი, რა უნდა ინატრო მეზობლისათვის, გაკეთება თუ ამოვარდნა: თუ გაჰირვებულა, გაჰირვებით გაწუხებს და თუ დალხინებულა, მაშინ კიდეც უარესი: მოვიწოდებ, რომ დაგჩაგროს და მიწასთან გაგასწოროს.

ეს ჩვენში დღეს საზოგადო სენია. სამწუხარო კია, მაგრამ ასეა...
 ნუცა—რატომ ან მე, ან შენ არა ვფიქრობთ მანგრე?
 ლექსო—იპიტომ, რომ ჩვენ დედის გარდღილები ვართ, იმის კალთაში გვდებია თავი და მშობლის ძეძუ გვიწოვია. ისინი...
 ხელში, ქირით გამოუზრდია ძიძას...



ხმა—(გარედან) არაფინა ხართ შინ, რომ ცხენი ჩამომართვათ?
 ლექსო—ბატონი მობრძანდა.
 (ზაშტრებს).

ნუცა—(მარტო) მოვიდა... მუხლები მიკანკალებს, აღგილიდან ველარ დაეძრულვარ. ნეტავი რა ამბავს მოიტანს? ღმერთო, შენ ხარ მოწყალე.

გამოსვლა მუხამე

ნუცა და სპირდონ (შემოდის დაღონებული. მიუჯდება ნუცას).

სპირდონ—რაღა ხარ მაგრე დაღონებული, შვილო, ხმას რომ არ იღებ? ავად ხომ არა ხარ?

ნუცა—გაარიგე რამე?

სპირდონ—ვერაფერი, შვილო. მპირდებოდენ და მომატყუეს: ეს სული დათიკოს ბრალია, თორემ თუ აქამდი გამომიძვრენია თავი, ახლაც კიდევ მოვახერხებდი რასმე, ან იქით ვეცდებოდი ან აქეთ და ეს დღე არ დამადგებოდა. სული მეხუთება. ჯერ არ გაყიდულა და ასე მგონია, ქურდულად შეეპარულვარ სხვის სახლში მეთქი. ვაი ჩემს გამწარებულს სიბერეს, თვარა თქვენ რა გიშავთ, შვილო. ყმაწვილები ხართ: თავის საკუთარ კერის ძირში კაცი ყველაფერს ადვილად იტანს. დღემდი ასე მეგონა, დედა შენს არც კი გავმორებივარ: არ მომკდომია მეთქი... აქ ყველაფერი მისს თავს მაგონებდა, ახლაც ისე მგონია, თუ მისი სული თავს დაგეტრიალებს და ჩვენი მწუხარების თანამოზიარეა, და მაშინ კი, ეპა..
 (თვალებს იწმენდს).

ნუცა—ნუ თუ მართლა საშუალება აღარა არის-რა?

სპირდონ—მის მეტი არაფერი, რაც შენ არ იცი.

ნუცა—რომ დაეთანხმდე?

სპირდონ—შენ იცი, შვილო... მეტი აღარა დაგვრჩენია-რა...

ნუცა—ოჰ, რა ძნელია უსიყვარულოდ თავის გაყიდვა!
 (თავს ჩაღუნავს და პირზე ხელს ზაიფარებს).

სპირდონ—მე უფრო სირცხვილი მაწუხებს, გლესს როგორ მივსცე შვილი, თვარა ეგ არაფერია, ქალი რომ გათხოვდება და ქმარ-შვილში ჩადგება, სიყვარულიც მაშინ იჩენს თავს თავისთავად. ცხოვრებული დედა შენი ისე შევირთე, რომ არც კი გვენახა ერთმანეთი, სანამ გვირგვინ ქვეშ ერთმანეთს არ შეუქვრიტეთ ქურდულად. მაგრამ ნეტავი შენ და შინი ქმარი იქნეთ ისე ბედნიერი, როგორც ჩვენ ვიყავით და ერთმანეთი გვიყვარდა. უერთმანეთოდ ფეხი არსად არ გადაგვიდგამს და ბური ცალ-ცალკე არ გვიჰამია.

გამოსვლა მეოთხე

ისინივე და დათიკო (შემოიჭრება გახარებულად)

დათიკო—აქა ხართ? რას ჩამოგიშვია ცხვირ-პირი?

სპირდონ—რა ქენი, შვილო?



ერკონული

დათიკო—მოვრჩი, გავათავე, შენ რაღას იტყვი ნუცუპაძისთვის?

ნუცუა—(თავს მაღლა იღებს, ნაღვლიანის ღიმილით) მე რაღა უნდა ვსთქვა? ჩემს მაგიერათ თქვენ კიდევ გაგითავებიათ და მორჩი-მიღხართ...

სპირდონ—(სიხარულით) მაშ თანახმა ხარ, შვილო?

ნუცუა—ხომ ხედავთ, თქვენ ხელთა ვარ.

(ბაღნი, იქვე მახლობლად, გავარდნა დაშინა).

ყველანი—(წამოცვივდებიან ზეზე) ეს რა ამბავია? რა ამბავია?

დათიკო—(გარბის იქითკენ) ჰეი, ჰეი, რა ამბავია? ვინა ხართ მანდ?

ნუცუა—(მამას ეკერის გულზედ) მამა!

დათიკო—არიქა წყალი! წყალი მალე! ლექსოს დამბაჩა გავარდნია უცაბედად.

ნუცუა—ლექსო!

(დაიკვილებს. გაქცევა უნდა, მაგრამ გული უღონდება. წაბარბაცება და ხელს დაატანს).

ფარდა ეშვება

მოკმედეზა მისუთი

მოართულ-მოკანმელი ოთახი სპირდონის სახლში.

გამოსვლა პირველი

ნუცუა, მარტო.

ნუცუა—(სკამლოგინზე წამოწოლილს ხელში წიგნი უჭირავს და ჩაფიქრებულად). რა კარგი ნათქვამია (კითხულობს): „სამსხვერპლოდ თავის განწირვა ნებით გოლგოთაზე ასვლაა, სათაყვანო და სამაგალითო“, მაგრამ თავის განწირვაც არის და განწირვაც... ერთი მნიშვნელოვანი და მეორე უმნიშვნელო, უნაყოფო მსხვერპლი კი უგუნურებაა და არ შეშვენის იმ ქვეყნის შვილს, რომელსაც ეს ბრძნული ანდაზა საშვილიშვილოდ გადმოუცია: „ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქეითკირსაო“. ნეტავი თუ გრძნობდა ამის დამწერი, რომ ერთხელ როდესმე ამ სიტყვებით ჩემგან უცნობს, ჩემს უნახავს არსებას სადმე მიყრუებულ სოფელში სიკვდილს გადავარჩინო. ეჰ, სიკვდილს გადამარჩინა, მაგრამ ტანჯვას კი ვერა. ოჰ, რა ძნელია, რომ ერთი გიყვარდეს და მეორეს კი მიჰყვებოდეს! ესეც ხომ თავზე ხელის იღებაა, პირადობის გაწირვა და გოლგოთისაკენ წასვლა და გოლგოთა ხომ მაცხოვარსაც ეძნელა და ზეციერ მამას შეეკითხა—არ შეიძლება ეს განსაცდელი ამცდესო—სთქვა: „ილი, ილი, ლამა საბაქთანო“-ო. ღმერთო, ღმერთო ჩემო, რისთვის დამიტყვე მეო... ჰმ! მე ვიტანჯები და ისინი კი ბედნიერები არიან. ჩემს უბედურებას

დღესასწაულობენ... მაგრამ, ეპ, იმათი ბედნიერებაც ხომ მკვდრის შუეს" ოდნად მაინც გამოაშუქებს და ისიც კარგია. მამა ვერ გიტანდა ამ უბედურებას, და დათიკო სიღარიბეში რომ ჩაეკარდებოდა და აღარა ექნებოდა-რა, ვინ იცის, რას არ ჩაიდენდა... ვერცხელო!

სპირდონის ხმა—(გარედან)—მობრძანდი, ჩემო მარტო, ნიკოლოზ, შე და შენ კი ცოტა ხნით ოჯახს მივხედოთ.

გამოხვლა მეორე

ნუცა და საყვარლისეული (შეზღობი)

საყვარ.—სადამო მშვიდობისა, გენაცვალე! ჯერ კიდევ არ ჩაგიცვამს?

ნუცა—ჩაძმული არა ვარ, რაღა მეტი მეჭირვება?

საყვარ.—უი, შენ კი გენაცვალე! ნიშნობის დღე ჭორწილზედ ნაკლები კი არ არის, უნდა მოირთო და მოიკაზმო...

ნუცა—შინაურების მეტი არავე იქნება.

საყვარ.—იმ ყმაწვილს აღარა ჰკითხავ: სად გაგონილა ნიშნობა და თალხი კაბაო. მერე კიდევ ჩემს მიხას არ მოეშენენ და გადაღმურებიც მოჰყვებიან თან. არ უნდოდა, მაგრამ უარე ვერ უთხრა, ზოგი მეგობარია, ზოგი კარგი ნაცნობი და ზოგი კიდევ რა. ადუ, გენაცვალოს საყვარლისეული, საცა არის მღვდელიც გამოჩნდება.

ნუცა—უიმისობა კი არ შეიძლება?

საყვარ.—უი, არა, გენაცვალე! რაც წესი და რიგია, როგორ მოიშლება, წადი, გენაცვალა დედა! (ნუცა მიდის. საყვარლისეული თვალს გააყოლებს). იმას კი ენაცვალოს ჩემი თავი, რა გოგონაა! აბა, ახლა დაუდგებათ თვალები ჩემს მტრებსა და მოშურნეებს.. კარგია, კარგი, მაგრამ ჩემს მიხასაც არა უჭირს-რა. თვალი დაუდგა გლეხის-შვილობას, თორემ ხელმწიფის ქალიც არ დაეკავებოდა...

გამოხვლა მესამე

იგვე და დათიკო (გამოდის გაჯავრებული)

დათიკო—ოჰ, საყვარლისეულს ეახლავარი როგორ მარტო დარჩენილხარ?

საყვარ.—აქამდის სულ აქ იყო ნუცა. ტანისამოსის გამოსაცვლელად წავიდა.

დათიკო—მოწყენილი ხომ არ არის?

საყვარ.—უი, არა გენაცვალე, რა აქვს მოსაწყენი, ღმერთმა ბედნიერება მიანიჭა და... თქვენ კი როგორღაც ვერა ხართ გუნებაზე...

დათიკო—მე გაჯავრებული ვარ.

საყვ.—ვიზე, ჩემო ბატონო?

დათიკო—ვიზე და იმ უსინდისო იოსებაზე. მამა ჩემს უტიფრად ულოცავს ბედნიერებას: „ღიღი მოხარული ვარ, რომ შენი საქმეებიც კარგად მოაწყე და ქალსაც ათხოვებო“. მამა დაავიწყდა იმ გაიძევრას, რომ ამას წინედ ჩვენი სახლკარის ყიდვას ფიქრობდა და სიხარულით ფეხზე აღარ იდგა.

საყვარ.—ეპ, გენაცვალე, დღეს სოფელი სულ ასეა, ის ძველი დრო

გათავდა, უღვაშის ღერშიაც რომ სინიდისა იყო. ახლა სსწართალიც უცხოა და ადამიანობაც სხვანაირი.

დათიკო—პო—და, თუ მანგრეა, მაშინ მეც მოვებრუნებ ფეხს და ნახავს თავის სეირს!

საყვარ.—როგორ, გენაცვალე?

დათიკო—მაშინ რომ ურისაგან ფული ისესხა ჩვენი სამოსახლის სასყიდლად და დაესხა თავს ლაფი, აღარ მოუხდა, ის ფულები შემოეხარჯა და ახლა თვითონ არის ჩავარდნილი ცეცხლში. ვექსილს ვადა გაუდის და ამიტომ გვეჭაღაჩუნება ახლა, რომ მიხასთან გავურთიგო და ფული ასესხოს.

საყვარ.—უი, თუ კი თქვენი სურვილი იქნება, ჩემი მიხა უარს როგორ ეტყვის, და არა აქვს ღეთის მოცემული თუ!

დათიკო—ვიცი, ვიცი, ჩემო საყვარლისეულო, მაგრამ ახლა მე თვითონ მინდა, რომ ის ვექსილი ჩავიგდო ხელში. ვიყიდო ურისაგან და რაც იმას ჩვენთვის უნდოდა, ის დღე იმასვე დავაყენო. „მეზობელმა რომ ენა გამოგოყოს, თუ შენც არ გამოუყავი, მერე კბილებს ჩაგამტვრევსო“, ხომ გაგიგონია?

გამოხვლა მეოთხე

ივინივე, სპირდონ და კიკოლა (შემოდან)

სპირდონ—პა, რას იტყვი, მძახალო?

კიკოლა—ძალიან უშობელია.

სპირდონ—რაჭიდან ჩამოვივიდა, მაგრამ მგონია კი, აღარ დამპირდება. მე მინდოდა, რომ მტრებისათვის თვალი დამეყენებინა, საკადრისი ღზინი გადაიმეხადა, მაგრამ ნუცა არა შერება, შინაურების მეტი ნურვინ იქნებაო.

დათიკო—აგერ საყვარლისეული ამბობს, მიხას ბევრი მოჰყვებაო.

სპირდონ—მართლა?

საყვარ.—მართლა, ჩემო ბატონო, არ მოეშენენ ყმაწვილები.

სპირდონ—ჩვენი ყმაწვილები? ეგ არაფერია, იმათთან შინაურადაც იოლად წაეღათ: ცხვრები არიან შინ, ინდაურები, გოჭები და ქათმები.

დათიკო—იმათი მე ვიცი, ღვინო კი იყოს და სხვა არაფერია.

კიკოლა—ღზინის გადახდას მერეც მოვესწრებით ღვითთა.

სპირდონ—ოღონდაც. ი მღვდელმა რად დაიგვიანა? მე ძველი კაცი ვარ და ძველ ჩვეულებას ვერ უღალატებ. ბეჭედი უნდა ჩემს სახლში აკურთხონ.

კიკოლა—გიახლებათ. სანამ სასიძო არ მოვა, რა მოხელეა? ალბათ, იმას უცდის!

სპირდონ—შენ ძალიან გამოპრანჭულხარ, მძახალო. სწორედ შენა ჰგევხარ სასიძოს მაგ მაუღის ჩოხაში. ჰე, ჰე, ჰე! წვერებიც რომ მოგიპარსავენ, გაყმაწვილებულხარ! რას იტყვი, საყვარლისეულო?

კიკოლა—ჰე, ჰე, ჰე! ჩემმა კნენიამ არ მომასვენა, რაღა დროისთვის გინდა ეგ შენი ოხერი, თუ დროზე არ მოიხმარო...

საყვარ.—ჰე, ბატონო, მოჰყვება ახლა.

კიკოლა—რომ მოყვებო, ვანა ტყუალია? ეს ჩოხა ჩემი ხნის არის,

ბატონის სასახლეში რომ ამ კუდიანზე ჯვარი დავიწერე, მაშინ შევიკერე და მას უკან ორჯელ-სამჯერ თუ მცმია და ისევ კაუფლო დღეს, დაკეტილში აქვს შენახული ამ ჩემ კნენიას, რომ არ მომაკარებს და რა დაგლეჯდა?..

ეპიკოსო

საყვარ.—ჰაი, ჰაი, მაგეებს რომ ამბობ, რატომ იმპრეზო არ მოახსენებ, თუ რად დაგიმალე?

ეპიკოსო—ეშმაკმა იცის შენი თავი და ტანი!

საყვარ.—საეშმაკოზე შენ გიპირავს თვალი, გულიაურს რომ გადაეკიდე და მაგ ჩოხაში გამოკვანწულე ეპრანჭებოდი, მიტომ დაგიმალეს ეგ ჩოხა, შე სულწაწყვენილო...

სპირდონ—აა! აა! ჩემო მძახალო, თურმე მაგისთანა კაცი ყოფილხარ შენ? ჰა, ჰა, ჰა! მე კი მეგონა, კიასაც ვერ გააღვიძებდი.

დათიკო—მართალს ამბობ, თუ გიყვარდე, საყვარლისეულო?

საყვარ.—ჯერ ახლაც არ არის კარგი თვალისა, თეარა ყმაწვილობისას მუსუსი იყო, მუსუსი.

ეპიკოსო—(იღიმება) აი ესემეც გაგიძლია! ყური რომ ვინმემ უცხომ მოჰკრას, ხომ მართალი ეგონება!

საყვარ.—ტყუილია? გულიაურს არ ეტორღიალებოდი?

ეპიკოსო—გეტორღიალებოდი რომელია, შე მართლა და რუჯულზე ხელაღებულს არ იცი, რა არის ის ქალი? ჩემი ნათლიდედა.

საყვარ.—ნათლიდედა? ახლა შენთვის ყველა ნათლიდედაა და მაშინ კი...

ეპიკოსო—ნწუ, ნწუ, ნწუ! ქალი და მერე კიდევ ნამოახლი, რას არ იტყვის!.. ქართველმა კაცმა მაგისთანა ურუჯულობა როგორ უნდა წააქდინოს პირს? მირონის გატეხა სად გაგონილა?

სპირდონ—კარგია ახლა, ზუმრობაში მართლა უკმაყოფილება არ შემოგერიოსთ. მართლა, ველარა გკითხე, ლექსო როგორა გყავთ?

ეპიკოსო—გმადლობთ, კრილობამ გაუარა.

საყვარ.—გაკაწრული იყო, მაინც და მაინც დიდი კრილობა არა ჰქონია, განზე წასულიყო ტყვია.

სპირდონ—მადლობა ღმერთს, ჩვენ კი ძალიან დაგვაფეთა და...

ეპიკოსო—მართალია თურმე... წელიწადში ერთხელ ი წყეული გატენია ზოლმეთ...

დათიკო—ვინ წყეული?

ეპიკოსო—ეშმაკი. ჩემი ბიჭი თურმე მთვარიანში, როგორც მოგეზსკენებთ, ჩაბმას უჩიკინებდა, კაცს უცვლიდა. გატენილი როდი ჰგონებოა, ვენაცვალე დეთის მადლსა და მის სასწაულს, გადარჩა!

დათიკო—ხომ სულ მორჩენილია?

ეპიკოსო—მორჩენით მორჩა, მაგრამ ხაფრა დასჩემდა და აღარა ეხალისება-რა.

სპირდონ—ეგ არაფერია. დიდი ხნის ლოგინში წოლამ იცის, რომ გაიფლ-გამოივლის, აქეთ-იქით თვალსა და გულს გადააყოლებს, გადაუვლის.

საყვარ.—მეც მაგის იმედი მაქვს, ჩემო ბატონო.

ხმა გარედა—დათიკო, შინა ხარ?

დათიკო—(გაიხედავს ფანჯარაში) ნიკო, შენა ხარ? რატომ შინ არ შემოხვალ?

ნიკო—არა მცალიან, შენ გამოდი, სათქმელი მაქვს და იმ ვსტეც გამოვა-
ტანა შენ გადმოსაცემად მიხამ.
(დათიკო გაღის).

ერეკლესული
გინგლირთუქა

სპირდონ—რა უნდა იყოს ნეტავი?

საყვარ.—ნიშანს გამოატანდა ჩემი მიხა. მერე თვითონაც მოჰყვება
თან.

გამოსვლა მეხუთე

ივინივე და დათიკო (შემოდის ადიღებული, ხელში წერილი უჭირავს)

სპირდონ—ცუდი ამბავი ხომ არა არის-რა?

დათიკო—დღეს აღარ მოხერხდება ნიშნობა.

სპირდონ—როგორ თუ არ მოხერხდება?

საყვარ.—ვაიმე, აეიდ ხომ არ გამხდომია, ვენაცვალე!

დათიკო—უარესიც გვემართება: ვაი თუ სულაც ჩაიშალოს ნიშნობა!

სპირდონ—კი ნუ ხუმრობ, ყმაწვილო!

დათიკო—რა მეხუმრება, დანა რომ მკრა გულში, სისხლი არ გამომივა.

კიკოლა—რა მომხდარა მაგისთანა, რა ამბავია?

დათიკო—რაღა რა ამბავია, ღმერთი რომ გაუწყრება შტერსა და ავს:
ვიდაც რუსის ქალი მიღგომია კარზე ორი შვილით, შენი ცოლი
ვარო...

საყვარ.—უიმე, ტყუილი იქნება, თქვენ ნუ მოუყვდებით ჩემს თავს!
ვინმე უმტრობდა—ეგ სულ მტრობისა და შურის საქმეა.

სპირდონ—იმე, იმე, იმე, რა ხუმრობაა!

დათიკო—აი, ბატონო, თუ ხუმრობაა (უჩვენებს წერილს), თითონვე
იწერება... (კითხულობს): „ძმაო დათიკო, ვფიცავ შენს მეგობრობას,
რომლის უძვირფასესი აღარა დამრჩენია-რა, რომ მე ბრალი არა
მქონდეს ამ უბედურებაში, რომელიც მოულოდნელად მომადგაკარზე.
კარგად იცი, რომ შენთან დაფარული არა მქონდა-რა და კიდევ
მიიტყვამს, რომ პირველ წელიწადსავე, რუსეთში რომ გადავედი, ცო-
ლი შევიერთე. გაებედნიერდი და ცოლმაც გამაბედნიერა. მეხუთე
თვეს ვაქი შემეძინა და მეექვსეს გამეშვა, ვილაც აფიცერს გაჰყვა და
გადიკარგა. მას უკან ამდენი ხნის განმავლობაში მისი ასავალ-დასავ-
ლის ვეღარა გავიგეთ-რა და მკვდარი გვეგონა. დღეს კი კარზე მო-
მადგა ორი შვილით. შეგიძლია წარმოიდგინო ჩემი მღგომარეობა.
სანამ ამას არ მოვიწორებ თავიდან, მეც ხელშეკრული ვარ. რაღა
თქმა უნდა, არც ჩემს თავს და არც შეძლებას არ დავზოგავ და შე-
ნი დახმარების იმედითა მაქვს. „ძმა ძმისთვისაო და შვიი დღისთვისაო“.
სანამ საქმეს არ გამოვასწორებ, მე გამოსაჩენი პირი აღარა
მაქვს და სხვა შენ იცი. მეტს აღარას გწერ. შენი სიკვდილამდე
მიხა“.

საყვარ.—უი, დამიდგეს თვალები!
(ჩაეღება და პირზე ხელებს მიიფარებს).

კიკოლა—ეეჰ, ესეც შენი მიხაილ ნიკოლაინი უყარეთ ახლა ღომის
კაკალი.

სპირდონ—ვაი, დაღუპულო ოჯახო! (თავში დაირტყამს ხელს).

დათიკო—რა იყო, რა დაგუპართათ?

განთიადი

სპირდონ—მეტი რაღა უნდა დამემართოს, შეილოჰ...
და ცეცხლში კი ვეარდები... ვაი უსაშველოდ დაღუპულო ოჯახო!

დათიკო—განა არ იცი, რომ თქვენს ოჯახს ერთი გროშიც აღარ ადევს
ვალი. ბანკი გასტუმრებულია.

სპირდონ—ბანკი, სხეები რა ხეირს დაგვაყრიან, შეილო!

დათიკო—ჩემი ვალი თქვენი და თქვენი ოჯახის გადასახადი არ არის,
მე და მიხას მეგობრულ ანგარიშში თქვენ ნუ შემოდისართ. უფრო
სხვა რამ იფიქრეთ...

სპირდონ—განა მართო ეგ არის? ხომ მომეპრა ქვეყანაში თავი ი საბ-
რალო ქალიც გავაუბედურე. რაღა ვუბასუხო მტრებს და ვინღა
გადამარჩენს სირცხვილს?

გამოსვლა მეექვსე

ივინიფე და ნუცა (შემოდის)

ნუცა—მამა ჩემო, მესმოდა თქვენი ხმამალალი საუბარი და გავიგონე,
რაც გაშფოთებდით... მე კი ღმერთს მადლობას ვსწირავ, რომ უარე-
სისაგან დაგვიფარა... ჩემი საქმრო ღმერთმა აბედნიეროს თავის
ცოლშვილში და მე კი იმას გავუყვები, ვინც მიყვარდა, მიყვარს და
მეყვარება... ვისაც მე ვუყვარვარ—ვიცი. თუმცა ის მის სიყვარულს
გულში ინახავდა და ენისათვის არ წამოუტყდინებია.

საყვარ.—ვაი ჩემს გაგონებას! ახლა კი გავხდი მტრის შანის მოსა-
გებად...

ნუცა—მაგისი ნურა გეფიქრება—რა. იცოდე, რომ შენს რძლობაზე ხელს
ვერ ავიღებ.

საყვარ.—ქრისტემ განუგეშოს და გაგახაროს!

დათიკო—აბა, შენ იცი, თუ ხელს შეგვიწყობ შენც და სანამ საქმე არ
გამოეწყობა, შენც მოგვიციდი.

ნუცა—ეგ კი შეუძლებელია, ჩემი ბედი ამალამვე უნდა გადასწყდეს.

სპირდონ—აგრე მალე არ მოხერხდება, შეილო, უსინოდოდ არ გათავ-
დება.

ნუცა—სინოდთან რა ხელი მაქვს, მე უნდა ლექსოს გავყვე.

ყველა—ლექსოს!

ნუცა—ღიას. მე მის მეტს ქმრად არავის შევირთავ!

სპირდონ—ხუმრობ, შეილო. სად შენ და სად ის?.. არ იცი, შენ და
იმას შუა რა დიდი საზღვარია?

ნუცა—მხოლოდ ერთი—გაბედული ნაბიჯი.

სპირდონ—მადლიდან დაბლა. შენ კეთილშობილი ხარ და ის გლე-
ხი—ამათი შეილი

(ხელს აშერს კიკოლასა და საყვარლისეულისაკენ).

ნუცა—მართლა? მიხა კი ამათი შეილი აღარ იყო და ლექსო მიხას ძმა?

სპირდონ—კი, მაგრამ ეს სულ სხვაა, ის კაცი გილდის კუბურია, მდიდარი და გამომჩენილი. სხვაც რომ არა იყოს რა, დედოფალსავეთ შეგინახავს.

ნუცა—პო-და, მაშ აქ ქონებაზე ყოფილა საქმე და არა მისი მისი გლეხობაზე.

სპირდონ—აჰა, როგორ გინდა, ქვეყნიერება ადამს აქეთ ასე მომდინარეობს და მართო ხომ წინ ვერ გადაელობები? შენც რომ კიდევ მოინდომო, ვინ დაგვთანხმდება?

ნუცა—მე თანხმობას აღარა ვთხოვლობ. ახლა თქვენც ვალდებული ხართ, რომ ჩემი სურვილი აასრულოთ. სიყვარულზე უფრო უტკბესი და უმდიდრესი არა არის-რა. მაგრამ მე ჩემი სიყვარული ვუმსხვერპლე თქვენს ბედნიერებას და მივყვებოდი ცოლად იმას, ვინც არ მყვარებია და თქვენ კი არ გინდათ, რომ თქვენი ფუჭი და უმნიშვნელო აზნაურული თავმოყვარეობა დაუმორჩილოთ ჩემს ერთადერთ ბედნიერებას—არა, ჩემი სურვილია ლექსოს წაყვავე და ხელსაც მაზე ვერვინ ამაღებინებს. შენთან მოვდივარ, საყვარლისეული!

საყვარ.—უი მე! რასა ბრძანებ, გენაცვალე! ი ბიჭი რა თქვენი შესაფერია. ისევ იმ ყმაწვილს მოუცადე, გენაცვალოს ჩემი თავი!

ნუცა—არ გინდივარ რძალად? (გამოტრიალდება) შენ რაღას იტყვი ნიკოლოზ? შენცა მწუნობ?

კიკოლა—მოგიკვდეს დამწუნებელი! ჩემი ოჯახი რა ღირსია, რომ ჩემს ქოხში შემოდგათ ფეხი? ვაი თუ ჩვენმა ღარიბმა ოჯახმა ვეღარ შეიძლოს თქვენი შენახვა.

ნუცა—(სიტყვას აწყვეტინებს) შენახვა? ეგ ტყუილია, ყოველ ოჯახს შეუძლია შენახვა თუ დიასახლისი უფარვა. მე შეუერთებ ჩემს მარჯვენას ლექსოსას და სადაც შრომისმოყვარეობა კეთილ სურვილებთან იქნება შეთანხმებული, იქ სიღარიბე ვეღარ მოხედავს.

კიკოლა—(აიხედავს ზეცისაკენ, ხელებშშვერილი) დიდ ხარ შენ, უფალო, და საკვირველ არიან საქმენი შენნი! შენი ნაბრძანებია—დაბალი ამოღლდეს და მაღალი დადაბლდეს. იყავნ ნება შენი!

სპირდონ—(დათიკოს) შენ რაღას ჩაგიღუნავს თავი და გაქვავებულსავეთ დგახარ? რატომ არას იტყვი?

დათიკო—აჰა! (გამოერკვევა) ვაუმარჯოს საქართველოს! ვაშა, ვაშა, ვაშა!

სპირდონ—(შეკრთება) ვაიმე, შენც ვადამერიე, შვილო?

დათიკო—ენა მაქვს წაწვეული. დღემლი ერთი ჭიქა ღვინო ისე არ დამილეცია, რომ წარა-მარა ასე არ დამეყვიროს, მაგრამ არც ჩემთვის, არც ჩემისთანებისათვის გიყი არავის დაუძახნია და ახლა, როცა მართლა და დროზე კანონიერად წაშოვიძახე, სიგიყეს მწამებთ? ნუცას სიტყვებმა მეც გულში ჩამახედეს. ჩამაგულისხმეს წაპყვეს ლექსოს, ეგებ ეგ ვზა უფრო სწორი გამოდგეს. მეც დღეიდან ორავის გვერდში ამოუდგები, რომ მათი ჭირიც და ლხინიც გაეზიარო. დროა მოვიგონოთ ისევ მამაპატრი „მშუერი“ და დავივიწყოთ სამასხარო „პრავალეამიერები“, რომ მომავალს მზად დაუხედეთ.

სპირდონ—ვაი ჩემს დაღუპვას!.. რაებს ამბობ, შვილო? გონებას მოეგე, ვის უნდა დაუხედეთ?

დათიკო—განთიადს, რომელიც მოახლოვებულია და სათვალურად თვალს
სპირდონ—რატომ ჩვენ არ ვხედავთ და შენ კი...

დათიკო—იმითომ, რომ მე უფრო ახლოსა ვარ იმაზე, ვიდრე შენ, და
ის განთიადი აი იმის შვილია—მომავალი თაობა და რაღაცა ის მოვა,
მაშინ, მხოლოდ მაშინ „მზეშინაც“ გვეთქმის და „მზავალკაშინიც“
შეგვერგება.

სპირდონ—აა, ახლა სულ უფრო აღარა მესმის—რა. ვაი ჩემს გაძალღე-
ბულს სიბერეს!
(დაეშვება ტახტზე).

საყვარ.—უი ეს რა მესმის!.. დამეფსოს ყურები და დამიდგეს თვა-
ლები!..

კიკოლა—ჰეე, საყვარლისეულო, ახლა წადი და მიუჯექი იმ წენს
რძალს, გირუსულებს და შენც ურუსულე სამაგიეროდ, როცა კი
მოახერხო. მე კი გულს ამოთკენ მიყვევარ.
(მიაშვრს ხელს დაოიკოს და ნუცას სურათი).

ფარდა ეშვება

(დასასრული)

[1903 წ.]

როგო და ჯულია^{*)}

სუთმომკვამდებიანი ტრაგედია

სურათი II

კაბლეტების ხალი.

შემოდის რომეო.

რომეო — ვინც არ დაჭრილა, იარასაც არაფრად აგდებს.
(ღანჯარასთან გამოჩნდება ჯულია).

ეს რა ნათელი აელვარდა იმის სარკმელში?
 აღმოსავლეთი არის იგი. მზეა ჯულიეტა.
 ბრწყინვალე მზეო, დაბნელე მოშურნე მთვარე,
 ისედაც მკრთალი და სნეული მწუხარებისგან,
 რომ შენ, მის ქალწულს, ელვარება მეტი გაქვს უფრო.
 ნულარ მსახურებ, რაკი არის ის შურიანი;
 ვესტას ქალწულის სამოსელი შორს გადასტყორცნე,
 ის მშვანია და შესლილთ გარდა არვინ ატარებს.
 ო, ჩემო ტკბელო დედოფალო, ო, სიყვარულო!
 მან რომ იცოდეს, როგორ მიყვარს!

ის ლაპარაკობს. თუმცა არა, სდუმს, სულერთია
 მისი თვალები მეტყველებენ, მათ ვუპასუხებ.
 მაგრამ რას ვამბობ? განა ჩემთან ლაპარაკობენ!
 ორ ნათელ ვარსკვლავს განუზრახავს ზეციდან წასვლა,
 ახლა ისინი იმის თვალებს სთხოვენ მუდარით,
 რომ მათ ადგილას იციმციმონ დაბრუნებამდე.
 რა იქნებოდა, ის თვალები ზეცას ამკობდნენ
 და ვარსკვლავები ჩამოვიდნენ თვალების ნაცვლად.
 მაშინ მის სახის ელვარება ჩააბნელებდა
 ვარსკვლავთა ციმიცმს, ვით დღის შუქი ჩააქრობს ლამპარს.
 თვალნი კი ზეცას დააფრქვედნენ ისეთ სინათლეს,
 რომ ფრინველები დაიწყებდნენ დილის სიმღერას.
 აჰა, ეყრდნობა ის თავის ხელს უმანკო სახით.
 ნეტავ მაქცია თათმანებად, შემეძლებოდა
 შევებოდი მე იმის ლაწევებს.

ჯულიეტა — ჰოი, ვაგლახ მე!
 რომეო — ის ლაპარაკობს. ანგელოზო, კიდევ სთქვი რამე.
 შენ ისეთივე სხივთმფენი ხარ ამ ბნელ ღამისთვის,

^{*)} იხ. „მნათობა“ № 1.

როგორც ფრთოსანი ცის შიკრივი, ზანტად მავალი,
 ღრუბლების ნავით რომ დასცურავს ცის ღრმა ლაქვარდში,
 როცა მოკვდავნი შეჰყურებენ გაოცებულნი
 მოხიზლულ თვალთ იმათ სრბოლას მშვიდსა და ზეჰსა

ჯულიეტა — ო, შენ, რომეო, რატომ გქვია მაინც რომეო?

შენი მშობელი უარპყავი და დაჰგმე გვარი.
 თუ არ უარპყოფ, შემომფიცე, რომ მე გიყვარავარ
 და ამის შემდეგ კაბულეტი აღარ ექნება.

რომეო — (ჩუმად) როგორ მოვიქცე, გავჩუმდე თუ პასუხი გავცე?

ჯულიეტა — შენი გვარია ჩემი მტერი. შენ სრულიადაც
 არ ხარ მონტეგი, ან რას ნიშნავს თუნდაც მონტეგი?

ის არც ხელია, არცა ფეხი და არცა მკლავი,
 ანუ სახე, ან სხვა რაიმე ნაწილი კაცის.
 გემუღარები, შეიცვალე შენი სახელი.
 ხომ სულერთია: გარდს შეარქვა თუ გინდ სხვა რამე,
 ამის შემდეგაც მას ექნება ტყბისუნუნელება,
 და რომეოსაც თუნდ რომეო აღარ უწოდო.
 თვისი ძვირფასი ბრწყინვალეობა მაინც დარჩება.
 დაჰგმე, რომეო, შენი გვარი, რაიც ისედაც
 ნაწილს შენსას არ წარმოადგენს და იმის ნაცვლად
 მე წამიყვანე.

რომეო — თუ მაგრეა, სიტყვაზე გიჰერ.
 სატრფო მიწოდე, ხელმეორედ მოვინათლები
 და დღეის შემდეგ მე რომეო აღარ მერქმევა.

ჯულიეტა — ვინა ხარ მანდა, ღამის წყვილიაღს მოფარებული,
 ჭურღულად ისმენ ჩემს გულნადებს?

რომეო — არ ვიცი სწორედ,
 რა გიპასუხო. ჩემი გვარი მევე მძულს ახლა,
 ჩემო ღვთაებაე, რადგან იგი შენი მტერია,
 და რომ ქალაღდზე დაწერილი ენახო ის საღმე,
 მაშინვე დაეხეე.

ჯულიეტა — ჯერე შენგან არც კი მსმენია
 მე ასი სიტყვა და მაინც ვცნობ შენი ხმის ეღერას.
 ხომ რომეო ხარ შენ, მონტეგი, ჩემო ღვთაებაე?

რომეო — არც ერთი არ ვარ, თუ ორივე ეს სახელი გძულს.

ჯულიეტა — აქ რისთვის მოხველ ანდა როგორ? მითხარი ერთი?
 ბალის კედელი მაღალია და მიუვალი.
 საბედისწერო არის შენთვის ეს არეზარე.
 ხომ იცი, ვინც ხარ, არ დაგზოგვენ ჩემიანები.

რომეო — მე ვადმოვფრინდი სიყვარულის მსუბუქი ფრთებით,
 რადგან სიყვარულს ქვის ზღუდენი ვერ შეაჩერებს,
 და რაც მას ძალუძს, სიყვარული გაბედავს კიდევ.
 შენიანები ამის გამო ვერ დამიჭერენ.

ჯულიეტა — ისინი მოგკვლენ, დამერწმუნე, თუ კი შეგნიშნეს.

რომეო — ეჰ, მაგ თვალების მრისხანება უფრო მაშინებს,
ვიდრე იმათის ოცის ხმლისა. ოლონდ ალერსით
კი შემომხედე, მათი მტრობა ვერას დამაკლებს.

ჯულიეტა — დღევ დამლევი, ოლონდ იმათ არ დაგფაქონს უკან
რომეო — იმათ თვალთაგან დამიფარავს ღამის ნაბადიხი ბაგნი მისი
შემნიშნონ თუნდაც, არ ვინაღელი, ოლონდ გიყვარდე.
მე მირჩევნია ახლავ მომკლას მათ მძულვარებამ
ვიდრე ვიცოცხლო შენს სიყვარულს მონატრებულმა.

ჯულიეტა — მაგრამ მითხარი, ვინ გასწავლა ჩემი სამყოფი?

რომეო — ჩემმა შენდამი სიყვარულმა გამიკვლია გზა,
მან რჩევა მომცა, მე ვათხოვე ჩემი თვალები,
და ყოფილიყავ თუნდ უშორეს და უცნობ ნაპირს,
ვრცელი ზღვის იქით, — თუმც არა ვარ მე მეზღვაური, —
წავიდოდი და მოვძებნიდი ასეთ საუნჯეს.

ჯულიეტა — ღამის ნიღაბი არ ფარვიდეს ეხლა ჩემს სახეს,
ქალწულებრივი მორცხვობისგან გაეწითლდებოდი,
რომ შენ იღვმალ ყურს უგდებდი ჩემს აღსარებას.
ო, როგორა მსურს, რომ უარვყო, რაც წელანა ვთქვი.
შორს თვალთმაქცობავ! სთქვი გიყვარვარ? ვიცი „ქოს“ მეტყვი
და მეც ვენდობი შენს სიტყვებსა. რომ დაიფიცო,
ხომ შეიძლება მომატყო? აკი ამბობენ,
იუპიტერი იცინისო მიჯნურთა ფიცზე.

ჩემო რომეო, თუ გიყვარვარ, ეს სთქვი გულაბდით.
მაგრამ თუ ფიქრობ, რომ ადვილად მომინადირებ,
მე გავჯავრდები, განრისხებულ სახეს მივიღებ
და მერე თუნდ ბევრს შემეფარო, გავიძალდები.
ეს მართალია, მეტისმეტად მიყვარხარ, მონტეგ,
ამიტომ იქნებ შენ ჩამთვალა თავქარიანად.

მაგრამ, მერწმუნე, მათზე მეტად მე გიერთვულე
ვინც ცბიერებით მიუწედომლად გვაჩვენებენ თავს.
უნდა გამოვტყდე, ვიქნებოდი უფრო გულცივი,
რომ შენ ანაზღად ჰეშმარიტი შეყვარებულის
აღსარება არ მოგესმინა. მაშ მომიტევე
და ასე ჩქარი დათანხმება არ ჩამითვალო
მსუბუქფრთებიან, ჭარბშუტა სიყვარულადა,
რომელიც ბნელმა ღამემ ასე გამოამქლავნა.

რომეო — ო, გეფიცები, ქალბატონო, ამ საინო მთვარეს,
რომელიც ვერცხლით აფარავებს ხის კენჭროვებს...

ჯულიეტა — ო, მერყევე მთვარეს ნუ ფიცულობ, იგი მუდამ თვე
ღალატობს თავის მრგვალსა სახეს, და შენი ტრფობაც
იმ მთვარის მსგავსად ცვალებადი ნუ შეიქნება.

რომეო — მაშ რა შევფიცო?

ჯულიეტა — სრულებითაც ნუ დაიფიცებ.
და მაინც თუ გსურს, დაიფიცე შენ ჩემი კერპი,
ჩემი ღვთაება — შენი თავი და დაგიჯერებ.

რომიო — თუ ჩემი გულის სიყვარული და სათაყვანო...

ჯულიეტა — ნუ, ნუ ფიცულობ, მიხარია თუმცა რომ ვიყვარვარ,
ეს ღამის აღთქმა მაინც ისე როდი მახარებს.

ის მეტად ჩქარი, არაბრძნული, უცარიია,
და ელვასა ჰგავს, რაიც ისე სწრაფადა ჰქრება,
რომ ჩვენ თქმასაც კი ვეღარ ვასწრებთ: „აჰა ელვასო“.
მშვიდობის ღამე! ჩვენს მეორე შეხვედრისათვის
ზაფხულის სუნთქვა სიყვარულის ამ კოკორს გაშლის
ტურფა ყვავილად. მაშ მშვიდობით, მშვიდობის ღამე!
დე, შენმა გულმაც მოსვენოს ისევე მშვილად,
რა სიმშვიდითაც განისვენებს ეს გული წმინდა.

რომიო — ისე დამტოვებ, სანუგეშო არ მითხრა რამე?

ჯულიეტა — რა ნუგეშა მთხოვ, საყვარელო, ახლა, ამ ღამეს?

რომიო — შენც შემომოტივე სიყვარულში ჩემის სანაცვლოდ.

ჯულიეტა — ვიდრე შენ მთხოვდი, მე მანამდე მოგეცე ეს აღთქმა,
თუმცა ახლა მინდა ისევე მქონდეს დასაფიცებლად.

რომიო — უკანვე მივაქვს? მაგრამ რისთვის, ჩემო ტრფილო?

ჯულიეტა — რომ უხვი ვიყო და შემეძლოს ზელმეორედაც
მოგეცე ეს აღთქმა. თუმცა მას ენატრობ, რაც ისედაც მაქვს:
სიუხვეს ჩემსას, ვით ზღვას გაშლილს, არ აქვს საზღვარი,
და სიყვარულიც ღრმაა ჩემი — რამდენ მეტს მოგეცემ,
მეტი დამჩნება, რადგან ორივე უსაზღვრო არის.
ხმაური მესმის, საყვარელო, ახლა მშვიდობით!

(გადია ეძახის შიგნიდან).

ჩემო გადიაე, მოვალ ახლავ. ძვირფასო მონტეგ,
იყავ ერთგული. თუმცა დაიცა, მე ისევე მოვალ.

(გადის).

რომიო — ნეტარო ღამევე, მეშინია, რომ ყველაფერი
მხოლოდ სიზმარი არის ესა — აქი ღამეა,
ეს მეტისმეტად ტკბილი არის სინამდვილისთვის.

(შეშობის ჯულიეტა).

ჯულიეტა — სამი სიტყვა და შემდეგ უკვე მშვიდობით იყავ.
თუ შენი ტრფობა მართლაც ასე უმზავრო არის
და თუ გწადიან ჩემი შერთვა, მაშინ ხვალ დილით
ჩემს მოგზავნილ კაცს შენი სიტყვა გამოატანე.
მაცნობე, რა დროს, რა ადგილას გსურს ჯვარისწერა.
და მეც, მერწმუნე, ჩემს ბედიღბალს ფეხთ ქვეშ გავიშლი.
თუნდ ქვეყნის კიდეს გამოგყვები, შენ, — ჩემს მეუფეს.

გამდელი — (შიგნიდან) ქალბატონო!

ჯულიეტა — აჰა, მოედივარ. — მაგრამ თუ შენ ბილწი ზრახვა გაქვს,
გემუდარები...

გამდელი — (შიგნიდან) ქალბატონო!

ჯულიეტა — მოვდივარ-მეთქი.

გემუდარები, დაანებო თავი ამ ლაქუცს

და მარტოდმარტო დამავდო მე მწუხარებაში.

ჩემს მოგზავნილ კაცს ელოდე ხვალ.

რომეო —

იხარე, სულს!

ჯულიეტა — მშვიდობის ღამეს მოგახსენებ ათასჯერ
(გაღის).

რომეო — მაშინ შენს ნათელს მე ათასჯერ მოვაკლდე უნდა.

როგორც მოწაფე ეშურება დაავდოს წიგნი,
ისე მიჯნური მიჯნურისკენ ისწრაფის მარად,
განშორება კი, ვით ბავშვს სკოლა, ისევე ზარავთ.

(გაღის).

ჯულიეტა — (შემოდის) რომეო, ვესმის! ო, რად არ მაქვს ხმა ბაზიერის,
რომ ისევ უკან მოვიტყუო ჩემი მიმინო.

მხეველს არ ძალუძს დაიყვიროს თვის ხრინწიან ხმით,
თორემ შევეძრავდი მე იმ მღვამეს, სად ექოს ძინავს.

და მაშინ ის ხმაც, იმ ექოს ხმაც, ჰაეროვანი,
შეიქმნებოდა ხრინწიანი უმეტეს ჩემის,
ჩემი რომეოს დაძახებით. ჰეი, რომეო!

რომეო — ეს ჩემი სული ვომიწოდებს ჩემი სახელით.

ვერცხლის წკრიალა ხმა არა აქვთ მიჯნურებს ღამით?
ყურს უნახესი მუსიკის ხმად ესალმუნება.

ჯულიეტა — ვესმის, რომეო?

რომეო —

აი გისმენ, ჩემო ძვირფასო.

ჯულიეტა — რომელ საათზე გამოვეგზავნო ხვალ დილით კაცი?

რომეო — საათის ცხრაზე.

ჯულიეტა —

გამოვეგზავნი, არ დავიფიწყებ.

თუმც ოცი წელი ჩამოივლის ხვალე დილაშდე.

აღარც ჭი მახსოვს, რად მოგიხმე, რა უნდა მეტყვა.

რომეო — მაშ აქ დამტოვე, ვიღრემლის შენ გაიხსენებდე.

ჯულიეტა — მაშინ საესებით დავიფიწყებ, რომ აქ გამყოფო
და მხოლოდ იგი მებსომება შენ ჩემთან იყო.

რომეო — მაშ აქ დავიციდი, რომ აროდეს არ გაიხსენო,

მეც დავიფიწყებ, სხვაგანაც მაქვს თავშესაფარი.

ჯულიეტა — თენდება კიდეც. მსურს წახვიდე, მაგრამ წახვიდე

არა უშორეს იმ ჩიტისა, რომელს გოგონა

ჯერ კი მიუშვებს ძაღზე მიბმულს, ვით შებორკილ ტყვეს,

მაგრამ, როგორც კი ლალი ჩიტი კამარას შეჰკრავს,

უკანვე მოსწევს აბრეშუმის ძაფით, რადგან მას

უყვარს და მიტომ შურს დაუთმოს თავისუფლებას.

რომეო — ნეტავი ვიყო შენი ჩიტი!

ჯულიეტა —

ნეტავი მართლა!

თუმცა აღერსით დავალრჩობდი. მშვიდობით იყავ!

ისე ტყბილია განშორების ეს ნაზი სევდა,

რომ ხვალ დილაშდის მსურს ვიძახო „მშვიდობა შენდა“.

(გაღის).

რომეო — სიმშვიდე შენს სულს. თვალებს ძილი მიეცეს ტკბილი.
 ო, ნეტა ვიყო ის სიმშვიდე ანდა ის ძილი.
 ახლა სენაკში წავალ, ვნახავ სულიერ მამას
 დახმარებას ვთხოვ, ჩემს ბედობაღას გავანდობ მე

(გაღის).

ხუროთი III

ბერ ლორენცოს სენაკი.

შემოდის ლორენცო კალათით ხელში.

ლორენცო — აჰა, უღიმის ქუფრსა დამეს რუხთვალა დილა,
 აღმოსავლეთის ღრუბლებს სერავს. ნათელ ზოლებით;
 ჭრელი სიბნელე როგორც მთვრალი დღის ბილიკიდან
 ცეცხლოვან ბორბალს ტიტანისას რხევით გაურბის.
 თავის მწველ თვალებს, ვიდრემდის მზე გაანათებდეს
 მხიარული დღით, გააზრობდეს დანამულ მინდორს,
 უნდა გავავსო მანამდე ეს ძეწნის კალათი
 მწამლავ ბალახით და გამკურნავ ყვავილებითა.
 ბუნების დედამიწა მისივ საფლავი არის,
 ქმნილებათ საშო, მერე მათივ სამარე ხდება:
 იგი წარმოგვშობს მრავალ სახის, მრავალთა შვილთა
 და თავისავე მკერდზე შემდეგ გვაწოვებს ძუძუს.
 ყველა ქმნილება დიდი არის თავის სიკეთით.
 ურგი არც ერთი და ყოველი განსხვავებული.
 განუზომელად დიდი არის კეთილი ძალა
 ყოველგვარ ქვასა, მცენარესა თუ ყვავილთ შორის.
 ისე არამი არაფერი ცოცხლობს ამ ქვეყნად,
 რამე სიკეთეს არ აძლევდეს თვით დედამიწას.
 არც სიკეთეა ისეთი, რომ თავის ნათელ გზას
 არ გადაშორდეს, ბოროტისკენ არ გადაიხაროს.
 კეთილი ხშირად გზას ასცდება, ბოროტი ხდება,
 ხოლო ბოროტი კეთილ ძალად გადაიქცევა.
 თუნდაც აი ეს პაწაწინა ყვავილის გარსი:
 შხამიც აქვს ამას და ამასთან მკურნავი ძალაც,
 თუ შეიწმოსავ, მაცოცხლებელ ძალას შეგმატებს,
 თუ გემო ნახე, გაგიგმირავს გულსა და გრძნობებს.
 ორი მოჭიშვე მეფე ბუღობს ადამიანში
 და ყველა არსში — კეთილი და ბოროტი სული.
 როცა ბოროტი გაიმარჯვებს, მაშინ მცენარეს
 სიკვდილი დაღრღნის და მოუღებს თანდათან ბოლოს.

(შემოდის რომეო).

რომეო — დილა მშვიდობის, წმინდა მამავ!

ლორენცო —

კურთხეულ იყავ!



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

ვინ მესალმება ტკბილი საღმით ამ ადრე დილას?
ლოგინისაგან ასე ადრე გამოთხოვება
ამტკიცებს, რომ შენ, შეილო ჩემო, არეული ხარ.
ზრუნვას დარაჯი ჰყავს ყოველი მოხუცის თვალში
და სადაც ზრუნვა დაიბუდებს, ძილს იქ რა უნდა?
მაგრამ უდარდელ და მხიარულ ყრმისა საწოლში
უნდა მეფობდეს ტკბილი ძილი. ამრიგად, შენი
გამოცხადება ადრიანი იმას მიმტკიცებს,
გამოგაღვიძეს უგუნებო ფიქრებმა შენა,
ან თუ არა და მაშინ უკვე ნამდვილსა ვიტყვი,
რომ ჩვენს რომეოს წუხელ არც კი დაუძინია.

რომეო — ბოლოს რაცა სთქვი, მართალია. მე მეტად ტკბილად
გავატარე დრო.

ლორენცო — ყველა ცოდვა შეგინდოს ღმერთმა,
როზალინასთან თუ იყავი.

რომეო —

როზალინასთან?

არა, მამო, დამაფიწყდა მე ეგ სახელი
და ამ სახელით მოვლენილი მწუხარებაცა.

ლორენცო — ესეც ასეა, შეილო ჩემო, მამ სად იყავი?

რომეო — გეტყვი მანამდე, ხელმეორედ ვიდრე მკითხავდე:
მე ლზინში ვიყავ, ჩემი მტრების სახლში ვილხენდი.
უცებ იქ ერთმა მტერმა დამჭრა, მე კი ის დავჭერი.
ორივეს შეველა-განკურნება შენ ძალგაძს მხოლოდ.
წმინდა მოძღვარო, მძულვარება როდი მაქვს გულში,
რადგან, ხომ ხედავ, მტრისათვისაც გემუდარები.

ლორენცო — გამაგებინე, შეილო ჩემო, პირდაპირ მითხარ.
ქარაგმულ თხოვნას ქარაგმულად ესიტყვებიან.

რომეო — პირდაპირ გეტყვი. ჩემი გულის სათაყვანები
კაბულეტების მშვენიერი ასული გახდა.

სათაყვანო ვარ მეც იმისთვის, ვით იგი ჩემთვის,
შეთანხმებულნი ვართ ყოველმხრივ, ისღა გვაკლია,
რომ ახლა წმინდა ქორწინებით შეგვაუღლო შენ.
სად შევხვდით, როგორ ანუ როდის, ვით შევიყვარეთ,
როგორ შეეფიცეთ ერთმანეთსა — გზაში გაიბოზბ.
ახლა ამას გთხოვ, რომე დღესვე დაგვეწრო ჯვარი.

ლორენცო — წმინდა ფრანცისკო, ეს რა არის, რა ცვლილებაა!
შენს ძვირფას სატრფიას როზალინას ღალატობ უკვე?
სჩანს, ყმაწვილკაცებს გულთ კი არ, თვალებით უყვართ.
ო, ღეთისმშობელო! როზალინას სიყვარულისთვის
ეგ მკენარი სახე ცრემლების ზღვამ ჩამოგირეცხა.
იმიტომ ღვარე მლაშე წყალი შენ სიყვარულის
შესაკმაზავად, რომ მის გემო აღარ გეგმნა?
კვლავ ეფარება შენი ოხერის ღრუბლები მზესა
და შენი კვნესა ისევ რეკავს ჩემს მოხუც ყურში.

აბა, შენს ლაწებებს კვლავ აჩნია კვალი ცრემლისა,
რომელიც ძველად დაგდენია და არც გამშრალა.
თუ შენი თავი შენ გეკუთვნის, თუ კი ნაღვლობდი,
თუ მწუხარებდი და ოხრავდი როზალინასთვის,
რადამ შეგცვალა? აბა ერთი ეს მოიგონე.



ქალი ეცემა, როცა ვაჟკაცს არ შესწევს ძალა.
რომიო — ხშირად მტუქსაედი როზალინას სიყვარულისთვის.
ლორენცო — სიშმაგისათვის, ჩემო შეილო, არა ტრფობისთვის.
რომიო — აკი მირჩევი, დანებარბა ის სიყვარული.
ლორენცო — ის კი არ შეთქვამს, დაგეშარბა საფლავში ერთი
და მეორე კი ამოგელო.

რომიო — გემუდარები,
ნუ მტუქსაე, ახლა ვინც მიყვარს მე, ის მიპასუხებს
ტრფობას ტრფობითვე და სიყვარულს სიყვარულითვე.
პირველი არა.

ლორენცო — ო, იმიტომ, რომ მან იცოდა
მაშინ, სიყვარულს კითხულობდი უაზროდ შენა,
შინაარსი კი არ გესმოდა. თავქარიანო,
ახლა დამშვიდდი, გამომყევი, ჩემთან წამოდი.
დაგეშარბით იმ იმედით, რომე იქნება
ამ შეუღლებამ ძველი მტრობა ორი გვარისა
საბედნიეროდ სიყვარულად გადააქციოს.

რომიო — ახლა წავიდეთ, შეჩქარება.

ლორენცო — ბრძნულად და დინჯად,
ხოლო ვინც ჩქარობს, შემდეგ მალე წაიბოროძიკებს.
(გადიან).

სურათი IV.

ქუჩა

შემოდინ ბენვოლიო და მერკუციო.

მერკუციო — ეშმაკმა იცის, სად იქნება შინც რომეო.
წუხელის სახლში არ მოსულა?

ბენვოლიო — ჰო, არ მოსულა.
იმის მსახურსა ეკითხე და მან მითხრა მე ასე.

მერკუციო — მას ეგ ფერმერთალი გულქვა გოგო, ეს როზალინა
ისე აწვალებს, რომ უთუოდ ჰკუდიან შესლის.

ბენვოლიო — ტიბალტს, მოხუცი კაპულეტის მოკეთეს, თურმე
რომიოსთვის შინ წერილი გაუგზავნია.

მერკუციო — საბრძოლოდ იწვევს, დავიფიცებ თუნდა სიცოცხლეს.
ბენვოლიო — ჰო-და რომეოც უსათუოდ პასუხსა გასცემს.

მერკუციო — ვინც წერა იცის, ყველა გასცემს წერილზე პასუხს.

ბენვოლიო — მე იმას ვამბობ, რომ წერილის გამომგზავნს უპასუხებს
თუ როგორ ბედავს,

როცა მას შებედავენ.

მერკუციო — საბრალო რომეო, იგი ისედაც მკვდარია, განგმირველი თეთრი ღიაის

შავი თვალებით, ყურები სიყვარულის სიმღერითა აქვს გახერხებული, ხოლო

გულის წვერი შუაზე აქვს გამოხილი ბრმა მოისრე ბიჭის ისარით. განა ასეთი კაცი ტიბალტს შეებრძოლება?

ბენვოლიო — მერე და რა არის ასეთი ტიბალტი?

მერკუციო — უფრო მეტი, ვიდრე კატების მეფე, ამას მერწმუნე. თანაც ვაქაჯურად

იცავს ყოველგვარ წესებს. ისევე იბრძვის, როგორც შენ მღერი ნოტებით: იცავს

ტაქტს, მანძილს და წონასწორობას. სულს არ მოგათქმევინებს: ერთი, ორი და მესამეზე უკვე გულში ჩაგვემს, გავისისხლიანებს აბრეშუმის ღილს. ნამდვილი

მებრძოლია. საუცხოოდ იცის ყველა პირველი და მეორე გაწვევა დუელისა. აჰ, უკვდავი *passado! punto reverso!*

ბენვოლიო — რაო?

მერკუციო — თავი მოგვაბეზრეს ამ მასხარა მანკიებმა, ამ ლიყიანმა მეოცნებებმა ახალნაირი ლაპარაკით — „ქრისტესა ვფაცავ, ბრწყინვალე მახვილია, რა მოხდენილი ჰაბუკია ანდა რა მომხიბლავი კახპაა“.

განა სამწუხარო არ არის, ბატონო ჩემო, რომ ასე გვაწამებენ ეს უცხოეთიდან მოთრეული ბუზები, ეს მოდების გამყიდველები თავიანთი *pardonnez mois* ძახილით, რომლებიც ისე მისდევენ ამ ახალ წესებს, რომ ძველ სკამზე ზე დაჯდომას ვედარ ახერხებენ. ოჰ, იმათი *bons* და *bons!*

ბენვოლიო — აი რომეოც, რომეო მოდის.

მერკუციო — შეხედე ერთი, ქვირითგამოცლილ ქაშაყს არა ჰგავს? ო, ხორცო, ხორცო, რამ ვაგათეზა?... იგი ახლა პეტრარკას ხასიათზეა, თუმცა ლაურა ამის ქალბატონთან შედარებით ჭურჭლების მრეცხავი ვაგო იყო, — ეს კია, რომ უკეთესი მიჯნური ჰყავდა, ლექსებს უთხზავდა, დიდონა ჩანჩურაა მასთან; კლეოპატრა — ბოშა ქალი; ელენე და ჰერო უნამუსო, როსკიბი დედაკაცები არიან; ნაცრისფერთვალემა თისბი კი — აბა როგორ შეედრება მაგის სატრფოს.

(შემოდის რომეო).

ბონეურ, სინიორ რომეო. აჰა, ფრანგული სალამი შენს ფრანგულ შარვალს. ძალიან ოინი გვიყავი წუხელ.

რომეო — მშვიდობის დილას გისურვებთ ორთავე. რა ოინი გიყავით?

მერკუციო — რომ გაგვეპარე, ბატონო ჩემო, რომ გაგვეპარე, ვერ მოიგონეთ?

რომეო — მომიტყევე, ჩემო კარგო მერკუციო, მეტად საჭირო საჭმე მჭონდა. ასეთ ღროს კაცს ეპატიება ზრდილობას გადაუხვიოს.

მერკუციო — ეგ იმის თქმასა ნიშნავს, ასეთ ღროს კაცი იძულებულია თავი ბარძაყებამდე დახაროს.

რომეო — ესე იგი ზრდილობისათვის?

მერკუციო — კარგად მიმიხვდა, სწორედ ეგარეა.

რომეო — ეს ყველაზე ზრდილობიანი ახსნაა.

მერკუციო — მე ხომ გვირგვინი ვარ ზრდილობისა.

რომეო — როგორ, ყვავილას გვირგვინი?

მერკუციო — დიახ.

რომეო — ჩემი ფეხსაცმელებიც ყვავილებითაა მორთული.

მერკუციო — მოსწრებულად ლაპარაკობ. მაშ მომყევი ჰქუამახვილო-
ბაში, ვიდრე ფეხსაცმელები გაგცეითა. თორემ როცა ეგ ერთადერთი
თხელი ლანჩა გაუცვდება შენს ფეხსაცმელს, შენც გამოლენხდები.

რომეო — პოი, ცალღანჩიანო ხუმრობავ, ერთადერთო იმის გამო, რომ
მარტო ერთი ხარ.

მერკუციო — ბენვოლიო, შუაში ჩამოდექ, თორემ ჩემი ჰქუამახვილობა
მარცხდება.

რომეო — მაგრა დასცხე მათრახი და დეზები ამოჰკარ, დასცხე და დე-
ზები ამოჰკარ, თორემ გიცივლებ, რომ მე გავიმარჯვე.

მერკუციო — თუ შენი ჰქუამახვილობა გარეული ბატებივით ააფრინე,
მაშინ ჩემი საქმე წასულია, რადგან შენს ერთ გრძნობაში უფრო მეტი
გარეული ბატი გყავს, ვიდრე მე ხუთივეში ერთად. ეს მითხარი, მიგა-
ჩნდი მე როლისმე ბატად?

რომეო — მე შენ არაფრად მიმაჩნდი თუ არა ბატად.

მერკუციო — მაშ, ყურზე გიკბენ მაგ ხუმრობისთვის.

რომეო — კეთილო ბატო, ნუ იკბინები.

მერკუციო — შენი ხუმრობა მწარ-ტკბილია, მეტად ცხარე საწებელია.

რომეო — მერე და ხომ მოუხდება გემრიელ ბატის ზორცს?

მერკუციო — ნამდვილი თხის ჰქუა გაქვს, რომლის ტყავი ერთი გოჯი-
დან ერთი საეენის სიგრძეზე იჭიმება.

რომეო — მაშ ახლა მაგ „სიგრძიდან“ გაგქიმავე: თუ მივუმატებთ მაგ სი-
ტყვას ბატს, მაშინ შენ გრძელი, ზორბა ბატი გამოდიხარ.

მერკუციო — ასე არა სჯობს სიყვარულისთვის კენესას? ახლა შენ
ნამდვილი გულღია კაცი ხარ, ნამდვილი რომეო. ახლა შენ ისა ხარ,
რაც უნდა იყო აღზრდიტა და ბუნებით. ეს ღორბლიანი სიყვარული
მასხარასა ჰგავს, ენა გამოგდებულა რომ დარბის, რათა თავისი ჯოხი
სადმე სოროში შემალოს.

ბენვოლიო — შეჩერდი, გეყოფა, შეჩერდი!

მერკუციო — შენ ჩემი შეჩერება გინდა, ამითი კი დიდად მაწყენინებ.

ბენვოლიო — მაგრამ თუ არ შეგაჩერე, გააბამ ზღაპარს.

მერკუციო — შენ ცდები, მე მალე უნდა დამემთავრებინა, რადგან უკვე
მივალწიე ჩემი ამბავის სიღრმეს და აღარ ვფიქრობდი გაგრძელებას.

რომეო — რა მშვენიერი მორთულობაა!

(შემოდინ გამდელი და პიეტრო).

მერკუციო — აფრა, აფრა!

ბენვოლიო — ორი ერთად — კაბა და კაცის პერანგი.

გამდელი — პიეტრო!

პიეტრო — რას მიბრძანებთ?

გამდელი — ჩემი მარათ, პიეტრო!

მერკუციო — კეთილო პიეტრო, სახეზე მიაფარე, რადგან მარათ მაგის სახეზე უფრო მშვენიერია.

გამდელი — მშვიდობის დილა, ბატონებო!

მერკუციო — საღამო მშვიდობისა, მშვენიერო ქალბატონო!

გამდელი — ნუთუ უკვე დაღამდა?

მერკუციო — არც რამე აკლია, მერწმუნეთ. თქვენი მკერდის ურცხვი ღარი სამხრობის დროს გვიჩვენებს.

გამდელი — აქედან დაიკარგე, შენ ვინ ყოფილხარ?

რომეო — ეს კაცი გახლავთ, ქალბატონო, რომელიც თავისდა ქირად გააჩინა ღმერთმა.

გამდელი — კარგადა სთქვა, „თავისდა ქირად“. ასე არაა? ბატონებო, ვის შეგიძლიათ მითხრათ, სად იქნება ახალგაზრდა რომეო?

რომეო — მე მოგახსენებთ. მაგრამ როცა თქვენ ახალგაზრდა რომეოს იპოვით, იგი უფრო ხნიერი იქნება, ვიდრე ახლა, როცა მას ეძებთ. მე უმრწემესი ვარ ყველაზე, ვისაც კი ეგ სახელი ჰქვია, თუ არ უარესიც.

გამდელი — მშვენიერად ბრძანებთ.

მერკუციო — როგორ, უარესი მშვენიერი იქნება? ვეცადე შესანიშნავად ლაპარაკობთ, ბრძნულად, ბრძნულად.

გამდელი — ბატონო ჩემო, თუ თვით თქვენა ბრძანდებით რომეო, საიდუმლოდ უნდა მოგესაუბროთ.

ბენვოლიო — გახშვად თუ ეპატიეებიან სადმე.

მერკუციო — მაჰანკალი, მაჰანკალი, პეი მაჰანკალი!

რომეო — რა მოხდა, ვის უსისინებ?

მერკუციო — კურდღელს არა, ბატონო ჩემო, და თუნდა კურდღელი იყვეს, ის მხოლოდ სამარხვო ღვეზელში გამოდგება, რადგანაც შექმამდღა გამომშრალი და გამოფიტული.

(დაღის და მღერის).

კურდღელი, ბებერი კურდღელი,
კურდღელი, ქალაჩა კურდღელი,
მარხვაში კარგია კურდღელი.
ყელში რომ ჩხირივით მოგხედება,
რომ ხმება, რომ შრება ძალიან,
ეს განა კურდღელის ბრალია?

რომეო შინ არ მიღიხარ? ჩვენ მამაშენთან უნდა ვისადილოთ დღეს.

რომეო — ახლავე დაგეწევით.

მერკუციო — მშვიდობით, ძველო ქალბატონო, მშვიდობით! (მღერის) ქალბატონო, ქალბატონო, ქალბატონო.

(გაღიან მერკუციო და ბენვოლიო).

გამდელი — მშვიდობით! ერთი ეს მითხარი, ბატონო, ვინ არის ეს ურცხვი ვაჟარი, ამდენი ხარახურით დატვირთული?

რომეო — ამ ვაჟატონს, გამდელს, თავისივე ლაპარაკის მოსმენა უყვარს, და, ერთ წუთში იმაზე მეტის თქმას მოასწრებს, რამდენის მოსმენაც კი გაუქირდება ერთ თვეში.

- გამდელი — მაგან რომ ჩემზე სთქვას რაზე, კარგა მივტყვი, თუნდა იმაზე ძლიერიც იყვეს, ვიდრე არის სინამდვილით. მაგისტანა/ვიგინდარას ოცს ერთად მივტყვამ; და თუ მე ვერ შევძელი, მაშინ მაგის შემძლესაც ადვილად ვიპოვნი. არამზადა! მე რა გამაჩნდება? გოგო მნახა, რა მაგისი ტოლი ვარ? (პიეტროს) შენც დგეხარ და ყველა უმსგავსს ნებას აძლევ, როგორც მოესურვება, ისე მომეჭეცეს.
- პიეტრო — მე არ შემიწინააღმდეგებს, ისე თუ მოგეჭეცა ვინმე, როგორც მოესურვა. რომ შემიწინააღმდეგებს, მაშინვე ხმალს ვიძრობდი, დამერწმუნეთ; მე ისევე ჩქარა ვეკვეთები, როგორც ყოველი სხვა, თუ კი კარგი ჩხუბი ენახე და კანონიც ჩემს მხარეზე იქნა.
- გამდელი — ღმერთს გეფიცები, ისე ვარ გაღიზიანებული, რომ ყოველი სახსარი მიცანკალუბს. არამზადა!.. თქვენთან ორიოდ სიტყვა მაქვს სათქმელი, ბატონო. როგორც უკვე მოგახსენეთ, ჩემმა პატარა ქალბატონმა მიბრძანა, თქვენ მომენახეთ. მაგრამ თქვენთან რაც დამაბარა, ჯერ არ გეტყვით. ჯერ უნდა მოგახსენოთ, რომ თუ თქვენ მის გაცურებასა ფიქრობთ, როგორც იტყვიან ხოლმე, ეს ძლიერ, რომ იტყვიან, უსინდისო მოქცევა იქნება, რადგანაც ქალბატონი ჯერ ყმაწვილია და თქვენის მხრივ ძლიერ ცუდი იქნება, თუ უორგულდებ.
- რომეო — თაყვანი ეც ჩემგან, გამდელი, შენს ქალბატონს. მე ვაცხადებ, რომ...
- გამდელი — კეთილი სულო, გეფიცები, ყველაფერს ამას ვეტყვი. ოჰ, ღმერთო, როგორ გაეხარდება!
- რომეო — რას ეტყვი, გამდელი? არ დამაცადე შეთქვა!
- გამდელი — გადავცემ, რომ შენ განაცხადე სურვილი, როგორც ეს მე გავიგე, მისი შერთვისა.
- რომეო — უთხარი, რომ დღეს შეადღისას მოიმიზეზოს საღსარებოდ წასვლა ამან ბერის სენაკში და იქ ლორენცო დაგვწერს ჯვარსა. ეს შენ გარჯისთვის.
- გამდელი — არა, ბატონო, ხელს არ ვახლებ მე თქვენს ერთ ვროშადაც.
- რომეო — აჰა, აიღე, გამომართვი.
- გამდელი — დღეს შეადღისას, არა, ბატონო? ძლიერ კარგი. ის იქ დავხვდებით.
- რომეო — დაიცა ძიძა, უნდა ვითხრა. ერთ საათს შემდეგ შენ მონასტერის გაღვივებთან ჩემს მსახურს ნახავ, იგი გადმოგცემს თოკის კიბეს, რომლითაც უნდა უკუნ ღამეში ნეტარების მწვერვალს ავიღე. ახლა მშვიდობით, ამ გარჯისთვის დაგაჯილდოვებ. მშვიდობით იყავ, შენს ქალბატონს საღამო ჩემგან.
- გამდელი — ღმერთმა დაგლოცოს, ზეციერმა. იცი რას გეტყვი?
- რომეო — რას მეტყვი, ძიძა?
- გამდელი — ერთგულია შენი მსახური?
- რომეო — შენ ფიქრი ნუ გაქვს, ფოლადივით ერთგული არის.
- გამდელი — ესეც ასე, ბატონო ჩემო. ღმერთო, ჩემი ქალბატონი უმშვენიერესი ქალია ქვეყნად. სულ პაწაწინა რომ იყო და ენას იჩლექდა... ჰო, ერთი კეთილშობილი კაცია ჩვენს ქალაქში, ბარისი, რომელიც შორიდან ეკურკურება. მაგრამ ჩემს ქალბატონს ურჩევნია გომბეშოს და-

ნახვა, ნამდვილი გომბეშოსი. მე ხანდახან ვუჯავრდებდი კიბეც და ვე-
უბნები, პარისი ყველაზე ღირსეული კაცია-მეთქი, მაგრამ, დამოჯერეთ,
როგორც კი ამას ვეტყვი, ტილოსავით გაფითრდება. მართლა, როზმა-
რინი და რომეო ზომ ერთი ასოთი იწყება?

რომეო — პო, გამდელი, ორივე „რათი“ იწყება. მერე რა?
გამდელი — აჰ, რა მასხარა ხართ! „რ“ ზომ ძალღური ასოა. ეს გამოდ-
გება... არა, მე მჯერა, რომ თქვენი სახელი სხვა ასოთი იწყება; ჩემმა
ქალბატონმა კი მშვენიერი კალამბური მოაწყო თქვენზე და როზმა-
რინზე — გესიამოვნებათ, რომ გაიგონებთ.

რომეო — ჩემი სალამი გადაეცი შენს ქალბატონს.

გამდელი — ათასჯერ გადავცემ თუნდა (რომეო მიდის). პიეტრო!

პიეტრო — გისმენთ.

გამდელი — პიეტრო, მარაო გამომართვი და წინ გამიძებნი!

(გადიან).

ხუროთი V.

კაპულეტების ბაღი.

შემოდის ჯულიეტა.

ჯულიეტა — სწორედ ცხრა იყო, გამდელი რომ გავგზავნე მასთან.

ნახევარ საათს შემდეგ უკან აღმითქვა მოსვლა.

იქნებ ვერ ნახა? მაგრამ არა, ის ზომ კოკლია.

მიჯნურებს უნდათ შიკრიკებად ჰყავდეთ ფიქრები;

ისინი ათჯერ უფრო სწრაფად გაიჭროლებდნენ,

ვიდრე მზის სხივი ღამის წყვლიადს გაჰფანტავს მთიდან.

ემიტომ დაჰქრის სიყვარული ფრთაშალ მტრელებით
და ქარივით სწრაფ კუპიდონსაც მიტომ აქვს ფრთები.

ჰა, მზე ასულა თავის დღიურ მოგზაურობის

უმაღლეს მწვერვალს და თუმც საში გრძელი საათი

გავიდა ცხრიდან თორმეტამდის, ის მაინც არ ჩანს.

რომ ჰაბუკური სისხლი ჰქონდეს და ვნებათღელვა,

ბურთივით მალი იქნებოდა მის მოძრაობა.

ჩემი სიტყვები ჩემს სატრფოსთან შიაქროლებდნენ,

იმისი ჩემთან. მაგრამ ბევრი მოხუცი მკვდარს ჰგავს.

დუნეა, ნელი, უსისხლო და მძიმე, ვით ტყვია.

მაგრამ, ჰა ღმერთო, ისიც მოდის!

(შემოდის გამდელი და იმისი მსახური პიეტრო).

ტკბილო ვადია,

რა ამბავს მეტყვი? მითხარ, ნახე? ეს (პიეტროზე ანიშნებს) დაითხოვე-
გამდელი — პიეტრო, კართან დამელოდე. (პიეტრო გადის).

ჯულიეტა — ახლა მითხარი,

ჩემო ვადიავ, ღმერთო ჩემო, ასე მწუხარედ

რად იყურები? თუნდ მწუხარე ამბავი იყოს

შენ მზიარულად მითხარ მაინც. და თუ კარგია,
დაღრეჯით რად რყენი ტკბილი ამბის ამო მუსიკას.

გამდელი — ცოტა მადროვე, დავიქანცე. ო, როგორ მტკივა
ყოველი ძვალი. დოდი იყო, ნამდვილი დოდი.

ჯულიეტა — ნეტავი ჩემი ძელები მოგცა, მე კი სანაცვლოდ
ის ამბავი, რაც შენ გაიგე. მაგრამ სთქვი ჩქარა,
გემუდარები, კარგო ძიძავ, ჩქარა მითხარი.

გამდელი — ო, ღმერთო! აბა რა გაჩქარებს, ვეღარ მოითმენ?
ნუთუ არ ხედავ და არ ამჩნევ, სულს ვერც კი ვითქვამ.

ჯულიეტა — სულს ვერ ვითქვამო, ამის თქმისთვის ზომ გყოფნის
სუნთქვა.

და ეს წუწუნიც, ასე ზღაზნვით რომ ამბობ ახლა,
უფრო გრძელია იმ ამბავზე, რაც უნდა მითხრა.
როგორი ამბის მთხრობელი ხარ, კარგის თუ ავის?
მოკლედ მითხარი, უფრო ვრცლად კი შერე მიაშბე,
ახლა მეტს არ ვთხოვ, მიპასუხე, კარგი თუ ავი?

გამდელი — კეთილი. თქვენი არჩევანი ბევრი არაფერია. არა გცოდნია
კაცის არჩევა. რომეო... არა, ის არა. თუმც მისი სახე
სხვებისას სჯობს, ასევე ფეხებიც, ხელებიც, ტანიც, მაგრამ ეს
რა მოსატანია, თუმცა ყოველ შედარებაზე მაღლა დგას. მაინც ვერ
არის იგი თავაზიანობის ბრწყინვალე ყვავილი. ეს კი უნდა ვთქვა,
რომ ისეთივე მშვიდია, როგორც კრავი. ახლა კი შენი გზით იარე.
იყავ ღვთის მოსაყვ. უკვე ისადილეთ?

ჯულიეტა — მაგას არ გკითხავ, ეგ ისედაც ვიცოდი აღრე,
ქორწინებისა რა ვითხრა მან, ქორწინებისა?

გამდელი — ო, ღმერთო, თავი როგორ მტკივა! ო, რა თავი მაქვს!
ისე მტებს, თითქოს იგი ახლა ოცად მისკდება.
ახლა ეს ზურგიც, ვაი ზურგი, ო, როგორ მტკივა!
შენმა გულმა კი სასიკვდილოდ გამიმეტა მე
აღმა თუ დაღმა სირბილითა და ხეტიალით.

ჯულიეტა — შერწმუნე, ვწუხვარ, ცუდად რომ ხარ. ტკბილო გადია,
მითხარ, რას ამბობს, ტკბილო ძიძავ, ჩემი მიჯნური?

გამდელი — ისეთნაირად ლაპარაკობს შენი მიჯნური,
ვით ეს შეჭფერის პატროსან, თავაზიან კაცს,
ამასთან კეთილს, და მრწამს დიდად, რომ სათნოც არის.
დედათქვენი სად არის ახლა?

ჯულიეტა — დედა სად არის?
სად უნდა იყვეს? სახლში არის. რას მეუბნები?
„ისეთნაირად ლაპარაკობს შენი ტრფიალი,
ვით ეს შეჭფერის პატროსან, თავაზიან კაცს.
დედათქვენი სად არის ახლა“.

გამდელი — ო, ღვთისმშობელო,
როგორ გაცხარდი! კარგი ერთი, დამშვიდდი, კმარა.
მაგ მალამოთი გსურს დამიცხრო ძელების ტკივილი?
მაშ შენვე იყავ შენი საქმის შიკრიკი აწი.

ჯულიეტა — ისევ დაიწყო აბღა-უბღა. რა სთქვა რომელმ?

გამდელი — შენ აღსარების მისაღებად დაგრთეს დღეს ნებე?

ჯულიეტა — დიახ, დამრთეს.

გამდელი —

მაშ ლორენცოსთან ჩვენთვის ჩვენთან

იქ შენ მეუღლე დავიხვედება და ცოლად გავხდის.

შეხედე, ცელქი სისხლი ლოყებს როგორ მოაწვა.

ახალ ამბავზე ასე იცი, წამოჭარხლდები.

ჩქარა ტაძრისკენ! მე კი სხვაგან უნდა წავიდე:

კიბეს მოვიტან, რომ იმითი შენს სატრფოს დამე

შეეძლოს თავის ჩიტუნის ბუდეში ასვლა.

თქვენ სიხარული, მე კი ამით შრომა და ჯაფა.

თუმცა შენც კარგა შიმე ტვირთი გელის ამაღამ.

მაშ ახლა ჩქარა სენაიკსკენ, მე კი სადილად.

ჯულიეტა — ჩქარა ნეტარის ბედისაკენ! მშვიდობით, ძიძავ!

(გაღიან).

ხუროთი VI.

ბერ ლორენცოს სენაიკი.

შემოდიან ბერი ლორენცო და რომეო.

ლორენცო — ზეცავ, კურთხევას ნუ მოაკლებ ამ წმინდა საქმეს,
და მწუხარებას ნუ მოგვიღვენ შემდეგ სასჯელად.

რომეო — ამინ, გისმინოს! მწუხარება მოვიდეს კიდევ,
ის ვერ დაჩრდილავს იმ სიხარულს, რასაც ჩემს გულში
ჩემი ტრფილის წამიერი ნახვა აღმიძრავს.

შენ წმინდა ლოცვით შეაერთე ჩვენი ხელები,

ბერე მოვიდეს ტრფობის მტერი, სიკვდილი თუნდა —

ჩემთვის ის კმარა, ჩემი სატრფო ჩემად ვიგულო.

ლორენცო — ასეთნაირ შმაგ გატაცებას შმაგი ბოლო აქვს

და მაშინ კვდება, გამარჯვებას როცა მიღწევს,

ჩაიფერფლება, როგორც დენთი ცეცხლთან ამბორით.

უტკბესი თაფლიც გვბეზრდება და მალას გვიფუჭებს

სწორედ თავისი სიტკბოებით. მაშ ეს გახსოვდეს:

ზომიერება გქონდეს უნდა შენ სიყვარულში,

რომე ამითი გრძნობა უფრო გაგიხანგრძლივდეს.

ვინც ძლიერ ჩქარობს, იგი მალე ტატიით ივლის.

(შემოდის ჯულიეტა).

ჰა, შენი სატრფოც. საუკუნო კაეის ფილაქანს

ვერ გაცვეთს ასე წარნარი და მსუბუქი ფეხი.

შიჯნურსა ძალუმს იჯირითოს აბღაბუღაზე,

რასაც ზაფხულის ცელქი სიო ზანტადა არხევს.

ასე მსუბუქი არის. მუდამ ამოვება.

ჯულიეტა — სალამს მოგიძღვნი, სულიერო ჩემო მოძღვართ!

ლორენცო — ორივეს ნაცვლად შენ რომეო მოგესალმება.

ჯულიეტა — რომ მომესალმოს, ვესალმები აგრეთვე მასაც.

რომეო — ჩემო ძვირფასო ჯულიეტა! თუ შენი გული ერქონული
გიგლიჩინუსა

ჩემებრ სავსეა მოზღვავებულ მზიარულებით,

თუ უკეთესად შეგიძლია გამოთქმა მისი,

მაშინ პაერი შენი ტკბილი სუნთქვით დაატკბე,

და ეს უზომო ნეტარება ჩვენი შეხვედრის

გამოსთქვი შენი უნაზესი ენის მუსიკით.

ჯულიეტა — სიტყვაზე მეტად სხვა სიმდიდრეს ფლობს სიყვარული.

იგი ამაყოფს არსით და არ სამკაულებით.

ქონებას თვისას მათხოვრები ითვლიან მხოლოდ.

ჩემი გრძნობა კი ისე გასცდა ყოველგვარ საზღვარს,

რომ მის სიმდიდრის ნახევარსაც ველარ დაეითვლი.

ლორენცო — ახლა წამომყვით და სულ მალე მოვრჩებით საკმეს.

თქვენ ორს კი მარტო ვერ დაგტოვებთ მანამდე, ვიდრე

წმინდა ტაძარი ორს ერთს მთლიან არსებად გაქცევთ.

(გადაიან).

(ვაგრძელება იქნება)

თარგმანი ინგლისურიდან
ზახტანგ ზელიჩისა.



პოლიო აბრამია

სისხლიან ნაკვადევზე

ფაშისტური გერმანიის ველური ურდოები ქალაქ ორჯონიკიძის მისადგომებს ეძალებოდნენ. ისინი ლამობდნენ ქალარა კავკასიონის გადმოლახვას.

შვე მანტიაში გამოხვეული სიკვდილი წამოდგომოდა დიდებულ მყინვარს. სიკვდილი თავის ჩონჩხადქცეულ ხელს იშვერდა საქართველოს ტურფა ბაღნარებისაკენ.

ჩვენი ქვეყნის ლომგულა ვაჟკაცებმა თავიანთი მკერდებით ჩაბერგეს დარიალი. საქართველოს ჩრდილო კარიბჭეები უკვე ჩაკეტილი იყო. ამოდ ზეიმობდა მტერი. ამოდ ინუგეშებდა თავს გამარჯვების ზღაპრებით.

მტერს დაავიწყდა, რომ იგი ვერასოდეს შემოვიდოდა საქართველოში. მტერს დაავიწყდა, რომ მყინვარს არასოდეს არ მოუხრია ქედი. გულამაყი მყინვარი უმალ ქვესკნელში დაინთქებოდა, ხოლო თავის მკერდზე არასოდეს არ გადაატარებდა ყაჩაღურად მოვარდნილ შვაბთა ურდოებს. მტერს დაავიწყდა, რომ კავკასიონის ხეობებსა და უღელტეხილებზე მტკიცედ იდგა დიდი სტალინის მიერ შექმნილი სახელოვანი წითელი არმია. მტერს დაავიწყდა, რომ აქვე იდგნენ ჰაერში ასაფრენად გამზადებული სტალინური შევარდნები — დამპყრობნი ცათა უსაზღვროებისა... მტერს დაავიწყდა, რომ ამ არმიის უკან იდგა საბჭოთა ხალხი, რომლის შრომისა და ბრძობის ბრწყინვალე ისტორიაში არსად არა სწერია „დამარცხება“.

საბჭოთა ხალხმა მისი დიდი ბელადის ხელმძღვანელობით შექმნა ყველა პირობა გამარჯვებისა, მტრის სრული განადგურებისა. და აი — ახლაც, აქ — კავკასიონის მისადგომებთან ყველაფერი მზად იყო მტერზე გამანადგურებელი დარტყმისათვის.

ნიშანს ელოდებოდნენ მხოლოდ...


ფრონტის ყოველ უბანზე უჩვეულო საბრძოლო აღტკინება სუფევდა. ყოველი მებრძოლი და მეთაური: ქვეითი და ცხენოსანი, ტანკისტი და მფრინავი, ნაღმმტყორცნი და არტილერიისტი, მეტყვიამფრქვევე და მშვერავი — მზად იყო მტერთან შესაბმელად.

ამ არმიასთან იყო ის კაცი, რომელიც ათეული წლების მანძილზე ერთგულ დარაჯად ედგა ქართველი ხალხის დაუცხრომელ მშვიდობიან შრომას. აქ იყო ის კაცი, რომელმაც შექმნა ქართველი ხალხის ბედნიერი ცხოვრება... კაცი, რომელმაც ერთ მთლიან ბაღნარად აქცია ქართული მიწა... აქ იყო იგი — თეთრი პენსნებიანი კაცი... ყოველი მებრძოლი გრძობ-

და მის სიახლოვეს... მტრის განადგურების სტალინურ გეგმით ბელჯუ, საქართველოს კარიბჭეებთან იღვია ამხანაგი ლავერენტი ბერია...

და არ იყო შიში, არ იყო იქვი...

იყო მხოლოდ ურყევე რწმენა გამარჯვებისა...



ღამე იყო უკუნი, პირქვეში. ირგვლივ არაფერი სჩანდა. მყუდროება სუფევდა დაურღვეველი. აქ ლაპარაკიც შეუძლებელი იყო, ჩურჩულებდნენ მხოლოდ. ყველას ცეცხლის მოწინავე ხაზისკენ ჰქონდა მიპყრობილი ყური, ყველა გრძნობდა, რომ სასტიკი ბრძოლები უნდა დაწყებულიყო...

სწორედ იმ ღამეს მოვიდა ორჯონიკიძეში უმცროსი ლეიტენანტი გრიგოლ ბახტაძე. იმ ღამესვე ჩაიბარა მან განაყოფი.

მის ფიზიკურ თვალებს რა გამოეპარებოდა? უმაღვე აღლო აღლო შექმნილ მდგომარეობას. ისე იქცეოდა, თითქოს დიდი ხნის წინათ მოსულიყოს ფრონტზე.

გრიგოლ ბახტაძე მისთვის ჩვეულ სიღინჯით შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას. უწინარეს ყოვლისა სათითაოდ გამოელაპარაკა ყოველ მებრძოლს. ზოგს გვარი ჰკითხა, ზოგს სახელი, ზოგს ეროვნება.

მებრძოლები ყველანი ახალგაზრდები იყვნენ. გრიგოლი აღტაცებაში ნოიყვანა ჰაბუკების მკვირცხლმა პასუხმა. მერე შეამოწმა მათი საჭურველი, გაიგო, ვის რა სჭირდებოდა დამატებით.

როცა სათანადო სამზადისი ჩაატარა, როცა ყველაფერი წესრიგში მოიყვანა, მებრძოლებს გაუძღვა წინ და წინასწარ განკუთვნილი ადგილი დაიკავა ცეცხლის ხაზზე.

მთელი ღამე სულგანაბული იყვნენ მებრძოლები. ნერვიულობდნენ, ვერ იომენდნენ უქმად ჯდომას. ვერ იომენდნენ, რადგან იქვე, სულ ახლოს ეგულებოდათ ჩასაფრებული მტერი.

მებრძოლები თითქოს გრძნობდნენ მის საზარელ სუნთქვას. ეს ვი აღიზიანებდა მათ, მოთმინება ეკარგებოდათ... მაგრამ ბრძანებას ელოდებოდნენ.

აღმოსავლეთის ცის კიდეს ვარდისფერი შეეპარა. განთიადი ახლოვდებოდა. უღრუბლო ცაზე ვარსკვლავები უფრო თვალისმომჭრელად კიაფობდნენ.

გრიგოლ ბახტაძემ თავი წამოსწია საფარიდან. დააკვირდა გარემოს. სრული სიჩუმე იყო, გაჰხედა თოვლით დაბურულ კავკასიონს. ის გაწოლილიყო სამხრეთ-დასავლეთით: მისი ცნობილი და უცნობი მწვერვლები მდუმარედ შეტყორცნილიყვნენ სივრცეში.

ზამთარი იყო — სუსხიანი.

ყველაფერი თოვლსა და ყინვაში იყო გახვეული. მებრძოლები მაინც არა გრძნობდნენ სიცივეს. თითქოს ხურდა მიწა, თითქოს ცხელი იყო ჰაერი.

ასე ეჩვენებოდათ მტერზე შურისძიებით გულანთებულ ჰაბუკებს. ისი-

ნი გატაცებულნი იყვნენ მტერთან ყოველ წუთს მოსალოდნელს შეტაკებით. ამიტომ არა გრძნობდნენ სუსხსა და ყინვას.

ანაზღად გაისმა საშინელი ვრიალი.

თითქოს ყალუზე შედგა მიწა. ზანზარებდა, ირყეოდა და მოხრჩობდა. ისროდნენ გორაკებიდან, ბორცვებიდან, ხეობებიდან. მტერებთან ერთად მათ მიჰქროდნენ დასავლეთისაკენ.

შორიდან მოისმოდა ყრუ გრგვინვა, აფეთქებები. ხმაური ეფინებოდა მთებს, წვებოდა სადღაც შორეულ ხეობებში.

მთელი საათის განმავლობაში არ შეწყვეტილა არტილერიის ქარიშხლისებური ცეცხლი. როცა გრიგალი ჩადგა, ტყვიამფრქვევებმა აიღვეს ენა.

სად იყო აიღენი ტყვიამფრქვევი? ყოველ ხის ძირში, ყოველ ბუჩქიდან, ყოველ სახლიდან კაკანებდნენ ტყვიამფრქვევები. ახლა მათ აჰყვენენ ნალმტყორცნები, ტანკაწინააღმღვებო თოფები, ერთხანს ასე გაგრძელდა. მერე ამას დაერთო შაშხანების გაბმული სროლა. ამ სროლაში მოისმა ძლიერი „ვაშა“. ამ ძახილის ტალღა თანდათან ახლოვდებოდა.

გრიგოლმა წუთით ყური მიუგდო. მერე უცბად შემოტრიალდა, ვეფხის ნახტომით ამოიჭრა საფარიდან და მქუხარე ხმით შესძახა:

— იერიშზე! სამშობლოსათვის! სტალინისათვის!

მთელი განაყოფი მიჰყვა მას. მებრძოლები მიემართებოდნენ სროლით, იკავებდნენ ახალ ზღუდეებს, ისევ გადარბოდნენ წინ, შეუჩერებლივ.

ეს იყო გრიგოლ ბახტაძის პირველი საბრძოლო ნათლობა.

იგი მტკიცე და ურყევი ნაბიჯებით შედიოდა საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის ცეცხლის გრიგალში, გაბედულად მიუძღვოდა წინ თავის განაყოფის ახალგაზრდა მებრძოლებს.

გრიგოლ ბახტაძე ახლა როდი იყო ნაზი და უწყინარი მასწავლებელი ისტორიისა. იგი როდი იყო სასწავლებლის თბილ ოთახში, როდი დასეირნობდა მერხებს შუა, როდი ჰყვებოდა ჩვენი ხალხის მიერ გადახდილ უპარავ ბრძოლების ბრწყინვალე ეპიზოდებს. ახლა მას როდი უსმენდნენ გაკვეთილით გატაცებული მოსწავლეები.

გრიგოლ ბახტაძე ახლა იყო წითელი არმიის იარაღით შეკურვილი მეთაური. ახლა მას უსმენდნენ მტერზე შურისძიებით გულანთებული მებრძოლები, ჩვენი სამშობლოს რჩეული ვაჟკაცები.

ახლა გრიგოლ ბახტაძე კი არ ჰყვებოდა წინაპართა მიერ გადახდილ ბრძოლების ამბავს ისტორიის მიხედვით, ახლა თვითონ იგი — თავისი მგზნებარე და სამშობლოს უდიდესი სიყვარულით შთაგონებულ ჰაბუკებთან ერთად წერდა საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის ისტორიის სტრიქონებს.

გრიგოლ ბახტაძემ კარგად იცოდა თავისი წმინდა მოვალეობა სამშობლოს წინაშე, ხალხის წინაშე.

— არც ერთი ნაბიჯი უკან მტერთან ბრძოლაში!

ამას ასწავლიდა გრიგოლ ბახტაძეს მისი აღმზრდელი კომკავშირი, ამას ასწავლიდა მას ლენინ-სტალინის დიადი ბოლშევიკური პარტია, ამასვე ასწავლიდა მას მშობელი დედა — ლეჩხუმის მიყრუებულ სოფელ ოფიტარაში გაზრდილი გლეხის ქალი მენიკო ბახტაძე, რომელმაც ქმრის გარდა-

ცვლებს შემდეგ ათეული წელი იმუშავა შავ მუშად ზონის/ქაფსახვევ ფაბრიკის საქებაზე განყოფილებაში...

გრიგოლ ბახტაძეს ყოველთვის ახსოვდა ეს სიტყვები და ახლაც, აქ, მტერთან ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილის დროსაც *არტყმინდამი ყურ-ში ჩასძახოდა ეს მომწოდებელი, მგანებარე ხმა: გინგლისხეხა*

— „არც ერთი ნაბიჯი უკან მტერთან ბრძოლაში!“...



წითელი არმიის მძლავრი შიძალებით გზაკვალაბნეული მტერი გარბოდა. იგი ვერსად ვერ იკიდებდა ფეხს. განწირული მტრის ურდოები ყველაფერს დაუნდობლად ანადგურებდნენ თავიანთ გზაზე.

ყველგან აჩნდა მისი სისხლიანი ნაკვალევი. ყველგან — ყოველ ქალაქში, ყოველ ხუტორში, ყოველ სტანიშაიცი — სისხლის ღვარი იდგა. ყველგან ამართულიყო სახრჩობელები. გზადაგზა ტელეგრაფის ბოძებზე ეკიდა გაყინული, ქვადქცეული გვამები. ყველგან დანგრეული იყო სახლები, სკოლები, საავადმყოფოები, სადგურები, ხიდები. ქუჩებში, თხრილებში, მოედნებზე, ბაღებში ეყარნენ სისხლში ამოსვრილი, ერთიმეორეზე შეყინული ადამიანები: დასახიჩრებულნი, დაფლეთილნი, ტყვიით დაცხრილულნი.

ამ გზაზე ეყარა ფაშისტური გერმანიისა და მისი სატელიტის ფაშისტური რუმინეთის ჯარების საომარი ტექნიკა: დამსხვრეული მანქანები, ქვემეხები, ჯავშნოსნები, ტანკები, თვითმფრინავები, შაშხანები, ავტომატები. მათ შორის ეყარნენ დახოცილი სვასტიკებიანი სვავები — გერმანელები და რუმინელები, რომლებსაც ამ იარაღით სიკვდილი და განადგურება შემოჰქონდათ ჩვენს ქვეყანაში.

მრავალი ცხარე ბრძოლა გადაიხადა გრიგოლ ბახტაძის განაყოფმა. ჩრდილო-კავკასიის გზაზე, მისმა მებრძოლებმა ხელჩართულ ბრძოლებშიაც ბევრჯერ უკუაქციეს ჭარბი ძალებით შემომტევი გაათორებული მტერი.

გამარჯვებებით წახალისებულ მებრძოლებს ვერაფერი აკაეებდა, ისინი არაერთარ საფრთხის წინ არ იხევენენ, ეძალებოდნენ მტერს სულ უფრო ძლიერად, სულ უფრო თავგამოდებით...

ერთერთ აულში ისინი წააწყდნენ გერმანელთა ძლიერ გამაგრებულ ზღუდეს. ამ აულიდან დაბლობისაკენ მოემართებოდა ერთი გზატკეცილი. აულის ბოლოში გზა ორად იყოფოდა. სწორედ ამ ადგილას, მზარმარტხნივ გორაკი მოსჩანდა. აქ იყენენ გამაგრებული გერმანელები.

ისინი ტყვიამფრქვევებს უშენდნენ ჩვენებს, რომლებიც დაბლობიდან უტევდნენ, აულში შესასვლელად კი საჭირო იყო ამ საცეცხლე წერტის განადგურება. მაგრამ ეს არც ისე ადვილი საქმე აღმოჩნდა. ბრძოლამ რამდენიმე საათს გასტანა. მაგრამ ბახტაძის განაყოფს უკან არ დაუხვევია. ქარიშხლისებური ცეცხლი დაყარეს გორაკს. როცა ნაღმმტყორცნებმა და არტილერისტებმა საკმაოდ მოთხარეს გორაკი და მტრის ტყვიამფრქვევის გაბმული კაკანი სამუდამოდ ჩააჩუნეს, გორაკის ჩრდილოეთით, ზევში გამოჩნდა გერმანელთა უზარმაზარი ტანკი. ის ნელა მოიწევა წინ, სროლით მოიკვლევდა გზას. ბახტაძემ უმაღლვე შენიშნა ეს.

— ცეცხლი! — გადასძახა მან მებრძოლებს.

დაიკეპეს ტანკსაწინააღმდეგო თოფებმა. პირველი ტყვია მოხვდა ტანკის კოშკურას, მეორე — მუხლუხოს, მესამე კი — ბენზინის აგას.

შავი სვასტიკიანი ტანკი ადგილზე შეტრიალდა და პრაქტიკულად მის კორპუსს უმაღლე ცეცხლი მოედო. შავი ბოლი აიბურთა მუხურას გრიგოლ ბახტაძე აღტაცებით შესტკეპროდა ამ სურათს.

ამ დროს აღმოდებულ ტანკიდან გამოვარდა გერმანელი ტანკისტი. მებრძოლებმა უმაღლე ტყვია დააყარეს მას. როცა სროლა მიწყნარდა მებრძოლები მისცივდნენ ტანკთან. იქვე, რამდენიმე ნაბიჯზე, პირაღმა ეგდო ცეცხლის აღში შეტრუსული, ტყვიით დაფლეთილი ფაშისტი. მებრძოლებმა ამ სვავის საველე ჩანთაში აღმოაჩინეს ერთი ცისფერი პაკეტი.

იგი ვრცელ წერილს სწერდა თავის ცოლს სიღეზიაში. ამ წერილში ფრიცი თავის შთაბეჭდილებებს უზიარებდა მეუღლეს. ფაშისტი მხეცი საკმაო აღფრთოვანებითა და გერმანული მედიდურობით ასწერდა თავის ლაშქრობას უკრაინაში, ყირიმსა და ყუბანში. მაგრამ ბოლო სტრიქონებში მაინც ერთგვარი უიმედობის ნიავი შეპარვია ამ ვერაჯს.

„...მეგონა აქეთ თბილოდა. თურმე ვცდებოდი. უცნაური სამხრეთი ყოფილა ამ ქვეყანაში. ამბობენ აქ სადღაც ახლოს სამკურნალო ცხელი აბანანები არისო... სადღაც ახლოს ჰყვავიან მანდარინისა და ლიმონის ბაღებო... მე კი ვერაფერს ვხედავ... არ იქნა, ვერ მივალწიე იქამდე!“

ეს წერილი გაუგზავნელი დარჩა ფრიცს.

ნაძირალა! თურმე როგორ ოცნებობდა საქართველოს სამკურნალო წყლებსა და ბაღნარებზე!

ერთში მართალი იყო ფრიცი, მან ვერ მიაღწია იქამდე, სამაგიეროდ, ამ ბაღნარებში აღზრდილი ვაჟკაცების ტყვიამ მიაღწია ფრიცამდე და იგი თავისი ტანკით ააფეთქა ჩრდილო-კავკასიის გზაზე.

ჯავშნიან ფრიცებს ვერ უშველეს კლიენტის ბრძანებებმა, ვერც ბერლინის რადიოგენერლების ყვირილმა იმის შესახებ, რომ როსტოვის აღებით გერმანიის სარდლობამ თითქოს ხელთ იგდო კავკასიის გასაღები. ამოდ ტრაბახობდა მტერი, ამოდ გაჰკიოდნენ გერმანიის საინფორმაციო ბიუროს — ტრანსოცეანის მსოფლიო მოლაყბენი...

კავკასიის კარიბჭეების გასაღები წუთითაც არ გაუშვია ხელიდან ჩვენს სახელოვან წითელ არმიას.



წითელი არმია შეუჩერებლად მიიწევდა დასავლეთით. მტერთან უსასტიკეს პრძოლებში გრიგოლ ბახტაძის განაყოფი ყოველთვის მოწინავე ხაზზე მიემართებოდა. გრიგოლ ბახტაძეს აინუნშიაც არ ჩაუგდია ქალაქ ორჯონიკიძის მისადგომებთან ფეხში მოხვედრილი ტყვია. ამისათვის წუთითაც არ შეჩერებულა, გზადაგზა — ლაშქრობაში შეიხვია.

იგი ახლა გატაცებული იყო შეტევით, მტრის წინააღმდეგობათა დაძლევით. გრიგოლი ყოველთვის ოცნებობდა მტერთან პირისპირ შეხვედრაზე. და აი ეს დღეც დადგა. იგი ახლა იარაღით ხელში მისდევდა მტერს... მერე როგორ მტერს? მოსისხლეს, საშინელს, საიუღველს!

გრიგოლ ბახტაძე გაასკეცებული ენერგიით ურტყამდა მას, ურტყამდა უზოგველად, რადგან კარგად იცოდა, რომ ასეთი სასტიკი და ვერაფერი მტერი არასოდეს არა ჰყოლია კაცობრიობას, მწვიდობიანობას, პროგრესს, კულტურას...

„...ფაშიზში — ველურობაა, ათასი წლით უკან დახევას ნიშნავს... წაოსისაკენ... ფაშიზში საწამლაფია... ფაშიზში — ჭირია, გადაშენება, სიკვდილი... და სიკვდილი — სიკვდილითვე უნდა დაითრგუნოს! სხვა გზა არ არის!“...

ასე ფიქრობდა გრიგოლ ბახტაძე, და იგი მტკიცე ნაბიჯებით მისდევდა ფაშისტურ ბანდებს მათი სიკვდილისა და განადგურების გზაზე.

უნდა აზღვევინოს მტერს სამაგიერო: ჩვენი ქვეყნის ქალების წამებისათვის, ბავშვების ამოკლეტისათვის, ნგრევისა და რბევისათვის. ყველაფრის სამაგიერო უნდა აზღვევინოს მტერს აქვე, კავკასიონის მისაღვლებთან, რომ კვლავინდებურად გულმშვიდად განაგრძოს თავისი ბედნიერი ცხოვრება სამშობლომ, საბჭოთა ხალხმა... რომ არასოდეს ჩაჰქრეს მშობლიური კ. რა...

და შურისძიების ცეცხლით ანთებული ქაბუკი გრიგოლ ბახტაძე ფიცულობს საქართველოს მზეს, შარავანდედით მოსილ წინაპართა სახელს, დიდ ბელადს, რომ იგი არ შეარჩენს მტერს თავხედობას... ვიდრე პირში სული უღვას, უკან არ დაიხევს, სულ წინ ივლის, დასაფლეთით... კიდევ უფრო შორს, ვიდრე დაჭრილ მხეცს არ დაუნგრევს თავის ბუნავს, საიდანაც იგი გამოვარდა 1941 წ. 22 ივნისს...



გრიგოლ ბახტაძემ სასტიკი ბრძოლებით გაიარა ნალჩიკი, პროხლანდია, ზინერალური წყლები, კრაპოტკინი, გიორგიევსკი.

იგი მონაწილეობდა შაიკოპისა და კრიმსკაიას დაკავებისათვის გამართულ ცხარე ბრძოლებში, მან დასძლია მტრის სასტიკი წინააღმდეგობა და გადალახა მდინარე ყუბანი.

ამის შემდეგ გრიგოლ ბახტაძე იბრძოდა ტამანის ნახევარკუნძულისა და საერთოდ აზოვისპირა მხარის განთავისუფლებისათვის. ფრონტის ამ უბანზე გრიგოლი მეორედ დაიჭრა ფეხში. ეს ჭრილობა პირველზე უფრო მძიმე აღმოჩნდა. იგი დროებით ჩამოშორდა თავის შემტევ ნაწილებს.

გრიგოლი ვერ ისვენებდა. ექიმების კატეგორიული მოთხოვნის მიუხედავად ვერ აკავებდნენ საველე ჰოსპიტალში, სულ ბრძოლისაკენ უწევდა გული. გრიგოლმა ძლივს გაატარა ორი თვე ზურგში. მაინც არ დაუსვენია.

აქაც გაიჩინა საქმე. ყავარჯნებზე დაყრდნობილი გაუძღვებოდა ახალგაზრდა მებრძოლებს, დილიდან საღამომდე ისხდნენ ხეში და სულ სროლაში იყვნენ გართულნი. გრიგოლმა ათეული საუკეთესო სნაიპერი შესძინა ფრონტს. ამ სნაიპერებმა ჩქარა გაიოქვეს სახელი. მათ საგრძნობი ზიანი მოაყენეს გერმანელ და რუმინელ ავაზაკებს.

განკურნების შემდეგ გრიგოლმა დაუყოვნებლივ მიაშურა ფრონტს. იმ ხანებში წითელი არმია უკრაინაში იყო გადასული. გრიგოლი მოხვდა უკრაინის მეოთხე ფრონტზე.

მართალია, იგი ახლა არ მეთაურობდა თავის ძველ განყოფს, მართა-

ლია გვერდით არ აყვავდა ბრძოლებში ნაცადი, ათასჯერ ცეცხლში ერთად გამოვლილი მისი ძველი მეზობლები, მაგრამ ახლებსაც ჩქარა შეუთვისა- მისმა ახალმა განაყოფმა ბევრი ცხარე ბრძოლა გადაიტანა უკრაინის ველებზე.

გრივოლ ბახტაძე მონაწილეობდა მელიტოპოლისსათვის წარმოებულ სასტიკ ბრძოლებში, კახოვის ცნობილ კამპანიაში. ყველგან გამარჯვებულ ი გამოდიოდა მისი განაყოფი, ყველგან სარდლობის მოწონებასა და მადლობას იმსახურებდა იგი...

წითელი არმია შიადგა დნებრს.

ამ ადგილებში დნებრს ერთვის პატარა მდინარე კონკა.

სამართლიანად რომ ითქვას, მას არც შეიძლება ეწოდოს მდინარე. იგი დნებრისა და აზოვის სანაპიროებს შუა გაშლილ ლიმანებიდან გამონაყურ იღვლეა. მთელი ეს მხარე ლერწამითა და ლაქაშით არის დაფარული. ირგვლივ ჭყანტობია, ტბორი, ჭაობი. აქ ზამთარ-ზაფხულ დგას დამპალი ჩაღორწილი, ჩაყვითლებული წყალი.

ეს არის ბაყაყების, კოლოებისა და ათასი ჯურის ქვეწარმავალთა ბუდე. ამ ადგილებში შერევა ჩვენმა სახელოვანმა წითელმა არმიამ გერმანელთა და რუმინელთა რჩეული დივიზიების ნარჩენები, რომლებიც თავხედურად მოიწვედნენ ჩვენებურ სამკურნალო წყლებსა და მანდარინის ბაღებისაკენ. ჩვენმა შემტევმა ნაწილებმა აქაც არ მოასვენა მტერი. მათი უმრავლესობა ამოვლიტა, ხოლო მცირედმა ნაწილმა ძლივს გადაიტანა სული დნებრის გაღმა. ფაშისტებმა თავიანთ შებერტყილ ნაწილებს ახალი ძალები მიაშველეს და გამაგრდნენ დნებრის მარჯვენა ნაპირზე ქალაქ ხერსონში.

გრივოლ ბახტაძემ აქამდე მოსდია მტერს. და აი ახლა იგი მიუახლოვდა ხერსონის მისადგომებს. მაგრამ წინ დაუხვდა დნებრი, განიერი, მდორე, წყალმრავალი.

გრივოლი პირდაპირ მეთევზეთა უბანში შეიჭრა. ათეული წლოებით ცხოვრობდნენ აქ მეთევზეები. ომამდე მშვენიერი სანახავი იყო ეს უბანი. ყოველ ფეხის გადგმავზე მეთევზეებს მოწყობილი ჰქონდათ მიწური სადგომები, დნებრი და მისი სანაპიროები სავსე იყო ბაილებით, საბუქსირო ნაგებობით, კატერებით. ირგვლივ ხარაჩობებზე გადაფენილი იყო თეთრი ბაღეები.

აქაური მეთევზეები დიდძალ თევზს აბარებდნენ სახელმწიფოს. თვითონაც კარგად ცხოვრობდნენ და კმაყოფილი იყვნენ. მაგრამ ომის შემდეგ ყველაფერი ჩაკვდა. ახალგაზრდობა ჯარში გაიწვიეს, დარჩნენ მოხუცები, მერე მოვიდნენ გერმანელი და რუმინელი ოკუპანტები. ყველაფერი გააჩინაგეს, გააპარტახეს, დაიტაცეს.

მოხუც მეთევზეებს გული ბოღმით ჰქონდათ სავსე. მართალია თოფის ტარება და ტყეში გაჭრა არ შეეძლოთ, მაგრამ არასოდეს არ დაეიწყებოდათ თავიანთი პატრიოტული მოვალეობა სამშობლოსა და საბჭოთა ხალხის წინაშე. ისინი ყოველმხრივად ეხმარებოდნენ მტრის ზურგში ნომქმედ პარტიზანთა რაზმებს. მეთევზეების ეს მოქმედება შეუმჩნეველი არ დარჩენილა ოკუპანტებისათვის.

ამიტომ იყო, რომ ეს მეთევზეები დღემუდამ გერმანელთა დამსჯელი რაზმების თავდასხმების შიშის ქვეშ იყვნენ. ამის მიუხედავად ნაპირებზე მისაღწევის დახმარება მაინც არ შეუწყვეტიათ. დნებრას ნაპირზე მიწურებში მცხოვრებ მეთევზეთა დახმარებით ჩვენმა მამაცმეჭურჭლეებმა ბევრი ფაშისტი გაისტუმრეს საიჭიოს...

მოხუც მეთევზეებს მტკიცედ სჯეროდათ, რომ გერმანელი და რუმინელი ფაშისტი ოკუპანტები ამ ლიმანებში ჩასტოვებდნენ თავიანთ ძვლებს. მოხუც მეთევზეებს სჯეროდათ, რომ მოვიდოდა ძლევაშოსილი წითელი არმია და შერს იძიებდა ვერაგ მტერზე.



...და აი, ეს დიადი დღეც დადგა. წითელმა არმიამ დნებრს გაღმა გარეკა მტერი. წითელი არმიის შემტევი ნაწილები დნებრის მარჯვენა სანაპიროებზე განლაგდნენ. ისინი ახლა ემზადებოდნენ ახალი ნახტომისათვის, უნდა გადაელახათ ეს წყლის უზარმაზარი ზღუდე, გაენადგურებინათ სერსონში ჩასაფრებული მტერი და გაენთავისუფლებინათ ეს უძველესი ქალაქი.

ეს იყო მთელი ფრონტის საბრძოლო ამოცანა, ვინაიდან ხერსონის განთავისუფლებით იხსნებოდა გზა უკრაინის მეორე დიდი სანაფთსადგურს და გემსაშენ ქარხნებით განთქმულ ქალაქ ნიკოლაევისაკენ.

ასეთ რთულ მომენტში მოხვდა მეთევზეთა უბანში გრიგოლ ბახტაძე. უბანში შეჭრისთანავე, ყველაზე წინ იგი შეხვდა მოხუც მეთევზეს—კუზმა კოვალიოვს. ბერკაცმა მეტად გულთბილად მიიღო მეზობლები. კუზმა სიხარულით ცერებზე შედგა. თავის მიწურში მიიპატიჟა ყველანი, არ იცოდა რითი ეცა პატივი ძვირფასი სტუმრებისათვის. მოხუცმა უმაღლე ცეცხლი დააგუგუნა, შერე გამხმარი ლერწამი დააგო მიწაზე და ნავახშმევს თბილად მოასვენა სტუმრები. ორი თვის განმავლობაში აზოვისპირა ლიმანებში გაუხდელად ნაბრძოლ ჰაბუკებს ტკბილად ჩაეძინათ.

არ ეძინა მხოლოდ გრიგოლ ბახტაძეს, იგი მოუსვენრობდა, სულ ფიქრში იყო გართული და მოლაპლაპე ცეცხლს მისჩერებოდა.

კუზმამ შეამჩნია ეს, მაგრამ ერთხანს უსიტყვოდ შესცქეროდა მეთაურს, ვერ გაუბედა შეკითხვა. იჯდა თავისთვის მოპირდაპირე მხარეზე და თუთუნს აბოლებდა. კარგა ხნის შემდეგ კუზმამ დაარღვია სიჩუმე:

— ხომ არაფერი გტყვივა, მეთაურო? იქნებ დაჭრილი ხარ?

— ვიყავი... დიდიხანია მოვრჩი...

— მოუსვენრობას გამჩნევ, — მოკრძალებით უთხრა ისევ კუზმამ.

— გადავეჩვიე ძილს... ომმა გადამაჩვია... — ნაწყვეტებად მიუგო გრიგოლმა.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

კუზმა ისევ აბოლებდა თუთუნს.

ახლა გრიგოლის ფიქრი სულ ერთი საკითხის გარშემო ტრიალებდა. კარგად იცოდა, რომ დღეს თუ ხვალ წითელ არმიას უნდა გადაელახა დნებრი. გრიგოლის განაყოფიც უნდა გადასულიყო გაღმა. ისიც აქ, ხერ-

სონის მისადგომებზე, პირდაპირ ქალაქის ქუჩებში უნდა შექრიდყო, ნაპირზე გადასვლის უმაღლე უნდა შეტაკებოდა მტერს.

მაგრამ ეს განიერი დნებრი? როგორ-ღა უნდა გადალახოს ეს წყლის ზღუდე? ეს ვეება მდინარე? როგორ გავიდეს მეორე ნაპირზე? ცუდით? მერე და ყველამ რომ ცურვა არ იცის? ან საქურველი? ტყვეობა? ტყვეები, ნაღმსატყორცნები, შაშხანები, ტანკსაწინააღმდეგო თოფები? როგორ-ღა უნდა გადაზიდოს ესენი?..

რთული საკითხის წინაშე იდგა გრიგოლ ბახტაძე.

ამიტომ არ ეძინებოდა, ეს უფრთხოებდა ძილს...

გრიგოლმა ახლა ფიქრს თავი მიანება, მოხუცს მიაჩერდა:

— კუზმა, ამ უბანში ბევრია მეთევზე?

— სულ ოციოდე დავრჩით, ბებრები.

— ბაილები?

— ბევრი იყო, მაგრამ გერმანელებმა წაგვართვეს... გალმა ნაპირზე გადასხდნენ, მერე ფსკერი ავტომატებით დაუხბრილეს, სულ ჩასძირეს...

ბერიკაცი ზიზღით ყვებოდა გერმანელების ამ თავგასულობას. როცა მათ ახსენებდა, ლელავდა კუზმა, რადგან მას პირადად სხვა ანგარიში ჰქონდა ფაშისტებთან. კუზმას სამი ახალი ბაიდა და ერთი ორმოცდაათი მტრიანი ბადე წაართვეს გერმანელებმა... ბადე, რომელიც მისმა შვილმა მოქსოვა ფრონტზე წასვლის წინ...

— ჩვენ, რომ გვპირდება ბაილები? — უთხრა გრიგოლმა.

— ფიქრი ნუ გაქვთ, მეთაურო, — ნელი ხმით მიუგო კუზმამ, — თქვენს გადაყვანას მოვახერხებთ. თითო-ოროლა ბაიდა ყველას აქვს გადამალული ამ ჭაობის ლერწმებში.

— მამ იმედი ვიქონიო? — გაუხარდა გრიგოლს.

— თქმა არ უნდა. მეთევზეები სხვა ხალხია, გულადნი, გამბედავნი... უკან არ დაფიხვით... როცა გვიბრძანებთ, გალმა გადავსხამთ ყველას... მერე თქვენ იცით, შვილებო, დასცხეთ...

კიდევ დიღხანს ისაუბრეს კუზმამ და გრიგოლმა. ამ საუბარში უფრო შემეგობრდნენ, უფრო დაუახლოვდნენ ერთმანეთს.

მეორე დღეს გრიგოლის ბრძანების თანახმად არც ერთი მებრძოლი არ გამოჩენილა მდინარის სანაპიროზე, არც ერთი მებრძოლი არ გამოსულა მეთევზეთა მიწურებიდან, რომ მტერს არ შეენიშნა გალმიდან.

მეთევზეთა უბანში პატარა ბორცვის მახლობლად, გამხმარ ლერწმებში მიწაზე გაწოლილიყვნენ კუზმა და გრიგოლი. ისინი გასცქეროდნენ ხერსონს. კუზმა აცნობდა გრიგოლ ბახტაძეს ხერსონის მდებარეობას, მის ქუჩებს, მოედნებს, გარეუბნებს, გრიგოლი თავის საველე რუკაში ინიშნავდა ყოველ წვრილმანს, ყოველ სახლს, ყოველ ქუჩას, მისჩერებოდა და იმახსოვრებდა.

შებინდებიდან გამოცოცხლდა მეთევზეთა უბანი. ფეხზე იდგა ყოველი მებრძოლი, ყოველი მეთევზე. ისინი მოედნენ ჭაობებს. ნელა, უხმაუროდ გადმოზიდეს ბაილები და მდინარის პირას ლერწმებსა და ლაქაშებში დაშალეს. მერე გრიგოლმა გამოიანგარიშა სულ რამდენი ბაიდა დასჭირდებოდა განაყოფის გადაყვანას და მათი საქურველის გადაზიდვას. ყოველი

ბაიდა დანომრა, წინასწარ გააფრთხილა ყველა, თუ ვინ რომელ ნომერ ბაიდაში უნდა ჩამუდარიყო, მენიხბეგებად შეთევზეები გამოიყენო, ისინი სათითაოდ გააპირონა ბაიდებზე...

განაყოფი მზად იყო დნებრზე ნახტომისათვის. გრიგოლმა მისთვის მოუტო-
მენლად ელოდებოდა სარდლობის ბრძანებას.

...ყველაფერი ეღვის სისწრაფით მოხდა. მთელი საქურველი უკვე ბაიდებში იწყო. დნებრზე გადაფენილ სიბნელეში ნაპირს მოწყდა ბაიდების ქარავანი. წინ მიუძღვოდა გრაგოლ ბახტაძის ბაიდა, რომელიც ზერსონის სამხრეთ-დასავლეთ უბნისაკენ მიჰყავდა გამოცდილ მენავეს კუშმა კოვალისთვის.

შეთევზეები მოხერხებულად მიასრიალებდნენ ბაიდებს, ისე ოსტატურად მიემართებოდნენ, რომ ნიჩბების მოსმის დროს წყლის შხაპუნიც კი არ ისმოდა. 185 მეტრძოლი უვნებლად გავიდა დნებრის მარჯვენა ნაპირზე. მეტრძოლები უმაღლე გადასხდნენ.

გრიგოლმა გუნდებდა დაჰყო ისინი, ყველას მიუჩინა თავისი ადგილი, თვითონ კი გაეშურა მზვერავთა მიერ მიცემული ცნობის თანახმად გერმანელთა საგუსავოებისაკენ.

რამდენიმე წუთში მტრის გუსავები მოხსნა ადგილებიდან. ახლა ქალაქის ეს უბანი მთლიანად მისი განაყოფის განკარგულებაში იყო. როცა მთელი სამხადისი ჩაატარა, როცა დარწმუნდა, რომ ყველაფერი რიგზე იყო, ბრძანება გასცა.

აკაიანდნენ ტყვიამფრქვევები, შაშხანები, ავტომატები. ქარიშხლისებური ცეცხლი შეუწყდა მტერს. გერმანელთა გარნიზონისათვის მოულოდნელი იყო იმ ღამეს წითელი არმიის შეტევის დაწყება. მით უფრო, რომ ისინი ზერსონის სამხრეთ-დასავლეთ უბნიდან არავითარ საფრთხეს არ მოელოდნენ, რადგან აქედან მათ ფლანგს იცავდა განიერი დნებრი. მაგრამ გერმანელები ჩქარა დარწმუნდნენ, რომ წითელი არმიის მეტრძოლები სწორეთ ამ მხრიდან მაგრა უტევდნენ, ამიტომ მთელი გარნიზონი ფეხზე დადგა და მოაწვა ამ უბანს.

გრიგოლ ბახტაძის განაყოფის მიზანიც სწორედ ეს იყო. მას დავალებული ჰქონდა ზერსონის გარნიზონი ქალაქის ამ უბანში ჩაეთრია ბრძოლაში და ამით საშუალება მიეცა ზერსონის ჩრდილოეთით დნებრზე გადასულიყვენ ჩვენი მთავარი შემტევი ნაწილები.

შეიქმნა ბრძოლა სასტიკი.

გერმანელები მრავალჯერ გადმოვიდნენ კონტრშეტევაზე, მაგრამ გრგოლ ბახტაძის განაყოფმა ყოველთვის მოიგერია. უფრო მეტი. თვითონ გადავიდა შეტევაზე, შეიჭრა ქალაქის ქუჩებში და გაიმართა ხელჩართული ბრძოლა.

მაშინ გერმანელებმა გამოიყვანეს თავიანთი „ნაქები“ ტანკები. ჩვენმა მეტრძოლებმა მათ მიუყენეს ტანკსაწინააღმდეგო თოფები, ზედისეულ მწყობრიდან გამოიყვანეს რამდენიმე ტანკი.

წითელი არმიის მებრძოლები თავგამოდებით ეძლეოდნენ, ისინი სულ წინ მიიწევდნენ. ბრძოლა ქალაქის ცენტრში გადაიტანეს... ახლა ჩვენი ტყვიამფრქვევები კაჯანებდნენ ზერსონის მთავარ ქუჩებში, მოედნებზე, ქალაქის ბაღის კიდეებზე...

არ ცხრებოდა ბრძოლა...

ამ ხნის განმავლობაში დნებრი გადალახეს წითელი არმიის მთავარმა ნაწილებმა. ახლა იმათ შემოუტყეს ქალაქს ჩრდილოეთიდან.

გერმანელები აირივნენ, უწესრიგოდ იწყეს დახვევა დასავლეთით. განთიადისას ბახტაძის განაყოფი შეუერთდა წითელი არმიის მთავარ ნაწილებს...

ზერსონზე ფრიალებდა ამომავალი მზის სხივით გაბრწყინებული წითელი დროშა. ჩვენი ტანკები და მებრძოლები შეუსვენებლივ მისდევდნენ მტერს ნიკოლაევის მიმართულებით... მტერს მისდევდა გრიგოლ ბახტაძე — გულადი მეთაური, რომელმაც თავისი უნარიანი მოქმედებით და ბრწყინვალედ ჩატარებული ოპერაციით უზრუნველყო ზერსონის განთავისუფლება...

ზერსონიდან გაქცეულ მტერს, ქალაქიდან მეორმოცე კილომეტრზე ცარილარის მისადგომებთან ისევ წამოეწია გრიგოლ ბახტაძე. აქ გორაკებს შუა მიმავალ გზატკეცილზე ჩაუსაფრდა და გაანადგურა წინააღმის ბრძოლებში გადაჩენილი მტრის ცოცხალი ძალა — 250 ჯარისკაცი და ოფიცერი, 10 ავტომანქანა. წაართვა მტერს — 6 ავტო, 50 ალალი, 100 ტყვიამფრქვევი, ამ ოპერაციის შემდეგ წითელმა არმიამ ტყვედ წამოიყვანა 1500 გერმანელი ფაშისტი.

ამ შეტაკების დროს მძიმედ დაიჭრა იგი...



გრიგოლ ბახტაძეს მშვიდად ეძინა საავადმყოფოს ჭირურგიულ პალატაში. ექიმები განსაკუთრებული პატივისცემითა და ყურადღებით ეზყრობოდნენ მას. მისი საწოლის ირგვლივ ცერებზე დადიოდნენ ექთანები და მომვლელები. ყოველი მათგანი გაბრწყინებული სახით შესცქეროდა მამაც მეთაურს. ყოველ მათგანს უნდოდა გამოლაპარაკება, ეთქვა მისთვის ორი-ოდე ტკბილი სიტყვა, გაეგონა მისი ხმა... მაგრამ ვერ ბედავდნენ, რადგან სიტყვ, ჯერ კიდევ არა ჰქონდა გამოწვლილებული.

მეზუთე დღეს, როცა ოდნავ მომჯობინდა, თვალი გაახილა, სახტად დარჩა. მიხედა, რომ საავადმყოფოში იწვა. უმაღლეს შეტრიალდა. მხოლოდ ახლა იგრძნო საშინელი ტკივილი, მაგრამ თავი შეიკავა. ოდნავ წამოიწია, იდაყვებით ბალიშზე დაეყრდნო და საწოლთან უკვე მიახლოვებულ ახალგაზრდა ექიმს შეეკითხა:

— სადა ვარ, დოქ?

— ზერსონის ქალაქის ჰოსპიტალში, — ნაზი ღიმილით შეაგება პასუხი გოგონამ, თან ფრთხილად ხელი ამოუღო თავქვეშ და ისევ ბალიშზე დააწვინა.

ამ დროს პალატაში შემოვიდა ჰოსპიტლის უფროსი ექიმი. მას მოჰყვებოდნენ ქალები, გოგონები და მამაკაცები. ესენი იყვნენ ქალაქ ზერსონის

მშრომელთა წარმომადგენლები. მათ შემოიტანეს ძვირფასი თაბაგულები და საწოლთან მიდგმულ პატარა თეთრ მაგიდაზე დააწყვეს.

გრიგოლი ჯერ უფროს ექიმს მიაჩერდა, მერე დანარჩენებს...

— მოგილოცავთ უდიდეს ჯილდოს. ჩვენი საყვარელი მშობლები ქალაქის განთავისუფლებისათვის მთავრობამ თქვენ მოგანაწილათ შირის გმირის წოდება. — დიმილით წარმოსთქვა ექიმი.

გრიგოლს სახე აელეწა, დაიბნა, არ იცოდა რა ებასუხნა მისთვის... მცირე ხანს ასე იყო გარინდებული, შემდეგ ნელა გაუწოდა ხელი დოსტაქარს და მისუსტებული ხმით მიუგო:

— მადლობელი ვარ...



...გრიგოლ ბახტაძე ახლა თბილისის პოსპიტალში წევს. მან ფრონტიდან ჩამოიტანა ბრძოლის გრიგალებში გამოწრთობილი, სამშობლოსადმი უდიდესი სიყვარულით გამთბარი გული, და თერამეტი ჭრილობა. თვითვე ამ ჭრილობაში გერმანელი და რუმინელი ფაშისტი ავაზაკების მიერ ნასროლი ყუმბარებისა და ნაღმების თითო ნამსხვრევი უდევს მას.

ჩვენი დოსტაქრები ჩქარა განკურნავენ ქაბუკს... ჩქარა გამოჯანსაღდება გრიგოლ ბახტაძე, და იგი ისევ ივლის ჩვენს შორის — სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი და სახელგანთქმული გმირი — ლენინის ორდენითა და ოქროს ვარსკვლავით მკერდდამშვენებული...

1945 წ. იანვარი.



ქეთიხან ირემაძე

ბარბარე ჯორჯაძისა

ჯორჯაძეთა საგვარეულო წიგნში შეხვედებით მაღალი ტანის, მკერდ-შემკვრივებული, ლეჩაქ-თავსაკრავით მორთული მანდილოსანის სურათს. ტანთ აცვია ყარყუმის ქათიბი, შიგ — ბაფთის კაბა რკალ სირმის ზისით მოვლებული, მუყაიშად ნაკერი გულის პირით და სარტყელით; ფიქრსა და ზრუნვას სიღარბაისლის იერი შეუქსოვებია მწყაზარი სახისათვის. ამ სურათზე ჩვენ შევიცნობთ ბარბარე ჯორჯაძეს.

XIX საუკუნის 60 — 80-იანი წლების პრესა სავსეა მისდამი მიძღვნილი ლექსებით. ეს ლექსები ეკუთვნის აკაკი წერეთელს, ეფემია ანდრონიკა-შვილს, გიორგი თუმანიშვილს, ივანე კერესელიძეს, გიორგი ანდრონიკა-შვილს და სხვ. ა. წერეთელი „გახსენებაში“ ეხებოდა რა ძველ ქართველ მწერალ ქალებს, წერდა: „მხოლოდ ამ ოცდაათი წლის წინედ, როდესაც „ცისკარი“ გამოდიოდა, პირდაპირ და შეუპოვრად გამოვიდა სამწერლო ასპარეზზედ ერთი ახალგაზრდა ქალი და ეს ქალი იყო კნ. ბ. ჯორჯაძისა; მან არ მიაქცია ყურადღება ძველ თაობის კიცხვა-გინებას და მშვენიერი ლექსებით აცხადებდა თავისი გულის პასუხს.“¹⁾

ბ. ჯორჯაძის ტფილისში ჩამოსვლა თითქმის ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ქართველ საზოგადოებაში. „ყოველი კაცი, თუ ქალი მაღლობას მეუბნებოდა, ერთმანეთს თითით უჩვენებდნენ — აი, ჩვენი მწერალი ქალიო; ბარბარე ბატონიშვილნა დიდი მაღლობა მითხრა, — აგრეთვე სხვათ, ვინც კი იქ იყვნენ და დიდი პატივისცემით მიმიღეს“-ო, წერდა ბ. ჯორჯაძისა 1863 წელს თავის ძმას — რაფიელ ერისთავს.

ბ. ჯორჯაძისა თავისი მკითხველებისაგან ხშირად ღებულობდა წერილებს. ეს წერილები მეტწილად შეიცავდნენ მისი, როგორც მწერლის შექებას. ჩვენს ხელთ არის ერთი ასეთი წერილი, რომელიც 1880 წელს ეკუთვნის: „პატივცემულო კნეინა ბარბარე! ღრმად მასიამოვნა მე წაკითხვამ ამა თქვენი სა თხზულებისა, ქართული არის ტკბილი და კილოზე მშვენიერი დაწერილი, ზევრგვარად გამოსახულნი და როდესაც ვისიამოვნებ პირისპირ თქვენის ხილვით, იმედი მაქვს ამაზედ ნებას მომცემ ბაასობისას“.

ამგვარად, ყველა ეს გარემოება ნათლად მიუთითებს, რომ 60-იანი წლების მთელი „ლიტერატურული ცხოვრების“ შესასწავლად აუცილებელია გავეცნოთ იმ მწერლის შემოქმედებასაც, რომელიც თავის თანამედ-

¹⁾ „კვალი“, 1893 წ. № 14.

როვეთაგან ერთგვარად პატივცემული და განდიდებული იყო, ხოლო შემდეგ დაუმსახურებლად დაეიწყებას მიეცა.

ბ. ჯორჯაძის სამწერლო-საზოგადოებრივი მოღვაწეობა არ ატარებს ვიწრო ხასიათს. იგი წერდა ლექსებს, პიესებს, მოთხრობებს, პერიოდიკულ-პოლემიკურ წერილებს. დიდი ნაწილი ამ ნაწარმოებებზეა აწერდა არ არის დაბეჭდილი.¹⁾

ბარბარე ჯორჯაძისა წარმოშობით მაღალ, ფეოდალურ-არისტოკრატიულ წრეს ეკუთვნოდა. თვითონ მწერალი ქალის მოწმობით, „ერისთავნი მამა-პაპათ ისტორიაში მეფეთა წინ იხსენებოდნენ უპირველეს გვართა შორის. თვით ესევე სახელის გამოთქმა განმარტავს თავის უპირატესობას და სამართო ოუ საერო წერილები დაამტკიცებს მათს ძველის-ძველთაგანვე დაწესებას“²⁾. ბ. ჯორჯაძის მამის, სოფელ ქისტაურის მებატონის, დავით რაფიელის-ძე ერისთავის ოჯახი ფეოდალური ტრადიციებისა და უფლებების შეურყეველი დამცველი იყო; XIX საუკუნის 30-იან წლებში დავით ერისთავის ცხოვრების საფუძველს შეადგენდა ორმოცი კომლი ყმა-გლეხი, საკმაო სახნავე-სათესი მიწა, ტყე, საძოვრები, რომლებიც ალაზნამდის უწევდა. მაგრამ ეს ნივთიერი შესაძლებლობა მას ბოლომდის არ შერჩა. 1869 წელს ერისთავიანთ ქონება შეფასებული იქნა ათას თუმნად, ხოლო მათი დავალიანება „პრიკაზისა“ და კერძოთ პირებისა, იყო ცხრაას სამოცი თუმანი (ცნობა ამოღებულია ერისთავიანთ საოჯახო-საარქივო მასალებიდან); დედა ბ. ჯორჯაძისა — ავთანდილ ამილახერის ასული ნინო — მეტად სათნო და მწიგნობარი, მშვენიერი ქართულით მოსაუბრე და დიდი მეხსიერებით შექურვილი ადამიანი ყოფილა.

ასეთ ოჯახში 1833 წელს დაიბადა მომავალი მწერალი ქალი. დედის მხრით ადრე დაობლებული ბარბარეს აღზრდა დაეკისრა ამილახერიანთ ნამზითვე გამდელს — დილაგარდისას. ეს უკანასკნელი უკითხავდა მას სასულიერო წინაარსის წიგნებს, ასწავლიდა ლოცვებს, უამბობდა ქართველთა ძველი გმირების შესახებ. ცნობისმოყვარე, ნიჭიერი ბავშვი ხარბად იჭერდა მრავალნაირ შთაბეჭდილებებს და გადმოცემებს. გამდელი შთაგონებდა მას კარგსა და საქმე ყოფაქცევას, მოკრძალებას მშობლები-სადმი, შრომისმოყვარეობას.

გამდელის დახმარებითვე შეისწავლა ბარბარემ ანბანი. პატარა ქალს დასვამდნენ, კალთაში დიდ ზის კაზმიან „დავითნს“ ჩაუდებდნენ და მთელი საათობით ფსალმუნებს აზეპირებდნენ. შვიდი წლისამ უკვე თავისუფლად იცოდა წერა-კითხვა და გაბმული სიმღერით ლოცვების წარმოთქმა.

¹⁾ რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დავალებით ჩვენს მიერ დიდი ხანია მომზადებულია დასაბეჭდო ბარბარე ჯორჯაძის ნაწარმოებთა სრული კრებული. ამ კრებულში, რომელიც შეიცავს მოზრდილ ტომს შვეა ლექები, მოთხრობები, პიესები, კრიტიკულ-პოლემიკური წერილები და მიწერ-მოწერა. ჩვენი ეს წერილი წარმოადგენს ბ. ჯორჯაძის ნაწარმოებთა სრული კრებულისთვის დართულ გრძელ მონოგრაფიის შემოკლებულ ნაწილს.

²⁾ იხ. „წარმოება არაგვის ერისთავთა და მიწეზი იმათის კახეთში გადმოსახლებისა“, ვერს. „ცისკარი“, 1862 წ. № 1.

ამ შინაური ცოდნით ამოიწურა მისი საერთო განათლება. ლოცვებში გავარჯიშებისა და წმინდა მამათა ცხოვრების მოთხრობის შემდეგ პატარა ქალს დორზე მოასვენებდნენ და საკერავს მისცემდნენ. რვა-ცხრა წლის ბარბარემ უკვე ჩინებულად იცოდა ნემსის ხმარება, სხვადასხვა ტიპის მკვდით კერვა, დორ-მუთაქების და ქისების ფერად-ფერადი სწავლებით ამოყვანა, შეიდიშის ტოტების ამოქარგვა და ზონრების ქსოვა. თავისი ცხოვრების ამ დროის შესახებ წერდა ბარბარე ანასტასია თუმანიშვილს: „უწინდელ დროში თავადაზნაურობას საძნელოდ თურმე მიაჩნდა ქალის სასწავლებლად პენციონში მიცემა და ოჯახშივე ასწავლიდნენ საღმრთო-საერო წიგნებს, მაშინდელ დროსავე ჩასაცემლ-დასახურავის მოთხოვნილებების ხელსაქმეებს და ის იყო და ის, მით იყვნენ კმაყოფილნი და არ საჭიროებდნენ ქალების სხვადასხვა ენების ცოდნას და სწავლა-განათლებას“.

ბარბარეს სკოლის კარები არც კი უხილავს. შემდეგში თუ რაიმე შეისწავლა, ეს მხოლოდ თავისი პირადი ინიციატივით. „განუვითარებელი ყმაწვილი ქალი გაფაციცებით ეძებდა სწავლას“ (თვით ბ. ჯორჯაძის გამოთქმისა). ცნობისმოყვარე გოგონა ხარბად იჭერდა ცხოვრების შთაბეჭდილებებს. ბოჭორმიდან ჩამოსულ მთის კაცთა მიერ მოტანილი ღალის ჩაბარებას იგი მთელი საათობით გაკვირვებული თვალუფრს ადევნებდა; დღეობები, ხატობანი კიდევ უფრო მეტად აღვიძებდა მის გონებას; განსაკუთრებული სიხარულით მოელოდა ბარბარე ქალაქიდან რაფიელის ჩამოსვლას. ძმა მოუთხოვრებდა მრავალ წარმტაც ამბავს. წავიღოდა რაფო და პატარა ქალი სინანულით გასცქეროდა განვილი დღეებს; დროგამოშვებით ბარბარეს აკითხებდნენ საერო წიგნებსა და ხელნაწერებს. გაიხსნებოდა ზანდუხჩია და გამდელი ფარჩაში გახვეულ ხელნაწერს ამოიღებდა.

თორმეტი წლისა იყო ბარბარე, როდესაც გაათხოვეს. სრულიად მოუმზადებელი შეხვდა ყმაწვილი ქალი თავისი ცხოვრების ამ ახალ ხანას. იგი ჯერ კიდევ ბავშვი იყო და ბავშვურად ითვისებდა ყველაფერს, რაც მის გარშემო ხდებოდა.¹⁾ ბოლოს, ბარბარე იძულებული გახდა დამორჩილებოდა თავის ბედს. ამის შემდეგ დასახლდა გრემში, თავისი ქმრის, სამხედრო კარიერაში იმედგაცრუებულ ზაქარია ჯორჯაძის²⁾ ოჯახში. იგი აქ უცხო გარემოცვაში მოხვდა. მთელი მისი არსება გაურკვეველმა სევდამ შეიპყრო. თვალტრემლიანი დიდხანს არავის არ ეკარებოდა და არც ხმას იღებდა. გრემში ირგვლივ წარსულის ფერმიხდილ ნაშთების სული იდგა. ციხე-გალაენების, სამეფო სასახლის, სავაჭრო შენობების, ქარვასლუბის, ეკლესიების ნანგრევები ბავშვის ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ გონებას

1) მარიამ დემურიას გადმოცემით, ბ. ჯორჯაძისა შემდეგში ხშირად იგონებდა თავის გათხოვების ამბავს: „საზრგადოდ იმ დროს ქალებს ძალიან აძრე ათხოვებდნენ და მეც ისეთი პატარა ვიყავ, ვჯარს რომ გეწერდნენ, თამაშობა მეგონაო, როდესაც მღვდელი ქორწინების წესს ასრულებდა, იმ დროს ეკლესიაში ღმერთა შემოფრინდა, დაეინახე თუ არა ღმერთა, მღვდელი ვუთხარია: „მღვდელი, მღვდელი, შენი ქირიმი გაიწმედი, მე მგონი ჩემი იაღონი შემოფრინდა და მინდა დავიქორთოო“ (იხ. მ. დემურია — „მოგონება“, გახ. „ივერია“, 1895 წ. № 91).

2) ზაქარია ჯორჯაძე ამ დროს ახალი გამოძევებული იყო მაშინდელ პეტრბურგის სამხედრო სკოლიდან ამბანავის საჯაროდ ფიზიკური შეურაცხავისათვის, რის შემდეგაც იგი თავის სოფელში ცხოვრობდა.

თავისებურად წარმართავენ. იგი მთლიანად ოჯახური უღლის ქვეშ მოექცა. სრულიად ახალგაზრდა ქალი უკვე დედა იყო სამი შვილისა (ნოშრევანი, მიხეილი და მინანა).

ყოველდღიური ზრუნვანი მაინც ვერ ფარავს მის სასიცოცხლო სწრაფს. ზამთრის გრძელ დამეუბნო, ნათურას მკრთალ შუქს უკვე შეესვენებლად კითხულობს იმ წიგნებს და ხელნაწერებს, რომლებიც ჯორჯაძეთა ოჯახში აღმოჩნდა. თანდათან იღვიძებს მასში პოეტური შემოქმედების სურვილები.

ბ. ჯორჯაძეს ცხოვრება უხდებოდა ჩვენი ქვეყნის განვითარების განსაკუთრებულ ხანაში. ეს იყო ფეოდალურ-ნატურალური მეურნეობის ნგრევისა და კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების ხანა. კაპიტალიზმის განვითარება თანდათან სობოდა პატრიარქალური ცხოვრების სიმარტივეს. ქართველი თავადაზნაურობა გაეცნო ახალ ცხოვრებას. ახალი წესებით ცხოვრებამ კი ისედაც ეკონომიურად შევიწროებული წოდების მდგომარეობა უფრო მეტად შეარყია. ზომაზე მეტ მოთხოვნილებას ვეღარ უძლებდა დაქვეითების გზაზე დამღვარი მეურნეობა. თავადაზნაურობის დასახმარებლად დაარსებულმა ე. წ. „პრიკაზებმა“ სავსებით დასცეს ეკონომიურად ეს წოდება. თავადაზნაურობა ხელგაშლილად აგრავებდა მამულს „პრიკაზში“, მაგრამ მის გამოყიდვაზე, სესხის თავის დროზე დაფარვაზე სრულებით არ ზრუნავდა. დაგირავებული ადგილ-მამული „პრიკაზს“ რჩებოდა ვალში.

ქართველი თავადაზნაურობის უმრავლესობის ასეთი „ევილუციის“ რელიეფურ გამოხატულებას იძლევა ზაქარია ჯორჯაძე. სულ მცირე ხნის განმავლობაში მან გაფლანგა თავისი ადგილ-მამულის თვალსაჩინო ნაწილი. ისედაც დაცემულ მეურნეობიდან და ყმებიდან აღებული ბევარა უკვე საქმარისი აღარ იყო ცხოვრებისათვის. ამიტომ თავისი შერყეული ეკონომიური მდგომარეობის გამოსასწორებლად იძულებულია იფიქროს სამსახურზედ. 60-იანი წლებიდან იწყება მისი სასამსახურო კარიერა. იგი მსახურობს საქართველოს სხვადასხვა ადგილას: ტფილისში, ზუგდიდში, ლაილაშში, ცაგერში (მომრიგებელ მოსამართლედ, მახრის უფროსის თანაშემწედ და სხვ.).

სახელმწიფო სამსახურში შესვლის შედეგად ზ. ჯორჯაძე სავსებით უყურადღებოდ სტოვებს თავის მეურნეობას. არეული სამეურნეო საქმეების მოწესრიგება, სოფელში დარჩენილი მამულების მოვლა-პატრონობა და სამი შვილის აღზრდა მთლიანად ბარბარე ჯორჯაძეს დაეკისრა. რასაკვირველია, პირველ ხანებში ახალგაზრდა ქალისათვის სამძიმო იყო მთელი ოჯახისა და მეურნეობის გაძლოლა, მით უმეტეს, რომ მალე ამ მდგომარეობას დაემატა ერთი მეტად მძიმე და მწვავე სატკივარიც. ეს იყო დაგირავებული მამულების დაკარგვის შიში. „მაგ შენს სიძეს ურჩიე (ე. ი. ზ. ჯორჯაძეს. ქ. ი.) — წერს ბ. ჯორჯაძისა რადიელ ერისთავს, — წამოვიდეს. მექვეანიაში აბა, ეინ უნდა იყოს. მთელი ჯორჯაძიანი დადიან და მე ასე მითვლიან, რომ ზაქარია რადგან არ არის, ეს მამულები დაგეკარგებათო. თუ მიანდობს ვისმე, ექვსი თუმანი და ექვსი მანეთი არის თქვენზე ხარჯის და თუ არ გამოგზავნა წილი დაეკარგებაო. მაგას ასე ჰგონია, რომ აქ არაფერს ყურის გდება არ უნდოდეს და ჰყვანდეს ვინმე

საქმის წამმართავი, ყველას ხომ არ დაჰქარგავს - და ცარიელს არ დაჯდება?"¹⁾

ბარბარეს უძნელდებოდა უკმაყოფილო ყმა-გლეხების დამორჩილებაც, ისინი არ გამოდიოდნენ სამუშაოდ ჯორჯაძეთა მინდვრებში, მუხრანში მებადა, ახლა ეს დაეგვირავე, ორი თუმანი ფული ავიღებ და ქარხანაშიც არაყი მივეცი, მომკეთ შეთქი, მაგრამ გლეხები არ გამოდიან, დამტანჯა იმათმა ლაპარაკმა" (წერილიდან რაფ. ერისთავისადმი).

ეკონომიური შევიწროვების პროცესი ჯორჯაძიანთ ოჯახში, რაც დრო გადიოდა, მით უფრო და უფრო შესამჩნევი ხდებოდა. სამსახურში მყოფი ზ. ჯორჯაძე მატერიალურადაც ვერ ეხმარებოდა თავის ოჯახს. „ეს ზაქარია რალასა შერება, შენი ჭირიმე რაფიელ, ვაგონილა მაგ კაცის საქმე? სწორედ ექვსი თვე არის კაბიკი არ გამოუგზავნია, რამ უნდა მაცხოვროს? ყმა და მამულზე ეს არის „პრიკაზის“ ვალში აპეკუნი დაუყენებიათ და პურის შემოსავლისა და ვენახისა შარშანდელიც იმათ წაიღეს, მე არ დამანებეს და წელსაც იმათვე წაიღეს. ვენახსაც ახლა ისინი დაჰკრეფენ და მე რისთვისაა ვგდივარ ტყვილად აქა? ვსწერ შეიტანე „პრიკაზში“ ფული მეთქი და არა მეშველა რა“ (წერილიდან რაფ. ერისთავისადმი).

საგლეხო რეფორმის შემდეგ ზ. ჯორჯაძისა იძულებულია თავის ქმარს ამოუდგეს შეილებით გვერდში და მასთან ერთად გადავიდეს ერთი ადგილიდან მეორეზე საცხოვრებლად, ვინაიდან ზ. ჯორჯაძეს ხშირად უხდებოდა სამსახურის ადგილის გამოცვლა. ეს დაუსრულებელი ხეტიალი კი ძალზე აწუხებდა თავის სოფელსა და მეურნეობას მოშორებულ ქალს. მას ყველგან განუყრელ ოცნებად დაჰყვებოდა დაკარგული მამულების გამოსყიდვისა და დაბრუნების სურვილი.

ხანდაზმული, დაეადამყოფებული მწერალი ქალი 1889 წლიდან ცხოვრობს ლენჭორანში თავის უმცროს შვილთან, მიხეილ ჯორჯაძესთან, რომელიც მსახურობდა მაზრის უფროსის თანაშემწედ.²⁾ ლენჭორანში ცხოვრება ზ. ჯორჯაძისათვის განსაკუთრებით სამძიმო იყო. საკმაოდ მოზრდილი ოჯახი მუდმივ ხელმოკლეობას განიცდიდა. ზ. ჯორჯაძისა იძულებული იყო დაეგვირავებინა და გაეყიდა თავისი პირადი ნივთები. „ჯვრები მოგართვი და ძალიან სიკეთეს მიზამ, რომ გამიყიდო. თორემ ამ უპურობას და უშეშობას ვინ გადაურჩება“, — წერდა ბარბარე რაფ. ერისთავს.

რაც დრო გადიოდა, მით უფრო სამძიმო ხდებოდა ზ. ჯორჯაძის ცხოვრება. სამოცი წლის მოხუც ქალს გაჭირვება და მწუხარება თან სდევს. ლენჭორანში გარდაეცვალა მეუღლე. მასაც ხშირად აღმოხდენია: „მეც აქ ჩავიდრჩობი და ეს იქნებაო“. ამდროინდელი მისი წერილები საეესეა მუდარით, თხოვნით რათა მიზ. ჯორჯაძე გადმოეყვანათ საქართველოში. მაგრამ ყოველგვარი იმედი გაჰქრა. არსიდან შველა, გამხნევება. მოხუცი თავის სულის თანაზიარ ძმას უცხადებს: „ძმავ ეხლა ჩემი შენთან სავედრებელი

¹⁾ ზ. ჯორჯაძის წერილები, მიწერილი რაფ. ერისთავისადმი, დაცულია ამ უკანასკნელის არქივში, ან. ერისთავ-კახიძესთან.

²⁾ გარდა სამსახურისა, მიხეილ ჯორჯაძე სამწერლო მუშაობასაც ეწეოდა. წერდა ლექსებს, პოემებს. აქვს ვადმოკეთებული და ორიგინალური დრამატული ნაწარმოებები: „მოდო და ენდე ქალსა“, „პაეროსტატი“ და სხვ. მთელი რიგი მისი წერილები სხვადასხვა საკითხზე გაბნეულია, რუსულ პრესაშიც — „Тифлисский листок“, „Кавказ“, „Каспий“, ფონ-შადეს ფსევდონიმით (ზოგჯერ შეცდომით იბეჭდებოდა — „ფონ-ტადე“).

ეს არის — აღმისრულო ეს ჩემი თხოვნა: მომწყინდა უსიამოვნო ქვეყანაში ცხოვრება და მინდა ერთი დღის სიცოცხლე მონასტერში გავატარო. მიმიღებენ მცხეთაში, რომ შევიდე მწირად თუ არა? მე ზომ დიდი ფული არა მაქვს რა და ეს ორი გროში პენცია კი მექნება. ეჭვი ჩემს აღწერას ნურავისთან გაამხელ, და თუ მიმიღებენ, მაცნობე. ჰესტინგსის განსჯაზე შევასრულო და ვიყო მლოცველი შენი და შენი ცოლშვილისა“. მაგრამ ბ. ჯორჯაძემ ვერც ეს სურვილი აისრულა. იგი კვლავ ლენქორანს შერჩა.

განუსაზღვრელი სიბარული განიცადა ბ. ჯორჯაძისამ, როდესაც 1893 წელს შეიღმა იგი კახეთს გამოისტუმია. შეღმტაცი სიტკბო შემატა მოხუც მწერალ ქალს მშობლიური ადგილების ხელეამ. ეს იყო მისი უკანასკნელი მგზავრობა ამ კუთხეში.

1895 წლის 11 აპრილს რძლისა და შვილიშვილების თანხლებით იგი გამოემგზავრა ტფილისისაკენ, საიდანაც აპირებდა ლენქორანში შეიღთან დაბრუნებას. მგზავრებმა მიაღწიეს გომბორს. შარავნაზე, იქ, სადაც მაღალი ტყრუშული ჩაუდის, შესდგა ოთხთვალა. მოხუცმა ცუდად იგრძნო თავი. გულის ქმენისაგან, შეწუხებული ვეღარ გამობრუნდა. ფერმიხდილს თვალები გაეხილა, ზემო ტუჩი უტოკავდა, თითქოს ვიდაცას ენურჩულეზოდა: „დედაშვილობამ ბევრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმბარეო, ცაფირუზ ხმელეთ-ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო“... ცივეგომბორთან დაასრულა თავისი სიცოცხლე ცხოვრებაში განაწამებმა მოხუცმა.

ბ. ჯორჯაძისა წაასვენეს თელავს და იქ დაკრძალეს საზოგადო სასაფლაოზედ.

ბ. ჯორჯაძის გარდაცვალებას მთელი მაშინდელი ქართული პრესა გამოეხმაურა. ყველა გულისტკივილით აღნიშნავდა ამ ამბავს. „ივერია“ წერდა: „გუშინწინ თელავიდან მივიღეთ სამწუხარო დეპეშა, რომლითაც გვატყობინებენ, რომ 11 აპრილს გარდაიცვალა ქართველი მწერალი ქალი ენ. ბ. ჯორჯაძისა... სამოციანი წლებიდან მწერალი ქალი დღემდის წერდა და ცნობილია თავისი წმინდა ქართული ენით, რომელიც თითქმის განსაკუთრებულს თვისებას შეადგენს ამ მწერლისას... საზოგადოდ ენ. ბარბარე ჯორჯაძისა ცნობილი მწერალი ქალი იყო... თუმცა სწავლა არსად მიუღია, მაინც იგი მუდამ ყურადღებით ადევნებდა თვალს ჩვენს მწერლობას.“¹⁾

უფრო დაწვრილებით აღწერდა ბ. ჯორჯაძის სამწერლო-საზოგადოებრივ მოღვაწეობას „კვალი“: „ჩვენი მწერლების უიმისოდაც მცირე გუნდს გამოაკლდა კიდევ ერთი მწერალი ქალი — ენეინა ბარბარე ჯორჯაძისა... ოცდაათ წელიწადზე მეტია, რაც ის მოღვაწეობს. ბარბარე თითქმის პირველი ქალი იყო, რომელმაც აიღო კალამი ხელში და გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე. მან დაიწყო ეფრნალ „ცისკარში“ ლექსების და მოთხრობების წერა და თითქმის სიკვდილამდე კალამი არ გაუგდია ხელიდან. მისი დრამა „შური“ და კომედია „რა დაეკარგე და რა ვიპოვე“, ამ ოცდაათი წლის წინეთ დაწერილი, არაერთხელ იყო წარმოდგენილი თეატრში. „კვალის“ მკითხველიც შეხედებოდა ზოგჯერ მის ნაწერებს... ენ. ბარბარე ჯორჯაძისა იყო შინაურად ოჯახში აღზრდილი, მაგრამ მისი მსჯელობა გააკვირვებდა ბევრს ევროპიელს სწავლით შეჭურვილს პირს. ამ ორი

¹⁾ „ივერია“, 1895 წ. № 77.

წლის წინად ჩვენ მოგვევიდა მისგან კერძო წერილი საზოგადოებრივ ქართველი ქალების აღზრდაზე და ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ეს დაწერილია შინაურად აღზრდილი მოხუცი ქალისაგან; მისი მშვენიერი ნამდვილი ქართული ენა კიდევ უფრო ამშვენიებდა მოთბობებსა და სიყვარულს...¹⁾

ასე აფასებდა ქართული პრესა ბარბარე ჯორჯაძეს. მწიფეობა აქვეყნებს, რომ აქ გადაპარბებულ დახასიათებას არ ჰქონდა ადგილი.

ახალგაზრდა ბ. ჯორჯაძის მოხდენილი პორტრეტი მოგვცა ა. წერეთელმა. იგი იგონებს ნი-იან წლებს და წერს: „მე რადგან ბარბარეს არ ვიცნობდი, ალექსანდრემ (ე. ი. ალექსანდრე ორბელიანი. ქ. ი.) წამიყვანა გასაცნობად. მწერალი ქალი სოფლიდან ჩამოსული, კერესელიძესთან ჩამომხტარა, რომელთანაც ნათელ-მირონობა ჰქონდა; სახლის პატრონმა რომ ჩვენი მისვლის მიზეზი გაიგო, ძალიან იამა და მითხრა: ის ქალი ახლა საკუთარ ოთახში ზის, წერს და ისე შევიყვან უცბად, რომ თითონაც არ იცოდესო. მომავლო ხელი და ძალათ წამიყვანა. როდესაც მე ვნ. ბარბარე ჯორჯაძის ლექსებს ვკითხულობდი, სულ სხვანაირად მყვანდა წარმოდგენილი ავტორი; ჩემის აზრით, ის უნდა ყოფილიყო ტანმორჩილი, გამხდარი, მეტად მკვირცხლი, მოუსვენარი, სხაპა-სხუპით მოლაპარაკე და განსაკუთრებით წერის დროს მეტად ალელვებელი. მაგრამ წარმოდგენით ჩემი გაოცება, როდესაც მის ოთახში შევედი. სტოლთან იჯდა ერთი საკმაოდ მსუქანი მოსული, თვალ-ტანადი ახალგაზრდა ქალი, რომელსაც მუხლი-მუხლზედ გადაედნა, ზედ ერთი ფურცელი ქალაღი დაედვა და დინჯად ლექსა წერდა. ეს იყო მის უკეთესი ლექსი „არავი“. მაშინ მეც შევიტყვე რომ თუ არ მუხლზედ ძველებურად, ისე წერა არ ემარჯვებოდა.“²⁾

თითქმის მთელ ოთხათეულ წელს ეწეოდა ბ. ჯორჯაძისა სამწერლო მოღვაწეობას. იგი „ცისკარის“ უახლოესი თანამშრომელი და ბურჯთაგანი იყო. ამ ეურნალში დაიბეჭდა მისი ნაწერების უმრავლესობა. ბ. ჯორჯაძისა თანამშრომლობდა აგრეთვე „დროებაში“, „ივერიაში“, „კვალში“, „ჯეჯილში“. მხატვრული შემოქმედების თითქმის ყველა დარგში სცადა მან თავისი წვლილის შეტანა. პირველად მისი ნაწერები გამოქვეყნდა 1859 წელს („სევედიანი ქალი მდინარის პირას მჯდომი“).

1860 წ. ბ. ჯორჯაძემ „ცისკარში“ (№ 1) მოათავსა რედაქტორთან მიგზავნილი წერილი „გარკვევა“, რომელშიც იგი ეკამათებოდა ლაგრენტი არდაზიანს ქართული ენისა და მწერლობის შესახებ. ამ გარკვევაზე ააგო შემდეგში დიმიტრი ბაქრაძემ თავისი ისტორიული მიმოხილვა — „ქართველი ქალები“. უფრო მოგვიანებით იგი აქვეყნებს წერილს (ფსევდონიმით) გრ. რჩეულიშვილის „ანუკა ბატონიშვილის მოთბობაზედ“.³⁾

¹⁾ „კვალი“, 1895 წ., № 17.

²⁾ „დროება“, 1868 წ., № 3.

³⁾ ეს წერილი „ცისკარში“ 1861 წ. № 3-ში დაიბეჭდა ნინო ერისთავის ხელმოწერით. ჩვენს მიერ რაფ. ერისთავის არქივში აღმოჩენილი წერილი ნათელყოფს, რომ ამ სტატიის ავტორი იყო ბ. ჯორჯაძისა. იი რას წერს ეს უკანასკნელი რაფ. ერისთავს: „ძალიან ნინოს სახელზე დაწერილი კრიტიკა როგორ მოგეწონა? თუ პასუხი დაწერა რჩეულთაგან, ზოგი მაშინ წაიკითხოდა, რასაც დაუწერ, მაგრამ ისევ ნინოს სახელზედ კი“ (შეად. ივ. ცაგარელი — „კომუნიზმი“, ი. გრიშაშვილის რედაქციით, წინათქმით, შენიშვნებით და ლექსიკონით, „ფედერაცია“, 1936 წ., გვ. 463; აგრეთვე — „ქართული ეურნალებისა და კრებულები“).

1861 წ. ბ. ჯორჯიძისა წერს თავის საბოლემიყო წერილებს „ახალთაობის — თერგდალეულების და კერძოდ ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ“ („თ. ილია ჭავჭავაძის კრიტიკაზედ“ და „პასუხს-პასუხი“).

1863 წ. ბ. ჯორჯიძემ „ცისკარი“ (№ 2) მოათავსა *საქართველო* დრამატიული ნაწარმოები „მური“, ხოლო ორი წლის შემდეგ გამოქვეყნდა „რას ვეძებდი და რა ვიპოვე“ („ცისკარი“, 1865 წ. № 11). ამ წლებში ხშირად იბეჭდებოდა მისი ლექსებიც.

70-იანი წლების დასაწყისში ბ. ჯორჯიძემ დასწერა კომედია „მკითხვენი“. ამ ნაწარმოებზე იგი დიდხანს მეშობდა და მისი მეორე ვარიანტის წერა დაამთავრა 1874 წ. ამავე წელს გამოაქვეყნა მან თავისი ცნობილი „სამზარეულოს წიგნი“.

1880 წ. დასაწყისში ბ. ჯორჯიძისამ დაამუშავა დრამა „მშვენიერი კეკელი“. ამ დრამის სამი ვარიანტი არსებობს. ამ დრამატიულ ნაწარმოებზე მეშობდასთან ერთად, 80—90-იან წლებში იგი წერდა ლექსებს, რომელთაგან მხოლოდ მცირე ნაწილია გამოქვეყნებული. პარალელურად ბ. ჯორჯიძისა აწარმოებდა ჩუბინაშვილის მიერ გამოცემულ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის კრიტიკულ განხილვას.¹⁾

80-ანი წლებიდან მოკიდებული ბ. ჯორჯიძისა აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქართული საბავშვო ლიტერატურის შექმნაში. ანასტასია თუმანიშვილმა იგი მიიწვია „ჯეჯილის“ მუდმივ თანამშრომლად, სადაც ამ დროიდან ხშირად თავსდებოდა მისი ლექსები.

80-იან წლებშივე ბ. ჯორჯიძისა ადგენს პირველდაწყებითი სკოლის სახელმძღვანელოს ბავშვთათვის, რის შესახებაც წერს თავის ძმას: „დღევანეა არ მომწონს, ამისათვის, რომ ეხლანდელს დროში ზღაპრებს არ უნდა შეაჩვიო ყმაწვილი. გონება უნდა გაუხსნა და რაც იმათ შეეფერება ის ასწავლო. რაფიელ-ჯან, ხომ გაგიგონია „ცუდათ ჯდომასო, ცუდათ შრომა სჯობიაო“, მეც ასე ვიშრომე და შევადგინე სამოსწავლო წიგნი, სახელად უწოდე „დასაწყისი სწავლისა“. მე ამისათვის მომივიდა ეს ფიქრი, რომ სკოლის მასწავლებლები ჩიოდენ ხოლმე — „ბატონო მოვაცოლებთ ხოლმე ყმაწვილს ანბანს და რამდენი ხანი სწავლობს და როდის გავა ბოლომდის ანბანსო დასასრული არა აქვსო“. ეს, რასა სწავლობ კლასშია, მეთქი, ერთ ბიჭს ვკითხე, „რა ვიცი შენი ჭირივე, თბამ ვენახი შექანაო და ეს განა ჩვენ კი არ ვიცით“. მე რომ ესენი მჭონდა გაგონილი, ვამჯობინე ასე: ჯერ მთელი ანბანი მხატვრობით შეისწავლოს ბავშვმა, ცალკე დაჭრილებიც უნდა იყოს და წიგნშიაც ასე დაბატული, რაც კი წაუშლელია უნდა დაიბატოს, მაშინ ყმაწვილი მთელს ანბანს დაისწავლის შემოკლებით“. ამავე წიგნის შესახებ წერდა ბ. ჯორჯიძისა ანასტასია თუმანი-

შის ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“, ნაკ. 1, დოკ. გ. აბზიანიძის რედაქციით და წინასიტყვაობით, სუფარ. ბიბ. გამ. 1940 წ. გვ. 79). მეორე წერილში ბ. ჯორჯიძისა რაფ. ერისთავს აცნობებს, რომ თავადანაწარმოა დიდათ ილაშქოთა გრ. რჩეულიშვილის მოთხოვნა: „პო, რა დღე დააყენეს კენჭში გრიგოლ რჩეულოვს? მიეხევავენ თავადიშვილები და კინალამ დაღრჩვეს, შენ როგორ გაბედე, რომ ამისთანა მოთხოვნა დასწერე სიცრუითა საესე. ცემას უპირებდნენ“.

¹⁾ „მშვენიერი კეკელი“ არ არის გამოქვეყნებული. ხველა მისი ვარიანტი (მათ შორის ერთი ვარიანტი „მშვენიერ მანას“ სათაურით) დაცულია რაფ. ერისთავის არქივში.

²⁾ ეს შრომა არ გამოქვეყნებულია. დაცულია რაფ. ერისთავის არქივში.

შვილს: „ერთი საყმაწვილო წიგნი დაესწერე დასაწყისი სწავლისა, რომელშიაც იყო შედგენილი ანბანი სულ მხატვრობით ერთ მარტივლოვანი და ორ მარცვლოვანი ასოებით, ესე იგი, რომ დაიხატოს ხე, ბუჩქი, ია, გზა და სხვანი... რადგან ყმაწვილი უფრო მალე შეისწავლავს და გასაყვეთათაც ისევე ანბანის ასოებით იყო სიტყვები შეერთებული, სამსახურითავე წერილ-წერილი ლექსები და ზნეობითი მოთხრობები იყო შიგა და შიგ ჩართული და სხვანი“... ამავე წერილიდან გვგებულობთ, რომ ეს სახელმძღვანელო წაუღია ივანე მაჩაბელს იაკობ გოგებაშვილისათვის გასაცნობად. მაგრამ ვადის დრო და აღმოფთვებული ბ. ჯორჯაძისა წერს რაფ. ერისთავს: „ეგ ვიღა ბრძანდება გულისაშვილი, რომ ჩემი შედგენილი დასაწყისი სწავლისა თავისად გადაუკეთებია და ისე დაუბეჭდვინებია, ესეც ხომ სამხარეულოს წიგნი არ არის, რომ ვიღაცას დაუბეჭდია და უსახელოთა ყიდია“.¹⁾

90-იან წლებში ბ. ჯორჯაძისამ მხატვრული პროზაც გამოაქვეყნა. ამ პროზაულ ნაწარმოებში იგი გვიხატავს უმოთხრესად წარსულის ამბებს („შამილიანობა კახეთში“, „თაზო მომღერალი“, „მარიამი“, „ალავერდობა“, „ამბავი სოფელ ხევთა პირში“, „დიკლო შანაქში“ და სხვ.). ზოგი ამ ნაწარმოებთაგანი ავტობიოგრაფიული ხასიათისაა. მაგალითად, „შამილიანობა კახეთში“ წარმოადგენს ნამდვილ ისტორიული ფაქტების გადმოცემას. ახალგაზრდობისას ბ. ჯორჯაძისა თავის ოჯახთან ერთად ხშირად იძულებული გამხდარა შამილის თავდასხმის მოლოდინში ვახიზნულიყო, ბევრჯერ დაუწყევთ და დაუნგრევიათ ლექებს მისი მშობლებისა და ქმრის კარ-მიღამო.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ბ. ჯორჯაძეს ლიტერატურულ მუშაობაში დიდ დახმარებას უწყევდა რაფ. ერისთავი. ეს უკანასკნელი იყო ყოველთვის მისი მრჩეველი და პირველი რედაქტორი. ბ. ჯორჯაძის ავტოგრაფები და პირადი წერილები ნათელ წარმოდგენას იძლევა ამ მხრით იმ სერიოზული დახმარების შესახებ, რასაც მას ძმა უწყევდა.



ახალი თაობა — თერგდალეულები, რომელთაც განათლება რუსეთში ჰქონდათ მიღებული, გამსჭვალული იყვნენ პროგრესიულ-რადიკალური იდეებით, გრძობდნენ, რომ შეიცვალა ცხოვრების ფორმები და შეუძლებელია ახალ პირობებში ტრადიციული იარაღით მოქმედება. „მამათა“ კონსერვატიზმს, უმოქმედობას და გულგრილობას, „შვილები“ უპირისპირებენ ახალი შეგნებისა და საქმიანობის გამომხატველ შეხედულებებს (დრომოკმული ჰეტერიკალური ტრადიციების უარყოფა, ბრძოლა ბატონყმური სისტემის წინააღმდეგ, მოწოდება ევროპული განათლებისაკენ, დავობა სოციალური უთანასწორობისა, ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისათვის და სხვ.). „შვილების“ ამნაირი მისწრაფება თავადაზნაურობის კონსერვატული თაობის სასტიკ წინააღმდეგობას იწვევდა. საკმარისი იყო გამოჩენილიყო რაიმე ისეთი, რაც ოდნავ მაინც ემუქრებოდა ისტორიულ-

¹⁾ ბ. ჯორჯაძისა ამ პეულისხმობს სამხარეულო წიგნის მეორე გამოცემას, რომელიც დაიბეჭდა შესწორებულ-შეკლებული რედაქციით. მაგრამ მისი ავტორის სახელის მოცხვენებლად.

ლად შემუშავებულ თავადანაურულ შეხედულებებს, რომ ძველი თაობა ფეხზე დამდგარიყო და გაელაშქრა „ურწმუნოების“ დამთხვევითა წინააღმდეგ.

„ძველი“ და „ახალი“ თაობის განხეთქილება პირველად გამოვლინდა ლიტერატურულ საკითხებში, უმთავრესად ენის გარეშე. მესტეგში მას სხვა საკითხებიც დაემატა, სადაც ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მიმართულებისა და შეხედულებების სხვადასხვაობა დიდად აგრძნობი იყო.

ახალი სალიტერატურო ენის შექმნის ტენდენცია წარმოიშვა, როგორც საერთო-ისტორიული გარდატეხის ბუნებრივი შედეგი. ახალი ლიტერატურული მოთხოვნილებები და ინტერესები, რომლებიც მოქპონდათ „შვილებს“, მოითხოვდა ახალ გამოთქმითს ფორმებს, ახალი დროის შესაფერის სალიტერატურო ენის (ლექსიკურ, ორთოგრაფიულ და გრამატიკულ) სისტემას. პოზიციები ენის საკითხში უაღრესად პრინციპულ ხასიათს ატარებდა. ობიექტურად ენის საკითხი უკვე თავის თავად საზღვრავდა საერთო ლიტერატურულ და საზოგადოებრივ შეხედულებებს.

„მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლის დაწყების უშუალო საბაზად შეიქნა რუსი პოეტის კოზლოვის „შეშლილის“ ქართული თარგმანი, შესრულებული რევაზ ერისთავის მიერ. ამ თარგმანს „ცისკრის“ ფურცლებზე ი. ჭავჭავაძემ უძღვნა წერილი — „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძე ერისთავას მიერ კოზლოვის „შეშლილის“ თარგმანზედ“. წერილის დასაწყისშივე ი. ჭავჭავაძე აცხადებს, რომ „ტ, ტვ, მ, ვ, გ — ეს ასოები არ გვიხმარია ჩვენ სტატიაში, თუ, ვინიცობაა, ეს ენის წინააღმდეგ მიანდეს ვისმეს, ჩვენ ყოველთვის მზად ვართ გავსცეთ პასუხი და გამოუცხადოთ რა მიზეზითაც არა ვხმარობთ.“¹⁾ ი. ჭავჭავაძის აზრით, აღნიშნული ასოების მოშორება გაამარტივებდა და გააადვილებდა მართლწერას. შემდეგ ი. ჭავჭავაძე ეხება „შეშლილის“ ავტორს და ილაშქრებს „სენტიმენტალური, ყალბი გრძნობის მტირალა და წირპლიანი მწერლების“ წინააღმდეგ, რომლებიც მოკლებული იყვნენ ყოველგვარ მნიშვნელობას თანამედროვე ცხოვრებისათვის. ი. ჭავჭავაძის მოსაზრების თანახმად, ქართულმა ლიტერატურამ გვერდი უნდა აუაროს „წარსულ დროთა სიცრუესა და ცდომილებას“. კოზლოვის (და საერთოდ სენტიმენტალური სკოლის) უარყოფითი დახასიათების შემდეგ ი. ჭავჭავაძე არჩევს „შეშლილის“ ქართულ თარგმანს. ეს თარგმანი არ შეიძლება ჩაითვალოს ხელოვნების ნაწარმოებათ, მთარგმნელი შეუბრალებლად არღვევს ქართული ენისა და პოეტური მეტყველების ელემენტარულ წესებს. დასასრულ, იგი მთლიანად იხილავს „ცისკრის“ მწერლობას და ნათელპყოფს მის სიძაბუნეს, ჩამორჩენილობას.

ი. ჭავჭავაძის წერილმა შეარჩია უმოძრაო ატმოსფერო. „შვილების“ მისწრაფება მოეხლინათ ლიტერატურულ ენაში რეფორმა, გავითავისუფლებინათ იგი ზედმეტი „ტიერთისაგან“, არქაულ-წიგნური გამოთქმებისაგან. შეურიგებელ წინააღმდეგობას ხელობდა თავადანაურობის კონსერვატორულ ფენებში. ძველი თაობა დამძიმებული ანტონ კათალიკოზის

¹⁾ „ცისკრი“, 1861 წ. № 4.

„თეორეტიკთა“ და „კატელორიებით“, ენის უცვლელობის დაცვაში ხელდაედა ეროვნულ-ისტორიული საფუძვლების სიმტკიცის აღდგენებელ პირობას.

„ცისკარის“ შემდეგ ნომერში დაიბეჭდა ბ. ჯორჯაძის წერილი: „რამდენიმე სიტყვა თ. ილია ქავჭავაძის კრიტიკაზე“. ¹⁾ ეს წერილი მთლიანად მიმართული იყო ი. ქავჭავაძის წინააღმდეგ. ფეოდალურ გარემოცვაში აღზრდილი, კონსერვატიული შეხედულებებით განმსჭვალული მწერალი ქალისათვის მიუღებელი იყო ის რეფორმები, რომლებსაც მოითხოვდა ი. ქავჭავაძე. ბ. ჯორჯაძის რწმენით, ცვლილების შეტანა დაარღვევდა ტრადიციულ დარბაისლურ ქართულ ენას, როგორც კანონმდებლებების საფუძველს. დარბაისლურ ენაზე უწერიათ და ულაპარაკიანთ ჩვენს წინაპრებს და მისი შეცვლა დიდ დანაშაულად უნდა ჩაითვალოსო.)

ბ. ჯორჯაძისათვის თავის წერილში მთელი კატეგორიულობით აყალიბებს „მამების“ პოზიციებს და აცხადებს: „თუ ლიტერატურაზე თავს სდებს (ი. ქავჭავაძე, ქ. ბ.), რატომ ეს კი არ უნდა მოეხსენებოდეს, რომ ლიტერატურა უნდა შეიცავდეს პატიოსნურ და დარბაისლურ ენას და არა უშვერობას. იგი გვიწერს, რომ ვითომც ჩვენ ვახდენთ ენას, არამც თუ ვაკეთებთ, თუ უკაცრავად არ ვიქნებით, მგონია თვითონ უფრო ახდენს. წახდენა არ არის თქვენი პირიმით პირველის შესავლის გვერდზე სქოლიოში რომ იძახის: უ, უც, ა, ვ, ჯ—ულ არ გვიხმარიაო... ჩვენ როგორც შეგვიტყვია, ილია ქავჭავაძე ბატონებო, გაზრდილი გახლავთ უნივერსიტეტში, სადაც ასწავლიან მრავალს საგნებს და რასაკვირველია სწავლას მიიღებდა, მაგრამ საკვირველია უპირველესი საგანი არ შეუძინებია და ლიტერატურობს კი. თუ ნებას მოგვეცემთ მოგახსენებთ, თუცა კი მაღალ სასწავლებელში არ ყოფილვარ, და არა თუ მაღალ სასწავლებელში შეინიღამაც გარეთ არ გაესულვარ, რომ ყოვლის მწერლისათვის საჭიროა და აუცილებელია იცოდეს: თეორეტიკა ანუ სწავლა ხელოვნებითის სიტყვიერებისა. ის რომ ყურადღებით წაეკითხა უეჭველია არ იტყოდა უ, უც, ა, ვ, ჯ-ის ხმარება საჭირო არ არისო“. ბ. ჯორჯაძის პრინციპულად წინააღმდეგობა ყოველგვარი ცვლილებისა ენაში, ვინაიდან „ბუნებით მომზადებულ სიტყვათათვის აღრვევ დადებულ არიან კანონნი, რომელნიცა არიან მართალნი და რომელთა გამოცვლა დიდი ვნება უნდა იყოს“.

თავისი პოზიციების განსამტკიცებლად ბ. ჯორჯაძისა არჩევს ი. ქავჭავაძის პოეტური შემოქმედების ნიმუშებს და ცდილობს მათში აღმოაჩინოს გრამატიკული შეუსაბამობანი, შეუფერებელი გამოთქმები. ასე, მაგალითად, შას მოჰყავს ი. ქავჭავაძის „გაზაფხულიდან“ სტრიქონები: „ტყეს ესხმება ფოთოლი, აგერ მერცხალი ჭყვიის“ და დასძენდა: „სასაცილოა და სამწუხარო, რომ ასე შეიცვალოს ჩვენი სამშობლო ენა. თქვენი რისხვა მქონდეს თუ თავის დღეში გამეგონოს მერცხალი ჭყვიისო. ღორზედ კი გამოგონია, უთქვამთ ღორი ჭყვიისო, იქნება ოდესმე ბუღბუღზედაც სთქვას ჭყვიისო. რატომ? თუ კი მერცხალი დაიჭყვიელეს, რატომ ბუღბუღელი არ უნდა ჭყიოდეს“.

ბ. ჯორჯაძისა აღშფოთებაში მოჰყავს ამ გარემოებას, რომ ი. ქავჭავა-

1) „ცისკარი“: 1861 წ. 36 5.

ქმ თავის ლექსებში ვერ მოიმაჯგვა თანახმად ანტონ კათალიკოსის გრამატიკისა — ზედშესრულები, ნაცვალ სახელები, ზმნებთ მრავლობით, შეუძლებელია გამოთქმები „სუბუქ ფრთითა“, „შენ გიყვამა რა იცოდა“, „დაკუერებს ღრუბლიანი“ და სხვ. ბ. ჯორჯაძისა იწუნებოდა ქვეყანის „არა დარბაისლურ“ ლექსიკონსა და ებიტეტებს. სიგ. ჯორჯაძისა

ბ. ჯორჯაძის წერილთან ერთად „ცისკარში“ მოთავსებული იყო გ. ბართოვის და რევ. ერისთავის წერილები. 1) თითოეული მათგანი ი. ჭავჭავაძეს არსებითად ეკამათებოდა იმავე საკითხების შესახებ, რაც აღნიშნული იყო ბ. ჯორჯაძის წერილში.

ი. ჭავჭავაძემ თავის მხრით მოწინააღმდეგეთ საერთო „პასუხი“ (ს. ცა.) 2) ამ პასუხში იგი განსაკუთრებით არ ინდობს ბ. ჯორჯაძეს თავისი „ხელოვნებითი სიტყვიერების თეორეტიკით“. საფუძვლანია შენიშვნებით ი. ჭავჭავაძე ამხელს მწერალი ქალის ჩამორჩენილობას და მისი მოსაზრებების უსუსურობას. „ხელოვნებითი თეორეტიკა“, რომელზედაც ბ. ჯორჯაძისა ლაბარაკობს, ი. ჭავჭავაძეს „სქოლასტიკოსობის ნაშთად“ მიაჩნია. იგი ენის კანონის დამდებად სთვლის ხალხს და არა „ანბანთ-თეორეტიკას“. „ხალხის ენაში მონახოს ფაქტი, დამინახოს და მაშინ დავეთანხმები“-ო, უცხადებდა ი. ჭავჭავაძე თავის მოკამათებებს. მას სრულ უსაფუძვლოდ მიაჩნია მოსაზრება ენის ფორმების უცვლელობის შესახებ. ი. ჭავჭავაძე იცავს ენის დემოკრატიზაციის პრინციპს.

როგორც აღვნიშნეთ, განსაკუთრებული იერში ი. ჭავჭავაძემ ბ. ჯორჯაძის წინააღმდეგ მიიტანა. ი. ჭავჭავაძე სრული თანმიმდევრობით არღევს მის არქაულ შეხედულებებს ენისა და მეტყველების საკითხებში.

ი. ჭავჭავაძის პასუხით არ შეიძლებოდა დასრულებულიყო თაობათა შორის ჩამოვარდნილი განხეთქილება. ბ. ჯორჯაძისა არ ეკუთვნოდა იმათ რიცხვს, რომელნიც ერთი შეტევის შემდეგ დაფრთხებოდნენ და ბრძოლაზე ხელს აიღებდნენ. დაწყებული შეტევის ლოლიკა მოითხოვდა ბრძოლის გაგრძელებას.

არც ბ. ჯორჯაძისა რჩება ი. ჭავჭავაძეს „ვალში“. თვითონაც რისხვით აძლევს „პასუხის-პასუხს“. 3) ამ წერილში ჩვენი მწერალი ქალი ოდნავადაც არ იხვეს უკან. იგი თავისებური არგუმენტებით ცდილობს ამხილოს თავისი მოწინააღმდეგე: „მე აზრადაც არ მჭონდა პასუხის გაცემა, მაგრამ რადგან ჭავჭავაძის პასუხი შორავს ზრდილობას და უშვერობით დაუბადებია ახალი ენა, უცქველია ამ ახალ ენას პასუხი მოეთხოვება. ენას ჩვენ მამა-პაპათ დარბაისლურ ენას არც ამაღლება და არც დამდაბლება ესაქმრობა, ჩვენი ენა დიდი ხანია სისრულეშია მოყვანილი, მხოლოდ გზა აბნევია ამ ენას თქვენებარ მწერალთა წყალობით“. ბ. ჯორჯაძის საპასუხო წერილი მკვეთრი კილოთი იყო დაწერილი. გზადაგზა იგი მიმართავს იგავეს და ქარაგმულ გამოთქმებს, რომელთა აზრიც მღვთმარეობს იმაში, რომ დაამციროს თავისი მოწინააღმდეგე. რასაკვირველია, ამ სიტყვებში მეტი ღვარძლი იყო, ვიდრე დასაბუთებული მსჯელობა.

მძაფრი ანტოგონიზმი გამოსკვივოდა ბ. ჯორჯაძისა და ი. ჭავჭავა-

1) „ცისკარი“, 1861 წ. № 5.

2) „ცისკარი“, 1861 წ. № 6.

3) „ცისკარი“, 1861 წ. № 9.

ძის პოლემიკის ყოველ სტრიქონში. ეს ბრძოლა თანდათან გამოვიდა ვიწრო საჟურნალო პოლემიკის ფარგლებიდან. ამ ბრძოლამ საერთოველოს სხვა კუთხეებშიც კიოვა გამოსმაურება. „მამათა“ ბანაკი არც ისე მცირერიცხოვანი იყო და იგი უბრძოლველად არ სტოვებდა. მისი წევრებიც ასპარეზს. შეილების საწინააღმდეგოდ წერილები გამოვეყენებინა „ცისკარში“ სარდიონ ალექსი-მესხივემა, ეფთიმე წერეთელმა, თომა მაჭავარიანმა და სხვ. ისინი სავსებით ემხრობოდნენ ბ. ჯორჯაძეს.

ბრძოლის განვითარებამ ნათელჰყო, რომ ძველსა და ახალ თაობას შორის წინააღმდეგობის საფუძველი არ იყო მარტო ენის რეფორმის საკითხი, სინამდვილეში უფრო ფართო და მნიშვნელოვანი საჭირო-რობო მოვლენები იყო გასარკვევი.

ამ ბრძოლის დროს ბ. ჯორჯაძისამ გამოაქვეყნა მხოლოდ ორი წერილი. არსებითად ეს წერილები საზღვრავდა ძველი თაობის პოზიციებს. ამასთანავე სწორედ ბ. ჯორჯაძის წერილები ამკლავებდა თავადაზნაურული კონსერვატიული აზროვნების უძღურებას. ეს ბრძოლა „მამებისათვის“ სრულიად უპერსპექტივო იყო. მათ გამოსვლებში დრომოკმული ტრადიციების შენარჩუნების სურვილი მკლავდებოდა, რაც საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერების წინააღმდეგ იყო მიმართული. ბ. ჯორჯაძისა და საერთოდ, „მამათა“ გამოსვლები იყო ფეოდალური თავადაზნაურობის უკანასკნელი აქტიური ცდა ძველი პოზიციების უცვლელად შენარჩუნებისათვის, მაგრამ მათი ცდა სრული მარცხით დამთავრდა. ამ დამარცხების სიმწვავე მთელი თავისი სიძლიერით გამოსცადა ბ. ჯორჯაძისამ, როგორც ძველი თაობის ნიჭიერმა წარმომადგენელმა.

ბ. ჯორჯაძისა თავისი შემოქმედებით ქართულ ლიტერატურაში აგრძელებს რომანტიზმის გზას. მის ლექსებში მოცემული გვაქვს თავადაზნაურული რომანტიზმის დამახასიათებელი მოტივები. ეს ითქმის განსაკუთრებით მისი პოეტური მუშაობის პირველი ათეული წლების შესახებ. პესიმისტური დამოკიდებულება აწმყოსადმი, წარსულის კულტი და სამყაროს რელიგიურ-მისტაჟურ სახეებში ათვისება, შეადგენს ბ. ჯორჯაძის პოეზიის ძირითად განწყობილებას.

ბ. ჯორჯაძისა პირველსავე პოეტურ ნაწარმოებში გვაძლევს თავის განწყობილებათა ძირითად მიმართულებას. ლექსში „სევდიანი ქალი მდინარის პირად მჯდომი“ იგი მოსთქვამს იმ „დამკოდველ სევდაზე“, რომლითაც მოცულია მისი სული.

ცხოვრებაში მწერალი ქალი საიმედოს, სანუგეშოს ვერაფერს პოულობს. მისი წარმოდგენით, „მაცდური ყოფა თუ განანათლებს“ ადამიანს, როგორც მზის სხივი ქვეყანას, მხოლოდ მცირე ხნით, შემდეგ მსწრაფლ ჩაქრება და შავი ღრუბლებით დაიფარება. ასეთ პირობებში ადამიანი ვმსგავსება აჩრდილს, რომელსაც ამ ქვეყნად დარჩენია მხოლოდ ოხერა და ვაება (იხ. ლექსი „ძმავ რაფიელ“); ეს სევდა მას კიდევ უფრო მშაჟრად აქვს გამოხატული ლექსში „წუთისოფლისაგან დატანჯული“. ეს ლექსი მიძღვნილია დის — ანა ჭავჭავაძისადმი, რომელიც რუსეთ-ოსმალე-

თის ომის დროს მოხალისედ წავიდა ჯარში, როგორც „მოწყალეების და“ და სახალისაგან გარდაიცვალა 1878 წელს არდაღანში.

მარტოობისა და მწუხარების გრძობას ბ. ჯორჯაძისა გადაჰყავს წარსულის მოგონებაში. არსებული მდგომარეობით უკმაყოფილო მწერალი ქალის შეგნებაში დგება წარსულის მიმზიდველი სურამის მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტის, ნანგრევების ხილვა მას აახლოვებს წარსულთან. სევდის გასაქარვებლად იგი მიდის იქ, სადაც დაცული იყო გარდასული ცხოვრების სახეები:

„მივილტვი ზოლმე ადვილს უდაბურს...
 შენ ძველს პალატო ჩამონგრეულთა,
 რომელნიც ფიქრზე ფიქრს მომიმატებს
 და სასაფლაო წინაპართ ჩემთა,
 აჩრდილს ყოვლად რომ წარმომიდგენს“...

(„ა. წ-ს“).

წარსულის ნიავის ქროლვა, ძველი ცხოვრების ნანგრევების ხილვა კიდევ უფრო მეტ მკმუნეარებაში ხვევს ბ. ჯორჯაძეს, რადგან მის წინაშე დგება ცოცხალი მოგონებანი ბრწყინვალე და მიმზიდველი ისტორიული სინამდვილისა. შორეული წარსული მის შემეცნებაში იხატება ფანტასტიკურ ფერებში.

„ფიქრი დარაჯობს უბილავ ძალებს,
 ეს წარმომიდგენს დროს განვილილსა,
 მშვენიერ გრემთა, ჭაღაქს ვაცისლსა,
 ტახტსა და პალატს, დიდ შემოსილსა,
 მასზედ მორკმულს მედეთ, სპათ დაწყობილსა“.

(„ნაქალაქევი“).

ოდესღაც სიცოცხლით და მოძრაობით სავსე კუთხე, ეხლა სასაფლაოს წარმოადგენს, „წალკოტის“ ნაცვლად „ქალაკ-ტეერია“. ასეთი მდგომარეობა მწერალ ქალში იწვევს გულის ტკივილს.

ბ. ჯორჯაძისა არ იყო დაშორებული ბუნების რომანტიკულ გაგებასაც. აწყურზე გულგატეხილი მწერალი ქალი გარბოდა ბუნებაში და იქ ეძიებდა სიმშვიდეს. გაზაფხულის სასიამოვნო ღამეში სურათების ხილვა მასში იწვევს ასეთივე საამო წარმოდგენას „მეორე“, „მიღმა“ ქვეყნიური ცხოვრების შესახებ. ეს „მიღმა“, „მეორე“ ქვეყანა ბ. ჯორჯაძის შეგნებაში იხატება, როგორც რეალური სამყარო, რომელიც უპირისპირდება „უსიამოვნო“ „მიწიერ სინამდვილეს“.

გარდა იმისა, რომ ბ. ჯორჯაძისა ბუნებასთან ცდილობს მისტიკური კავშირის გაბმას, მასშივე აქსოვს იგი თავის სურვილებსა და განცდებს. მისი გაგებით, ბუნების მგრძობელობა ხშირად საკვირველ სახეს ღებულობს. მაგალითად, არაეგს შეუძლია ერთმანეთისაგან გაარჩიოს მტერი და მოყვარე, თავის საშობლოს, საქართველოს საზღვრებში ის „ხტის და თამაშობს, მაგრამ რაკი გასცილდება მას, კმუნვით მავალობს“. ეს კიდევ კოტაა. არაგვი თავისებურ ერთგულ-პატრიოტულ განწყობილებასაც ამჟღავნებს: თავისი ქვეყნის შვილს იგი უდიმის, მხიარულად ხვდება, „ღედის რძეებ... შეერგება“, ზოლო უცხოელს „მკვახედ სკვრეტს, სულ არ უტკება“.

ამ ხანებში ბ. ჯორჯაძისა გადადის ეპიკური შემოქმედების სფეროშიც. იგი წერს: ე. წ. რომანტიკულ პოემას. ასეთია „მუხამბრის მონასტრის მწირო“, რომელშიც წარმოდგენილია ცხოვრებისაგან გაქცეულ ადამიანის სახე.

გადის დრო და ცხოვრების მიმდინარეობა ბ. ჯორჯაძის შემოქმედებაში უსაგნოდ „რომანტიკული, განყენებული ოცნებისა, აიძულებს დაისახოს არსებული სინამდვილის ათვისების უფრო აქტიური გზა. ამ დროიდან მის პოეზიაში წარსული და აწმყო, ოცნება და სინამდვილე მძაფრად ეჯახება ერთმანეთს. ბ. ჯორჯაძისათვის უკვე ნათელი ხდება, რომ გოდებას, მოთქმას არავითარი სარგებლობა არ მოაქვს ადამიანისათვის („ლეილას“). აქედან მის შემოქმედებაში თანდათან თავს იჩენს რეალისტურ-პროგრესიული ტენდენციები.

მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბ. ჯორჯაძის შემოქმედებაში პატრიოტიზმის თემას. ამ მხრით დამახასიათებელია მისი „არაგვი“, „ა...“, „მოთულური“, „წუთისოფლისაგან დატანჯული“, „ვინ არ ჰადაგებს“, „საჭარბელო“, „ლენქორანი“, „ნატერა“, „მოჩვენება“. სამშობლოსადმი სიყვარული ჩვენი მწერალ-ჰალისათვის უძლიერესი გრძნობაა. „კაცი თავის ტკბილ სამშობლოს აბა, როგორ დაივიწყებს“, „იმის სიყვარულს რა აღმოფხვრის, რაც გულში ჩანერგილია, ოდეს დრო მიწას დააყრის, ის დღეც კი მისთვის ტკბილია“.

ბ. ჯორჯაძისა თავის ლექსებში წარმოგვიდგენს მშობლიური ქვეყნის პლასტიკურ სურათებსაც.

„საქართველო კეკელე ქალს გაეს,
სამატარლოდ მოკაზმულსა,
კეკელის მთა რომ ადგა თავს,
ჰგავს დევ-გმირსა — მან დამცველსა.
აქ უპირიტავ შეფუთნილ ვარდს,
გარდაშლილსა მიწის ფერად,
გაიჭარვებ გულიდან დარდს,
როს ბულბული დამკეფს ტბილად.
ბურქნარებში იჭით მხედავ
ზამზახ-იას შეკონილსა,
ზეფირი რომ ზედ დამქროლავს,
დამეფს ვეფლას სურნელ სუნსა.
კლდიდან წყარო მოჩქრილად,
ველს აღმასებრ ეფინება
დამაშერალსა და მწყურვალს
უკვდავებად ეგებება.
არც აკლია მას სიმდიდრე,
არც ნიჭი და არც გონება,
თუ ვლირსა ცოტა აღრე,
რასაც გულით ელოდება...
სამოთხეა ან ელში,
ღვთის ნაკურთხი სიუხვითა,
და სიციცხლე აბა, ჩემი,
როგორ იყოს სხვაგან ვითა?“

(„საქართველო“).

ასეთი ლამაზი და მომჯადოებელია სამშობლო, რომელსაც მუდამ გარს ვხვეოდენ ბტრები და ცდილობდნენ მის დამორჩილებას. მაგრამ სამშობ-

ლოს მოყვარული შეიღებოთ თავდადებით და გმირულად იცავენ მას.
ბ. ჯორჯაძისა იმედით შეჰყურებს თავისი ქვეყნის მომავალს:

„მამ, ტურფაო, საქართველო,
ფესვს გაიდგამ ძველებურად,
რომ კვლავ თავი ისახელო...“

ეროვნული
გინგლიმონია

(„საქართველო“).

ეს შეგნება განსაზღვრავს ბ. ჯორჯაძის მთელ სასიცოცხლო სულის-
კვეთებას და ბატრიოტულ მისწრაფებას. ნაციონალურ-განმათავისუფლე-
ბელი იდეებით გამსჭვალული მწერალი ქალი ელოდებოდა თავისუფა-
ლი და სუვერენული საქართველოს აღორძინებას.

ბ. ჯორჯაძისა გამოეხმაურა ა. წერეთლის სახელმძღვანელო „გაზაფ-
ხულს“. ცნობილია, რომ ა. წერეთელმა ეს ლექსი დასწერა რუსეთის იმპე-
რატორის აღექსანდრე მეორის მოკვლის გამო, 1881 წელს, 1 მარტს. ეს
ფაქტი ა. წერეთელმა ჩასთვალა ჩვენი ქვეყნის თავისუფლების, გაზაფხუ-
ლის დასაწყისად. ბ. ჯორჯაძისა წერს:

„ერთი შერცხლის შემოფრენით
არ იქმნება გაზაფხული,
თუნდ მიიღოს სიამოვნით,
თუნდ მიწუხდეს სევდით გული...
ჯერ წინ გივი მარტი გვიძებს,
ერო აპრილი თან მოჰყვება,
წამს, იწვიმებს, წამს თოვლს ურევს,
წამს მზე ნისლით იბურება;
გაზაფხულის ნიშნით არის
ქუხილი და ხშირი გრგვინვა,
ციხარტყელა გადაეჭრის,
ყველგანა სიანს მსწრაფი ეღვა...
მამინ დრო დროს მოაბრუნებს,
ნახავთ ტურფა გაზაფხულსა
და მრავალფრად აყვავებს
ამ შენ მაშვალს დააგრულსა“.

(„ა-ის“).

თავის პოეზიაში ბ. ჯორჯაძისა შეეხო სპეციფიკურ, ე. წ. ქალთა სა-
კითხსაყ. იგი გამოდის ქალთა უფლებიანობის თავგამოდებულ დამცვე-
ლად. პოეტურ ფორმებში იგი იძლევა თავისებურ „დეკლარაციას“ ქალთა
უფლებისა და თანასწორობის შესახებ; ბ. ჯორჯაძისა მოითხოვს, რომ ქა-
ლი უფლებრივად მამაკაცის თანასწორ მდგომარეობაში იქნას ჩაყენებუ-
ლი ოჯახში, საზოგადოებაში, მიეცეს მას სწავლა.

ქალის ძველ, უუფლებო და დამცირებულ მდგომარეობაში დატოვება
შეუძლებელია. „დღეს კი სხვა ქვეყნებიდან ჩვენშიაც შემოვიდა ახალი
დრო განათლებისა და აყვავებისა, ახლა მაინც ჩვენმა კაცებმაც დაანე-
ბონ თავი ზვაობას და მეშურნეობას, მისცენ თავიანთ ღებსაც თანასწორი
სწავლა და მიმართულება, რომ შეეძლოს კიდევ კვალში ჩადგომა“.¹⁾

მხოლოდ ასეთ პირობებში დაამტკიცებს ქალი თუ რა დიდი ინტელექ-
ტუალური შესაძლებლობაა მასში დაკრთვილი. ისტორიულ სახელოვან
ქალთა სახეების — ნინოს, თამარის და ქეთევანის გაცოცხლებით იგი წარ-
მოგვიდგენს თავის საიდუალო გმირებს.

¹⁾ იხ. ბ. ჯორჯაძისა — „ორიოდე სიტყვა ყმაწვილ კაცების საფრადდებოდ“, „კვალი“,
1893 წ. № 16.



ბ. ჯორჯაძის პოეზია ხასიათდება ეპითეტების სიმდიდრით. ყურადღებას იპყრობს მხედველობითი ეპითეტები. ვხვდებით აგრეთვე მთავარი ხასიათის ეპითეტებს („ნაზი შრიალი“, „ტურფა ბუნენა“, „ტყეპილი სასმენი“ და სხვ.). ეპითეტების ეთიმოლოგიური შემადგენლობა ხასიათდება უბრალოებით (ერთი სიტყვა — ერთი ფუძე), იშვიათად შეხვედებით რთულ ეპითეტებს (ორი სიტყვის ან ორი ფუძის შეერთება).

ბ. ჯორჯაძის წყობილსიტყვაობაში ტაქთა თანაზომიერება არ არის დაცული. ერთსა და იმავე ნაწარმოებში სხვადასხვა ზომის ტაქტებია. იშვიათად შეხვედებით წმინდა ქორეულს და წმინდა დაქტილურ მეტრებს. სამაგიეროდ დიდი ადგილი უჭირავს მასთან შენაზავ (ე. ი. ქორე-დაქტილურ) ლექსებს. ბ. ჯორჯაძის უსაყვარლესი საზომი „შავთელური“ და „ბესიკური“ ლექსებია. ვხვდებით აგრეთვე „შაირის“ ზომით დაწერილ ლექსებსაც.

ბ. ჯორჯაძის ლექსები თითქმის ყველა შერითმულია, გარეგანი რითმებიდან გვხვდება ორჯერადი და ოთხჯერადი მოსაზღვრე გარეგანი რითმები. მეტად გავრცელებულია ბ. ჯორჯაძის ლექსებში ჯვარედინი რითმები. ამ კომბინაციით არის შერითმული „მა... მიხაილოვნა ჩ-სას“, „ლოცვა ჩემი წინაშე ღვთის მშობლისა“, „ამ.ობა“, „ენ. ნ. ჩ“, „ციცქარზედ მიშავალი“, „ა. წ-ს“, „დედა-შვილს“, „უძღვნი დროებას“, „შუა მთის მონასტრის მწირი“, „ლეილას“, „ა-ის“, „ჩემს შვილს“, „კაცი“, „საქართველო“, „ხარბპირს“, „ქ-მო“, „საქმროს“, „ჩემს შაქროს“. ბ. ჯორჯაძის ლექსების რითმები უმთავრესად არა ზუსტი ხასიათისაა. ერთგვარობა მხოლოდ უკანასკნელ ხმოვან ბგერებსა და უკანასკნელ მარცვლის ერთ ან ორ თანხმოვანშია, დანარჩენი ფონეტიკური შემადგენლობა ძალზე აქრელებულია.

ბ. ჯორჯაძის ლექსებში უმთავრესად არა თანაბარ მახვილიანი რითმებია — ტაქტების კლაუზულები სხვადასხვა ზომისაა, ხშირად ერთი ტაქტის კლაუზულა დაქტილურია, მეორესი კი ქორეული, ხოლო რითმა ორ მარცვლოვანი ან კიდევ კლაუზულები ორმარცვლოვანი და სამმარცვლოვანია, რითმა — ერთმარცვლოვანი. სწორედ ამით აიხსნება ის ნაკლები მუსიკალობა, რაც ახასიათებს ბ. ჯორჯაძის ლექსებს.

ენა ბ. ჯორჯაძისა ძველი, „დარბაისელთა“ ენაა, რომელიც საეკლესიო ენის გავლენისაგან ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა, მაგრამ ახალ ენასაც, ახალ დროსთან ერთად დიდი გავლენა მოუხდენია მასზე და მეორე პერიოდში მძლავრად შეჭრილა მის პოეზიაში.

მე-19 საუკუნის ქართული დრამატურგიის განვითარებაში ბ. ჯორჯაძეს თავისებური და თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. რამდენიმე ათეული წლის მანძილზე (60—80-იან წლებში) მისი დრამატიული ნაწარმოებები ხშირად იდგმებოდა ქართულ სცენაზე. გ. ერისთავის და ზ. ანტონოვის პიესებთან ერთად ბ. ჯორჯაძეც საკმაო საზრდოს აძლევდა ჩვენს დარბაისს.

1862 წ. 17 თებერვალს საქველმოქმედო მიზნით პირველად დაიდგა ბ. ჯორჯაძის დრამა „შური“. პრესაში ამ პიესამ მოწონება მიიღო. „ჩვენ-მა მწერალმა ქალმა, ჩვენს ლიტერატურას აჩუქა მასხვილიანი რულოდ დაწერილი დრამა“, — წერდა „ცისკრის“ რეცენზენტი ¹⁾ „ქვემოთა საზოგადოებამ ეს პიესა გულთბილად მიიღო.“

დიდი გამოხმაურება ჰპოვა ბ. ჯორჯაძის კომედია „რას ვეძებდი და რა ვიპოვე“. ეს პიესა საკმაოდ დიდხანს შერჩა ქართულ სცენას. მე-19 საუკუნის უკანასკნელ წლებშიაც კი იგი ჩვენი თეატრების რეპერტუარში მტკიცედ იყო დამკვიდრებული. ამ პიესით რამდენიმეჯერ გაიხსნა ტფილისში ქართული დრამის სეზონი. „პიესა ბ. ჯორჯაძისა ჩვენ ძალიან მოგვეწონა მშვენიერის ენითაც, შინაარსითაც და სცენის მხრითაც. ის არც ერთ გ. ერისთავის დროინდელ პიესებს არ ჩამოუდგება უკან და ზოგიერთ იმათგანს ბევრადაც სჯობიან“ ²⁾; მეორე რეცენზიაში გვითხვლობთ: „2 ქრისტეშობისთვის წარმოადგინეს ჩვენი ერთადერთი ნიჭიერი მწერალი ქალის კნ. ბარბარე ჯორჯაძის სამმოქმედებიანი კომედია „რას ვეძებდი და რა ვიპოვე“. კნ. ჯორჯაძის კომედია უეჭველია ერთ საუკეთესო ორიგინალურ კომედიად უნდა ჩაითვალოს ჩვენს დრამატულ ლიტერატურაში“ ³⁾.

ბ. ჯორჯაძის ორი დრამატული ნაწარმოები — „მკითხავი“ და „მშვენიერი ქველა“ არ დადგმულა სცენაზე. „მკითხავში“ იგი იცავს თავისუფალი სიყვარულის აზრს. ქალი შეუზღუდავი უნდა იყოს თავისი გრძნობების გამოხატვაში. მას არ უნდა ზღუდადეს წოდებრივ-ტრადიციული ცრუმორწმუნობა. სიყვარული უკეთილშობილესი გრძნობაა და მისთვის ბორკილების დადება არ შეიძლება.

„შური“ ეითარდება რომანტიკულ ხაზებში. კოლიზიები ნაწარმოებში იქმნება სიყვარულისა და სიძულვილის ერთმანეთთან შეჯახების ნიადაგზე. ამ ნაწარმოებში ნაჩვენებია „გულკეთილი“ მემამულის ვახტანგ ზარიბაძის ოჯახი და კარიბიამო. ამ ოჯახის დამამშვენებელია სოფიო, რომელიც უყვარს ახალგაზრდა თავადს ლევანს. მაგრამ მათ ბედნიერებას ხელს უშლის ზარიბაძის ოჯახში აღზრდილი უპატრონო სიღონია. ამ უკანასკნელსაც უყვარს ლევანი. ამიტომ იგი იმსჯელება შურისძიების გრძნობით სოფიოსადმი, განზრახ სასეირნოთ მიჰყავს იგი და აგდებს წყალში, რათა თავიდან მოიშოროს. თითქოს სიღონიას ბედმა გაუღიმა, ზეიმობს გამარჯვებას, მაგრამ სრულიად მოულოდნელად დახრჩობას გადარჩენილი სოფიო უბრუნდება ოჯახს. აშკარადება სიღონიას ბოროტმოქმედება.

ამ დრამაში ბ. ჯორჯაძისა ატარებს იდეას, რომ ზეცა სჯის უმადურს, ბოროტს თავისი მოქმედებისათვის.

„რას ვეძებდი და რა ვიპოვე“-ში მოცემულია ეკონომიურად დაცემული მემამულის ტიპი. თავად იულონს აღარ გააჩნია მატერიალური საფუძველი. ამავე დროს იგი ნათლად ხედავს, თუ რა დიდი ძალა მოიპოვა ფულმა. ოღონდ როგორმე ფული იშოვოს მან და ამისათვის არაფერს არ ერი-

¹⁾ „ცისკარი“, 1862 წ. № 2.

²⁾ სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ „შურის“ პირველ წარმოდგენაზე ქალების როლებს ასრულებდნენ მამაკაცები (მამაბელი და სარქისოვი).

³⁾ „დროება“, 1879 წ., № 182.

⁴⁾ „დროება“, 1879 წ., № 249.

დგმა, სირაჯს გაროზგეასაც კი უპირებს სრულიად უმიზეზოდ იქნებ' ამ უკანასკნელმა ქრთამი შემადლოსო. კეხენა, სიცრუე მისი სიღვიძი იულო-სი გრძნობს ეკონომიურ ნიადაგმორღვეულობას და გაფაციცებით დაეძებს გზებს გადარჩენისათვის. ამ გზას პოულობს მდიდარი ~~გარეგან მშენებელს~~ ქალის შერთვაში. მაგრამ დახეთ უბედურებას! მისი ახალი ~~მშენებელი~~ ქალის აცხადებს დაუმტკიცოს თავისი ქონება ქმარს. ჩვენი თავადი პირში ჩალა გამოვლებული რჩება.

პიესის სიუჟეტის ასე დამთავრება ბ. ჯორჯაძის მხრით „უტაქტობა“ იქნებოდა, რადგან თავისი გმირის ბოლომდე დამდაბლება არ უნდოდა. მას ეცოდება იულონი და აი, შოულოდნელად სოფლიდან ჩამოდის შოუ-რავეი რომელიც ატყობინებს იულონს კარგა ხნის წინათ ტყვეობაში წაყვანილი პირველი ცოლის დაბრუნებას. ამავე დროს მოდის შიკრიკი ცნობით, რომ იულონის ვაჟმა შეირთო მზითვიანი მდიდარი ქალი. პიესის ასეთი ფინალი არ წარმოადგენს მოქმედების განვითარების ბუნებრივ დასკვნას, ის უფრო გეგონებს „deux ex machina“-ს.

რა უნდოდა ამ ნაწარმოებით ეთქვა ბ. ჯორჯაძეს? ის, რომ თავდაზნაურობის დაცემა გამოწვეულია თვით მისივე უწყესო და უყაირათო ცხოვრების შედეგად. თავისი შერყეული მდგომარეობის გამოსწორების საშუალებაც თავდაზნაურობამ ისევ თავის წრეში უნდა ეძიოს, თავისი ინიციატივისა და საქმიანობის გზით. ამაშია „ნამდვილი“ ცხოვრების საფუძველი. მის გარეშე არ არსებობს ხსნა თავდაზნაურობისათვის. ქალაქი და იქაური სიმდიდრე „ყინულია“, რომელზედაც ყოველთვის ფეხი დაუცურდება ამ წოდებას.

ჩვენი აზრით, აქსენტი ცაგარელის კომედიის ცნობილი მომქმედი პირი — ხანუმა, შექმნილია ბ. ჯორჯაძის ზემოთდასახელებულ კომედიაში გამოყვანილი მაქანკალი ქალის — მაქთალას გავლენით.

ბ. ჯორჯაძისა სხვა გარემოცვაშიც ხატავს ქართველ თავდაზნაურობის წარმომადგენლებს. ესენი არიან მოხელეებად ქცეული მემამულეები, რომლებმაც დაივიწყეს თავიანთი მეურნეობა. ასეთია „მკითხავში“ ივანე. იგი იულონისა და სხვა თავადებისაგან განსხვავებით, მეტი აქტივობითა და ენერჯით ხასიათდება. მას თითქოს კიდევ შეუთვისებია ახალი ცხოვრებისათვის საჭირო მეთოდები. ივანეს შეგნებული აქვს, რომ ძველი წესით ყოფნა არ განოადგება. იგი სახელმწიფო სამსახურშია, მომრიგებელი მოსამართლეა. მისი საქმიანობა გამოიხატება მამულეების გარშემო ატეხილი დავის მოწესრიგებაში იმათ სასარგებლოდ, ვინც უფრო მეტ ქრთამს მისცემს.

ბ. ჯორჯაძისა არ თანაუგრძნობს ივანეს გზით წასულ თავდაზნაურობას. მისი წარმოდგენით, თავდაზნაურობის დაცემის ერთ-ერთ ფერმენტს წარმოადგენს მის წრეში შეჭრილი ჩინოფნიკური ფსიქოლოგია.

ბ. ჯორჯაძისა არ ერიდება თავდაზნაურული ახალგაზრდობის „გამათრახებასაც“ კი. იგი გვიხატავს „გავეროპელებულ“ ახალგაზრდობას, რომელიც „ლანცეტის“ თამაშში და „ვეჩერებში“ ატარებს დროს. ბ. ჯორჯაძის დამოკიდებულება მათდამი უარყოფითია.

თავის დრამატიულ ნაწარმოებებში ბ. ჯორჯაძე არ შემოზღუდულა მარტო თავდაზნაურობის წრის დახატვით. იგი შეეხო აგრეთვე გლეხობის მდგომარეობას ბატონყმობის დროს და მისი გაუქმების შემდეგ. ბ. ჯორ-

ჯაძის წარმოდგენით გლეხობის გაქირვება დაკავშირებულია თავად-აზნაურობის დაცემასთან. ამ უკანასკნელთა მატერიალურმა შექრულობამ გავლენა იქონია გლეხობის მდგომარეობაზედაც. აქედან — ჯორჯაძის მისწრაფებაა ერთმანეთს დაუკავშიროს, უკეთ რომ ეჩვენებოდეს: გაერ-თიანოს თავად-აზნაურობისა და გლეხობის ინტერესებს შორის. ჯორჯაძისა ყოველთვის ცდილობს გაახსენოს გლეხობას, რომ ბატონყმობის დროს თითქოს ისინი უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდნენ.

ბ. ჯორჯაძის პიესებში სხვაგვარად გამოიყურებიან ჩარჩ-ვაქრები. მწე-რალი ქალი მათდამი მტრულ, უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებს. ყველგან პირველ ადგილზე წამოწეულია მათი ეგოისტური მიზნები, სიმ-დიდრის დაგროვების წყურვილი. სხვა მიზანი მათ არ გააჩნიათ. ავეტი-ქა, ბაღდასარა და მათი მსგავსნი წურბელებივით მიეცვიან ზოლმე თავა-დის ქონებას და მანამდე სწუწნიან, სანამ მთლიანად არ გამოაცლიან სისხლს. როდესაც ბაღდასარას მიმართავენ, რომ მას უნდა „ყველას ტყა-ვი გააძროს და დაიბრიყვოს“, იგი წარბშეუხრელად უბასუხებს: „ვია, თუმანზედ ათი შაური ბევრია. ახალ სარგებელს ზედა-ზედ რომ მივეც, ათი კოდი პური უნდა მოგეცაო, ხუთი რის ჯანჯლობით დაგცინცლე, სათქმელია „გოლვა იყო, ზენა ვერა ვმენო“. გლეხბაცო ღმერთთან აღუბ-მრცემას თუ გაექცა, აბა, მე რაღას მიღგება“. ბაღდასარა საკმაოდ მოხერ-ხებულა, მას ყოველ შემთხვევისათვის მზადა აქვს შესაფერი იარაღი.

მიუხედავად იმისა, რომ ბ. ჯორჯაძის დრამატული ნაწარმოებნი თა-ვის დროზე ქართულ სცენაზე საკმაოდ ხშირად იღმებოდნენ და მაყუ-რებელთა შორის ერთგვარი პოპულარობითაც სარგებლობდნენ, ისინი მაინც საკმაოდ მოსუსტებენ სცენიურად. მათში ინტრიგის განვითარება მკრთა-ლია. საერთო კომპოზიციის სისუსტით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ამ პიესებში გვხვდება ზოგჯერ ფსიქოლოგიური დაუჯერებლობა და წი-ნააღმდეგობანი („რას ვეძებდი და რა ეპოვე“ — უკანასკნელი მოქმედე-ბის დასასრული, „მკითხავი“ მე-3 მოქმედება); დასაწყისიდანვე ვერ ახერ-ხებს ბ. ჯორჯაძისა მოქმედების თავისუფალ გაშლა-განვითარებას. ამი-ტომ არის, რომ ფაქტების შეხამება თითქმის ყოველთვის ნაძალადეგია, ინტრიგის გახსნა არ არის ორგანიულად მომზადებული მოქმედების გან-ვითარებით, მეტწილად მისი გახსნა ხდება სრულიად მოულოდნელად და დაუჯერებელი ხერხებით; ამ დრამატულ ნაწარმოებებში შესამჩნევია ხალხური ენა, რაც ჭარბად შეკჭონდა ბ. ჯორჯაძეს თავის თხზულებებში სამწერლო მოღვაწეობის მეორე პერიოდში.

მეცხრამეტე საუკუნის ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში ბარბარე ჯორჯაძისა, მართალია, თავისი შემოქმედებით არ წარმოადგენს პირველ-ხარისხოვან სამწერლო ფიგურას, მაგრამ მისი შესწავლა მაინც აუცილე-ბელია. შეუძლებელია ჩვენი საზოგადოებრივ-კულტურული ყოფის მეტად თვალსაჩინო პერიოდის — სამოციანი წლების სრულად და სავსებით გა-გება-გათვალისწინება ისე, რომ მასში სათანადო ადგილი არ დაეთმოს ბარბარე ჯორჯაძეს, როგორც ძველი თაობის თავისებურ მოღვაწეს.

ზოგიერთი საღავო საკითხი მეცნიერებაში გრიბოედოვის შემოქმედების შესახებ

გრიბოედოვის გარშემო დღემდის წარმოებულ კვლევა-ძიებაში განსაკუთრებული სიმწვავე ახასიათებდა რამდენიმე საკითხს, რომლებიც შეიძლება ოთხ ჯგუფად გავანაწილოთ.

1. საკითხების პირველი ჯგუფი შედგება გრიბოედოვის პოლიტიკური ვინაობის პრობლემებისაგან: ვინ იყო გრიბოედოვი, როგორც მოქალაქე? როგორი პოზიცია ეჭირა მას თავისი ეპოქის პოლიტიკურ ბრძოლაში? როგორი იყო გრიბოედოვის დამოკიდებულება დეკაბრისტების შეთქმულები-სადმი? იყო თუ არა გრიბოედოვი დეკაბრისტების ფარული რევოლუციუ-რი ორგანიზაციის წევრი?

2. საკითხების მეორე ჯგუფს შეადგენენ გრიბოედოვის ლიტერატურუ-ლი პიროვნების პრობლემები: ვინ იყო გრიბოედოვი როგორც მწერალი? რომელ ლიტერატურულ მიმართულებას ეკუთვნოდა იგი? რა პოზიცია ეჭირა გრიბოედოვს იმ ცხარე ლიტერატურულ ბრძოლაში, რომელიც მის დროს სწარმოებდა კლასიციზმსა და რომანტიზმს შორის?

3. საკამათო საკითხების მესამე ჯგუფად შეიძლება ჩაითვალოს საკითხები გრიბოედოვის მთავარი ნაწარმოების ლიტერატურული ისტორიის შესახებ: როგორ დაიწერა გრიბოედოვის დრამატული პიესა „ვაი ჭკუი-საგან“? როდის დაიწერა იგი? სად დაიწერა? სად იქნა ეს პიესა პირვე-ლად წარმოდგენილი სათეატრო სცენაზე?

4. მეოთხე საკამათო საკითხების ჯგუფი ეხება გრიბოედოვის გენიალუ-რი ნაწარმოების იდეურ შინაარსს: რა არის ის იდეა, რომელზედაც აშე-ნებულია გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“? ლიბერალურია ის იდეა თუ ალავოფილური? დეკაბრისტულია გრიბოედოვის მსოფლმხედველობა თუ არა?

არის კიდევ გრიბოედოვის შესახებ ბევრი სხვა საკითხი, რომელიც იწვევდა და დღესაც იწვევს დავას მეცნიერებაში. მაგრამ ამ მოკლე წე-რულში ჩვენ უნდა შევეცადოთ ვთქვათ საკითხს ვერ შევვლებით და თვით შემოჩამო-თვლილ საკითხებიდან არ განვიხილავთ საკითხების პირველ ჯგუფს. ჩვენ ჯიანბრებულს უნდათ გრიბოედოვის იდეოლოგია, მისი მსოფლ-მხედველობა. ამის გასარკვევად კი გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს— იყო გრიბოედოვი დეკაბრისტების ფარული პოლიტიკური ორგანიზაციის

წევრი, როგორც ამას ამტკიცებდა ცნობილი მკვლევარი პ. შნეგოლევი¹⁾, თუ იგი დეკაბრისტების ორგანიზაციის გარეშე იდგა, როგორც ამას ამბობდა, მაგალითად, რუსული ლიტერატურის ისტორიკოსი პიბინი²⁾. დეკაბრისტების ორგანიზაციის წევრიც რომ არ ყოფილიყო გრიბოედოვიც, მაშინვე ძალიან დეკაბრისტული მსოფლმხედველობა ჰქონოდა, ისე როგორც მსოფლმხედველი იყო, რომ გრიბოედოვი მიღებული ყოფილიყო დეკაბრისტების ორგანიზაციაში, მისი მსოფლმხედველობა კი დეკაბრისტულ იდეოლოგიისაგან განსხვავებული ყოფილიყო.

მეორე ჯგუფი სადავო საკითხებისა (მეცნიერებაში) ეხება გრიბოედოვის ლიტერატურულ მიმართულებას: ეს უკვე ლიტერატურის ისტორიის ძირითადი პრობლემაა. როგორც ცნობილია, გრიბოედოვი ლიტერატურულ სარბიელზე გამოვიდა იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო ბრძოლა მეთვრამეტე საუკუნეში გაბატონებულ ფრანგულ კლასიციზმსა და მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში რუსულ ლიტერატურაშიც შემოპრილ რომანტიზმს შორის. ძველი კლასიციზმის მომხრე მწერლები თავს იყრიდნენ აღმირალ შიშკოვია „საუბრის“ გარშემო, ხოლო ახალი რომანტიზმის მიმდევრები ირანშეხოვდნენ „არზამასის“ გარშემო, რომელიც 1815—1816 წლებში შუკოვსკის მეთაურობით დიდ როლს თამაშობდა პეტერბურგის ლიტერატურულ ცხოვრებაში. სწორედ ამ წლებში გრიბოედოვიც პეტერბურგში იმყოფებოდა და იგი უშუალო მონაწილეობას იღებდა თავისი დროის ლიტერატურულ შეხლა-შემოხლაში.

რომელ ბანაკს ემხრობოდა გრიბოედოვი — შიშკოვის „საუბრის“ თუ შუკოვსკის „არზამასის“? როგორც ცნობილია, გრიბოედოვი იყო „საუბრის“ წევრი. მისი უახლოესი ლიტერატურული მეგობრები იყვნენ შახოვსკოი და კატენინი, ორივე — კლასიციზმის მიმდევარი. ამას, ცხადია, არ შეეძლო კვალი არ დაეტოვებინა გრიბოედოვის ლიტერატურულ შეხედულებებზე და მის მხატვრულ შემოქმედებაზე. რა ხასიათის იყო ეს კვალი? სადამდე აღწევდა კლასიციზმის გავლენა გრიბოედოვის შემოქმედებაზე?

პასუხს ამ კითხვაზე იძლევა პიესა „ვაი ჰკუისაგან“. ამ პიესის შესწავლა ამჟღავნებს, რომ ფრანგული კლასიციზტური დრამატურგიის წესები იქ, გარეგნულად მაინც, მეტად თუ ნაკლებად დაცულია. მაგრამ ამავე დროს მკვლევანდება ბევრი რამ ისეთი, რაც ამტკიცებს, რომ გრიბოედოვი არ იყო კლასიციზტი — ამ სიტყვის უკუნიშნით მნიშვნელობით, და პოეზიის ძირითადი არსების გაგებაში იგი ეთანხმებოდა ფრანგული კლასიციზმის მოწინააღმდეგე რომანტიზმს. მართლაც, რომანტიკოსების მსგავსად, გრიბოედოვს პოეტური შემოქმედების მთავარ პირობად პოეტის თავისუფლება მიაჩნდა. „შე როგორც ეცხოვრობ, ისე ვწერ — თავისუფლად, სრულიად თავისუფლად“, ასეთი სიტყვებით მიმართავდა ერთხელ გრიბოედოვი თავის ნაცნობს პ. ა. კატენინს და ამით იმიჯნებოდა პოეზიის იმ კლასიციზტური გაგებისაგან, რომელსაც პოეტური შემოქმედება ხელოვნური „წესებით“ ჰქონდა შებოროტილი. „ვისაც თვლითა და წეალებით

¹⁾ П. Шеголев: „Грибоедов и декабристы“.

²⁾ А. Пшиби: „Ист. рус. литер.“, IV, 345.

შეუთვისებია თეორეტიკოსებისათვის სიამოვნების მოტანის ოსტატობა, ვისაც სასკოლო მოთხოვნათა და ბებიების მიერ გადმოცემულ მოთხოვნათა დაკმაყოფილების უნარი უფრო მეტი აქვს, ვიდრე საკუთარი შემოქმედის ძალა. მან, თუ იგი ხელოვანია... თავისი კალამი ფანჯარაში უფრო აგდოს, — ამბობდა გრიბოედოვი, და, ჩვენის აზრით, ამასვე უნდა ვთქვათ: „ფრანგული კლასიციზმის ნაკლისა და რომანტიზმის დიდი უპირატესობისა შეუძლებელი იყო: პუშკინსაც კი თავის სახელგანთქმულ პიესაში „მოციარტი და სალიერი“ არ მოუცია უფრო გამჭრიახი კრიტიკა ფრანგული კლასიციზმისა.

თუ ასეა, მაშინ რაში გამოიხატა გრიბოედოვის დამოკიდებულება კლასიციზმისაგან? მოკლედ ამ კითხვაზე ასე უნდა გაიყოს პასუხი: კლასიციზმის ერთგულ მოწაფეთაგან განსხვავებით, გრიბოედოვი კლასიციზტური დრამატურგიის კანონიკას უცქერდა, როგორც საშუალებას რეალური სინამდვილის აღსაწერად, და იქ, სადაც გრიბოედოვი ხედავდა, რომ ეს კანონები მხოლოდ აბრკოლებდნენ მას, იგი სრულიად თავისუფლად არიდებდა მათ თავს. ასე არის დაწერილი გრიბოედოვის „ეაი ჰეუსაგან“, სადაც კლასიციზტური დრამის ფორმა გამოყენებულია როგორც საშუალება უღრესად რეალური შინაარსის გამოსახატევად. ამნაირად გადაღობა გრიბოედოვმა ფრანგული კლასიციზმის დოგმატიზმი, რათა კლასიციზმის საფუძველზე შეექმნა სავსებით თავისუფალი რეალისტური სტილის დრამატიული ნაწარმოები. გრიბოედოვს შეეძლო გაემეორებინა ეან-გაკ რუსოს სიტყვები: „წესებს უნდა ემორჩილებოდე, მაგრამ უპირველესი წესი ის არის, რომ შეგეძლოს დაარღვიო ეს წესები, როდესაც საქირობა მოითხოვს.“¹⁾

მესამე ჯგუფი სადავო საკითხებისა გრიბოედოვის გარშემო ეხება მისი სახელგანთქმული პიესის ლიტერატურულ ისტორიას. ადგილის სიმცირის გამო ჩვენ აქ დაწვრილებით ვერ შევწერდებით საკითხების აქ ჯგუფზე. ვიტყვი მხოლოდ, რომ, ჩვენდა სამწუხაროდ, საკმაოდ გარკვეულად არ არის ყოველთვის აღნიშნული²⁾ ის ფაქტი, რომ „ეაი ჰეუსაგან“ დაიწერა თბილისში. ჩვეულებრივ მოჰყავთ გრიბოედოვის მეგობრის სტეფანე ბეგიჩიევის ცნობა, რომ გრიბოედოვს 1816 წელს მოსვლია აზრი დაეწერა კომედია „ეაი ჰეუსაგან“. მაგრამ არის მეორე ცნობაც, რომელიც ეკუთვნის გრიბოედოვის მეორე ნაცნობს, ფადეი ბულგარინს. ამ ცნობის მიხედვით, გრიბოედოვს მხოლოდ 1821 წელს დაებადა აზრი დაეწერა „ეაი ჰეუსაგან“. ყოველ შემთხვევაში სრულიად დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს, რომ სანამ გრიბოედოვი არ მოშორდა პეტერბურგს, მის პიესას ხორცი არ შესხმია. მხოლოდ მას შემდეგ, რაც გრიბოედოვი საქართველოში ჩამოვიდა, გაცხოველდა მისი ლიტერატურული შემოქმედე-

¹⁾ Emile, I. II.

²⁾ ასე, მაგალითად, პროფ. ნ. პიჭანოვი თავის წერილში „Литературная деят. Грибоедова“ („Горе от ума“, Гиз, 1928, стр. 174) სწერს: „თავისი კომედიის წერა გრიბოედოვმა დაიწყო აღმოსავლეთში, 1822 წელს მას უკვე გადაწერილი ჰქონდა პირველი ორი მოქმედება, რომელიც მან ჩამოიტანა მოსკოვში 1823 წლის გაზაფხულს. პიესა შავად დამოყრებული იქნა ს. მ. ბეგიჩიევის მამულში 1823 წელს და შემდეგ სწორდებოდა მოსკოვში“. როგორც ხედავთ, აქ ნახსენებია „აღმოსავლეთი“ და ბეგიჩიევის სოფელი (ტულა გუბერნიისი), თბილისი კი არ არის მოხსენებული.

ბაც და მან ისეთი სისრულე მიიღო, რომელიც გრიბოედოვის მიერ მანამდე დაწერილ ნაწარმოებებს არ ახასიათებს. ამ შემთხვევაში გავსახიამ გრიბოედოვის მხატვრულ შემოქმედებაში ითამაშა ისეთივე როლი, როგორც პუშკინისა და ლერმონტოვის შემოქმედებაში. პოეტმა კუხელბეკერი გადმოგვცემს¹⁾, რომ ის იყო იმის მოწმე, თუ როგორ მსწავლეს გრიბოედოვი თბილისში თავის გენიალურ პიესას, და ჩვენიც, ცხადია, არავითარი საფუძველი არ გვაქვს ეჭვი შევიტანოთ კუხელბეკერის ამ განცხადებაში, რომელსაც ადასტურებს ბულგარინის მიერ მოწოდებული ცნობაც (ბულგარინი ამბობს, რომ გრიბოედოვი „ვაი ჭკუისაგან“ დაასრულა 1822 წელს, ე. ი. მაშინ, როდესაც იგი თბილისში იმყოფებოდა).

მართალია, ზოგს შეიძლება გაუკვირდეს, რომ „ვაი ჭკუისაგან“, სადაც მოცემულია ასეთი ცოცხალი სურათი შუაგულ რუსეთის ყოფა-ცხოვრებისა, დაიწერა არა პეტერბურგში, არამედ საქართველოში. მაგრამ გავიხსენოთ ანალოგიური შემთხვევები რუსული ლიტერატურის ისტორიიდან, და ჩვენი გაკვირვებაც შემცირდება. გოგოლის „მკვდარი სულები“ გაძლევენ პროვინციალური რუსეთის უაღრესად რეალისტურ სურათს, მაგრამ გოგოლმა ეს რომანი დასწერა უცხოეთში. საზღვარგარეთ სწერდა ტურგენევი თავის რომანებს: „წინაღობა“, „მამები და შვილები“, „ბოლი“ და სხვ. საზღვარგარეთ და რუსეთიდან მოშორებით დასწერა აგრეთვე დოსტოიესკიმ რომანი „იდიოტი“. შეიძლება ამ მაგალითების გაგრძელება, მაგრამ მოყვანილი მაგალითებიც საკმაოდ ამტკიცებენ, რომ გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“ არ არის ამ მხრივ უნიკალური მოვლენა. ზოგი ავტორი კი იმასაც ფიქრობს, რომ საქართველოში ყოფნამ გაუადვილა გრიბოედოვს რუსული ცხოვრების კანონების უფრო ღრმა გაგება. მართლაც, შესაძლებელია, რომ ამ შემთხვევაში გამართლდა ცნობილი აფორიზმი: თუ გინდა უკეთესად შეიცნო შენი ქვეყანა, იმოგზაურე უცხო ქვეყნებშიო. ის, რასაც ახლოდ აკარგად ვერ ვამჩნევთ, შეიძლება შორიდან უფრო შესამჩნევი გახდეს. ყოველ შემთხვევაში, გრიბოედოვი რომ არ მოშორებოდა პეტერბურგს და არ გაეწყვიტა კავშირი იქაური ბრწყინვალე ბოძონდის აღრზაურით სავსე ცხოვრებასთან, საეჭვოა, შესძლებდა თუ არა იგი თავისი გენიალური პიესის დაწერას. ამიტომ ვასაგებია ის გარემოება, რომ პუშკინი, რომელიც პირადად იცნობდა გრიბოედოვს, საბედნიერო მოვლენად სთვლის იმ ფაქტს, რომ გრიბოედოვს ეყო ნებისყოფის ძალა, რათა მოშორებოდა პეტერბურგელ თავის მეგობრებს და გამოემგზავრებულყო საქართველოში. „გრიბოედოვის ცხოვრება დაბნელებული იყო რამდენიმე ღრუბლით, რაც მგზნებარე ვენებათა და მძლავრ გარემოებათა შედეგად უნდა ჩაითვალოს. მან იგრძნო, რომ საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ გაასწოროს ანგარიში თავის ახალგაზრდობასთან და გარკვეულად შეაბრუნოს თავისი ცხოვრება. იგი გამოემშვიდობა პეტერბურგს და უქმს ფუქსაეატობას და გაემგზავრა საქართველოში, სადაც რვა წელი გაატარა განმარტობულს, განუწყვეტელ შრომებში“, — ასე წერს პუშკინი თავის თხზულებაში „გამგზავრება არზრუმში“.

როგორც ხედავთ, პუშკინს გრიბოედოვის გამოემგზავრება საქართველო-საკენ საბედნიერო საქმედ მიაჩნდა. სხვანიირად აქვს წარმოდგენილი იგი-

¹⁾ „Русская Старина“, 1875, № 8.

ვე ფაქტი პროფ. პიქსანოვს, როდესაც იგი სწერს: „უკან ჩებოდნენ ახლობელი მეგობრები, კარგად დაწყებული ლიტერატურული მოღვაწეობა, საყვარელი თეატრი, საზოგადოებრივი ინტერესები, მთელი კულტურული გარემო. და პოეტის სულში ჩნდებოდნენ ბუნდოვანი მსჯელობა და დაღერებელი წინათგანობა, რომელიც, საუბედურობის შემთხვევაში“¹⁾ პიქსანოვის ამ სიტყვების მიხედვით კაცი იფიქრებს, რომ საქართველოში გამომგზავრება დიდი უბედურება ყოფილა გრიბოედოვისათვის. ვფიქრობ, რომ პროფ. პიქსანოვი აქ ეწინააღმდეგება პუშკინს, რომელიც ჩვენზე უკეთესად იცნობდა გრიბოედოვს. ჩვენ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ საქართველოში გრიბოედოვი მოხვდა ადამიანთა ისეთ წრეში, რომელმაც ხელი შეუწყო მისი პოეტური ნიჭის გაფურჩქვნას.

საკმაოდ გამოუყველველ საკითხად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე საკითხი მისი შესახებ, თუ სად ნახა გრიბოედოვმა თავისი პიესა სცენაზე?

ალექსი ვესელოვსკი სწერდა²⁾, რომ თავისი პიესა გრიბოედოვმა ნახა პირველად 1827 წელს ერევანშიო. მაგრამ მისი ცნობა დასაბუთებას მოითხოვს, და საკითხი, თუ სად ნახა გრიბოედოვმა პირველად თავისი პიესა სცენაზე, დღესაც ღია საკითხია მეცნიერებაში.

უკანასკნელი ჯგუფი სადავო საკითხებისა, რომელიც აქ უნდა იქნას განხილული, ეხება გრიბოედოვის პიესის იდეურ შინაარსს, რომელიც დიდი ხანია საკამათო საგნად არის გადაქცეული სალიტერატურო მეცნიერებაში და მის გარეშეც. რამდენი ავტორიც არ შეხებია ამ საკითხს, თითქმის იმდენი სხვადასხვა აზრი გამოთქმულა გრიბოედოვის პიესის ძირითადი იდეის შესახებ. ხოლო რამდენადაც ყოველი კარგად დაწერილი პიესის მომჭმედ პირების სახეები მისი ძირითადი იდეის ფუნქციას წარმოადგენენ, იცვლებოდა გრიბოედოვის პიესის გმირთა სახეების გაგებაც (უპირველეს ყოვლისა — ჩაიცის შეფასება). დავასახელოთ აქ საყოველთაოდ ცნობილი კრიტიკოსები და მწერლები, რომლებსაც თავიანთი მოსაზრებები გამოუთქვამთ გრიბოედოვის დრამატული პიესის იდეური შინაარსის შესახებ. ესენი არიან პუშკინი, პოლეევი, ბელინსკი, ივანე კირეევსკი, გონჩაროვი, სალტიკოვი, ლევ ტოლსტოი, დოსტოევსკი. ამათ შეიძლება დაემატოს ლიტერატურის ისტორიკოსთა ცნობილი სახელებიც: პიპინის, სოლოვიოვის, თესიანიკო-კულიკოვსკის, სიპოვსკის, საკულინის. ამ ბოლო დროს გრიბოედოვის პიესის იდეურ შინაარსზე და საზოგადოდ გრიბოედოვის იდეურ მიმართულებაზე სწერდა, სხვათა შორის, პროფ. პიქსანოვიც.

თავის ძირითად შინაარსში დავა აქ შეიძლება წარმოდგენილ იქნას ორი დებულების ურთიერთი დაპირისპირებით. ერთი ნაწილი ავტორებისა ახლოვებს გრიბოედოვს სლავოფილებთან და ამტკიცებს, რომ „ვაი ჰკუისაგან“ სლავოფილურ იდეოლოგიაზე არის აშენებული. მეორე ნაწილი ავტორებისა ეწინააღმდეგება ამ შეხედულებას და ამტკიცებს, რომ გრიბოედოვი იყო მედასავლეთე ლიბერალი, ხოლო მისი დრამატული პიესა „ვაი ჰკუისაგან“ ლიბერალურ იდეაზე არის აგებული.

ჩვენ დაწერილებით გამოვიკვლიეთ გრიბოედოვის პიესის იდეური ში-

¹⁾ Н. Пиксанов: „А. С. Грибоедов. Биографический очерк“.

²⁾ Русский архив, 1874, кн. 6.

ნაარსი რუსულად დაწერილ ჩვენს ორ ნაშრომში: „О философии Грибоедова“ და „К вопросу об изучении Грибоедова“¹⁾ ამ გამოკვლევის საფუძველზე ჩვენ იმ დასკვნამდე მივდით, რომ გრიბოედოვა არ ყოფილა არც სლავოფილი და არც მედასავლეთე უნივერსალი და მას არც შეეძლო ასეთი ვინმე ყოფილიყო ფილოსოფიურად (რუსულად) მარაგის მიხედვით, რომელიც *implicite* მოცემულია გრიბოედოვის მთავარ ნაწარმოებში. როგორც სლავოფილობა, ისე მედასავლეთეთა ლიბერალიზმი იყო გრიბოედოვის ეპოქაზე უფრო გვიანი მოვლენა რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნებისა და ფილოსოფიის განვითარების ისტორიაში. თრევე ეს მიმდინარეობა აღმოცენდა რუსეთში პეტრე ჩაადაევის „ფილოსოფიური წერილის“ შემდეგ. ჩაადაევის ფილოსოფიური კონცეპცია კი ემყარებოდა ერთი მხრივ დასავლეთ ევროპის კათოლიკური რეაქციის იდეოლოგიებს (ფოზე დე მესტრი, შატობრიანი, ბონალდი და სხვ.), ხოლო მეორეს მხრივ — გერმანული რომანტიზმის ფილოსოფოსს შელინგს. რაც შეეხება გრიბოედოვს, მთელი მისი მსოფლმხედველობა მომწიფდა გერმანული იდეალისტური ფილოსოფიის ყოველგვარი გავლენის გარეშე. ჯერ ერთი, გრიბოედოვი, როგორც ეს საკმაოდ კარგად ცნობილია მისი ბიოგრაფიიდან, არ იყო გერმანელობის ენტუზიასტი. „გერმანული იყო, ეს მას ნიშნავს, რომ ძალიან ბრყვეულ როლს თამაშობდა ამ ქვეყნად“, ამბობდა იგი. მაგრამ ამაზე უფრო მნიშვნელოვანი გარემოება არის ის, რომ გერმანული იდეალიზმი თითქმის უცნობი იყო რუსული საზოგადოების ფართო წრეებში, როდესაც გრიბოედოვის „ვია ქეუისაგან“ ხელნაწერის სახით უკვე ძალიან ენერგიულად ვრცელდებოდა რუსეთში.

რათა დაგვეტკიცებინა გრიბოედოვის პიესის იდეური დამოუკიდებლობა გერმანული იდეალიზმისაგან, ჩვენ მოვახდინეთ ამ პიესის ფილოსოფიური ანალიზი, რაც მანამდე არავის გაუკეთებია²⁾. ანალიზმა ასეთი შედეგი მოგვცა: გრიბოედოვის პიესაში, რომელიც ატარებს ფილოსოფიურად ფრიად საგულისხმიერო სათაურს „ვია ქეუისაგან“, ქეუა წარმოდგენილია როგორც ანალიტიკური ფუნქციის მქონე ძალა. ამ კონცეპციით, ქეუის მთელს მოქმედებას შეადგენს მოცემული შინაარსის ანალიზი ან დაშლა: ქეუა შლის ან აანალიზებს იმას, რაც მას მოცემული აქვს, როგორც მთელი რამ. ვინც ფილოსოფიური აზროვნების ისტორიას იცნობს, მან იცის, რომ ასეთი გავება ქეუისა აკავშირებს გრიბოედოვს XVII—XVIII საუკუნის რაციონალისტურ ფილოსოფიურ აზროვნებასთან (დეკარტი, სპინოზა, ლეიბნიცი — ერთი მხრივ; ვოლტერი, პეღეციუსი, რუსო — მეორეს მხრივ) და ამორებს გერმანულ იდეალიზმისაგან (კანტი, ფიხტე, შელინგი, ჰეგელი).

¹⁾ „О философии Грибоедова“ დაიბეჭდა პირველად 1930 წელს, ხოლო „К вопросу об изучении Грибоедова“ დაიბეჭდა „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში“, 1936 წელს, წიგნი V.

²⁾ Сто двадцать лет изучается творчество Грибоедова, как русскими, так и польскими, немецкими, французскими и английскими учеными, но как-то всегда упускалось из виду, что его знаменитое произведение „Горе от ума“, составляющее гордость не одной лишь русской литературы, базируется на обширном философском фундаменте“, — ასე ეწერათ ჩვენ სტატიაში „К вопросу об изучении Грибоедова“. (იხ. „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები“, 1936 წ. V, გვ. 233).

ამ ფილოსოფიური კონცეპციის აღმოჩენამ გრიბოედოვის პიესაში მოგვცა ჩვენ საშუალება გვეთქვა, რომ თავისი ფილოსოფიური მანარისის სიღრმის მიხედვით „ვია ჰეკუსიანა“ წარმოადგენს მსოფლიო ლიტერატურის უუდიდეს მოვლენას, სადაც აღიბეჭდა საკაცობრიო-სოციალური ისტორიული განვითარების უმნიშვნელოვანესი ეტაპი¹⁾. ამით ჩვენ გავუმჯობესეთ იმ ავტორებს, რომლებიც გრიბოედოვის პიესაში ხედავენ მხოლოდ „საყოფაცხოვრებო სურათს“, თვითონ გრიბოედოვს კი უცქერიან როგორც ისეთ პიროვნებას, რომელიც სრულიად მოკლებული იყო „ფილოსოფიურ ნიჭს“²⁾. ასეთი შეხედულება გრიბოედოვზე ჩვენ ჩავთვალეთ მეტის-მეტად ვიწრო შეხედულებად, რომელსაც ეწინააღმდეგება უკვე ის, რასაც გრიბოედოვის შესახებ გადმოგვცემენ პუშკინი და სხვა მისი თანამედროვეები.

გრიბოედოვის „ვია ჰეკუსიანა“, რა თქმა უნდა, იძლევა თავისი ეპოქის რუსული საზოგადოების საყოფაცხოვრებო სურათს. მაგრამ ამ პიესაში მეტია მოცემული, ვიდრე უბრალო საყოფაცხოვრებო სურათი, ხოლო თვითონ გრიბოედოვი მეტი იყო, ვიდრე ყოფაცხოვრების აღმწერი. არ უნდა იქნას მხედველობიდან გაშვებული, რომ გრიბოედოვის პიესა უწინარეს ყოვლისა იყო მძაფრი სატირა, რომელიც ამათრახებდა თავისი დროის საზოგადოებას, თვითონ გრიბოედოვი კი, მეთვრამეტე საუკუნის დიდი დრამატურგების მსგავსად, გრძნობდა თავის თავს მორალისტად, რომელიც მოწოდებულია *mores castigare*. მიუღ მის ლიტერატურულ მოღვაწეობას სარჩულად ედგა ფართო ფილოსოფიური მსოფლმხედველობა, რომელიც მუშავდებოდა ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში. გრიბოედოვმა გაიარა მოსკოვის უნივერსიტეტში ფილოსოფიური სკოლა და შემდეგშია მას არ შეუწყვეტია ფილოსოფიის შესწავლა. თავისთავად ცხადია, რომ შეუძლებელი იყო გრიბოედოვის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა არ აღბეჭდილიყო მის გენიალურ მხატვრულ ნაწარმოებში, და მკვლევართა მოვალეობას შეადგენს ამ ფილოსოფიის გამოვლინება და არა მიჩქმალვა.

ჩვენ აქ კმაყოფილებით უნდა აღვნიშნოთ, რომ საკითხი გრიბოედოვის ფილოსოფიის შესახებ დღეს სხვანაირად არის შეფასებული, ვიდრე ეს იყო უწინ. ისეთი დიდი და გავლენიანი პერიოდული გამოცემა, როგორც არის სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის ორგანო „ლიტერატურნაია გაზეთა“, გრიბოედოვისადმი მიძღვნილ საიუბილეო ნომერში საცესებით გარკვეულად ლაპარაკობს დღეს გრიბოედოვის ფილოსოფიის შესახებ. ამ გაზეთში მოთავსებულია ლენინგრადის უნივერსიტეტის პროფესორის ვლ. ორლოვის წერილი: „ცენტრალური თემა“, სადაც ასეთ სტრიქონებს ვკითხულობთ: „გრიბოედოვის კომედიაში არის ფილოსოფიური ცენტრი, და ეს ცენტრია სწო-

¹⁾ „О философии Грибоедова“, Тбилиси, 1940, стр. 71.

²⁾ Н. Пиксанов: „Творческая история „Горя от ума“, 294. პროფ. პიქსანოვის ხასხასულად უნდა ითქვას, რომ ამჟამად იგი არ იმეორებს თავის ძველ დებულებას და მზად არის აღიაროს გრიბოედოვის პიესაში „ფსიქოლოგიური“ შინაარსი (იხ. მისი წერილი ვაზ. „პრავედაში“, 1945, 14 იანვ.). ოღონდ იმას, რასაც პიქსანოვი „ფსიქოლოგიის“ ეპაზის, უფრო სწორად ეწოდება ფილოსოფია და არა ფსიქოლოგია.

რედ ჰკუის პრობლემა, რომელსაც გრიბოედოვი აყენებს და სწავტეს განმანათლებელთა კონცეპციის თანახმად.¹⁾

ზევით ჩვენ განზე დაეტოვეთ საკითხი, — იყო თუ არა გრიბოედოვი დეკაბრისტების ფარული პოლიტიკური ორგანიზაციის წევრი? მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ამნაირადვე მოვეკიდოთ საკითხს, თუ როგორ იყო გრიბოედოვის დამოკიდებულება დეკაბრისტულ იდეოლოგიისადმი. აქაც უნდა ითქვას, დიდი დავა სწარმოებს მეცნიერებაში. ზოგი მკვლევარი ამტკიცებს, რომ გრიბოედოვის იდეოლოგია სავსებით ემთხვეოდა დეკაბრისტების მსოფლმხედველობას, ზოგი კი ამას უარყოფს. ჩვენის აზრით, არც პირველი შეხედულება არის სავსებით სწორი და არც მეორე, ვინაიდან გრიბოედოვის მსოფლმხედველობას ბევრი რამ საერთო ჰქონდა დეკაბრისტულ იდეოლოგიასთან, მაგრამ იგი თავისუფალი იყო იმ შეცდომებისაგან, რომლებიც დეკაბრისტულ იდეოლოგიის სპეციფიკას შეადგენდნენ.

ერთი რამ ცხადია: გრიბოედოვი ეკუთვნოდა რუსეთის მოწინავე ინტელიგენციის იმავე თაობას, რომელსაც ეკუთვნოდა დეკაბრისტების უმრავლესობა. მისი ახლობელი მეგობრები იყვნენ ისეთი ცნობილი დეკაბრისტები, როგორც კონდრატი რილეევი, ვილჰელმ კუხელბეკერი, ალექსანდრე ბესტუჟევი და ალექსანდრე ოდოევსკი. განსაკუთრებით უყვარდა გრიბოედოვს პოეტი-დეკაბრისტი ალექსანდრე ოდოევსკი, რომლის ხსენებას შემდეგ ლერმონტოვმა მშვენიერი ლექსი უძღვნა. თუ გავითვალისწინებთ ამ ფაქტებს, ცხადია, იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ გრიბოედოვს არ შეეძლო არა ჰქონოდა თავისი დროის მოწინავე თაობის ზოგადი ნიშნები.

მთავარი ნიშანი, რომელიც გრიბოედოვს ამსგავსებდა ზემოთდასახელებულ გამოჩენილ დეკაბრისტებს, პატრიოტიზმი იყო. ებოქა, რომელშიაც გრიბოედოვს მოუხდა ცხოვრება, იყო მღელვარებით სავსე ებოქა რუსეთის ისტორიისა. 1812 წლის სამამულო ომი, რომელიც გათავდა ნაპოლეონის მარცხით ჭა მისი მრავალრიცხოვანი არმიის განდევნით რუსეთის საზღვრებიდან, დიდი საზოგადოებრივი მოძრაობის სათავედ იქცა რუსეთში. ამ დროს გაძლიერდა და განვითარდა რუსეთის განათლებულ საზოგადოებაში ის დიდი შეგნება, რომელსაც ეროვნული თვითშეგნება ან პატრიოტული შეგნება უნდა ეწოდოს. აი ამ პატრიოტული შეგნების ერთერთი მანიფესტაცია იყო სწორედ 14 დეკემბრის რევოლუციური გამოსვლა პეტერბურგში, სენატის მოედანზე. საფრანგეთის დიდი რევოლუციის მოღვაწეთა მსგავსად, 14 დეკემბრის აჯანყების მონაწილენი თავიანთ თავს „პატრიოტებს“ უწოდებდნენ და ოცნებობდნენ სამშობლო ქვეყნის დიდ პოლიტიკურ მომავალზე. რილეევი, პესტელი, ვლ. რაევსკი და სხვა დეკაბრისტები მუდამ სამშობლოზე ლაპარაკობდნენ და ყოველ თავის საზოგადოებრივ გამოსვლას სამშობლოს სიყვარულით ასაბუთებდნენ. იმავე დროს დიდი პატრიოტი იყო გრიბოედოვიც. მას დრამად უყვარდა თავისი ხალხი, დიდ პატივს სცემდა იგი ამ ხალხის ენას, ზნე-ჩვეულებას, ხასიათის თვისებებს და თავისი დროის განათლებულ საზოგადოებას

1) „Литературная газета“, 1945 г., სტატია „Центральная тема“.

იმას უწუნებდა, რომ ამ საზოგადოებას გაწყვეტილი ჰქონდა კავშირი თავის მშობელ ხალხთან, არაფრად მიაჩნდა თავისი დედენა, დისციონა და ხალხის ზნე-ჩვეულებას და რწმენას. ყველაფერი ეს მშვენივრად შელავნდება გრიბოედოვის პიესაში „ვია ჰეკუსაგან“. საბჭოთა მთელს რუსულ ლიტერატურაში მოიპოვებოდეს გრიბოედოვის ამ პიესასზე უფრო პატრიოტული ქმნილება. თავისი პატრიოტიზმით ამაყ ნესტორ კუკოლნიკის ასეთი მყვირალა პიესა, როგორცაა, მაგალითად, „განგების ხელმა სამშობლო იხსნა“, შორითაც კი ვერ შეედრება გრიბოედოვის უკვდავ ნაწარმოებს.

მაგრამ ამის თქმა არ კმარა: საქმროთა მეტი ითქვას გრიბოედოვის პატრიოტიზმის შესახებ.

როდესაც აღარებთ ზემოთდასახელებული დეკაბრისტების პატრიოტიზმს გრიბოედოვის პატრიოტიზმთან, არ შეგიძლიათ გრიბოედოვის არ მისცეთ უპირატესობა და არ აღიაროთ, რომ მის პატრიოტიზმს უფრო საღი ბუნება ჰქონდა. გრიბოედოვის პატრიოტიზმი თავისუფალი იყო დეკაბრისტული პატრიოტიზმის სპეციფიკურ ნაკლოვან, ვინაიდან სხვადასხვანაირად ესმოდათ სიტყვა „სამშობლო“ (отечество) გრიბოედოვს და ზემოთდასახელებულ დეკაბრისტებს. როდესაც, მაგალითად, რილეევი ერთს თავის ლექსში („მედროვეს“) ასე ემუქრებოდა ალექსანდრე მეფის მარჯვენა ხელს, ცნობილ მტარვალს არაჩიევეს:

„Родиться может он,
Иль Кассий, иль Брут, иль враг царей Катон,
О, как на лире я потщусь того прославить,
Отечество мое кто от тебя избавит“.

— მის აპერცეფციაში სამშობლო ისახებოდა რაღაც მწიგნობრულად, განყენებულად. რილეევის „სამშობლო“ იყო წიგნებიდან ნასესხებ ფერადებით შეფერილი. ეს სამშობლო მას წარმოდგენილი ჰქონდა კლასიკური რომის სახით, ხოლო თვითმპყრობელი მეფის მოწინააღმდეგე დეკაბრისტები იღებდნენ რილეევის ოცნებაში რომაელ გმირთა (კასიუსის, ბრუტუსის, კატონის) თვისებებს. არ იქნებოდა ამიტომ დიდი შეცდომა, თუ ვიტყვოდით, რომ დეკაბრისტების პატრიოტიზმს თავისებური იერი გადაჰკარავდა. ეს იყო უმაღლესი მწიგნობრული, გონებისუფალი, ინტელექტუალური პატრიოტიზმი, რომელიც ოცნებათა მორევეში დაცურავდა, მრმავალ რუსეთში ეძებდა აღორძინებული კლასიკური რომის, სახეს და მხედველობიდან უშვებდა იმ კვმპარიტებას, რომ ისტორია არ შეორდება და, რაც ერთხელ იყო, ის მეორედ არ იქნება. რა თქმა უნდა, დეკაბრისტები უაღრესად სპეტაკი აღამიანები იყვნენ, მაგრამ რეალურ რუსეთს ისინი არ იცნობდნენ, რუს ხალხს არ გრძნობდნენ, მათ ეროვნული ინტუიციის ძალა აკლდათ. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა ვლადიმერ ლენინს გათვალისწინებული, როდესაც სწერდა დეკაბრისტების შესახებ, რომ ისინი „საშინლად შორს იდგნენ ხალხისაგანო“¹⁾.

დეკაბრისტული პატრიოტიზმის ამ ნაკლისაგან გრიბოედოვი თავისუფალია. მისი პატრიოტიზმი იყო უფრო სადა, უფრო უშუალო და, თუ გნებავთ, უფრო ძლიერი. მისთვის სამშობლო იყო არა ოცნებისებური, არამედ რეალური რუსეთი. ამ რეალური რუსეთის დვიძლ შვილად გრძნობდა სწორედ თავის თავს გრიბოედოვი, და მისი პატრიოტიზმიც

¹⁾ ვლ. ლენინი: „გერცენის ხაონას“.

უახლოვდებოდა იმ პატრიოტიზმს, რომელიც ასე მშვენივრად აღწერა შემდეგ ლერმონტოვმა თავის ლექსში „სამშობლო“. ნამდვილი სახელი ასეთი პატრიოტიზმისა იქნებოდა „ხალხისადმი სიყვარული“. გრიბოედოვის პატრიოტიზმიც რუსი ხალხისადმი სიყვარულის ამ უმჯობესეს ტყუილად წარმოადგენდა. იგი იყო არა წიგნიბიდან გადმოღებული, არა ლაღისებური ინტელექტუალური ფიქცია, არამედ სავსებით რეალური, სავსებით ცოცხალი და ხორცშესხმული ინტუიცია. ასეთი პატრიოტიზმი იგივეა, რაც ხალხოსნობა, და გრიბოედოვიც იყო რუსული ხალხოსნობის ერთერთი წინამორბედი, რომელიც გზას უკაფავდა ლიტერატურაში ნეკრასოვის პოეზიას და სალტიკოვის სატირას.

ზოგიერთი მკვლევარი ხედავს გრიბოედოვის მსოფლმხედველობის მსგავსებას დეკაბრისტულ იდეოლოგიასთან, გარდა მისი პატრიოტიზმისა, მისი ისტორიზმისა. მართლაც, დეკაბრისტები ხშირად მიმართავდნენ რუსეთის წარსულს, იგონებდნენ კიევის პირველ მთავრებს (რიურისს, ოლეგს, სვიატოსლავს), ოცნებობდნენ დიდი ნოვგოროდის თავისუფლებაზე. მაგრამ, კარგად რომ დავაკვირდეთ საქმეს, დავინახავთ, რომ ჭეშმარიტი ისტორიული ინტერესი დეკაბრისტებისათვის უცხო იყო — იმისე, როგორც უცხო იყო ეს ინტერესი დეკაბრისტების მასწავლებელ ფრანგ რევოლუციონერებისათვის. რუსეთის წარსული დეკაბრისტებს აინტერესებდა არა თავის თავად; არამედ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც შეიძლებოდა მის შესახებ მოგონებათა გამოყენება რევოლუციონური აგიტაციის მიზნებისათვის. საკმარისია ამის დასამტკიცებლად გავიხსენოთ რილეევის „ფიქრები“, რომელსაც პუშკინმა დაუწუნა ისტორიულ ფაქტებისადმი გულგრილობა.

სხვაგვარი იყო გრიბოედოვის დამოკიდებულება რუსეთის ისტორიისადმი. გრიბოედოვი აქ პუშკინთან უფრო ახლო იდგა, ვიდრე რილეეთან. პუშკინის მსგავსად, გრიბოედოვისაც ახასიათებდა უშუალო სიყვარული თავისი ხალხის ისტორიული წარსულის მიმართ. იგი გულმოდგინედ ეცნობოდა ძველი რუსეთის ისტორიის პირველ წყაროებს, უყვარდა დიდ კიევეზე მოგონებები და კრიტიკულად სინჯავდა პეტრე პირველის ეპოქას, რომელმაც, მისი აზრით, რუსეთის თავადაზნაურული ინტელიგენცია დააშორა ხალხის მასას და გადაგვარების გზაზე დააყენა. როგორც ვხედავთ, გრიბოედოვის ისტორიზმი უფრო სერიოზულ ხასიათს ატარებდა, ვიდრე დეკაბრისტების ისტორიზმი, და მას დეკაბრისტებისათვის უცნობი ინტერესები ასაზრდოებდნენ. თუ დეკაბრისტების შესახებ ლენინმა სთქვა, რომ ისინი საშინლად დაშორებული იყვნენ ხალხს, გრიბოედოვის შესახებ უნდა ითქვას, რომ მისი თაობის არც ერთი მწერალი არ იყო მასზე უფრო მეტად დაახლოებული რუს ხალხთან და რუსეთის სინამდვილესთან.

ალექსანდრე მუთელია

დ. ფეიერბახის მატერიალისტური ფილოსოფია და მისი „ძირითადი მარცხი“*

რელიგია, რომელიც ფეიერბახის ფილოსოფიაში მთელს იდეოლოგიას ფარავს, ფეიერბახმა მიწიერ საფუძველზე დაიყვანა. რელიგიის საიდუმლოებას ფეიერბახი რეალურ სამყაროში ეძებს. რელიგია, მისი აზრით, ადამიანისა და ბუნების არსების ფანტასტიკური ანარეკლია. რელიგია სარკეა ადამიანისა და ბუნების მიმართ. მიწიერ საფუძველზე რელიგიის დაყვანის ეს იდეა, რეალური სამყაროს ანარეკლად რელიგიური იდეოლოგიის გამოცხადება ფეიერბახის მატერიალისტური ფილოსოფიის უდიდესი მონაპოვარი იყო. ამაში გამოიხატება ის ნაბიჯი წინ, რომელიც მან გადასდგა მატერიალიზმის, კერძოდ კი ათეიზმის ისტორიაში, შედარებით XVIII საუკუნის ფრანგულ კლასიკურ მატერიალიზმთან. ეს იდეა შეადგენს სწორედ, ჩვენი შეხედულებით, ფეიერბახის მატერიალისტური ფილოსოფიის „ძირითად მარცხს“, რომელიც მარქსმა და ენგელსმა აიღეს და შემდგომ განავითარეს.

გამოვდივართ რა აქედან, ჩვენ ვფიქრობთ, რომ პასუხი, რომელსაც ჩვენს ლიტერატურაში იძლევიან კითხვაზე, თუ რაში მდგომარეობს ფეიერბახის მატერიალისტური ფილოსოფიის „ძირითადი მარცხი“, არ არის ამომწურავი და ზუსტი. ჩვეულებრივად ამ კითხვაზე, რომელსაც განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობა აქვს მარქსიზმის წარმომომბის სწორი გაგებისათვის, ასეთ პასუხს იძლევიან: „ფეიერბახის მატერიალისტური ფილოსოფიის „ძირითადი მარცხი“ ფილოსოფიის ძირითადი საკითხის — ყოფიერებისადმი აზროვნების, მატერიალადმი ცნობიერების დამოკიდებულების საკითხის — მატერიალისტურ გადაჭრაში მდგომარეობს“. ასეთი პასუხი თავის-თავად, რასაკვირველია, სწორია, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი მეტად ზოგადია და ასეთი საბით არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ კონკრეტულად წარმოვიდგინოთ სპეციფიკური დამსახურება ფეიერბახის ფილოსოფიისა, რომელიც განსხვავდება სხვა მა-

ტერიალისტურ მოძღვრებათაგან. ფეიერბახამდეც მატერიალისტები, რა თქმა უნდა, მატერიალისტურად სწვევდნენ ყოველი ფილოსოფიის ძირითად საკითხს — ყოფიერებისადმი აზროვნების დამოკიდებულების საკითხს. ამხანაგი სტალინი, მიგვითითებს რა ფეიერბახის — ფილოსოფიის „ძირითად მარცვალზე“, ამბობს, რომ იგი მარქსმა და ენგელსმა ფეიერბახის მატერიალისტური ფილოსოფიიდან აიღეს და შემდგომ თანმიმდევრულად განავითარესო. მაშასადამე, ლაპარაკი შეიძლება იყოს არა ფეიერბახის მიერ ყოველი ფილოსოფიის ძირითადი საკითხის საერთოდ მატერიალისტურ გადაჭრაზე, — ასეთი გადაჭრის გარეშე იგი სრულიად არ იქნებოდა საზოგადოდ მატერიალისტი, — არამედ იმ სპეციფიკურ პრინციპზე, რომელიც დამუშავა ფეიერბახმა ფილოსოფიის ძირითადი საკითხის, ყოფიერებისადმი აზროვნების დამოკიდებულების საკითხის მატერიალისტური გადაჭრის საფუძველზე. ფეიერბახის მატერიალისტური ფილოსოფიის ასეთი სპეციფიკური პრინციპი, როგორც ზემოთ ითქვა, ჩვენის აზრით, იყო რელიგიის დაყვანა მიწიერ საფუძველზე, მისი გამოცხადება რეალური სინამდვილის — ბუნებისა და ადამიანის ფანტასტიკურ ანარეკლად.

მარქსმა აითვისა ფეიერბახის ეს ზოგადი იდეა — იდეა რელიგიური იდეოლოგიის და მასთან ერთად საერთოდ ყოველი იდეოლოგიის მიწიერ, რეალურ საფუძველზე დაყვანისა. ამ აზრით უწოდებდა იგი ფეიერბახს თავის დროზე — „ჩვენი დროის სალხინებელს“, ერთადერთ გზას თავისუფლებისაკენ. „თქვენ კი, სპეკულაციური ღეთისმეტყველებო და ფილოსოფოსებო, — სწერდა მარქსი 1843 წელს, — მე ვირჩევთ: განათავისუფლდით ძველი სპეკულაციური ფილოსოფიის ცნებებისაგან და ცრურწმენათაგან, თუ გსურთ მიაღწიოთ ნივთებს, რაგვარადაც ისინი სინამდვილეში არსებობენ, ე. ი. ჰეგელიზმისაგან. და თქვენთვის არ არსებობს სხვა გზა ჰეგელიზმისა და თავისუფლებისაკენ, გარდა ფეიერბახის ამ „ცეცხლოვანი ნაქაღის“ (Feurbach) მეშვეობით მოცემული გზისა, — ფეიერბახისა, რომელიც ჩვენი დროის სალხინებელს წარმოადგენს.“¹⁾

აითვისა რა ფეიერბახის ეს ზოგადი იდეა, მარქსმა თანმიმდევრულად განავითარა იგი და დასძლია მისი შეზღუდულობანი. ის, რაც ფეიერბახს საჭმის დასასრულად ეჩვენებოდა, მარქსისთვის მხოლოდ დასაწყისი გახდა, რის შემდეგაც „განსაკუთრებული რჩებოდა ყველაზე მთავარი“. ფეიერბახი ფიქრობდა, რომ რაკი მან მოახერხა რელიგიის კაიდუმლოების დაყვანა ადამიანამდე და ადამიანში მისი გამომქლავება, ამით რელიგია სრულიად დაძლეული ხდებოდა არა მარტო თეორიულად, არამედ პრაქტიკულადაც. ფეიერბახის აზრით, ქრისტიანული რელიგიის საიდუმლოების მარტოდენ თეორიული ახსნა, გამომქლავება თავის-თავად საკმარისია იმისათვის, რათა იგი საბოლოოდ დაძლეულ და მოსპობილ იქნას. ჩვენ უკვე მოვიყვანეთ ფეიერბახის სიტყვები: „ფეიერბახმა თავის წიგნში ამოცანად დაისახა დაეყვანა ღმერთი ანუ რელიგია მის ადამიანურ წყარომდე და ამით თეორიულად და პრაქტიკულად გაეუქმებინა იგი ადამიანში“²⁾. მარქსმა იმ-

¹⁾ К. Маркс и Ф. Энгельс: Соч. т. I, стр. 134.

²⁾ ხაზგასმა ჩვენი — ა. ჭ.

თავითვე დაინახა, რომ რელიგიის მხოლოდ თეორიული დარგებია მის „ადამიანურ წყარომდე“ სრულიადაც არა კმარა იმისათვის, რომ იგი „თეორიულად და პრაქტიკულად“ გაუქმდეს. ასეთი გაუქმება რომ ნამდვილი და არა წარმოსახვითი იყოს, ამისათვის, მარქსის განცხადებით, უნდა შევძლებ, რაც რელიგიის საიდუმლოება დაყვანილ იქნა მიწიერი საფუძველზე, საჭიროა რევოლუციურად გარდაიქმნას ეს მიწიერი საფუძველი, რომლის ფანტასტიკურ ანარქელსაც რელიგია წარმოადგენს. ეს კი ყველაზე მთავარია და მარქსმაც თავისი ფილოსოფიის ძირითად ამოცანად ამის გადაჭრა დასახა. მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოთ. ახლა კი საჭიროა ერთხელ კიდევ ხაზი გავსვას იმ გარემოებას, რომ მარქსმა შეითვისა და შემდგომ განავითარა ფეიერბახის მატერიალისტური ფილოსოფიის სწორედ ეს აღნიშნული „ძირითადი მარცვალი“. ამას ადასტურებს თვით მარქსი თავის „გერმანულ იდეოლოგიაში“, სადაც მისმა საკუთარმა შეხედულებებებმა პირველი სისტემატური ფორმულირება მიიღეს. მარქსი სწერდა: „იმის წყალობით, რომ ფეიერბახმა გამოამყვანა რელიგიური სამყარო, როგორც ილუზია მიწიერი სამყაროსი, რომელიც ფეიერბახის სისტემაში ჯერ კიდევ მხოლოდ ფრაზის სახით გვევლინება, გერმანული თეორიის წინაშე თავის-თავად წამოიჭრა საკითხი, ფეიერბახის მიერ უპასუხოდ დარჩენილი: როგორ მოხდა, რომ ადამიანებმა „თავში ჩაიქედეს“ ეს ილუზიები? ამ საკითხმა გერმანულ თეორეტიკოსებისათვისაც კი გააკაფა გზა სამყაროზე მატერიალისტური შეხედულებისაკენ, მსოფლმხედველობისაკენ (ხაზგასმა ჩვენია—ა. ქ.), რომელსაც არა თუ არს ჩვევია წანანამძღვართა უქონლობა, არამედ რომელიც ემპირიკულად ხელმძღვანელობს სწორედ ნამდვილი მატერიალური წინანამძღვარებით როგორც ასეთებით და ამიტომ ნამდვილად კრიტიკული შეხედულებაა სამყაროზე. ეს გზა დასახული იყო უკვე „Deutsch-Französische Jahrbücher“-ში „ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკის შესავალში“ და სტატიაში „ებრაელთა საკითხისათვის“. მაგრამ რადგანაც ეს მაშინ მოცემული იყო ჯერ კიდევ ფილოსოფიურ ფრაზეოლოგიაში, ამიტომ იქ ტრადიციით მოხვედრილმა ისეთმა ფილოსოფიურმა გამოთქმებებმა, როგორიცაა „ადამიანური არსება“, „გვარი“ და სხვ. გერმანულ თეორეტიკოსებს სასურველი საბაბი მისცა იმისათვის, რომ არასწორად გაეგოთ ნამდვილი განვითარება (აზრებისა) და წარმოედგინათ, თითქოს აქაც მთელი საქმე მათი გაცვეთილი თეორიული სერთუკების მხოლოდ ახალ გადაკეთებაში ყოფილიყო“¹⁾ (ხაზგასმა ჩვენია—ა. ქ.).

ამ ამონაწერიდან ჩანს, რომ ფეიერბახის მატერიალისტური ფილოსოფიის „ძირითად მარცვალს“ მარქსი თანმიმდევრულად ანვითარებდა ამ ფილოსოფიის ნაკლთა დაძლევისათან ერთად. და ეს გზა მტკიცედ იყო დასახული უკვე მის ადრინდელ შრომებში. მარქსი არასდროს არა კმარა ყოფილდებოდა ფეიერბახის ფილოსოფიის თუნდაც „ძირითადი მარცვ-

¹⁾ K. Маркс и Ф. Энгельс „Немецкая идеология“, соч. т. IV, стр. 215.

ლის“ უბრალო განმეორებით ან, როგორც თვითონ ამბობს, ახალ გად-
კეთებით. მარქსი თვით აღნიშნავს, რომ მისი შეხედულებანი სწრაფ მის
აღრინდელ, ჯერ კიდევ „წმინდა ოჯახამდე“ დაწერილ შრომებში („ჰეგელ-
ლის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკის შესავალში“¹⁾ და „გებელთა
საკითხისათვის“) განსხვავდებოდნენ ფეიერბახისა და სხვა შემარქსენე
ჰეგელიანელთა შეხედულებებისაგან. ფეიერბახის ფილოსოფიურ ტერმი-
ნებს, რომლებიც ამ შრომებში გვხვდებიან, მარქსი ტრადიციას მიაწერს
და მათში სხვა, ახალ აზრს სდებს. ამიტომ მარქსი, რომლის ფილოსოფიურ-
რი განვითარება ჰეგელიდან ფეიერბახის გზით საკუთარი მსოფლმხე-
დველობისაკენ მიდიოდა არასდროს არ ყოფილა სრული და ორტოდოქ-
სალური ფეიერბახიანელი. ჯერ კიდევ 1843 წლის დასაწყისში, როცა
მარქსი ყველაზე მძლავრად განიცდიდა ფეიერბახის გავლენას, იგი სწერ-
და ა. რუგეს: „ფეიერბახის აფორიზმებს ნაკლი აქვთ, ჩემის შეხედულებ-
ებით, იმ მხრივ, რომ ისინი ძალზე ეტანებებიან ბუნებას, ხოლო ნაკლებად
— პოლიტიკას. ამასთანავე კი, ეს ერთადერთი ქვეშირია, რომლის წყალობ-
ით ახლანდელ ფილოსოფიას შეუძლია იდენტურა გახდეს“²⁾.

ეს აღიარებული ქვეშირი ფილოსოფიასა და პოლიტიკას შორის თავი-
დანვე განასხვავებდა მარქსს ფეიერბახისაგან, რომლისთვისაც პოლიტიკა
მუდამ რჩებოდა, როგორც ენგელსი აღნიშნავდა, „გადაუღებავ ზღუ-
დედ“³⁾.

შეგნებულად რამდენიმე სიტყვით „ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის
კრიტიკის შესავალზე“. ეს შრომა, როგორც მარქსი აღნიშნავდა, შესავალ-
ი იყო ჰეგელის სამართლის კრიტიკული რევიზიისა, რომელსაც მან ხე-
ლი მოჰკიდა თავისი „მომცველი ექვების“ გადასაქრელად.⁴⁾ მასში ნათ-
ლად ჩანს ფეიერბახის მატერიალისტური ფილოსოფიის „ძირითადი
მარცვლის“ არა მარტო როლი ჰეგელის იდეალიზმის დაძლევისა და მატ-
ერიალიზმზე გადასვლაში, არამედ მარქსის მიერ ამ „ძირითადი მარცვ-
ლის“ შემდგომი განვითარებაც.

მარქსი, რომელსაც მხედველობაში აქვს ფეიერბახის დამსახურება,
პირველ სტრიქონებშივე სწერს, რომ გერმანიისათვის რელიგიის კრიტიკა
არსებითად დამთავრებულიაო.⁵⁾ ნაჩვენები იყო, რომ ადამიანი ჰქმნის
რელიგიას და არა რელიგია ადამიანს. რელიგია, — გადმოგვცემს მარქსი
ფეიერბახის აზრებს, — ადამიანური არსების ფანტასტიკური განზოცვი-
ლებათაო. მაგრამ მარქსი არა კმაყოფილდება ამით. მას შემდეგ, რაც რე-
ლიგიის წმინდა სახე გამომქლავებულ იქნა ადამიანში, მარქსი მოით-
ხოვს — და აქ იშკარავდება მისი განსხვავება ჰერეტიკით მატერიალისტ
ფეიერბახისაგან — იმ რეალური პირობების გამომქლავებასა და რე-
ვოლუციურ შეცვლას, რომელნიც განაპირობებენ ადამიანის ამ გასხვისე-
ბას და გაორადებას. ადამიანი რელიგიის საიდუმლოებაა. მაგრამ ადამი-
ანი, მარქსის მიხედვით, „არ არის აბსტრაქტული, სამყაროს გარეშე მყოფი
არსება“. „ადამიანი ადამიანის სამყაროა, სახელმწიფო, საზოგადოება. ეს სა-

¹⁾ K. Маркс и Ф. Энгельс: „Соч. т. I, 1929 г., стр. 532.

²⁾ ფ. ენგელსი: „ლუდვიგ ფეიერბახი“, გვ. 32.

³⁾ კ. მარქსი: „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, წინასიტყვაობა, გვ. 40.

⁴⁾ K. Маркс: „К критике гегелевской философии права“, Маркс и Эн-
гельс, соч. т. I, стр. 399.

ზელმწიფო, ეს საზოგადოება ჰქმნის რელიგიას, უკუღმარო მართლ-
 ცნობიერებას, ვინაიდან თვით ისინი უკუღმართ სარწმუნო
 წარმოადგენენ“.) რელიგიის კრიტიკა არის არა საქმის დასაბრუნო, რო-
 გორც ამას ფეიერბახი ფიქრობდა, არამედ მხოლოდ დასაბრუნო, ვინაი-
 ნამდე რელიგიის დაყვანას უნდა მოსდევდეს კრიტიკა „იმ სამყაროსი,
 რომლის არმატს რელიგია წარმოადგენს“. 2) რომ გადაღახო ილუზიები
 თავისი მდგომარეობის შესახებ, მარქსის აზრით, საჭიროა გადაღახო ის
 მდგომარეობა, რომელიც ამ ილუზიებს წარმოშობენ. რელიგია, როგორც
 მოჩვენებითი ბედნიერება ხალხისა, შეიძლება დაძლეულ იქნას მხოლოდ
 ამ ქვეყნად ხალხის ნამდვილი ბედნიერების აღდგენით. „გაუქმება რელი-
 გიისა, როგორც ხალხის მოჩვენებითი ბედნიერებისა, — სწერს
 მარქსი, — მისი ნამდვილი ბედნიერების მოთხოვნილებაა. თავისი მდგო-
 მარეობის ილუზიებზე უარის თქმის მოთხოვნილება არის მოთხოვნი-
 ლება იმ მდგომარეობაზე უარის თქმისა, რომელიც
 ილუზიებს საჭიროებს. მაშასადამე, რელიგიის კრიტიკა არის ჩანა-
 სახში მოცემული კრიტიკა იმ გლოვის ველისა, რომლის წმინდა შარავანდელ-
 საც რელიგია წარმოადგენს“. 3) მას შემდეგ, რაც რელიგიის კრიტიკამ
 ფეიერბახის სახით მოსწყვიტა „მოჩვენებითი ყვავილები ბორკილებს“,
 მისი ამოცანა მდგომარეობს არა იმაში, რომ კაცობრიობას ზველრად დაუ-
 ტოვოს „ნათელი უიმედო ბორკილები“, არამედ იმაში, რომ მოგლიჯოს
 ეს ბორკილები და აღამიანებს ცოცხალი ყვავილები მისცეს. „კრიტიკამ, —
 ამბობს მარქსი, — მოგლიჯა მოჩვენებითი ყვავილები ბორკილებს არა იმი-
 ტომ, რომ აღამიანი ატარებდეს ნათელ უიმედო ბორკილებს, არამედ იმი-
 ტომ, რომ მოიხსნას ბორკილები და სწყვიტოს ცოცხალი ყვავილები“ 4).
 მაგრამ ამისათვის საჭიროა პრაქტიკულად აღსდგე არსებული წყობილე-
 ბის ბორკილების წინააღმდეგ. ზეცის კრიტიკა უნდა იქცეს დედამიწის კრი-
 ტიკად, რელიგიის კრიტიკა — პოლიტიკის კრიტიკად. „ამრიგად, — დაასკე-
 ნის მარქსი, — მას შემდეგ, რაც გაჭრა მიწის მიღმური სიმართ-
 ლე, ისტორიის ამოცანაა — აღადგინოს მიწიერი სიმართლე. ისტო-
 რიის სამსახურში მყოფი ფილოსოფიის ამოცანა, მას შემდეგ, რაც გამო-
 ყლავენებულია აღამიანური თვითგასხვისების წმინდა სახე, იმაში
 მდგომარეობს, რომ გამოამყლავნოს თვითგასხვისება მის არაწმინდა სა-
 ხეებში. ამრიგად, ზეცის კრიტიკა იქცევა დედამიწის კრიტიკად, რელი-
 გიის კრიტიკა — სამართლის კრიტიკად, თეოლოგიის კრი-
 ტიკა — პოლიტიკის კრიტიკად“ 5).

ზეცის კრიტიკის დედამიწის კრიტიკად, რელიგიის კრიტიკის სამართ-
 ლის კრიტიკად, თეოლოგიის კრიტიკის პოლიტიკის კრიტიკად ამ გადაქცე-
 ვაში მდებარეობდა ფეიერბახის მატერიალისტური ფილოსოფიის „ძირი-
 თადი მარცხის“ თანმიმდევრული განვითარების გზა. მარქსმა, ფეიერბა-
 ხისაგან განსხვავებით, არა მარტო თეორიულად გამოაცხადა ასეთი გა-
 დაქცევის შესაძლებლობა, არამედ ნახა კიდევ ის თეორიული ძალა, რომ

1) იმავე.

2) იქვე.

3) იმავე. გვ. 399 — 400.

4) იმავე. გვ. 400.

5) იქვე.

მელიც თავისი საქმით და მოქმედებით, რაც მისი მდგომარეობითაა განპირობებული, ნამდვილად განასორციელებს ამ გადაქცევას, ე. ი. რევოლუციურად გარდაქმნის თანამედროვე საზოგადოებას. ეს ძალიან პროლეტარიატია. პროლეტარიატის, როგორც ძველი საზოგადოების განსაზღვრებისა და ახალი საზოგადოების მშენებლის, მსოფლიოისტორიული მისიის შესახებ მარქსმა პირველად გვაძინო სწორედ ამ თავის შრომაში.

მარქსი თავის მიერვე დასმულ საკითხზე, თუ რაში მდგომარეობს გერმანული ემანსიპაციის დაღებითი შესაძლებლობა, უბასუხებს: „კლასის... სფეროს შექმნაში, — სფეროსი, რომელსაც არ შეუძლია გაინთავისუფლოს თავისი თავი უიმისოდ, თუ არ განთავისუფლდა საზოგადოების ყველა სხვა სფეროსაგან, რომელიც, მაშასადამე, ადამიანის სრულს დაკარგვას წარმოადგენს და, მაშასადამე, შეუძლია თავისი თავი მოიპოვოს მხოლოდ ადამიანის სრული ახალი აღორძინებით. ეს დაშლილი საზოგადოება, როგორც განსაკუთრებული კლასი, პროლეტარიატი ა... მსგავსად იმისა, როგორც ფილოსოფია პროლეტარიატში თავის მატერიალურ იარაღს პოულობს, ისე პროლეტარიატი ფილოსოფიაში თავის სულიერ იარაღს პოულობს... გერმანელის ემანსიპაცია ადამიანის ემანსიპაციაა. ამ ემანსიპაციის თავი ფილოსოფიაა, მისი გული კი — პროლეტარიატი. ფილოსოფია ვერ გადაიქცევა სინამდვილედ პროლეტარიატის გაუქმებლად, პროლეტარიატი ვერ გააუქმებს თავის თავს ფილოსოფიის სინამდვილედ გადაქცევის გარეშე.“¹⁾

„წმინდა ოჯახში“, სადაც, ენგელსის სიტყვებით, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ძლიერია ფეიერბახის გავლენა, მიუხედავად ყველა კრიტიკული შენიშვნისა, მარქსი შემდგომ ნაბიჯს დგამს წინ აღნიშნული გზით. ამ ნაშრომში მარქსი მკვეთრად აკრიტიკებს „კრიტიკულ კრიტიკოსებს“ და საფუძველს უყრის თავის მატერიალიზმს, იყენებს და აწვითარებს რა შემდგომ ფეიერბახის ფილოსოფიის აღნიშნულ „ძირითად მარცვალს“.

მარქსი აღნიშნავს, რომ ფეიერბახი „სპეკულაციური თეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლამ სპეკულაციური ფილოსოფიის წინააღმდეგ საბრძოლველად წააქეზა სწორედ იმიტომ, რომ მან გონებით ჰერეტაში თეოლოგიის უკანასკნელი საყრდენი დაინახა.“²⁾ ამასთან მარქსმა დიდი შეფასება მისცა ფეიერბახის ბრძოლას როგორც სპეკულაციური რელიგიის წინააღმდეგ, ისე „სპეკულაციური ფილოსოფიის“, ე. ი. ჰეგელის სისტემის, წინააღმდეგ. ფეიერბახი, მარქსის აზრით, „პირველად გამოვიდა გადაჭრით ჰეგელის წინააღმდეგ“ და მის „მთვრალ სპეკულაციას“ „ფხიზეული ფილოსოფია დაუპირისპირა.“³⁾ წამოაყენა რა ჰეგელის უსხეულო მისტიკური აბსოლუტური სულის ადგილას რეალური ადამიანი და ბუნება, ფეიერბახმა, მარქსის აზრით, მოგვცა „რელიგიის დასრულებული კრიტიკა“, მოგვცა ამ რელიგიის თეორიული დასაყრდენისა და უკანასკნელი თავშესაფარის — ჰეგელის სპეკულაციური ფილოსოფიის და მასთან ერთად საერთოდ ყოველი მეტაფიზიკური სპეკულაციის კრიტიკა.

¹⁾ К. Маркс: „К критике гегелевской философии права“, соч. т. I, стр. 411-412.

²⁾ К. Маркс и Ф. Энгельс: „Святое семейство или „критика критической критики“, соч. т. III, стр. 156.

³⁾ იქვე, გვ. 154.

„პირველად ფეიერბახი, — სწერს მარქსი, — ჰეგელის თვალსაზრისიდან გამოსული, ამთავრებს ჰეგელს და მის სისტემას ნამდვილ კრიტიკას უწევს. გადააქცია რა მეტაფიზიკური ამბოულტური სული „ნამდვილ ადამიანად ბუნების სრულყოფილზე, ფეიერბახმა ამით მოგვცა დამთავრებული კრიტიკა და იმავე დროს ხერხიანი, ოსტატური ხელით მოხაზა უმნიშვნელოვანესი ძირითადი ნიშნები ჰეგელური სპეკულაციის კრიტიკისა და ამიტომ ყოველი მეტაფიზიკისა საერთოდ“¹⁾.

აქ მარქსი ამბობს, რომ ფეიერბახმა რელიგიის დამთავრებული კრიტიკა მოგვცაო, მაგრამ დაახლოვებით ერთი წლის შემდეგ თავის შესანიშნავ თეზისებში იგი ფეიერბახის შეხედულებებს რელიგიაზე და საერთოდ მის ფილოსოფიას გენიალურად აკრიტიკებს. ამჟამად კი ჩვენ გვინტერესებს საკითხის არა ეს მხარე, არამედ ფეიერბახის მატერიალისტური ფილოსოფიის „ძირითადი მარცვლის“ დედაარსი, აღებული და შემდგომ თანმიმდევრობით განვითარებული მარქსის მიერ.

მარქსი სთვლის, რომ ფეიერბახმა, დაამტკიცა რა, რომ თეოლოგია და მასთან ერთად სპეკულაციური ფილოსოფია ადამიანისა და ბუნების არსის ფანტასტიკურ ანარქულს წარმოადგენენ, ამით ფილოსოფია ციდან რეალურ ნიადაგზე ჩამოიყვანა. ეს აღმოჩენა მას გენიალურ აღმოჩენად მიაჩნია და თავის ყურადღებას მის შემდგომ განვითარებასა და გაღრმავებას აპყრობს. მარქსი „კრიტიკულ კრიტიკოსებს“ იმას უსაყვედურებს, რომ ისინი ფეიერბახის ამ გენიალური აღმოჩენის შემდეგ, მას შემდეგ, რაც ფეიერბახმა გამოამჟღავნა მიწიერი საფუძველი რელიგიისა და ფილოსოფიისა, — კვლავ იჭიფებებიან დაამტკიცონ ზემიწიერება და ზებრაქტიკულება უკანასკნელისა და ამით ძველი აბდაუბდა ახალი სახით აღადგინონ. „აზრი იმის შესახებ, რომ ფილოსოფია არსებულ ურთიერთობათა აბსტრაქტული გამოხატულებაა, თავისი წარმოშობით ეკუთვნის არა ბატონ ედგარტს, არამედ ფეიერბახს, რომელმაც პირველად განსაზღვრა ფილოსოფია, როგორც სპეკულაციური და მისტიკური ემპირია და დაამტკიცა ეს. მაგრამ ბატონმა ედგარტმა შესძლო ამ აზრის ორიგინალურად, კრიტიკულად შეტრიალება. იმ დროს, როდესაც ფეიერბახი სწორედ იმ დასკვნამდე მიდის, რომ ფილოსოფია უნდა ჩამოვიდეს ჰერტის ციდან და ადამიანური სიდატაკის სიღრმეში დაეშვას, ბატონი ედგარტი, პირიქით, გვასწავლის, რომ ფილოსოფია ზებრაქტიკულიაო.“²⁾

და დასასრულ: „ფეიერბახის ყველა გენიალური აღმოჩენის შემდეგ აბსოლუტური კრიტიკა ნებას აძლევს თავის თავს კიდევ მოჰქიდოა ხელი ჩვენთვის მთელი ძველი აბდაუბდის ახალი სახით აღდგენას“.³⁾

მარქსი შემდგომ ავითარებს და აღრმავებს ციდან რეალურ მიწიერ საფუძველზე ფილოსოფიის დაყვანის პრინციპს. ამ მიზნით იგი მიმართავს ისტორიული სინამდვილის, მისი ეკონომიური მდგომარეობისა და ინდუსტრიული განვითარების კონკრეტულ ანალიზს. ასეთი შესწავლის გარეშე,

¹⁾ იქვე, გვ. 169.

²⁾ იქვე, გვ. 59. ხაზგასმით ჩვენია. — ა. ჯ.

³⁾ იქვე, გვ. 118.

მარქსის აზრით, არა თუ შეუძლებელია ისტორიული სინამდვილის გაგება, არამედ შეუძლებელია მასთან ახლოს მისვლაც. „ნუკლეარული კრიტიკა ფეიერბაზს, — სწერს მარქსი, — რომ მან მიიღწია ისტორიული/სინამდვილის შემეცნების თუნდაც დასაწყისს, გამორიცხა არამარტო ისტორიული მოძრაობიდან ადამიანის თეორიული და პრაქტიკული შემოქმედებები ბუნებისადმი, ბუნებისმეტყველებისა ინდუსტრიისადმი? ნუთუ იგი ფეიერბაზს, რომ მართლა შეიცნო რომელიმე ისტორიული პერიოდი, მაგალითად, ამ პერიოდის ინდუსტრიის, თვით ცხოვრების წარმოების უშუალო წესის შეუცნობლად“?)

ეკონომიური ანალიზის საშუალებით, რომელიც პროლეტარიატის მდგომარეობას ამკვლევებს, მარქსი შემდგომ აღრმავებს პროლეტარიატის მსოფლიო-ისტორიული როლის დასაბუთებას; პროლეტარიატი მისთვის ისეთი ძალაა, რომელსაც შესწევს უნარი მოსპოს კერძო საკუთრება და ექსპლოატატორული საზოგადოება და შექმნას უკლასო საზოგადოება. ლენინი აღნიშნავს, რომ „წმინდა ოჯახში“ მეტად რელიეფურადაა წამოყენებული „მარქსის თითქმის უკვე ჩამოყალიბებული შეხედულება პროლეტარიატის რევოლუციურ როლზე.“)

„პროლეტარიატს სისრულეში მოჰყავს, — სწერს მარქსი, — განაჩენი, რომელიც თვითონ გამოაქვს თავისი თავის მიმართ კერძო საკუთრებას ამ ქვეყნად პროლეტარიატის წარმოშობით, სრულიად ისევე, როგორც მას სისრულეში მოჰყავს განაჩენი, რომელიც თვითონ გამოაქვს თავისი თავის მიმართ დაქირავებულ შრომას სხვისი სიმდიდრისა და საკუთარი სიღატაკის წარმოებით... პროლეტარიატის გამარჯვებით ქრება როგორც თვით პროლეტარიატი, ისე მისი განმაპირობებელი დაპირისპირებაც — კერძო საკუთრება... პროლეტარიატს შეუძლია და უნდა კიდევ თვითონ გაინთავისუფლოს თავისი თავი. მაგრამ მას არ შეუძლია გაინთავისუფლოს თავი, თუ არ გააუქმა მის საკუთარ მდგომარეობაში თავმოყრილი თავისი საკუთარი სასიცოცხლო პირობები. მას არ შეუძლია გააუქმოს თავისი საკუთარი სასიცოცხლო პირობები, თუ არ გააუქმა თანამედროვე საზოგადოების ყველა არაადამიანური სასიცოცხლო პირობა, მის საკუთარ მდგომარეობაში თავმოყრილი. საქმე ის კი არ არის, თუ რაში ხელდავს მოცემულ მომენტში თავის მიზანს ცალკეული პროლეტარი ან თუნდაც მთელი პროლეტარიატი. საქმე ის არის, რას წარმოადგენს პროლეტარიატი და, ამ თავისი ყოფიერების შესაბამისად, რას გააკეთებს იგი ისტორიულად იძულებული. მისი მიზანი და მისი ისტორიული მოქმედება წინასწარ ნაჩვენებია მისი საკუთარი სასიცოცხლო მდგომარეობით, ისევე, როგორც თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების მთელი ორგანიზაციით.“)

ფეიერბაზის მატერიალისტური ფილოსოფიის „ძირითადი მარცვლის“ შესახებ ნათქვამს ადასტურებენ მარქსის თეზისები ფეიერბაზის შესახებ, რომელნიც ფეიერბაზის ფილოსოფიის უღრმეს კრიტიკასთან ერთად „ახა-

?) იქვე, გვ. 180.

?) В. И. Ленин: „Философские тетради“, гл. 30.

?) К. Маркс и Ф. Энгельс: „Святое семейство или критика „критической критики“, соч. т. III, гл. 55—56.

ლი მსოფლმხედველობის გენიოსურ ჩანასახს“ (ენგელსი, შერცავენ¹⁾). ეხება რა ფეიერბახის შეხედულებას რელიგიაზე, მარქსი აღნიშნავს, რომ მას რელიგია დაჰყავს მიწიერ საფუძველზე და ამით კმაყოფილდება. მაგრამ რელიგიური სამყაროს დაყვანა მიწიერ სამყაროზე, მარქსის აზრით, არის არა საქმის დასასრული, არამედ დასაწყისი. რელიგიის საფუძველზე მთავარი და ყველაზე გადამწყვეტი უნდა მოჰყვეს. აღნიშნული მუშაობის შესრულების შემდეგ საჭიროა, რომ მიწიერი საფუძველი, რომელიც თავისი წინააღმდეგობრიობის მეოხებით წარმოშობს რელიგიას, როგორც თავის ფანტასტიკურ ანარეკლს, პრაქტიკულ-რევოლუციურად გარდაიქმნას. ეს ყველაზე მთავარი და ყველაზე გადამწყვეტი ამოცანაა და იგი ვერ გაიგო ფეიერბახმა. თავის მეოთხე თვისში მარქსი სწერს: „ფეიერბახი გამოდის რელიგიური თვითფასების, ქვეყნიერების გარეშის ფაქტიდან. ამ ორში ერთია რელიგიური, წარმოდგენაში არსებული ქვეყანა, მეორეა ნამდვილი ქვეყანა. მისი მუშაობა იქითკენაა მიმართული, რომ რელიგიური ქვეყნიერება მის მიწიერ საფუძველზე დაიყვანოს. ვერ ამჩნევს, რომ ამ მუშაობის შესრულების შემდეგ მთავარი საქმე მაინც გასაკეთებელი რჩება. სახელდობრ ის გარემოება, რომ მიწიერი საფუძველი თავის თავს შორდება და დამოუკიდებელი სამეფოს სახით დრუბლებში მყარდება, შეიძლება სწორედ ამ მიწიერი საფუძვლის თვით გათიშვითა და შინაგანი წინააღმდეგობით აიხსნას. ამრიგად, ეს უკანასკნელი, ერთის მხრით, თვით გაგებულ უნდა იქნას მის თვითწინააღმდეგობაში, ხოლო შემდეგ გარეგოლუციურებულ იქნას ამ წინააღმდეგობის აცილების გზით. მაშასადამე, მას შემდეგ, რაც მაგალითად, ამქვეყნიური ოჯახი აღმოვაჩინეთ როგორც წმინდა ოჯახის საიდუმლოება, იგი, ე. ი. ამქვეყნიური ოჯახი, თეორიულად უნდა გავაკრიტიკოთ და პრაქტიკულ-რევოლუციურად გარდავქმნათ.“²⁾

აქ მთელი სიძლიერით იჩენს თავს როგორც მემკვიდრეობითი კავშირი, ისე პრინციპული განსხვავება მარქსისა ფეიერბახისაგან. ფეიერბახი კმაყოფილდება რელიგიის მიწიერ საფუძველზე დაყვანით, ე. ი. ახსნით. მარქსს კი სიმძიმის ცენტრი გადააქვს იმ მიწიერი საფუძვლის პრაქტიკულად რევოლუციურ გარდაქმნაზე, რომლის სულიერ არომატსაც რელიგია წარმოადგენს, რათა საერთოდ გამორიცხოს რელიგიის წარმოშობა, ე. ი. იგი ამოცანად ისახავს სამყაროს შეცვლას. ფეიერბახი პერვეტიით მატერიალისტია, მარქსი კი—დიალექტიკური მატერიალისტი. ფეიერბახის მატერიალიზმი ბურჟუაზიული კლასიკური მატერიალიზმის უკანასკნელი ფორმაა, მარქსის დიალექტიკური მატერიალიზმი კი—ახალი, პროლეტარული, კომუნისტური მატერიალიზმის პირველი ფორმაა. პირველი კმაყოფილდებოდა სამყაროს ახსნით, მეორე კი—სამყაროს შეცვლით. „ფილოსოფოსები მხოლოდ სხვადასხვანაირად განმარტავენ სამყაროს

¹⁾ ე. ენგელსი „ლუდვიგ ფეიერბახი“, გვ. 6.

²⁾ ე. მარქსი: თვისები ფეიერბახის შესახებ. იხ. ე. ენგელსი: „ლუდვიგ ფეიერბახი“, გვ. 69. ხაზგასმა ჩვენია. — ა. ქ.

მაგრამ საქმე ისაა, რომ სამყარო "შეცვლილ იქნეს", — სწერს მარქსი, ¹⁾ აყალიბებს რა კლასიკურად თავის განსხვავებას არა მარტო ფეიერბახისაგან, არამედ მთელი წარსული ფილოსოფიისაგან. დიალექტიკური მატერიალიზმის ფილოსოფიის ეს ძირითადი თეზისია, აღმოცენებული რადიკალურ უმაღლესი ფორმა ფილოსოფიური აზროვნებისა, მთელს წარსულ ფილოსოფიისა და მეცნიერების საუკეთესო მონაპოვართა კრიტიკული გადაამუშავების საფუძველზე.

ამ ახალი ფილოსოფიური მსოფლმხედველობის პირველი და ყოველმხრივი გადმოცემა მარქსმა და ენგელსმა მოგვცეს "გერმანულ იდეოლოგიაში", რომელიც 1845 — 1846 წლებში დაიწერა. "გერმანული იდეოლოგია" მარქსის ფილოსოფიის პირველი მომწიფებული და სისტემატური გადმოცემაა. ეს მუშაობა ჩატარებულ იქნა ჰეგელის მთელი შემდგომდროინდელი ფილოსოფიის, პირველ რიგში ფეიერბახის ფილოსოფიის გამანადგურებელი კრიტიკის საფუძველზე. ეს იმიტომ, რომ მარქსსა და ენგელსს ფეიერბახის ფილოსოფიის ყველაზე დიდ წარმომადგენლად მიაჩნდათ მემარცხენე ჰეგელიანელთა შორის.

რასი ზედავდა მარქსი ფეიერბახის მატერიალისტური ფილოსოფიის ძირითად ნაკლს?

ფეიერბახის პირველსა და მთავარ ნაკლს მარქსი და ენგელსი იმაში ზედავდნენ, რომ მისი მატერიალიზმი ატარებდა მკვერტელობითს ხასიათს. მეორეს იმაში, რომ ის არ იყო თანმიმდევრული მატერიალისტი. ის, ენგელსის სიტყვებით, მატერიალისტი იყო "ქვემოდან" და იდეალისტი "ზემოდან". და, ბოლოს, მესამე ნაკლს ზედავდა იმაში, რომ მან ვერ შესძლო დაეძლია ჰეგელი, რომ მან ეპეგელის იდეალიზმთან ერთად პირდაპირ გადაავლო მისი დიალექტიკაც და ვერ შეამჩნია ამ დიალექტიკის რაციონალური მარცვალი. სხვათაირად რომ ვთქვათ, ფეიერბახი დარჩა მეტაფიზიკურ მატერიალისტად.

ჩვენ აქ შევჩერდებით მხოლოდ მეორე საკითხზე.

საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთელი ერთობლიობა ფეიერბახს დაჰყავს მთლიანად რელიგიამდე და ეთიკამდე. მაგრამ სწორედ ამ საკითხებში ვეღვენდება ნათლად მისი არათანმიმდევრობა, იდეალიზმი. "ენგელსი არაერთხელ აცხადებდა, — სწერს ამხანაგი სტალინი, — რომ ფეიერბახი, "მატერიალისტური საფუძვლის მიუხედავად, ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულა ძველი იდეალისტური ბორკილებისაგან", რომ "ფეიერბახის ნამდვილი იდეალიზმი თავს იჩენს მაშინვე, როგორც კი შეეხებოდა მის ეთიკასა და რელიგიის ფილოსოფიას" ²⁾.

ფეიერბახი უარპყოდს ღმერთის პიროვნულ არსებობას. ზემოთ მოკლედ აღვნიშნეთ, თუ როგორა ჰქმნის ადამიანი ღმერთს. ფეიერბახის მიზანი იყო ის, რომ გაენთავისუფლებანა ადამიანი ღმერთის ფეტიშისაგან ადამიანში ღმერთის საილუმლოების გამოიმეღავნების საშუალებით. "ჩემთვის როგორც უწინ, ისე ახლაც, — სწერს ფეიერბახი, — ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია გავაშუქო რელიგიის ბუნდოვანი რაობა გონების ჩირაღდნით, რათა ადამიანმა შესწყვიტოს ბოლოს ყველა იმ კაცთმოძულე ძალის

¹⁾ იქვე, გვ. 70.

²⁾ ი. ბ. სტალინი: "დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ". "ლენინიზმის საკითხები", გვ. 666.

ნადავლად, სათამაშოდ ყოფნა, რომელიც უხსოვარი დროიდან უღემდე კიდევ სარგებლობს რელიგიის წყვედიანად აღამიანთა დასახლებად, ჩემი მიზანი იყო, დამემტკიცებინა, რომ ის ძალები, რომელთა წინაშე აღამიანი მუხლს იდრეკს რელიგიაში და რომლებსაც მას შემდეგ უხსოვლებისთვისაც იგი სისხლიანი აღამიანური მსხვერპლის მიტანას უბრუნებს, რათა მათი გული მოიგოს, — რომ ეს ძალები სხვას არაფერს წარმოადგენენ, თუ არ მისი საკუთარი უთავისუფლო, მხდალი სჯლისა და უფიცი, გაუნათლებელი გონების ქმნილებებს, დამემტკიცებინა, რომ არსება, რომელსაც აღამიანი რელიგიაა და თეოლოგიაში თავის თავს უბირისპირებს, როგორც სრულიად სხვა, მისგან განსხვავებულს, მისი საკუთარი არსებაა, რათა აღამიანს, — რადგანაც იგი ზომ, გარდა თავისი ცნობიერებისა, თავის თავზე ბატონობისა და თავისი თავის განსაზღვრის ნებას აძლევს თავისავე საკუთარ არსებას, — ამიერიდან თავისი საკუთარი, აღამიანური არსება შეგნებულად გაეხადა თავისი მორალისა და პოლიტიკის კანონად და განმსაზღვრელ საფუძვლად, მიზნად და მასშტაბად.¹⁾

ფეიერბახის ამ ათეისტურ დებულებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და მან დიდი როლი ითამაშა. მან ფეიერბახს გერმანელი სპინოზას სახელი მოუხვეჭა. მაგრამ მისი ათეიზმი არ იყო თანმიმდევრული. ფეიერბახი ათეისტი იყო, როგორც თვითონვე აღნიშნავს, იმდენად, რამდენადაც იგი უარყოფდა აღამიანისაგან განსხვავებულ ღმერთს.²⁾

ფეიერბახი იბრძოდა არა საერთოდ ყოველი რელიგიის წინააღმდეგ, არამედ ძველი, ფანტასტიკური რელიგიის წინააღმდეგ. იგი უარყოფდა ძველ, ქრისტიანულ რელიგიას, რათა მის ადგილას ახალი რელიგია, სიყვარულის რელიგია დაემკვიდრებინა. ფეიერბახი, როგორც ლენინი აღნიშნავდა, ისწრაფოდა განეხლებინა რელიგია, ძველი ქრისტიანული რელიგიის ნაცვლად ახალი რელიგია შემოეღო. ფეიერბახის ათეიზმი ბურჟუაზიულ-განმანათლებლურ ხასიათს ატარებდა. „მე ვუარყვოფ მხოლოდ იმისათვის, — ამბობდა ფეიერბახი, — რათა შემდეგ დავამკვიდრო: მე ვუარყვოფ მხოლოდ თეოლოგიისა და რელიგიის ფანტასტიკურ, მოჩვენებულ არსებას, რათა აღამიანის ნამდვილი არსება დავამკვიდრო.“³⁾

ფეიერბახი რელიგიას აუცილებელ მოვლენად სთვლიდა. რელიგია, ფეიერბახის აზრით, აღამიანთა შორის არსებული ემოციური, გულთადი დამოკიდებულების გამოხატულებაა. უწინდელ რელიგიურ სისტემებში ეს დამოკიდებულება იდუმალი ღმერთის ფანტასტიკური სახეებით გამოიხატებოდა. მათგან განსხვავებით ფეიერბახი ცდილობდა ურთიერთობათა დეფექტიშინადაც მოეხდინა. „ფეიერბახის მიხედვით, — სწერს ენგელსი, — სარწმუნოება გრძნობიერი, გულთადი დამოკიდებულებაა აღამიანსა და აღამიანს შორის. დღემდე ეს დამოკიდებულება ქეშმარიტებას ეძებდა სინამდვილის ფანტასტიკურ ასახვაში ერთი ან მრავალი ღმერთის შემწეობით, რომელნიც თავიანთი მხრით აღამიანურ თვისებათა ფანტასტიკურ ანარქულს წარმოადგენენ, დღეს კი იგი პირდაპირ და უშუალოდ სიყვარულში იხატება „მე“-სა და „შენ“-ს შორის.“⁴⁾

¹⁾ Л. Фейербах: „Лекции о сущности религии“, соч. т. III, стр. 26.

²⁾ Л. Фейербах: „Необходимость реформы философии“, соч. т. I, стр. 56.

³⁾ Л. Фейербах: „Лекции о сущности религии“, соч. т. III, стр. 26—27.

⁴⁾ Э. Энгельс: „Людвиг Фейербах“, стр. 28.

ფეიერბახი ფიქრობდა, რომ მის მიერ დამტკიცებული დებულება, რომ ღვთაებრივი არსების საიდუმლოებას აღამიანურ არსება წარმოადგენს, მოასწავებდა „აუცილებელი ვარდატეხის პუნქტის ტორიაში“ და რომ იქიდან გამომდინარეობს გაძველებული რელიგიისა და დასაბუთება მის ადგილას სიყვარულის რელიგიისა, როგორც ქეშმარიტი რელიგიისა. „ქრისტიანობის არსების“ დასკვნითს თავში ფეიერბახი სწერდა: „ჩვენ დავამტკიცეთ, რომ რელიგიის შინაარსი და საგანი სრულიად ადამიანურია, დავამტკიცეთ, რომ თეოლოგიის საიდუმლოება არის ანთროპოლოგია, ხოლო ღვთაებრივი არსების საიდუმლოება ადამიანური არსებაა. მაგრამ რელიგია ვერა გრძნობს თავისი შინაარსის ადამიანურობას; იგი უპირისპირებს კიდევ თავის თავს ადამიანურ საწყისს, ან, ყოველ შემთხვევაში, იგი არა სცნობს, რომ მისი შინაარსი ადამიანურია. ამიტომ ისტორიის აუცილებელი ვარდატეხის პუნქტი გამოიხატება იმის აშკარა აღიარებაში, რომ ადამიანს შეუძლია და უნდა ამაღლდეს კიდევ თავისი ინდივიდუალობისა თუ პიროვნების საზღვრებზე ზევით, მაგრამ არა თავისი გვარის კანონებსა და არსებითს განსაზღვრებებზე ზევით, რომ ადამიანს შეუძლია იაზროვნოს, წარმოადგინოს, იგრძნოს და შეიყვაროს, როგორც აბსოლუტური, ღვთაებრივი არსება, მხოლოდ ადამიანური არსება.

ამიტომ ჩვენი დამოკიდებულება რელიგიისადმი მართო უარყოფითი როდია, არამედ კრიტიკულია; ჩვენ მხოლოდ გამოვეყოფთ ქეშმარიტს შემცდარისაგან, თუმცა, რასაკვირველია, მცდარობისაგან ჩამოშორებული ქეშმარიტება მუდამ გვევლინება როგორც ახალი ქეშმარიტება, არსებითად განსხვავებული ძველი ქეშმარიტებისაგან.“¹⁾

ეს „არსებითი განსხვავება ახალი ქეშმარიტებისა“ ძველისაგან, ე. ი. ფეიერბახის რელიგიისა ქრისტიანული რელიგიისაგან, იმაში მდგომარეობდა, რომ იგი ღმერთის ადგილას ადამიანს აყენებდა. ღმერთის არსი ადამიანის არსია, მაგრამ ადამიანის უმაღლეს არსს სიყვარული წარმოადგენს. ამიტომ სიყვარული ფეიერბახური რელიგიის ალფა და ომეგაა.

რელიგიის (ქრისტიანობის) ძირითად წინააღმდეგობას წარმოადგენს წინააღმდეგობა რწმენასა და სიყვარულს შორის. სიყვარულის პრინციპის აბსოლუტური გამარჯვება რწმენის პრინციპზე ერთად-ერთი გზაა ქრისტიანობის საბოლოო გადალახვისათვის და ახალი გონიერული და ზნეობრივი რელიგიის დამყარებისათვის. „რწმენის წყალობით რელიგია წინააღმდეგობაში ვარდება ზნეობასთან, გონებასთან და სიმართლის უბრალო, ადამიანურ ინსტიტუტთან, სიყვარულის წყალობით კი იგი უძალიანდება ამ წინააღმდეგობას. რწმენა განამხოლოებს ღმერთს, მას განსაკუთრებულ, სხვა არსებად ხდის. სიყვარული კი მას ხდის საყოველთაო არსებად, რომლისადმი სიყვარულიც იგივეა, რაც სიყვარული ადამიანისადმი. რწმენა ხელს უწყობს ადამიანის შინაგან და, მაშასადამე, ვარგვან გაორებას თავის თავთან, სიყვარული განკურნავს კრილობებს, რომლებიც რწმენამ ადამიანის გულს მიაყენა.“²⁾ რწმენა

¹⁾ Л. Фейербах: „Сущность христианства“, соч. т. II. гл. 277.

²⁾ იქვე, გვ. 256.

ფარავს, აძევებს რელიგიის იღუმალ არსს — ღვთიური და ადამიანური არსების იგივეობას, სიყვარული კი ამეღავენებს მას.

„რწმენა განაცალკევებს, ზღუდავს ადამიანს“, „რწმენა ჰკეტავს ადამიანს თავის თავში“. „რწმენა დესპოტიურია“. „რწმენა — ქედ-ღიღურობისა და ეგოიზმის განსაკუთრებულ გრძნობას უნერგავს ადამიანს“. „რწმენა ყველგან ჰგმობს და კრულავს“. „რწმენაშია ბოროტი საწყისი“. „რწმენა შეუწყნარებელია არსებითად“. „რწმენა სიყვარულის დაპირისპირებაა“. „რწმენა აუცილებლად გადადის სიძულვილში, სიძულვილი კი დევნაში“. „ქრისტიანული რელიგიის ყველა საშინელება, რომელზედაც მორწმუნენი ლაპარაკობდნენ, რომ ისინი არ გამომდინარეობენ ქრისტიანობიდანაო, წარმოშობილია რწმენიდან, მაშასადამე, ქრისტიანობიდან“.¹⁾

რწმენის ბნელი და ბოროტი ძალა შეიძლება და უნდა დაიმსხვრეს კიდევ სიყვარულის ძალაზე, სიყვარული რწმენის ერთად-ერთი საწამლავი საშუალებაა. სიყვარული რწმენის აბსოლუტური დაპირისპირებაა და მისი დანძლევაა. „სიყვარული მხოლოდ გონების თანაბარია“. იგი უსასრულო და თავისუფალია. „სიყვარული გონებისა და ბუნების უნივერსალური კანონია“.²⁾ „სიყვარული აბსოლუტური არსებაა“.³⁾ „ღმერთი კი არ არის სიყვარული, არამედ სიყვარულია ღმერთი“.⁴⁾ „სიყვარულს თავისთავად არაფერი არა სწამს, რწმენას კი არაფერი არ უყვარს. მაგრამ სიყვარული ურწმუნოა იმიტომ, რომ მან არაფერი იცის იმაზე უფრო ღვთიური, ვიდრე თვითონაა, იმიტომ რომ მას სწამს მხოლოდ თავისი თავი, როგორც აბსოლუტური ქეშმარიტება“.⁵⁾ „ჯოჯოხეთი გამოგონებულია რწმენის მიერ და არა სიყვარულის, გონების მიერ. სიყვარულისათვის ჯოჯოხეთი სისასტიკეა, გონებისათვის კი — უაზრობა“.⁶⁾

როგორც ჰხედავთ, სიყვარულის გაღმერთება ფეიერბახის მიერ უკიდურეს საზღვარს აღწევს. სიყვარული, პირველ რიგში სქესობრივი სიყვარული, ფეიერბახის სისტემაში აბსოლუტურ, უნივერსალურ ხასიათს ღებულობს. სიყვარულის გრძნობა წმინდა გრძნობად ხდება და ახალ რელიგიასა და მორალს საფუძვლად ედგება. ამ თავის აშკარად შემცდარ ღებულებას ფეიერბახი იმდენად დიდ მნიშვნელობას აძლევდა, რომ მასში „მთავლით ისტორიის გარდატეხის პუნქტს“ ხედავდა. „ადამიანისადმი სიყვარული, — სწერდა იგი „ქრისტიანობის არსების“ დასკვნითს თავში, — არ უნდა იყოს წარმოებული; იგი უნდა გახდეს პირველადი. მხოლოდ მაშინ გახდება სიყვარული ქეშმარიტ, წმინდა, საიმედო ძალად. თუ ადამიანური არსი ადამიანის უმაღლესი არსია, მაშინ პრაქტიკული სიყვარულიც ადამიანისადმი ადამიანის უმაღლესი და პირველი კანონი უნდა იყოს. „Homo homini deus est“, ასეთია უმაღ-

1) იქვე, იბ. გვ. 257 — 265.

2) იქვე.

3) იქვე.

4) იქვე, გვ. 27.

5) იქვე.

ლესი პრაქტიკული პირველსაწყისი, ასეთია მსოფლიო ისტორიის გარდატეხის პუნქტიც¹⁾.)

სიყვარულთან და მის მთავარ ფორმასთან — სქესობრივ სიყვარულთან ერთად ფეიერბახი აღმერთებს საერთოდ ადამიანთა გრძნობებს და მორალურ ურთიერთობას. ყველა ამ დამოკიდებულებას იგრწმინდა ღმერთები შარავანდედით მოსაეს. არა მარტო ყველა გრძნობადი და მორალური დამოკიდებულება, არამედ ცხოვრება ყველა თავის არსებითს დამოკიდებულებაში, ფეიერბახის აზრით, მთლიანად ღმერთები ხასიათის მატარებელია. ფეიერბახი სწერს: „ბავშვის დამოკიდებულება მშობლებისადმი, ქმრისა ცოლისადმი, ძმისა ძმისადმი, მეგობრისა მეგობრისადმი, საერთოდ ადამიანისა ადამიანისადმი, მოკლედ, მორალური, დამოკიდებულებანი თავის-თავად ქეშმარიტად რელიგიური დამოკიდებულებანი არიან. საერთოდ ცხოვრება ყველა თავის არსებითს დამოკიდებულებაში ღმერთებზე ხასიათს ატარებს.“²⁾

ამრიგად, ფეიერბახი ახდენს ღმერთის დეფენიციონის და მისი არსება მას ადამიანის არსებამდე დაპყავს. იმავე დროს კი თვითონ ადამიანთა ყველა გრძნობად, მორალურ და სხვა ძირითად სასიცოცხლო დამოკიდებულებას ფენიციონის — ბურუსში ხვევს. აქ ვლინდება სწორედ მთელი სიძლიერითა და სიცხადით მისი არათანმიმდევრობა და იდეალიზმი.

„ფეიერბახის იდეალიზმი აქ იმაში მდგომარეობს, — სწერს ენგელსი, — რომ მას ურთიერთ სიმპატიებზე დაყრდნობილი ადამიანური დამოკიდებულება, სქესობრივი სიყვარული, მეგობრობა, თანაგრძნობა, თავგანწირულება და სხვა ისე ვერ წარმოუდგენია, როგორც ყველა ეს თავის-თავად არსებობს, წარსულის მიერ ნაანდერძევი რელიგიური სისტემის გარეშე. იგი ამტკიცებს, რომ ეს დამოკიდებულება მხოლოდ მაშინ პოულობს თავის სრულ მნიშვნელობას, როცა „რელიგიის“ სახელითაა ნაკურთხი. მისთვის მთავარი მნიშვნელობა აქვს არა იმას, რომ ეს წმინდა ადამიანური დამოკიდებულებანი არსებობენ, არამედ იმას, რომ ისინი ახალ, ქეშმარიტ საარწმუნოებად იქნან აღიარებული.“³⁾

ფეიერბახის რელიგიის ფილოსოფიასთან მჭიდრო კავშირშია მისი მოძღვრება მორალის შესახებ. აქაც მთავარ პრინციპად გამოდის სიყვარული. სიყვარულმა, რომელიც ფეიერბახისათვის, ენგელსის სიტყვებით, „ყველგან და ყოველთვის ჯადოქარია, რომელმაც პრაქტიკული ცხოვრების ყველა სიძნელე უნდა გადალაზოს“, აქაც უნდა გვიხსნას გასაჭირიდან. ფეიერბახი, ქრისტიანული მორალისაგან განსხვავებით, ღმერთისადმი სიყვარულის ადგილას ადამიანისადმი სიყვარულს აყენებს. ღმერთისადმი სიყვარული ეგოისტურია, იგი გამოწვეულია სიკვდილის შიშით და მისი მიზანია თავის თავს უშველოს. „სიყვარული ღმერთისადმი, როგორც პიროვნული არსებისადმი, ატარებს არა ზნეობრივ, არამედ პირად ხასიათს“, სწერს ფეიერბახი.⁴⁾ ვისაც ღმერთი უყვარს, მას არ შეუძლია უყვარდეს ამქვეყნიური ცხოვრება და ადამიანი. მაგრამ ადამიანისადმი სიყვარულის გარეშე ადამიანი არ შეიძლება ბედნიერი იყოს.

¹⁾ იქვე გვ. 277 — 278.

²⁾ იქვე, გვ. 278.


³⁾ ე. ენგელსი: „ლუდვიგ ფეიერბახი“, გვ. 28.

⁴⁾ Л. Фейербах: „Сущность христианства“, соч. т. II, гл. 268.

განყენებული ადამიანის ბედნიერების ზოგადი პირობების აბსტრაქტულ-მა ანალიზმა ფეიერბახი მიიყვანა, და არც შეიძლებოდა არ მიტყვანა, მორალის ისეთ ბანალურ და გაცვეთილ დებულებამდე, როგორცაა: გონიერი თვითშეზღუდვა, სიყვარული მოყვასისადმი და სხვ. — შენიშნავს ენგელსი, — ამ ფილოსოფიიდან მისი რევოლუციური უკანასკნელი ნაშთი ჰქრება და მხოლოდ ძველი ჰანგი რჩება: გიყვარდეთ ერთმანეთი, გადაეხვიეთ ერთმანეთს სქესისა და წოდების განურჩევლად. ესაა თავბრუდახვევა საერთო შერიგების აზრზე.

ერთის სიტყვით, ფეიერბახის მორალის თეორიასაც იგივე მოუვიდა, რაც ყველა მის წინამორბედს. იგი ყველა დროისა, ყველა ხალხისა, ყველა მდგომარეობისათვისაა გამოჭრილი, და სწორედ ამიტომ არსად და არასოდეს არ გამოდგება.¹⁾

¹⁾ ე. ენგელსი: „ლუდვიგ ფეიერბახი“, გვ. 35.



დავით სულიაშვილი

ყ რ მ ო ბ ა *

6

ამ წერილმა ძალზე აგვაფორიაქა. ყველა იმას გაიძახოდა, რომ ჩვენც უნდა გამოვეხშაურეთ ამ ამბავს და საერთო კრება მაინც მოვიწვიოთო. ჩვენი ჯგუფის კრებაზე გადაწყდა, მიგველო მონაწილეობა რუსთა კოლონიის საერთო კრებაში და ჩვენი გეზი მიგვეცა მისთვის.

მეორე დღესვე მოეწყო ეს საერთო კრება სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლების ინიციატივით.

დარბაზი ხალხით გაივსო. სტუდენტების გარდა, მოვიდნენ ლეიბციგში მცხოვრებ რუსთა ოჯახები, ძველი რევოლუციონერები, ყოფილი ნაროდნიკები, დროებით ჩამოსული ვაჭრები და სხვები.

დარბაზში ტევა აღარ არის. მაგიდებთან ყველა სკამი დაკავებულია. ამიტომ კედლებთან დგანან, ერთმანეთს აწეებიან, წინა რიგებისკენ მიდიან, გასასვლელებს ავსებენ. დიდხანს მოუნდა თავმჯდომარე კრების დამშვიდება-დაწყნარებას. და როცა დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა, როცა თავმჯდომარემ კრების მიზანი განმარტა, რევოლუცია ახსენა და მეფის ჯარისკაცების მიერ მუშების დახვრეტა ასწერა, დარბაზში ატყდა ყვირილი და ძახილი: ძირს თვითმპყრობელობა! ძირს მეფე! გაუმარჯოს რევოლუციას! გაუმარჯოს რევოლუციას! დიდხანს, დიდხანს გუგუნებდა დარბაზი.

გამოვიდნენ სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები. ყველამ ერთხმად აღიარა, რომ დადგა ცარიზმის აღსასრული, რომ გვიმარჯვებს მუშათა კლასი და დამყარდება დემოკრატიული რესპუბლიკა.

— უნდა წაივადეთ რუსეთში, ჩვენც უნდა დავდგეთ ბარიკადებზე და მუშებთან ერთად ვიბრძოლოთ! — ყვიროდნენ აღგზნებული სტუდენტები.

— სწავლას თავი უნდა ვანებოთ, წიგნები გვერღებთ გადავდგათ, თოფები ხელში ავიღოთ და ცარიზმს შევებრძოლოთ! — ყვიროდნენ აღტაცებული ახალგაზრდები.

— გაუმარჯოს რუსეთის რევოლუციას! ძირს ცარიზმი! — გაიძახოდნენ სხვები.

და უცბად დარბაზის ჭერი შესძრა კუთხიდან მოვარდნილმა სიმღერამ:

„Отречемся от старого мира,
отряхнем его прах с наших ног...“.

*) იხ. „მნათობი“ № 2—3.

მოგარდნილი ნიაღვარივით მიაწყდება კედლებს გუგუნის ადრეველი ხმებისა.

შორს რუსეთში, მრავალ ათას კილომეტრს იქით ბარიკადებზე იბრძვიან მუშები, იღვრება სისხლი... იღვიძებს დაბედშავეებულნი მსოფლიო ხალხი. აქ-კი დაგუბებული ბოლშევიკი და გესლი, შურისძიების წყურვილი და ბრძოლის ტინი აღფრთოვანებით ეგებება იმ წარმტაც დღეებს, როცა დაეცემა მონობის უღელი და გაიმარჯვებს მუშათა კლასი...

აწეული ხმები მაღალ ჰერს მიაწვებიან, დარბაზს შეაზანზარებენ და მერე ისევ ძირს დაეშვებიან, თითქოს მოიქანცნენ, დაილაღნენო.

ახლა წინა რიგებიდან წამოდგება ერთი და აღელვებული ხმით შესძახებს: ამხანაგებო და მოქალაქენო! ბრძოლის ველზე უკვე მრავალი დაეცა რევოლუციონერი და მუშა, უამრავ მებრძოლს აღმოხდა სული. ისინი ვეღარ იხილავენ რევოლუციის გამარჯვებას, ისინი ვეღარ იღვსასწაულებენ ბრწყინვალე დღეებს, ვეღარ დასტკბებიან მომავალი ცხოვრებით. საუკუნო იყოს ხსენება მათი! დიდება და პატივი დაღუპულ ამხანაგებს...

მთელი დარბაზი ფეხზე დგება. სიჩუმე ჩამოვარდება. დუმილია და ამ დუმილში ნელა, შეშარავი, ტყეში აედურტულებული ნაკადივით, ჯერ წყნარად, მერე თანდათან მძლავრად, უფრო გაბედულად დარბაზს მოედინებიან ათრთოლებული ხმები ახალგაზრდებისა:

Вы жертвою пали в борьбе роковой,
в любви беззаветной к народу....

ძარღვები დაჭიმულია, კუნთები თრთიან, თვალები საღდაც შორს იცქირებიან. დარბაზს გუგუნის გააქვს. ხმები ზშირად ერთმანეთს წინ უსწრებენ, მერე ისევ შეერთდებიან და რაკი ერთ კალაპოტს მოსძებნიან, მწყობრად და გრიალით ზანზარებენ:

порой изнывали по тюрьмам сырым,—
იძახის ტენორი.

враги палачи изрекали порой,—
შოსტეკვამს ბარიტონი.

и шли вы грешя кандалами,—
გუგუნებს ბანი.

და სიმღერის ამ თრთოლაში, ამ ერთი წერტილისკენ მისწრაფებულ თვალებში, გაფითრებულ ტუჩებში თითქო ისახებოდა მთელი სინამდვილე რუსეთის ცხოვრებისა. ისახებოდნენ ციხის ნესტიანი კედლები, ზუნდები, დარკინული ფანჯრები, ტუნდრები, ციმბირი, ბოჩკილიანი, ტუსაღური დეკატორული ცხოვრება ტანჯულ რევოლუციონერებისა...

ბოლშევიკი და ბრახი, გესლი და შურისძიების წყურვილი, ქადილი და შეკავებული ძალა, — ყოველივე ეს ნაკადად გადმოდიოდა სიმღერის საერთო გუგუნში და გვამთრთოლებდა, საბრძოლველად გვიწვევდა.

იმ ღამესვე შესდგა სია იმათი, ვინც იმ კვირაშივე გაემგზავრებოდა რუსეთს რევოლუციაში მონაწილეობის მისაღებად. მკერველთა რიცხვი რამდენიმე ათეულს გადასცდა.

გამგზავრებისთვის საჭირო იყო ფული. მაშინვე ჩამოატარეს ხელმოსაწერი ქაღალდი და შემოწირულება ისე დიდი აღმოჩნდა, რომ მთელი დარბაზი განცვიფრებული დარჩა, რადგან თანხა რამდენიმე ათას ფრანკს გადაწვარბა.

ჩვენი ჯგუფიდან თითქმის ყველამ გადასწყვიტა რუსეთში დაბრუნება. პირველ რიგში მე და მიხეილ დავითაშვილი მოვდიოდით.

ქენევიდან მალე მივიღეთ გამოცხადების ქალაქი (ЛВКА), და მეორე დღეს მე, მიხეილ დავითაშვილი და გურგენიძე უკვე ვაღრუხებდეთ ბარგს, ვეთხოვებოდით ამხანაგებს.

წასვლის წინ მიხეილ დავითაშვილთან შევიარე. ბარგი ჩალაგებულ ჰქონდა. ერთ ახალგაზრდას ცხარედ ელაპარაკებოდა.

— არ იცნობ? — შემეკითხა დავითაშვილი.

— არა.

— როგორ არ იცნობ?

— არა მქონია შემთხვევა.

— უნდა იცნობდე, შაუმიანი.

— თ-ო, — და ჩვენ ერთმანეთს ხელი გავუწოდეთ. შორიდან ვიცნობდი. ვიცოდი, რომ ბერლინში სწავლობდა. ახლა აქ, ალბათ, გამოვლით მოსულა, — გავიფაქრე.

ეუყურებდი და მიკვირდა, — სომეხი ამხანაგები თითქმის ყველა შავ-გვრემანი მენახა, ჩემი ნაცნობ-მეგობრებიც შავგვრემანები იყვნენ. ეს კი ქერა და ცისდერთვალეა იყო, წაბლისფერი თმა ჰქონდა. მთელი სახე უღიმის, თეთრი წვრილი კბილები ელვარებენ და თვალები ციმციმებენ.

ადამიანს რომ თვალეში შეხედავ, თითქო გასაღები ხელში გიჭირავს, რათა გაიგო მისი ზრახვები, სულისკვეთება, იცნო მისი გული. გინახავთ კრიალა ცა, მზის ამოსვლისას ლურჯი ფერი რომ თეთრდება? ასეთი იყო მისი თვალები. ისეთი მიშხიდეული, მომხიბვლელი, რომ გინდათ მუდამ გეცქირათ, მინდობოდით მას.

— მაშ, მოდიხართ? თქვენც მოდიხართ? — ეკითხება დავითაშვილს.

* — ეს ამხანაგიც, ჩვენ ხვალვე წავალთ, ალბათ.

— მე კი ვერა, ერთი კვირის შემდეგ მხოლოდ, — ამბობს შაუმიანი, — ჯერ კიდევ ბერლინის ჯგუფის საქმეები უნდა მოვაგვარო.

შაუმიანი ერთი თავისი მეგობრის სანახავად ჩამოსულიყო ლეიპციგში და იმ დღესვე ბრუნდებოდა ბერლინში.

ლაპარაკი ჩამოვარდა საქართველოში მომუშავე ამხანაგებზე. ვიგონებდით საერთო ნაცნობებს, ამხანაგებს, მუშებს, თბილისს.

— ხომ არ იცი, სად არის ახლა იოსები?

— თბილისშია, გადასახლებიდან გამოიქცა და ახლა თბილისშია.

— წერილი ხომ არ მოგდით მისგან?

— როგორ არა, — და ვუამბეთ მისგან მიღებული წერილი, ლენინს რომ გადავუგზავნეთ, ხოლო მისი — იოსებს.

— დაუნდობლად ებრძვის, ალბათ, მენშევიკებს. კამათი ჯერ კიდევ მასებში არ გადასულა. მენშევიკები ძალიან უმაღავენ მუშებს განხეთქილებას.

— რასაკვირველია. ეშინიანთ. ისინი რომ სინამდვილეს გაიგებენ, ყველა ჩვენსკენ წამოვა, — ამბობს მიხა დავითაშვილი.

— იქ, სადაც იოსებია, როგორ იბოგინებენ მენშევიკები! — ჩაფურთე მე. შაუმიანი იღიმება. მას თხელი ნესტოები აქვს და ზევითა ტუჩზე ფაფუკი ქერა უღვავები.

როცა პარტიულ ამხანაგს პირველად ვეცნობოდი, მუდამ მიხაროდა,

თითქო რწმენა ღვივდებოდა გულში, ძლიერდებოდა ბრძოლის წყურვილი და გამარჯვების იმედი. შაუმიანი და დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. მომხიბვლელი და მიმზიდველი იყო ის აღამიანი.

ჩვენი საუბარი დიდხანს არ გაგრძელებულა. ვილაპარაკე მხოლოდ რევოლუციაზე, მენშევიკებთან ბრძოლაზე და საქართველოს სსრკ-ს შესახებ. როცა შაუმიანი გამოგვემშვიდობა, დავითაშვილს შევეკითხე, თუ სად და როდის გაიცნო მან იგი.

— ხომ მოგეწონა? კაი ბიჭი.

— ერთი ათიოდე რომ გეყავდეს მაგისთანა, ჩვენი საქმე წინ იქნებოდა.

— ახლა, რა ჰქვნი შენ? ბარგი ჩაალაგე? — შემეკითხა დავითაშვილი.

— ცოტა-ღა დამარჩა.

— წადი, ჩაალაგე და მიცადე. ყველაფერს გავიგებ ჩვენი წასვლის შესახებ, გამოვივლი და გეტყვი.

და მახსოვს, ჩალაგებულ ბარგთან რომ ვიჯექი დავითაშვილის მოლოდინში, ჩემს ოთახს გავხედე და რატომღაც სევდა მომაწვა, გაურკვეველი და მიიმე სევდა. არ ვიცი, ცრემლი გადმომცვივდა თუ არა, მაგრამ დიდხანს გაშტერებული შევცქეროდი ერთ წერტილს ცრემლმორეული თვალებით. კორიანტელით აფარდნილი ფიქრები შემომესია და ველარ გამერკვია, რომელი უფრო მძლავრად შესძრავდა ჩემს არსებას.

წელიწადნახევარი გავიდა, რაც საქართველოდან რევოლუციის გული-სათვის და მისი გამარჯვებისათვის ლეიპციგში წამოვედი, რომ მარქსისტული მოძღვრება შენესწავლა. ახლა იმავე რევოლუციისთვის ვბრუნდები უკან. და მერე? რა შევისწავლე? რა გავაკეთე ამ ხნის განმავლობაში? არაფერი, სრულიად არაფერი. ხომ არ შემიძენია ცოდნა? ახალ რამეს ვეტყვი მუშას? ან ცხოვრებაში მოვიბოვებ რაიმე ადგილს, თუ ისევე გარიყული დაერჩები? არც ლექციებზე მივლია, ამასაც ჩამოვრჩი. რახ ვეტყვი მამა-ჩემს?

„რევოლუცია, რევოლუცია! ბაიკადები! წითელი დროშა!“ — მიტრიალებს ერთი ფიქრი თავში: — „რევოლუციის გამარჯვება შენი გამარჯვებაა!“ — დაეინებით ჩამძახიან იგივე ფიქრები.

მერე? თჯახური მოვალეობა? რა უნდა ვუთხრა მამა-ჩემს, რომელსაც ჩემი პატარა და-ძმების გამოზრდაში დახმარებას დავბირდი? რა უნდა ვუთხრა?

„რევოლუცია! რევოლუცია! — კვლავ გაიძახის ფიქრი: — ბირადი ცხოვრების დათმობა. საკაცობრიო იდეალისთვის ბრძოლა, — აი შენი მოვალეობა!“

„სწავლა? უნივერსიტეტი? დავბრუნდები კიდევ როდისმე ლეიპციგში? გავაგრძელებ სწავლას? თუ გათავდა აქ ყოფნა? დამარჩა ისევე ეანდარმულ რუსეთში ცხოვრება? ისევე თვითმპყრობელობა? ისევე მამი-ჩემის საყვედური და უილაჯობა?“

„რევოლუცია, რევოლუცია!“ — ზუზუნებს ფიქრი თავში. — „მერე იქნებ გაბზარული გობის წინაშე დაერჩე, მაშინ?“

ტკივილს გრძნობდა გული, კენესოდა სული...

ფანჯრიდან გავცქეროდი ევრობულ ქალაქს, ვცილდებოდი კულტურულ მხარეს და რუსეთში ვბრუნდებოდი. ტოკავდა სხეული...

თვალს ვავლებდი ჩემს სუფთად მოწყობილ ოთახს. კიგონებდი გატარე-

ბულ თავისუფალ დღეებს, უზრუნველობას, ახალგაზრდული გიტაცებით და აღფრთოვანებით განვლილ რევოლუციურ ცხოვრებას. გემშვიდობებოდით ყოველივე ამას და რუსეთში მივდიოდით...

„რევოლუცია! რევოლუცია! — გაირბენს ფიჭრი თავში ჩემს მშობლებს წითელი დროშა, ბარიკადები, გამარჯვების ყიფინა, ცარიზმის დასასრული, რესპუბლიკა, სოციალიზმი“... და მივისწრაფვოდი რევოლუციისაკენ.

სადგურზე მრავლად შეგროვდნენ გამცილებლები. აგერ მალინოვსკი თავისი ჩანთით. ის ჯერ კიდევ არ მოდის. მის გვერდით ცისფერთვალეა გოგონა დგას. სწორედ ის ვისი სურათიც მაგიდაზე იღო. ახლახან ჩამოვიდა რუსეთიდან და, ალბათ, ორივე ერთად მალე მიატოვებენ ლეიპციგს, რომ რუსეთის რევოლუციას დაეხმარონ...

აგერ პიტი. ისიც მალე აპირებს წამოსვლას. ძალიან უხარია რუსეთში რევოლუციის დაწყება. აგერ ქართველები: იცა რიენაშვილი, გერონტი ქიქოძე და სხვები. ისინიც ორ-სამ დღეში მოემზადებიან და ჩამოვლენ თბილისში.

— მშვიდობით, მშვიდობით! მალე თავისუფალ რუსეთში კვლავ შევხვდებით ერთმანეთს, — იძახიან გამცილებლები.

მატარებელი დაიძვრის და, — გაუმარჯოს რუსეთის რევოლუციას! გაუმარჯოს სოციალიზმს! — გაისმის შეძახილი გამცილებლებისა. უცბად მოწყვეტილი ვაგონები ტაკა-ტუკით გაპყვებიან მძიმე რელსებს. გამცილებელთა ფრიალა თეთრი ცხვირსახოცები მალე გვეცილდებიან თვალთაგან...

მატარებელი მიჰქრის და რუსეთის საზღვარს გვაახლოვებს. მალე დავტოვებთ ევროპას და შევალთ რევოლუციურ რუსეთში.

როგორ განვითარდება რუსეთის რევოლუცია და როგორ დამთავრდება იგი? გრძელდება თუ არა ბარიკადული ბრძოლა პეტერბურგში და რუსეთის სხვა ქალაქებში?

უკანასკნელი ცნობებით პეტერბურგის ამბებმა რუსეთის ყველა ქალაქში ჰპოეს გამოხმაურება და ყველგან მოეწყო დემონსტრაციები.

ჩვენც ველოდით: შევიდოდით თუ არა რუსეთში, მაშინვე ბარიკადულ ბრძოლებში ჩავერეოდით. გვიტაცებდა სამოქალაქო ომი, გვაფრთოვანებდა ბარიკადული ბრძოლა. მბრწყინავე თვალებით შევცქეროდით რევოლუციის გამარჯვებას.

გამოვცდით საზღვარს. ჩამოვედით ალექსანდროვის სადგურზე, რუსეთის პირველ ქალაქში და — პირველი ვინც ჩვენ იქ დავხვდეთ, იყო თვითმპყრობელობის ფანდარიმი. „ასეა ჯერ აქ. იქ კი, შუაგულ რუსეთში, სულ სხვა იქნება“, — გავიფიქრეთ ჩვენ.

გავგჩხრიკეს, პასპორტები გავვისინჯეს და გავვიშვეს.

მთელი ვარშავაში. იქ ერთი სადგურიდან მეორე სადგურზე უნდა გადავიდეთ და თითქმის მთელი ქალაქი უნდა გვადევქრათ. გვაკვირვებს სიწყინარე ქუჩებში. არც ხმაური და არც ჩვეულებრივი მიმოსვლა. გავივლით დიდ ქუჩებს და ვხედავთ მალაზიების დაკეტილ დარაბებს. ვაკვირდებით და თვალებს არა სჯერათ ნახული: დარაბაზე ჩამოკიდებულია ხატი. კიდევ შევხვდებით მეორე მალაზიას და იქაც ხატი. ეს გარემოება გვანცვიფრებს.

ვიკითხეთ და გავიგეთ: წინა დღეს მუშებს დემონსტრაცია მოუხდენიათ. ხოლო ხელისუფლების წარმომადგენლებს გადაუწყვეტიათ არ ჩამოაჩინენ

მუშებს და განუზრახავთ ებრაელების დარბევა. ამიტომ ქრისტიანი ებრაელები თავიანთ მალაზიებს ხატებით რთავენ, რათა დარბევას დროს გაარჩიონ ებრაელის დუქანი ქრისტიანის დუქნისაგან.

რაც უფრო შიგნით შევდივართ რუსეთში, მით უფრო მეტად მხანგრძობი ცხოვრება გვხვდება თავისი ნელი და წყნარი მსვლელობით. თითქმის აღარაფერი ისმის პეტერბურგში მუშების გამოსვლის შესახებ, თითქო არც არაფერი მომხდარიყვეს.

არ გამართლდა ჩვენი წარმოდგენა, რომ ბარკადებ-აღმართულ ქალაქებს ვაევილიდით...

7

თბილისი! ავკალის ქუჩაზე ისევ „კონკა“ დადის. ჩამომხმარი ცხენები ძლივს მიათრევენ პატარა გორგოლებზე შემდგარ ღია ვაგონს. მეეტლე ცალი ხელით თოკზე ჩამოკიდებულ პატარა ზარს აწკრიალებს, მეორეთი სადავე უჭირავს და ცხენებს მიერეკება. მგზაურები გზადაგზა შეახტებიან მჩატე ვაგონს. აგერ ლიანდაგის პირად თავდახურული ქალი დგას და ხელის ქნევით გაიძახის: „კონკა, დააყე! დააყე!“. მეეტლე მოთახლოვდება თუ არა, სადავეს მოსწევს, ვაგონს მუხრუჭს მოუჭერს და დააყენებს. თავდახურული მოხუცი ვაჭირვებით აღის მაღალსაფეხურიან ვაგონში. ვაგონი ისევ დაიძვრის და დინჯად გაჰყვება მიძინებულ ქუჩას.

მიუჭრებულ შესახვევში მიწების ჩამსმელი ხრინწიანი ხმით გაიძახის: „სტაეიტ სტიოკლა! სტაეიტ სტიოკლა!“ მეორე მხრიდან პატარა ბიჭის წკრიალა ხმა ისარივით შეიჭრება სივრცეში და გარემოს ეფინება: „სამოვრის მიწა! სამოვარნი პიისოკ!“ აგერ კიდევ განიერშარვლიანი და მოკლეაბალუნიანი კინტო თავზე თაბახით. ტანის რბევით მიჰყვება იგი ფილაქანს და ბოხი ხმით გაიძახის: „რეზინი გუსეი! გუსეი! დაკლული ბატები, ბატები!“

აგერ სამიციტრო სარდაფიდან ულვაშის გრეხით ამოდის „გოროდოვოი“. ერთი თბლაშა არაყი დაალევინა ვილაცამ და ახლა სადარაჯოზე მიდის თავისი ხმლით და ქამარზე ჩამოკიდებულ რევოლვერით.

თბილისში ჩამოსვლა არ გამეხარა. იქით, სადაღაც შორს, დამრჩა ჩემთვის მიმზიდველი ევროპული ქალაქი. თბილისის მტერიან ქუჩაზე მივდივარ და შენობებს რომ შევხედავ, მეუცნაურება, თითქო ხანძრისაგან გადაშვქარან. დაბალი, ორსართულიანი სახლები საცოდავად გამოიყურებიან...

დიღუბის ქუჩაზე რომ გავიარეთ, ბავშვები ჯარისკაცებივით დამწკრივებულნიყვენ, ჯოხები მხრებზე გაედოთ, სამხედრო სიარულით მიდიოდნენ. სალათობანას თამაშობდნენ და მღეროდნენ:

ура, ура, ура,
ура, ура, ура,
да здравствует император
Никола втора!

თბილისის ცხოვრება, კვლავინდებურად თვითმპყრობელური სუნით გაედნთილი, ისევ ძველი გზით მიემართებოდა. გარეგნულად არაფერი ცვლილება, არაფერი ძვრა არ მომხდარიყო.

ენევიდან მოცემული პარტიული გამოცხადების (явка) მისამართით დანიშნულ ქუჩისაკენ გავწიეთ. კონსპირატიულ ბინაში დავითაშვილი შევ-

გზავნეთ, ჩვენ კი გარეთ მოვიცადეთ. გვეგონა მიგვიზომოდნენ და იოსებ-საც იქ ვნახავდით. მაგრამ მიხა დავითაშვილი ისევ მალე დაბრუნდა და მოღუშული სახით გვითხრა:

- ვერა ვნახე იოსები... რა ძალიან მინდოდა მისი ნახვა, **კონსტანტინე**
- სულ ვერავეინ ნახე? — შევეკითხეთ. **გიგლაძისძე**
- როგორ არა, მიხა ცხაკაია იყო იქ.
- მერე რა გითხრა?

— დღეს იოსები ვერ მოიცლის თქვენ სანახავად, ბევრი საქმეები აქვსო. ხვალ კი კავკასიის კავშირის ბიუროს სხდომაზე იქნება. თქვენი ჩამოსვლის ამბავს ვეტყვი. თქვენც მოდით იქ და იმასაც ინახულებთო...

— მოვიცადოთ ხვალამდის.

მიხა ცხაკაიაზე წინადაც ბევრი რამ მჭონდა გაგონილი და მისი პატივისცემელიც ვიყავი. მინდოდა დავითაშვილის აზრი გამეგო მის შესახებ და შევეკითხე:

- მიხა ცხაკაიას უწინაც იცნობდი?
- როგორ არა, — მიპასუხა.

მიედიოდით გოლოვინის პროსპექტით. გზაში ვხედებოდით ძველ ნაცნობებს, ამხანაგებს. ხელს ვართმევდით მათ, მცირე ხანს ვჩერდებოდით, ვბასობდით და ისევ ჩვენი გზით მივემართებოდით.

მეორე დღეს გავიარეთ სოლოლაკის ქუჩები და ნარიყალას ფერდობზე გადმომდგარ ერთ დაბალჭერიან სახლში შევედით. იქ იყო დანიშნული კავკასიის ბოლშევიკური ბიუროს წევრების სხდომა. უკვე იქ იყვნენ მიხა ცხაკაია, მიხა ბოჭორიშვილი, ერთი სომეხი ამხანაგი და ერთი რუსი. იოსებს ელოდნენ.

გავიციანთ ერთმანეთი და მალე ერთმანეთს ვამცნეთ ჩვენ საზღვარგარეთის ამბები, იმათ — აღგალობრივი. გავიგეთ, რომ მენშევიკებთან მასობრივი ბრძოლა თბილისში მხოლოდ ახლა დაწყებულა, რომ ზოგი პარტიული მომუშავე ინტელიგენტი და ლეგალური მარქსისტ-თეორეტიკოსი მენშევიკებისკენ გადასულა. აგტორიტეტით გაბრუებული ზოგი მუშაც მათ გაჰყოლია. ახლა ბოლშევიკების კავკასიის ბიუროსა და თბილისის კომიტეტს შორის, სადაც უმრავლესობა მენშევიკების მხარეზე აღმოჩნდა, გამწვავებული ბრძოლაა. ხოლო პარტიული უმაღლესი ორგანოების დადგენილების თანახმად, კავკასიის ბიუროს ნება ეძლეოდა დაეძალა თბილისის კომიტეტი.

ვისმენდი ამ ამბებს და ვფიქრობდი, სად არის ის რევოლუცია, ჩვენ რომ ასე აგვატორტიმანა, სწავლას თავი მიგვანებებინა და რევოლუციურ რუსეთში გამოგვეზავნა? ბარეკადების მოლოდინში ვიყავით, გვინდოდა წითელი დროშა ქუჩებში აგვეფრიალებინა, პროლეტარიატის ერთობლივი ბრძოლით თვითმპყრობელობა ძირს დაგვეცა და სოციალიზმი დაგვემყარებინა. ამის ნაცვლად-კი პარტიული განხეთქილების საკითხები დაგვიხვდა...

კარი გაიღო და ოთახში იოსები შემოვიდა.

— თო! გამარჯობათ თქვენი, გამარჯობათ! — და მიხა დავითაშვილს გადაეხვია. ჩვენ ხელი ჩამოგვართვა და მოგვიკითხა.

— სხვა, დროხინა, რას შერებ? როგორა ხარ? (ახლო ამხანაგები დავითაშვილს დროხინას ეძახდნენ).

დავითაშვილი იცინის და გაბრწყინებული თვალებით შეჰყურებს იოსებს. ის კი სამივეს ჩამოგვივლის და მხრებზე ხელს დაგვიორთქვამს.

— ჰოი, თქვენი დღენი კი არ იყვეს! აბა თქვენ იცნობთ კომუნისტურ დასაცემბთ მენშევიკებს! ძალიან გვაკლია მომუშავენი! — გეგმავთ მუშაობას.

— ჩვენ კი უფრო რევოლუციისთვის ჩამოვედით! — ამბობს მიხა დავითაშვილი.

— მოიცა, არც ის არის შორს, კისკარზე არის მომდგარი, — სთქვა იოსებმა.

იოსები გამბდარია. წვერულვაში გაუპარსავი აქვს და დაღლილობისგან თვალები სიღრმეში წასული. შუბლზე გადმოფენილ შავ თმას ხშირად თითებს შეუყარის და უკან გადასწევს. თვალები უბზინავენ. რომ გაიღიმებს, მიმზიდველი ხდება. შავ ხალათზე პიჯაკი აცვია, რომლის გრძელი ტოტებიც მუხლებზე ეფინება. ჩვენ ისევ ვახამებულ საყელოსა და სამაჯურებში ვართ გამოწყობილნი. მიხა დავითაშვილს ქალსტუხი აღარ უჭერს და სამაჯურებსაც შეეჩვია.

— რა ჰქენი, ბიჭო, მიხა, ინახულე ლენინი? — ეკითხება დავითაშვილს. როცა უარყოფითი პასუხი მიიღო, თითქო ძალიან საწყენი რამე უთხრესო, გაჯავრდა.

— როგორ მოგივიდა, შე უშნოვ, შენა?!

— ვთხოვეთ ლეიბციგში ჩამოსულიყო რეფერატისთვის, მაგრამ მოუცლულობის გამო ვერ ჩამოვიდა... შენ ხომ მიიღე მისი წერილი?

— მივიღე მაშ. მოიცა, მაგაზე შემდეგ, ახლა-კი სხდომა გავხსნათ.

მიხა ცხაკაია, როგორც უხნესი, სხდომას გახსნილად აცხადებს. უბიდან ნაქერ ქალაღდა და ფანქარს ამოიღებს, ცხვირზე ჩამოწეულ პენსნეს გაისწორებს და პირველ სიტყვას მიხა დავითაშვილს მისცემს ინფორმაციისათვის.

მიხა დავითაშვილმა ილაპარაკა პეტერბურგის მუშების გამოსვლაზე და იმ შთაბეჭდილებაზე, როგორც მან საზღვარგარეთ მოახდინა. შემდეგ ილაპარაკა პარტიულ განხეთქილებაზე, ცენტრის მიერ მიღებულ ზომების შესახებ და ცენტრალურ ორგანოზე. მიხა ცხაკაიამ რამდენიმე შეკითხვა მისცა ლენინზე და ახალ ცენტრალურ ორგანოში შემავალ ამხანაგებზე. ლაპარაკის დროს ის ხშირად ისწორებდა პენსნეს, რომელიც მისი ცხვირიდან მკლიმალ ეშვებოდა. ფანქარს ხელიდან არ უშვებდა. ცარიელ ფურცელ ქალაღზე სწერდა და შლიდა დაწერილს. მისი ჭროლა მსხვილი თვალები ხშირ წარბების ქვეშ ცოცხლად გამოიყურებოდნენ. მაღალ და განიერ შუბლს ზევით მის მრგვალ თავს თხლად ეფინებოდა წაბლისფერი თმა. ნიკაას ბუჩქად გადმომდგარი წვერი უმშვენებდა.

დავითაშვილის მოხსენების შემდეგ ილაპარაკეს სხვებმაც. სულ ბოლოს ილაპარაკა იოსებმა. მთელი ყურადღება იმან მიიპყრო. ის ლაპარაკობდა მოახლოებულ რევოლუციაზე, მუშების დარაზმვაზე, თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის მომავალ მუშაობაზე და მენშევიკებთან დაუნდობელ ბრძოლაზე.

ლაპარაკობდა მოკლე ფრაზებით. ერთი დებულება მოსდევდა მეორეს ლოგიკური მსვლელობით. გიმტკიცებდა, გაჯერებდა და თან დასძინდა: ეს თუ ასეა, დაუნდობლად უნდა ვებრძოლოთ, უნდა მოვსპოთ მენშევიკები.

როცა ის ლაპარაკობდა, წელში იხრებოდა, მარცხენა ხელით მაგიდას

ეყრდნობოდა, ხოლო მარჯვენას ხან მუშტად ნოკუმშულს, ხან გაშლილს ასწევდა და დასწევდა. ცოტა ხნით შესდგებოდა, გადმოგვხედდა, აზრებს მოიკრებდა, დებულებას მოკლე ფრაზით მოსჭრიდა და კვლავ მის განმტკიცებას და დამაჯერებლობას გვიხაზავდა...

მისი სიტყვის შემდეგ სხდომა დამთავრდა.

ამ კრებაზე ჩვენ დაგვევალა ძველ ნაცნობ მუშებთან კავშირის აღდგენა და მათ შორის ბოლშევიკური პროპაგანდის გაწევა.

ნოსების ლაპარაკით აღფრთოვანებულნი ჩვენ წავედით ძველ ჩვენს ნაცნობ მუშებთან. იმ კვირაში რვა კაცისაგან შემდგარი წრე მოვაწყვე და ორი-ოლე სხდომის შემდეგ ყველა გავაბოლშევიკე.

ბრძოლა ისე განწყავდა, რომ ერთმანეთს აღარ ვინდობდით.

კავკასიის კავშირის კომიტეტმა თბილისის კომიტეტს გაუგზავნა წერილი და მოსთხოვა, პარტიული არალეგალური სტამბა კავშირისათვის გადაეცა. თბილისის კომიტეტმა ეს მოთხოვნა არ შეასრულა. მაშინ კავშირმა თბილისის კომიტეტი დამალა, მისი ქონება და სტამბა კავშირის კუთვნილებად გამოაცხადა.

შემშვეიებმა ღმაგოგოური განგაში ასტეხეს. საყთხი ფართო მასებში გადაიტანეს. ნაძალადეგში კრებაც მიიწვიეს.

ნოსები თბილისიდან ქიათურაში იყო წასული. ამ კრებაზე მიხა ცხაკაია, ბოკორიშვილი, დავითაშვილი, მე და სხვები წავედით. ჩვენ მოწინავე მუშებსაც შევატყობინეთ.

გადავიარეთ რკინიგზის მაღალი ვიწრო ხიდი, გადავჭერთ ორიოდ ოღრო-ჩოღროიანი ქუჩა და შესახვევი. პატარა ეზოში შევედით და დაბალჭერიან სახლის კარების წინ დავდექით. დარაბებით დაკეტილ ფანჯრებიდან მკრთალი სინათლე გამოსჭვიოდა. ოთახის კარი გავაღეთ და შიგ შევედით. პაპიროსის ბოლისაგან დაბურული და დაბუთული პაერი გარედან შემოვარდნილ ცივ პაერს დაეჯახა. კვამლის თეთრი ზოლი ქარისაგან აბნეული ღრუბელივით კარის ბჭისაკენ გაეშურა.

ოთახი საესე იყო მოსულლებით. შუაში პატარა მაგიდა იდგა, თეთრი სუფრით გადაფარებული. ზედ პატარა ლამფა ისე ბეჭუტავდა, როგორც ნისლიან ღამეში შორეული ვარსკვლავი. ამ ნისლით ნოკული ოთახის სივრცეში მოსჩანდნენ მუშების დაღლილი, გაუპარსავი სახეები. ერთ მხარეს სკამებზე ისხდნენ, ხოლო მეორე მხარეს კედელთან ფეხზე იდგნენ და ერთმანეთს ეკამათებოდნენ. ვაისმოდა: „ეგ არ არის მართალი!“ „მერე, როგორ შეიძლება კომიტეტის დაშლა ოცდაოთხ საათში?“ „აბა, უნდა იყვეს თუ არა დისციპლინა პარტიაში?“ „აღარ არის ერთი პარტია, ზომ გაიგეთ!“ „პო-და უნდა დავმორდეთ ერთმანეთს, უნდა დავმორდეთ!“ „თქვენთან ყოფნა როგორ შეიძლება! თქვენ ოპორტუნისტები ხართ, ლიბერალების მაჩანჩალები!“ „თქვენ კიდევ ბლანკისტები, უშუერპატორები!“

და გუშინდელი ამხანაგები ახლა ერთმანეთს მტრად გადაჰკიდებოდნენ, იგინებოდნენ, ილანძლებოდნენ. გაწითლებული და ბრაზმორეული თვალებით შესცქეროდნენ ერთმანეთს, თითქო არ ყოფილიყოს მათ შორის ამხანაგური დამოკიდებულება, ერთი საქმისთვის თავდადებული მუშაობა და თავგანწირვა. კედელი, მაღალი, ქვიტკირის კედელი ამართულიყო მათ შორის, — ერთ მხარეს მილოლაედნენ მენშევიკები, მეორე მხარეს — ვი გაბრ-

წყინებულ თვალებით, აჩქარებული, ბრძოლისთვის გამზადებული გულით მიემართებოდნენ ბოლშევიკები.

კრების გახსნის მოლოდინში ოთახში იდგა ჩოჩოლი, ხმამაღალ ლაპარაკი, გადახილი. მენშევიკებს ბლომათ მოეკრიბათ თავანთი მხარე მუშები, ერთმანეთს ღიმილით გასცქეროდნენ და გამარჯვებულად მსჯობდნენ. ბოლშევიკების მხარეს შეგნებული, მოწინავე მუშები იდგნენ და დინჯად, თავდაპირილად საუბრობდნენ ერთმანეთში.

დავითაშვილი ვიდაც უცხო ქერა ქალიშვილს ელაპარაკებოდა, რომელიც ყველას ყურადღებას იქცევდა. სჩანდა, რუსეთიდან უნდა ყოფილიყო ჩამოსული და უსათუოდ ბოლშევიკების მომხრე. დავითაშვილმა ჩემზე რაღაც უთხრა. მანაც შემომხედდა სწორედ იმ დროს, როცა მე იქითკენ ვიციქირებოდი. ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ და მე რატომღაც გავწითლდი და რომ გავწითლდი, შემრცხვა. უცბათ მოვბრუნდი და ამხანაგს დავუწყე ლაპარაკი...

ოთახი ისე გაივსო მოსულებით, რომ გავლა აღარ შეიძლებოდა. პაპიროსის ბოლისაგან შეხუთული ჰაერი სულისთქმას აძნელებდა.

მაგრამ რატომ კრებას არა ხსნიან? ვილას უცდიან? ფეხზე დგომით დავიღალენით. თვითეულ სკამზე ორ-ორი ზის. ინტერესი კრებისადმი ძლიერია.

მეორე ოთახიდან კარი გაიღო. ახლო მდგომნი შეჩოჩოლდნენ. მოსულებს გზა მისცეს. წინ მოდიოდა ქალარაშერეული, რომელსაც მოწიწებით გზას აძლევდნენ. ორი ახალგაზრდა ხანშიშესულს გვერდში მოსდევდა. მაგიდასთან მსხდომნი წამოდგნენ და სკამები დაუთმეს მათ. ქალარაშერეული შუაში დაჯდა. ერთმა ახალგაზრდამ მაგიდაზე მდგარ ლამბაქს ფანქარი მიარტყა, კრებას სიჩუმე მოსთხოვა და განაცხადა:

— ამხანაგებო! კრებას გახსნილად ვაცხადებ. თავმჯდომარედ ამხანაგ ანდრიას ვასახელებ, — და შუაში მჯდარ ქალარაშერეულზე მიუთითა.

— იყოს ანდრია, იყოს! — შესძახა მრავალმა ხმამ: — ანდრია, ანდრია! — მეორედებოდა შეძახილი.

— მერე, ვინ არის ანდრია, ვინ? — ჩურჩულით კითხულობდნენ მუშები.

— ნოეა, ჯაცო, ნოე!

— ნოე ყორღანია?

— ჰო, ნოე ყორღანია, აბა!

მენშევიკების მთელი ძალა აქ ყოფილა. ის ახალგაზრდა, შავ წვერსა და ულვაშში რომაა გახვეული, ისიც ნოეა. მეორედ. სამი ნოე მოსულა დღეს აქ, რომ იბრძოლონ ბოლშევიკებთან. ჩვენი რომ არა გვყავს აქ ჩვენი ბელადი? — გავეფიქრე გულში.

— ბიჭო კოტე, ჰხედავ, ნოე ყორღანია მენშევიკებისკენ ყოფილა! — ეუბნება ერთი მუშა მეორეს.

— მერე?

— მერე ის, რომ როგორ ვუღალატოთ მას!

მესმის ჩურჩულით ლაპარაკი მუშებისა.

თავმჯდომარე დღის წესრიგს აცხადებს:

— ერთი მთავარი საკითხია გასარჩევი, — ამბობს ის: — ეს არის კავშირის კომიტეტის წერილი თბილისის კომიტეტისადმი.

ბოლშევიკები პრეტესტს აცხადებენ: მათ უნდათ ვრცელი მოხსენება

გაუკეთონ კრებას ყრილობაზე მომხდარ განხეთქილებაზე და მუშებს უჩვენონ მენშევიკების ოპორტუნისტული მიდრეკილება. მაგრამ მენშევიკებს დემაგოგიური საშუალებით გააქვეთ თავმჯდომარის მიერ შემოტანილი წესრიგი და ქორდანაიაც ლაპარაკობს ამ წერილის ბრძანებულთა შესახებ.

გ ი გ ლ ი ი მ ი ა

ის დინჯად ლაპარაკობდა. ხშირად რომელიმე სიტყვის წარმოთქმის დროს წაიბორძიებდა, ენა შეუჩერდებოდა. ლაპარაკობდა მუშებისთვის გასაგები ენით. გამოდიოდა ისე, თითქო მენშევიკები ორგანიზაციულ მუშაობაში უფრო ფართო ასპარეზს ანიჭებდნენ მუშებს და თითქო ისინი უფრო იცავენ დემოკრატიულ პრინციპს, ვიდრე ბოლშევიკები. ბოლშევიკების ორგანიზაციას შეთქმულების ორგანიზაციად სახავდა და ბლანკისტებს უწოდებდა მათ. მისი ავტორიტეტი ზოგიერთ მუშას ხიბლავდა. ისიც გრძნობდა, თითქო მისი სიტყვა ნამდვილ მეცნიერულ მარქსიზმზე ყოფილად უფრო დაფუძნებული, რასაც მუშები შეცდომაში შეჰყავდა.

მისი სიტყვის შემდეგ მენშევიკებმა აღარ დააცადეს ბოლშევიკებს დასაბუთებული საწინააღმდეგო სიტყვა ეთქვათ. ლაპარაკის დროს ხმაურობდნენ, ყვიროდნენ, ივინებოდნენ...

— თქვენ ბლანკისტები ხართ!

— შეთქმულების პარტია!

კამათი ცხარე და მწვავე ხასიათს ღებულობდა. მენშევიკებს ეშინოდათ ნამდვილი, სწორი ბოლშევიკური სიტყვა არ გაეგონათ მათ მუშებს და ამიტომ კრების ჩაშლას ცდილობდნენ. ბოლშევიკები უთმობდნენ, ისინიც უყვიროდნენ მენშევიკებს:

— თქვენ ოპორტუნისტები ხართ!

— ლიბერალები, მშიშარა ინტელიგენტები!

— სოციალიზმის დამღუპველები!

— რევოლუციის მოღალატეები!

ნერვიულობდნენ მენშევიკები. ყოველნაირ ღონეს მიმართავდნენ, რომ ბოლშევიკების სიტყვები შეესუსტებინათ დემაგოგიური ფრაზებით და ყვირილით, რათა მათი მიმდევარნი ჰეშმარიტებაში არ გარკვეულიყვნენ...

კამათის დროს მიზა დაფითაშვილს გაეხედავდი ხოლმე. ის თრთოდა, ცახცახებდა, ბრაზობდა, ყვიროდა. საზე გაფითრებოდა. თავმჯდომარისკენ მიშტერებულნი გაიძახოდა: სიტყვა! სიტყვას მოვითხოვო.

დაფითაშვილის გვერდში მდგომი ქერა გოგონაც ცხარობდა. ისიც ყვიროდა. აბურცული გულშეკრდი მღელვარებისაგან აღი-ჩადიოდა. თვალები გაფართოვებოდა და ქერა თმა საფეთქელზე ჩამოცვივროდა.

აღარ იყო სიტყვა. დაიკარგა აზრი და ლოგიკა. ალესილი გონება და ათრთოლებული ნერვები სინამდვილის გამორკვევას ვეღარ მისდევდნენ.

ჰაპიროსის ბოლი თეთრი ღრუბელივით დასცურავდა ოთახში.

დაიღალნენ და მოითენთნენ მუხლები. დახუთული ჰაერი სუნთქვას აძნელებდა. კრება მაინც არ თავდებოდა. რეზოლუციაც ჯერ კიდევ არ იყო მიღებული.

კრების მღელვარება უკვე უმაღლეს წერტილს მიაღწა. ახლა კამათი ორი რეზოლუციის გარშემო ტრიალებდა. ბოლშევიკები მაინც იბრძოდნენ. ებრძოდნენ მენშევიკურ დემაგოგიას, მათ რუტინას, ოპორტუნისტობას.

და ის იყო კენჭი უნდა ეყარათ რეზოლუციისათვის, რომ უეცრად ოთახ-

ში შემოვიდა ერთი მუშა და განაცხადა: ქუჩაზე საექვო პირები დაიარე-
ბიან, საჭიროა კრების დაშლაო.

შეიძლება ეს მენშევიკების ფანდიც იყო, იქნებ ემინოდათ, ვი თუ ჩვენ-
ნი რეზოლუცია არ გავიდესო და ამიტომ მოინდომეს კრების დაშლა.
კარი გაიღო. ოთახის დახუთული ჰაერი გბრედან შემოსულ ციფე ჰაერს
დაეჯახა. ჭერიდან თეთრი ზოლი გაიჭიმა და ნაკადივით კარის ბეჭეზე გას-
რიალდა.

— წყნარად, დინჯად! თითო-ოროლა. გადით! ზოგი მარჯვენე, ზოგი
მარცხენე! — იძახდა ბინის პატრონი მუშა.

ოთახი ნელნელა იცლებოდა. დავითაშვილთან მივედი.

— არ იცნობ? გაიცანი, — მითხრა და ქერა გოგონა გამაცნო. — მე ამაღამ
მიხასთან უნდა წავიდე, შენ კი ამ ამხანაგს ჩვენ ბინაზე წაიყვან.

— როგორ, ჩვენ ბინაზე? — შევეკითხე.

— მიხვდი რაღა: ახალი ჩამოსულია, ბინა არა აქვს, ამაღამ შენთან იქნე-
ბა. ამხანაგო ტანია, ამას გაჰყვებით.

— თქვენ სად მიხვალთ? — შევეკითხა დავითაშვილს.

— მე სხვაგან წავალ.

— ჩემი გულისთვის? რატომ? მოვთავსდებით როგორმე სამივე.

— არა, მე საქმე მაქვს მიხასთან. აბა ნახვამდის! შენ, დათიკო, გესმის...

ტყვიანად იყავი...

— რა უსინდისო ხარ, მიხა!

დავითაშვილი მოგეცხლდა. მიხა მოძებნა და იმას გაყვა.

გაშტერებული ვიდექი ერთ ადგილას, დაბნეული.

— რაღას ვუცდით, წავიდეთ! — მომპართა ტანიამ.

— ჰო, წავიდეთ!

8

ჩემს გვერდით მოდიოდა დაბალი ტანის ქურქში გახვეული ახალგაზრდა
ქერა გოგონა. ის ლაპარაკობდა, მე ვუსმენდი.

საზღვარგარეთიდან ჩამოვიდა რევოლუციაში მონაწილეობის მისაღებად.
ყენევაში სწავლობდა უნივერსიტეტში და იმავე დროს ბოლშევიკურ ჯგუ-
ფის წევრად ირიცხებოდა. ჯგუფიდან მიიღო გამოცხადების ქაღალდი. ბა-
ჭოში ჩავიდა, მშობლებთან არც კი მისულა ვორონეჟში. ბაჭოდან თბილის-
ში გამოგზავნეს პარტიული მუშაობისათვის. ენატრებოდა საქართველოს
ნახვა და ეხლა მოხარულია, — უყვარს ქართველები. პარტიულ საკითხებ-
ში კარგად არის გარკვეული. ლენინის მათაყვანებელია. მრავალჯერ უნა-
ხავს იგი ყენევაში ჯგუფის კრებებზე და რეფერატებზე.

— არ მოველოდი, არ მოველოდი რა საზიზღრები ყოფილანი! — ამბობს
მენშევიკებზე ტანია.

— რას არ მოელოდით? — შევეკითხე.

— რომ საქართველოში ამდენი მენშევიკი აღმოჩნდებოდა.

— რატომ?

— მეგონა, აქ უფრო ტემპარატი რევოლუციონერები იქნებოდნენ.

— მოითმინეთ, მაგათ სეირს დაინახავთ: ამ საღამოს იოსები არ ყოფი-
ლა თბილისში, სხვაგან იყო წასული, თორემ ასე არ ჩაივლიდა ეს სხდომა...

— იოსები ვინ არის? — მეკითხება.

ვაცნობ იოსებს, რომელიც მას ჯერ არ უნახავს.

— მართლა ეგეთია? მე-კი მეგონა, მეტი ძალა არ გყავდათ საქართველოში... ხომ იცით, მთელი რიგი რუსეთის დიდი ორგანიზაციები: ჩვენს-კენაა. ყრილობის მოსაწვევად უკვე არჩეულია საორგანიზაციო კომიტეტი და ამ ყრილობაზე ნამდვილად ისე გავთიშავთ მენშევიკებს, რომ მაგათი სახსენებელიც აღარ იყოს!

ბინას ვუახლოვდებოდით. ალაყაფის კარში შევედი, ბნელი ეზო გავიარეთ. ოთახის კარი გავაღე, ასანთი გავკარი. კედლებზე დამურას ფრთებით ჩრდილები აფრიალდნენ. მაგიდაზე მღვარ ლამფას შუშა მოვხადე, ავანთე და ოთახი გავანათე.

ციოდა. პატარა თუნუქის ღუმელი დამზადებული დაკრილი შეშით გავახურე. ოთახი მალე გათბა. ტანიაშ პალტო გაიხადა. ყურებსა და შუბლზე ჩამოშლილი თმა გაისწორა. ლურჯი თვალებით შემომხედა, გაიღიმა და გაცივებული ხელები ღუმელს მიუშვია.

ბამბახის საყელო-შეკრული ხალათი ეცვა. შეკრეპილი თმა ამ ხალათში პირტიტველა ბიჟს ამსგავსებდა. ხოლო კუმშად წინ წამოწეული გულმკერდი სუნთქვასთან ერთად მწყობრად ირხეოდა მჭიდროდ შეკრული ხალათის ქვეშ.

ღუმელის გუგუნმა, თუნუქის გაწითლებულმა გვერდმა ოთახს მყუდროება მისცა და ჩვენი სხეული შოადუნა.

— ჩაი მაქვს, ამხანაგო ტანია, შაქარიც, ყველიც. პური-კი აი ეს პატარა ნატეხია.

— შეტი რა გეინდა, საესებით საკმარისია, მე არა მშია...

პატარა ჩაიდან გახურებულ ღუმელზე დავედგი.

ტანია ოთახს ათვალეერებდა, მაგიდაზე დაწყობილ წიგნებს ფურცლავდა. მიდი-მოდიოდა. მე კი ჩაის ვამზადებდი.

— მოითმინეთ, მოითმინეთ, ტიქებს მე გავრეცხავ. — და ხელს მკიდებს, რომ მაგიდას მომამოხროს. ჩემი გული ჩქროლავს და წინააღმდეგობას ვერ ვუწევ.

— მყუდროა თქვენი ოთახი. პატარა კია. ორნი ცხოვრობთ აქ?

— დიალ, მე და დავითაშვილი. საზღვარგარეთ უკეთესი ოთახები გვექონდა, ეს რა არის?

— მართალია, მაგრამ დიასახლისები არ ვარგოდნენ იქ. სტუმარს ვერ მიიყვანდი შენს ოთახში. იმათ ეგონათ, რაკილა ერთ ოთახში ქალი და ვაჟი დარჩება, უსათუოდ ცუდი რამ უნდა მომხდარიყო. აჰ, არ მიყვარს საზღვარგარეთი მშენებანი არიან! რუსეთი სჯობია.

— საქართველო მოგწონთ?

— აკი გითხარით. მხოლოდ უფრო სხვა წარმოდგენისა ვიყავი.

— მაგალითად.

— მე მეგონა, აქ ყველა შავგვრემანია, მედიდური, ამპარტავანი და თავზე ხელაღებული. თქვენ-კი აი ჩემსავით ქერა ხართ და ძალზე გულკეთილი.

— მამ ასეთი აღამიანი არ მოგწონთ?

— მე ეგ არ მითქვამს, პირიქით.

— თქვენ გეგონათ, აქ ყველას ხანჯალი ეკიდა წელზე და სულ უბრალოდ მუცელში გფუშავდათ?

— განა მაგრე არ არის?

— როგორ გეკადრებათ!

ოთახში უკვე დაცხა. წყალი აღუღდა. ჩაისა და გახურებულ ღუმელისგან თითქმის ოფლი მოგვივიდა. დაღლილობა შეგვეტყო ფეხებზე და თავისი გიგლიჩიშვიჯი

ჩაის ჭურჭელი მივალაგე. გაგრილების მიზეზით გარეთ გავედი, რათა მისთვის საშუალება მიმეცა ტანთ გაეხადნა და ლოგინში ჩაწოლილიყო. მაგრამ როცა დავბრუნდი, ისევ გაუხდელი იჯდა ღუმელთან.

აღარ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავ. რაღაც გაურკვეველ, უხერხული მდგომარეობა შეიქნა. კედელზე დაკიდებული სურათები აათვალიერ-ჩაათვალიერა. მერე ისევ ღუმელთან დადგა.

— უპ, ცხელა! — ამბობს თავისთვის. მერე უცბად მომიბრუნდა: — ამხანაგო, მეც მინდა გაგრილება!

— აი აივანზე გადიო.

— Какой Вы чудак! ეგ-კი ვიცი, მაგრამ... ის... სად არის?

— მართლა, უკაცრავად, აი აქეთ ჩაათავეებთ მთელი აივანის სიგრძეს, იქ კიბესთან, მის ძირში მარჯვნივ კარებია. აი ასანთიც, წაიღეთ...

ტანია გავიდა. მე-კი ერთ წერტილს მიშტერებული ვიდექი. რატომ მითხრა „ჩუღაკი“? როგორ მითხრა? ეს ხომ გინებაა! თითქო გული მომიკვდა. მაგრამ ისეთი კილოთი მითხრა, რომ წყენა არ უნდოდა ჩემი.

სანამ ის შემოვიდოდა, გავიხადე და ჩემს ლოგინში ჩავწექი. გულმოსული ვიყავი, გაჯაერებული. აღარ მინდოდა ხმა გამეცა მისთვის.

— უპ, რა ცივა გარეთ! — მხიარულად შემოვარდა ტანია. — თქვენ უკვე დაწოლილხართ? აბა, ახლა იქით გადაბრუნდით, რომ მეც გავიხადო და დავწვე.

გადავბრუნდი. თვალებიც დავხუჭე. მაგრამ სმენა? კარგად მესმის ღუმელის გახსნა. ხალათის გახდა. ფეხსაცმელის. აგერ შიშველი ფეხებით იატაკზე დადგა, კაბა გაიხადა. უცბათ ჩაწვა ლოგინში. საბანი გაისწორა.

— მართლა, ლამფა ჩაეაქრო?

— როგორც გინდათ.

ისევ აღგა.

— ცოტას ჩაეწვევ, აი ასე. — ისევ ლოგინში ჩაწვა. საბანი გადიხურა. დამთქნარა. — ღამე მშვიდობისათ!

— ღამე მშვიდობისათ!

სინამდვილე ჩამოვარდა. ჯიბის საათის კაკუნი ისმოდა. გული ძალუმიად სცემდა.

— Разве я чудак? — უცბად შევეკითხე.

— Что Вы, что Вы, товарищ! განა ამდენ ხანს მაგაზე ფიქრობდით?

— რატომ მითხარით?

— მერე, ეს ხომ საწყენი სიტყვა არ არის! ჩვენში ამას საალერსოდ ხმარობენ, თქვენ კი გწყენიათ. მართლა გეწყენიათ?

— მართლა, მართლა!

— ეს სიტყვა ხომ чудной-სგან წარმოდგება. მართლაც და чудной Вы человек т. грузин! ასე უბრალოდ ცხარდებით ქართველები? ხანჯალი ხომ არ გიღვეთ მანდ, მუთაქის ქვეშ? ახლა კი ცოტა არ იყვეს, მეშინია თქვენი...

დამარცხვინა. ველარაფერი ვთქვი, ჩემს თავზე მომდის გული რატომ ვკითხე? რატომ არ ვიცოდი ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობა? ახლა დამცინის კიდევ...

— ჩემი ნუ გეშინიანთ, — ვთქვი რატომღაც.

— Правда Вы совсем чужак! დავიძინოთ ახლა, დავიძინოთ ღამე მშვიდობისათ!

— ღამე მშვიდობისათ!

არ დამძინებია. მთელ ღამეს თვალი არ მომიხუჭავს. მკრთალად იყო განათებული ოთახი და ისეთი სიჩუმე იდგა, რომ ტანიას სუნთქვა მესმოდა. განაბული ვიწევი, ის კი ბორბავდა, ხშირად ბრუნდებოდა ლოჯინში.

მხოლოდ გვიან, გათენების წინ ჩამძინებოდა. როცა გამეღვიძა, ოთახის კედელზე ღღის სინათლე ზეწარივით გაკრულიყო. ტანიასაკენ გადავიხედე. ისევ ეძინა. შიშველი მკლავები საბნის ზევით ეწყო. აბნეული ქერა თმა გაშლილი ედინა ბალიშზე. აბურცულ გულმკერდს საბანი ჰფარავდა.

სუნთქვა შეკრული წამოვდექი. ტანიას რომ არ გაღვიძებოდა, ფეხაკრეფით დავდიოდი. შიგადაშიგ ბალიშზე გაბნეულ ქერა თმას და შიშველ მკლავებს, მხრებთან რომ თეთრად ლივლივებდნენ, ეუმზერდი. ჩაის ასადუღებლად ღუმელს ვანთებდი. უცბად წაშლილი შემომესმა. ტანიასკენ გავიხედე. შუბლი მოღუშოდა, სახეზე მკმუნვარე ხაზები მოძრაობდნენ. უცბად ხელნაკრავივით გადმობრუნდა. თვალები გაახილა, გამტერებით შემომატქერდა.

— რა იყო, ამხანაგო ტანია, რატომ წამოდიხარ? — ვკითხე.

— ეწყოდი განა? რა საშინელი სიზმარი ენახე! უპ, როგორ მიცემს ახლაც გული აბა, დაადეთ ყური.

საბანი გადასწია. თეთრი პერანგი აბურცულ გულმკერდზე გადასკიმა და ჩემსკენ გაღმობინარა. თავი დაველუნე. ყური მის თბილსა და რბილ პერანგში ჩავფალი. გული სცემდა. ხოლო რომელი უფრო ძლიერად — მისი თუ ჩემი?

სუნთქვა ძლივს მოვიტყევი. თავი ავიღე და ტანიას დავხედე. უცბად ისევ დავიღუნე და შიშველა მხარზე ტუჩები მივაწებე.

— Что Вы! что Вы! — შემომესმა. — უცბად გამოეტრიალდი. აბარბაცებული მივარდი პალტოს და ქუდს.

გასასვლელ კარში გავიქედე, თან წავიღულულულე — „პურს მოვიტან მეოქი“ და გარეთ გავვარდი.

„რა დამემართა? ეს რა მომივიდა? რაღა გქნა? ხომ ველარ შევხედავ ტანიას! რა უნდა ელთხრა?“ გაბრუებული, ფეხებ-აბნეული მიჭდიოდი. მეპურესთან მივედი. ქართული თეთრი თონის პური ვიყიდე. გამოვბრუნდი. მაგრამ, ფეხები უკან მრჩება. „როგორ შევიდე? ხმას ხომ აღარ გამცემს? გამოიჯავრდება, გამიწყრება“...

შინ მაინც მივედი. კარი რომ გავაღე და ოთახში დავითაშვილი დავინახე, გამეხარდა. ტანია ამდგარიყო და ღუმელთან ხელებს ითბობდა.

— ხომ კარგად გეძინათ? — ეკითხებოდა დავითაშვილი ტანიას.

— კარგათ, კარგათ! რა დამიშლიდა?

— რა ვიცი: იქნებ ამხანაგმა არ დაგაძინათ?

— Hyl..

— უსინდისო ნუ ხარ, მიხა! — წავიღულულულე და ტანიას შევხედე.

იმას ჩემსკენ არ გამოუხედნია. ადუღებულ ჩაიდანს დაავლო ხელი და

მაგიდაზე დადგა. ჩაის ჭურჭლის წმენდას შეუდგა. დავითაშვილს კი გვიყვებოდა კავშირის კომიტეტის მუშაობის ახალ გეზს: იოსებმა დაიწყო მუშაობა თუ არა, კავშირი ყოველკვირეულად გამოუშვებს საბოლქო ფურცლებს მენშევიკების წინააღმდეგ. თბილისში დარჩებიან მხოლოდ კავშირის მდიურის წევრები, დანარჩენმა ამხანაგებმა პერიფერიებს უნდა მუშაობდნენ და მოვსპოთ მენშევიკები საქართველოში!

— უსათუოდ, უსათუოდ! — გაიძახის ტანია.

9

მენშევიკებთან ბრძოლა გაცხოველდა, მაგრამ არა ნაკლებ გაცხოველდა რევოლუციური მოძრაობა, როგორც ქალაქში, ისე სოფელში. სრულიად მართებული იყო კავშირის დადგენილება, რომ მომუშავენი პერიფერიებში გასულიყვნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ ქუჩაზე მიმავალ ტანიასა და მიხა დავითაშვილს შევხვდით. პირველი შეხვედრის შემდეგ ტანია აღარ მენახა. ყოველდღე კი მასზე ვფიქრობდი. დანახვისთანავე გავწითლდი, თითქო შეეტოტმანდი კიდეც. ისინი ჩემს მხარეს გადმოდიოდნენ. ტანიას ხელი ჩამოვართვი და მოვიკითხე. მიხა-კი აღმაცერად მიმხერდა. ტანია ცმუკავდა, მღეროდა, თითქო ვინმეს გასაჯავრებლად ზედმეტად მხიარულობდა. ბევრს ლაპარაკობდა, ტიტინებდა. დავითაშვილის ჩემსკენ მიმართული თვალები ღურსმინებით მესობოდნენ. ორ დამეს შინ არ მოსულა და ამის მიზეზი რომ შევეკითხე, გაჯავრებით მიპასუხა:

— რაო, ვითომ ანგარიში უნდა ჩაგაბარო?

არ მოველოდი მისგან ასეთ უკმებ პასუხს. განცვიფრებულმა ხელნაკრავით ერთი ნაბიჯი უკან გადავდგი.

ტანია დავითაშვილს ჰკიდებდა მკლავში ხელს. რაღაც მზრუნველობით შესცქეროდა.

— მე უკვე ქართული ვისწავლე! — მეუბნება ტანია.

— მაგალითად?

— შენ გენაცვალე, შენი ჩირიმე. ასეა ზომ? — მიუბრუნდა მიხას.

სახეზე აღმური ამივარდა. რატომ ავითოლოდი?

— ჩვენ მალე ბათუმში მივდივართ, — ამბობს ტანია.

— ვინ ჩვენ? — შევეკითხე.

— მე და მიხა.

— შენ, მგოში, ხაშურში წახვალ. ასე სთქვა იოსებმა. იქ ძველი ნაცნობი მუშები გყავს. უნდა მოაწყო ბოლშევიკური ორგანიზაცია.

— წავალ, უსათუოდ წავალ. ვნახავ იოსებს. თქვენ როდის მიხვალთ?

— ამ დღეებში.

— მე ხვალვე წავალ.

— წასვლის წინ მიხა ბოჭორიშვილთან უნდა შეიარო, ზომ იცი?

— აბა, ნახვამდის!

— ნახვამდის, ნახვამდის, ამხანაგო!

ხელი ჩამოვართვი და ჩქარი ნაბიჯით გავსწიე. ისინიც მიბრუნდნენ და გაუღვინნ ვზას.

— Не правда-ли: он странный, совсем чудак! — შემომესმა ტანიას სიტყვები.

ახმაურებული ქუჩები, ეტლების გრიალი, ტრამვაის ზარის წყარუნი და გაძახილი ყრუდ გაისმოდა ჩემს ყურებში. არეული ნაბიჯით გადავქეციე ქუჩა.

მეორე დღეს მივატოვე თბილისი. ხაშურში სამუშაოდ უკვე მუშაობდა ჩოლო ჯერ მამა-ჩემთან მივედი სურამში. თბილისში მხოლოდ ზნეობის მემკვიდრე მამა, ჩამოსვლის შემდეგ. მაშინ მასთან ლაპარაკს ავერიდე, ხოლო ახლა რა პასუხს გავცემდი მას მტკივნეულ კითხვებზე, არ ვიცოდი.

ბინდებოდა. ეზოს ქისკართან ვიდექი შესასვლელად. ღობის გასწვრივ, ქვემოდან, ხმაური შემომესმა. მამი-ჩემის ხმა ვიცანი და მეც იქითვე წავიქედი.

ბინდში ძლივს გავარჩიე ტლაპოში ჩაფლული ურემი. მამა-ჩემი და მე-ურმე ურემის თვლებს ეწეოდნენ, თან ხარებს უჯავრდებოდნენ, მაგრამ ისინი არ იძვროდნენ. „ხიიო! ხიიიო!“ — იძახდა მეურმე.

მამა-ჩემს თავზე წავადექი. შემომხედა.

— ოჰ, შვილო, შენა ხარ?

პატარა კალათი, ხელში რომ მეჭირა, გვერდზე დავდე. ურემის თვალს მეც მოვკიდე ხელი, მივაწეკი და ნელნელა ურემი დავძარი. ხარებმაც გაიწიეს და სწორ გზაზე რომ შედგნენ, ჩვეული ნაბიჯით გასწიეს წინ. მეურმე კოფოზე მოაბტა, მადლობა გადაგიხადა, ხარებს სახრე მოუქნია. თბრიი-ევე! — შესძახა და ჩვენც სახლისკენ წავედით.

ოთახში ბუხარი გიზგიზებდა. შეშის აყირავებული ნაპობები აღის ენებში პრიალებდნენ. ლაქდა ნაკვერჩხლები ბროწეულის ნატეხებად გაბნეულიყვენ ნაღვერდალში. ჯერ დუმილით დავცქეროდით ნაპერწყლების ტკაცა-ტკუცს. ვგრძნობდი მამი-ჩემის გულის თხრობას, მის დაგუბებულ ბოლმას...

— რატომ ჩამოხვედი, შვილო, თბილისიდან?

— პატარა ხანს შენთან ვიქნები, ხაშურში საქმე მაქვს.

— ხაშურში? პო, მივხვდი. მერე, შვილო? ამიტომ წახვედი საზღვარგარეთ, რომ რაღაც პროპაგანდისტი გამოსულიყავი?

ეს რომ მითხრა, შევკრთი. რატომღაც გული მეტკინა. ვხედავდი, ამ სიტყვით მამა ჩემი მამცირებდა. მაგრამ ვერაფერი ვუთხარი. ვდუმდი და აღმოკიდებულ შეშებს ვუხერდი.

— განა შენ თვითონ არ მეუბნებოდი, რომ საზღვარგარეთ სწავლას დამთავრებდი და შენი პატარა და-ძმების აღზრდაში დამეხმარებოდი? ახლა რატომ მიანებე უმალლეს სწავლას თავი და ისევ სოციალისტობას მიჰყვები? განა ამას მოველოდი? ჯერ სემინარია დამიწუნე, შვილო, იქ სწავლას თავი მიანებე. მას როგორღა წარმოვიდგენდი, რომ საზღვარგარეთ გაგზავნიდი და იმასაც მიატოვებდი, ისევ ძველ გზას დაუბრუნდებოდი? ჩემი ოცნება ვერ მისწვდებოდა იმას, რომ ევროპაში შვილი მეყოლებოდა და უღროოდ იქიდან დაბრუნდებოდა.

წყნარი ღამეა. ხანდახან თოვლით გასუღრულ არეში ძაღლის შორეული ყეფა მოისმის. გაუნძრევლად სკამზე ვზივარ. მამა-ჩემი კი დადის, ხან დაჯდება. ისევ ადგება და მომმართავს:

— განა შემეძლო შენი საზღვარგარეთ გაგზავნა? აბა, რომელი დიაკვანი კი არა, რომელი მღვდელი გაპხედავს ასეთ საქმეს? წელებზე ფეხს ვიდგამდი, შვილო ვსრობობდი. მე თვითონ ყველაფერს ვიკლებდი, შენ კი

ფულს გიგზავნიდი. დაკერებულ შარვალს და გახუნებულ ანატორას ვატარებდი. შენ და-ძმებსაც თბილისში ვასწავლიდი. იმედი მქონდა, იქიდან რომ დაბრუნდებოდი, შვილების აღზრდაში დამეხმარებოდი. ახლა რა ექნა, შვილო? რატომ არ დამიფასე ამავი?

ბუხარში აღმოღებული შეშა იმსხვრევა და ნაკვერჩხლებს ცხელებს ნაცარში. ახალი ალის ენები ედება აყუღებულ ნაპობებს. ისმის ნაპერწყლების ტკაც-ტყუცი.

ჩემი გული ტოკავს. მამი-ჩემის საყვედურებს ვერ ვუძლებ. როგორც ქურში ჩავარდნილი, ისე ვარ შეხუთული. ჰაერი არა მყოფნის და სულის-თქმა მიძნელებს.

— შენ ჩემი მოსწრებული შვილი ხარ, შვილო. როგორც ძმისაგან, ისე მოველოდი შენგან შველას. ახლა რა უნდა სთქვან მეზობლებმა? ხომ გა-ახარე მათი გული? აკი დამცინოდნენ კიდევ, შეხე იმ ფხიკინა იმერელმა შვილი საზღვარგარეთ გაგზავნა, ვნახოთ, რა გამოუვათ,—განაგრძობს მამა ჩემი.

ბუხარში ალის ენები კვლავ ნაპობებს ლოკავენ. დაეღაჟა ნაკვერჩხლები ნაცარში იფლობიან. მე უმწეოდ ვლუმეარ და სკამზე ვბორგავ...

— არ ვარგა, შვილო, სხვების აყოლა. განა ადვილი იყო ყოველთოფიურად ფულის გამოგზავნა? შენთვის აღებული ვალი ეხლაც გადაუხდელი მაქვს. ეწვალობდი, ვიტანჯებოდი და შენ კი ამავი არ დამიფასე...

ჩემი გული იკუმშება. ვიღუნები და ბუხარში შეშის ნაპობებს ვუმატებ. კვლავ იმსხვრევა აღმოკიდებული ნაპობი და ყაყაოებივით იბნევა ნაცარში.

— მერე რისთვის ვშრომობ, შვილო? დაფიქრდი მიატოვე ეგ აჩემებუ-ლი გზა და ოჯახს დაუბრუნდი.

— მამა, შენ არ იცი, როგორ მიყვარხარ, — შევეძახე მე: — მაგრამ რასაც მითხოვ, ვერ აგისრულებ.

— მერე, რატომ? მაშ მამის ხვეწნა და მუღარა არაფერი ყოფილა? მაშ რა ექნა მე?

— მამა, შენ არ იცი რა ხდება იქ, ცხოვრებაში. ახლა სულ სხვა დროა. არ შეიძლება ამ გზას ავცდე, ამხანაგებს ჩამოვრჩე! ჩვენ გვეძახის მუშათა კლასი, ის გვიზიდავს და გვიხმობს რევოლუციისთვის, სოციალიზმისთვის...

— ეგ ოცნებაა ერთობა არას დროს არ განხორციელდება. ვერც მოვესწრებით ჩვენ მაგას. რისთვის იღუბავ, შვილო, თავს? უნდა გონებით იმოჭმელო, შვილო, გონებით...

ალარაფერს ვბასუხობ. ორივენი ვლუმეართ. ბუხარში ცეცხლი მიწელდა. ფერფლის გაპობილ ნაპირებიდან ნალევრდალი ღვივის.

მამა გაჩუმდა. ისიც ალარაფერს ამბობს, თითქო გულში გადაწყვიტა: „იარე, შვილო, მაგ გზით, ვნახოთ ბოლოს რა გამოვა“.

იწყებოდა ცხრაასხუთი წლის რევოლუცია...

სიხლიობრასია

ბარონული
ბიბლიოთეკა

კონსტანტინე ზიზინაძე — „ლექსები“

გამომცემლობა „სახბოთა მწერალი“ — 1948 წ. თბილისი.

კონსტანტინე ზიზინაძის წიგნი იხსნება სტალინისადმი მიძღვნილი ლექსით პოეტი უმღერის ამხანაგ სტალინს:

„აგმაღლებია გული დიდი
და ისკეცებ ძარღვებში ღონეს
რომ დაანახო ხეალ განთიადი
ილაჯგაწყვეტილ მსოფლიო მონებს“.

ლექსები „მშობელო მზარე“, „საქართველოში ციხეა ორი“, „თმოვეს ციხე“, „ვერცხე“, „ვერძის წყარო“, „სამშობლოსადმი“ — პოეტური ექსპრესივითაა წარსულში, ქართველი ერის ისტორიის, გაგების, შეცნობის პოეტური ცდებია. ლექსში „მშობელო მზარე“, პოეტი ამბობს:

„ბევრჯერ ყოფილხარ გათელილი და აკლებული
შემოსული ურდობის ველური ძალით,
ბევრჯერ სოფლები გადაგწვია ხანძარის ალით
მაგრამ ამდგარხარ კვლავ ფენიჭებერ განახლებული“.

სსტკ, სსხლისმღვრელ ომებში, ბრძოლებში „ზომით პატარას“ მეტად დიდი გავსეწილია, — სამშობლოს ეუბნება პოეტი და მოუწოდებს:

„დაე უყველ დღეს იღლებოდეს ყოველი მკლავი,
მზურგალე ცეცხლით გიზგიზებდეს ყველა ქტრები
რომ თავაწყვეტილ ფაშისტების განადგურებით
სამარადისოდ ისახელო, სამშობლოვ, თავი!“

ფილოსოფიური ღირიკის ნიმუშია ლექსი „სერაფიტა“. ამ ლექსის შინაარსი ისეთია: ადამიანი მისწრაფვის უკვდავებისაკენ. და რადგან სიკვდილი ვერ დაუძლევია, ის ყოველგვარ საშუალებას მიმართავს მიცვალებულის სხეულის გაბრწყინის, დაშლის წინააღმდეგ. ის ცდილობს — მიცვალებულის სხეული კუბოში უბრწყინელო აიწვეს მარად“. მაგრამ არ რჩება მისი სხის „არც ნატამალი“, — ამბობს პოეტი. ბოლო, რაც შეეხება ძვირფასი სამკაულის ციე ლითონს — ადამიანის შემოკმედებას, ხელოვნებას, იგი უცვლელია, უკვდავია. არის ბევრი რამ საერთო კ. ზიზინაძის ამ ლექსსა და გერბერტ უელსის პატარა, ფილოსოფიური მოთხრობის შორის, რომელიც ამ ათიოდე წლის წინად გამოაქვეყნა საბელგან-თქმულმა ინგლისელმა რომანისტმა. დაახლოებით ისეთივე შინაარსისაა უელსის მოთხრობაც. დიდი პოეტური გაქანებით არის დაწერილი „რიონის აპოლოგია“:

„მაგრამ ერთბაშად ცამ ფარების ღურჯი მარმანი
თითქოს ვაცვალა მუქ ნაბღებში და ძველ ნარმაში
და დედამის ზედ დაბეზო, როგორც როდინი.
სადღაც ყორანი გადაფრინდა მოკლე ხოტინით..
შვ კარნავალად გაიშალა რისხვა ფარული
და საშინელი დამძიმებით გავარდა მუბი,
გლოლის ნაძნარმა დივიმინა მეტ სიხარულით
როდესაც ელვამ გაანათა ნერვიულ გრებით.
დაბლა მოიწვეს ცა მუქართ და დაფეთებით,
მძაფრი გუფუნით ახმურდნენ ტოტები მუბის,
ძირს დაცემის დროს ფრთებსა შლიან წვემის წვეთები
როგორც ურიცხვ წიწილები გივანტურ კრუბის“.

ასალ ქართულ პოეზიაში იშვიათად შეხვდებით ისეთი პლასტიურობითა და დინამიურობით დაბატულ სურათს. აქ სწამს როგორც დაკვირვებული თვალი მხატვრისა („ძირს დაცემის დროს ფრთებმა შლიან წვიმის წვეთები“), ისე მხატვრული უნარის სტყვეობის, ბგერების, სტრიქონების იმნაირად დალაგებისა, რომ ზუნების განრისხება უშუალოდ გაგრძობინოს. „როინის აპოლოგიაში“ სტრიქონები ხან მუხის ტოტემურებას წარმოადგენს, ხან ელვასავით ანათებენ, ხან ძირს ცვივიან წვიმის წვეთებით.

როცა პოეტი შემოდგომის პეიზაჟს ხატავს, სტრიქონი ნელა მოძრაობს, მომაკვდავ, მიუსუსტებულ იდამიანს გაგონებს, აკორდები სევდიანი და უღონოა, ამ შემოდგომის სურათი:

„ეს მოზდა შარშან, შემოდგომის ცბიერი სენი
გულს უხბილავდა არე-შარეს ყვეთელ ქარვებით,
ნელი სიამით და ნაღველის ჩუმ მოქარვებით
დობილებზეთ მიჰყვებოდნენ ერთმანეთს დღენი.
უკანასკნელი გაღიმებით სუნთქავდა ეელი
და დასუსტებულ ტყეს ეძინა მკვდარ მოსვენებით“.

„როინის აპოლოგია“ უაღრესად საინტერესო, მძლავრი პოეტური ნაწარმოებია. „როინის აპოლოგის“ ზოგიერთი ადგილი მეთხველს მოაგონებს „არდილის“ პროლოგს, ამ დიდებულ სიმღერას მშისა და მყინვარის შესახებ. პირველი სტრიქონი, რომელშიაც მშის ამოპრწყინების შესახებ მღერის ილია ჭავჭავაძე, ზევით მიიწევს ამოშავალ მშესავით, ხოლო მეოთხე სტრიქონი, რომელშიაც მშის ოქროს ნათელი შიშის მწვერვალებს გადაუფინება, ძირს ეცემა მშის სხივით.

კონსტანტინე ჭიჭინაძეს აქვს საკუთარი ძლიერი ხმა, მაგრამ მისი წიგნი უნაკლო არ არის. მაგ. ლექსში „საბჭოთა უზბეკოს“, გკითხულობთ:

„აყვადი როგორც ედემი,
განშტკივდი როგორც რვლი“.

„აყვადი როგორც ედემი“ — გაცვეთილი ფრაზა. მისი ხმარება არ ეპატიება ისეთ ორიგინალურ, ნიჭიერ პოეტს, როგორიც არის კონსტანტინე ჭიჭინაძე.

ანდრო ლომიძე.

ი ო ს ე ბ ნ ო ნ ე შ ვ ი ლ ი — „ლექსები“

საბლიტვაში, 1944 წელი, თბილისი.

საკუთარი პოეტური ხმის დადგენისათვის ნაყოფიერ მუშაობას ეწევა უკანასკნელ ხანებში პოეტი ი. ნონეშვილი. საყურადღებოა ამ ახალგაზრდა პოეტში უტყუარი ნიჭი მოვლენების თავისებური შეგრძნობისა და აღქმის. იგი უმეტეს შემთხვევაში ინტიმურად განცდილს პოეტური გრძნობით აცხოველებს, შესაფერ მხატვრულ განზოგადოებას აძლევს და ხშირად ოსტატურად აბერხებს ამა თუ ამ დამახასიათებელ ნიუანსს წინ წამოწყევას მხატვრული სახის სრულყოფას.

ი. ნონეშვილის მიერ ომის პერიოდში დაწერილი ლექსები ღრმა ოპტიმიზმით არიან აღსავსე. პოეტი იმ მკაცრ დღეებში, როდესაც შტრიკი წინ მოიწვედა, მოწოდებით მიმართავდა ყველას მამულის დასაცავად, ქართლის დიდების დასაცავად, მამა-პაპათა საფლავის ჩენი კულტურის, ჩენი წარსულის და კრემლის ნათელი ლამპარის დასაცავად.

ი. ნონეშვილის ლექსების ძირითადი მოტივი სამშობლოს სიყვარულია. განსაკუთრებით ეს ძლიერ იგრძნობა ომის პერიოდის ლექსებში. მათში არის თავისებური პოეტური გააზრება დიდი ისტორიული მოვლენებისა. ჩვენ გამოვაცალავებთ სამამულო ომის პერიოდში შექმნილ ლექსებს, ისეთებია: „გარდები“, „საბაღწლო წერილი ფრონტზე“, „ოთხი მშა“, „ქართლის დიდება დაეცვათ“, „ზარათი ფრონტადან“, „სატყვარი“, „საზემოდ თქმული“ და სხვა. აქვე ჩვენ დავასახელებთ ისეთ ლექსებსაც, რომლებშიც ავტორი

წინაპართა გმირულ სულს ზატავს. გმირულ ტრადიციას იღადგენს ჩვენს პარტიულ ლექსებში: „ჭეთევანი“, „შია“, „მოხუცი მეცხოვრე“, „სამშობლოს ბედი სწამდათ შარადის“ და სხვა. პოეტი ამყობს წინაპრებით:

„ჩვენ ხომ იმათი მოდგმის ვართ
შთი შევლევო ფერი გვძევს
სააკადეც გვეყავს, არსენაც,
ცხრა ძმა — ცხრა ხერბულლიცე“.

ერკუნულნი
გეგზულირთხან

სამშობლო და სიყვარული — პოეზიისათვის მარადიული თემებია და მუდამ ახალი განსაკუთრებით ჩვენს ეპოქაში, რომელთა ახლებურა გაშუქება საპატრიო მოვალეობაა სამკოთა პოეტისა. მაგრამ ისინი აფენილი უნდა იქმნან დიდ მხატვრულ სიმილდუნე. ამ ბრძოლაში მომწიფებამდე უფლა პოეტი ექცევა გავლენაში. ი. ნონეშვილს ჯერ აქვს საკმაო დავალება ჩვენი დიდი პოეტებისგან. ეს არც არის ცუდი ძიების პროცესში, ლექსში „ბარათი ფრონტიდან“ იგი სწერს:

„მაგონდება ნაკადული,
ნისლი — მთების ნალექლი“.

ვთქვამ შეუდარებლად გამოხატა ეს „ნისლი ფიქრია მთებისა“-ო.

წარსულში ჭარბი დიდებებს საჭიით იღვრთოვანებული ახალგაზრდა პოეტი თავის განწყობილებას ასე გამოხატავს:

„დიდება მთ სულს, ჩვენ ჭარბი დედათ
შთი სიმხნევე გამოჰყოლიათ“.

რალე ნათესაურია, (ლექსიკონი, ტონი და თუნდაც რითმაში მოქცეული სიტყვა-კი) ნ. ბარათაშვილის სტრიქონებთან:

„პოი დედანო, მარად ნეტარნო,
კრთბევა თქვენდა ტებელ-სახსოვარნო!
რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ
სულცა თქვენი გამოჰყოლოდით!“

ლექსში „ვარდები“ პოეტური გააზრებით მსგავსებაა პუშკინის „ყვავილით“.

ზოგჯერ ი. ნონეშვილი საგანძობ სიჭარბით იყენებს ლექსში ზალბურ მონაცემებს, ხალხრის იმიტაციას წარმოადგენს სტრიქონებში:

„ომში შესული ვეცაკი
გმზელ ჭარივით ჰკიოდეს“ და სხვა.

ჩვენ შევნიშნეთ ზოგიერთი გაელენა ლექსებში, მაგრამ იგი როდია მთავარი ი. ნონეშვილის მუშაობაში მან მოგვცა ბოლო ხანებში კარგი ლექსები, რომლებიც შესადგერ ადგილს დაიმკვიდრებენ მდიდარ თანამედროვე ჭართულ პოეზიაში. ჩვენ ასეთებად მიგვაჩნია ლექსები: „საუბარი ნაძებთან“, „უსახლო ყვავილი“ და „შენ საქართველოს დედოფლობა დაგშენდებოდა“... პოეტს აქვს ლამაზი, დამახასიათებელი თქმები და შედარებები.

ილანისშანია ი. ნონეშვილის ლექსებში ზოგჯერ იდილოური განწყობილება, რაც იღუნებს ლექსის საბრძოლო უნარს. მაგალითად, ერთ ლექსში იგი მიმართავს თავის ბებიას:

„მომხვიე ხელი, რისი ვეცაკი...
ვით ბავშვს ლოყაზე ხელი დამკარი,
ჩაგებტტები მაგ თბილ კალთაში
და ერთი ტბილი მითხარ ზღაპარი“.

ი. ნონეშვილის ლექსებში კარბად გვხვდება აგრეთვე ტაეტოლოგია. ამგვარად მხატვრული ხერხის ხშირი ხმარება სათანადო თავისებურებას ანიჭებს ლექსის აღნაგობას. მის აქვს ტაეტოლოგიური თქმები, რითმა, შედარებების საკმაოდ ხშირი ტაეტოლოგია:

„სატევარი, მამაპაპის სატევარი,
სატევარი — მტერთა გულის გამპობი“.

ლექსში „შენ საქართველოს დედოფლობა დაგშენდებოდა“.. პოეტი ამ სიტყვით აღწევს მხატვრულ სრულყოფას, გაქანებას და იწვევს შესაფერ ემოციას.

„შენ ხატური აბრეშუმი დაგშენდებოდა..
დაგშენდებოდა.. ეპ, რარიგად დაგშენდებოდა,
შენს ნატივ სახეს ნიავიე რომ არ შეხებოდა,
სილოს ძელისაგან ულამაზეს კოშკს ავიგებდენ.
ცისკარზე, როცა ქაშუეთის ზარებს დარეკდენ,
აღიგზნებოდა შენის ლოცვით წმინდა ტაძარი
და შენს გვირგვინთან მორჩილებით ქედს მოიდრეკდენ
ორბეღიანი და ამაყი ამილახვარი“.

ზოგჯერ საერთო ეფექტის გასაძლიერებლად იგი ხატავს მისტიურ სურათს, რასაც აუცილებლად უნდა ერიდოს პოეტი, კარგ ლექსში „მოღინახე“ გვითხვლობთ:

„ხან, როცა ლაფიარდს მებე გაბზარავს,
გაეღავს ცა და დგება უკური,
ამხედრდებიან ჩონჩხნი საზარლად
და შიული ღამე გააქვთ ვეგუნა“.

ი. ნონეშვილის ახალი ლექსების წიგნი გვარწმუნებს, რომ იგი ცდილობს შექმნას თავისებური პოეტური გარემო.

დავით შამათავა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე ბ. XII B. თბილისი,
1944 წ. გვ. 448, რამდ. აზამიძე.

გასულ (1944) წელს, დიდი სამამულო ომის შედეგად პერიოდში, საქ. სახ. მუზეუმში მეცნიერული ნაშრომების პუბლიკაციის საქმეში დიდწილად შენედილი საქმე გააქეთა— გამოიცა „მოამბის“ ორი ტომი, (XII B და XIII B ტ-ბ). ისინი ქართველოლოგიის დიდ შენაძენს წარმოადგენენ: სარეცენზიოდ ამჯერად ჩვენ ვეხებით XII B ტ.

კრებული იხსნება I. პროფ. შ. ჩხეტიაის მონაგრადებით: „რუსული მშარ-თველოზის სისტემა საქართველოში 1840-1864 წწ.“ იგი წარმოადგენს გავრძელებას პროფ. შ. ჩხეტიაის იმ ნაშრომისა, რომელიც მან ამავე სათაურით ამ 7 წლის წინათ გამოაქვეყნა (იხ. ენიქის „მოამბე“ ტ. VIII, 1939 წ.).

პროფ. შ. ჩხეტია რუსული მშართველოზის სისტემას საქ-ში, ოთხ პერიოდად ჰყოფს. ესენია: I. 1800—1840 წ-დე. II. 1840—1864 წ-დე. III. 1864 წლიდან 1880 წ-დე და IV. 1880 წ-ს შემდეგ მე-19 ს. დასასრულამდე. (იხ. ენიქის „მოამბე“ ტ. VIII, გვ. 25, 1940 წ.). სარეცენზიო კრებულში, როგორც აღვნიშნეთ, იგი განიზილავს მეორე (1840—1864) პერიოდს. ძირითადი დებულებანი, რომელსაც ავტორი აყენებს შემდეგია: I. ცარიზმი ამ პერიოდში მიზნად ისახავს დაამყიდლოს საქართველოში მშართველოზის ისეთივე წესები, როგორც რუსეთის იმპერიის სხვა ნაწილებსა და შიგა გუბერნიებში არსებობდა, — მოსპოს და აღმოფხვრას ამ მხრივ შემონარჩუნებული განსხვავებანი ე. ი. ადგილობრივი ქართული ელემენტები და სხვ.

2. ამ მიზნით ცარიზმი იმუშავებს მრავალ პროექტს. დამახასიათებელია 1841 წ-ს გატარებული განის რეფორმა, რომელიც ავტორის სიტყვით „ფუტი და უხვიროცდა იყო მთავრობის მიერ გაკეთებული, იმ მიზნით, რომ მას მოეხდინა საქართველოს სრული უნიფიკაცია რუსეთთან მშართველოზის მხრივ“. ამ რეფორმით სავსებით უფლებდელყოფილი იყო ქართული ელემენტი, — ენა, ადამი, კანონი და იგი ცარიზმის ბიუროკრატიზმითა და ფორმალზმით იყო შეცვლილი. ქართველი ხალხი დიდ წინააღმდეგობას უწევს ამ ღონისძიებას. ცარიზმმა ზერ მოახერხა მისი გატარება.

3. ამიტომ, ამიერიდან, რუსული მმართველობის სისტემა საქართველოში ხასიათდება ახალი ხაზით: მთავრობა ცდილობს მიზანს მიადგინოს არა ადგილობრივი ინტერესების (გეოლოგიკურ თვადანაწარობა) იგნორირებით, და უგულვებელყოფით, როგორც ეს განისპროვქტით იყო ნაგულისხმევი, არამედ ამ ელემენტის საქმეში ჩამბიჭვით, ანუ ხაზის დეკლარაცია უკეთესი გამტარებელი ევრონიციე იყო.

4. ევრონიციემა მოახერხა ადგილობრივ ფეოდალურ არისტოკრატიათან შეგობრული ურთიერთობის დამყარება, რაბაბა ისინი მმართველობაში, რითაც მალალი წოდება გამოიქცა ხალხისაგან და ისინი ცარიზმის დასაყრდენ ძალიდ აქცია უკანასკნელთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

5. ამიერიდან (ე. ი. 1840 — 1864 წ-დ) ქართველი თვადანაწარობა მონაწილეობას კი არ იღებს სახალხო აჯანყებებსა და მოძრაობაში (როგორც შეთავრები), ისე როგორც ამას 1801-დან 1840 წლების მანძილზე ჰქონდა ადგილი (მაგალითად კახეთის აჯანყება, 1832 წლ. შეთქმულება და სხვ.), არამედ პირიქით, ისინი მთავრობას აქტიურად ეხმარება გლეხთა მასიურ აჯანყებების ჩაჭობაში (მაგ. გურიის 1841 წ., სამეგრელოს 1857 წ., შორაპნის 1854 წ. და სხვ.).

6. თუ სახალხო აჯანყებები საქ-ში 1840 წ-დ ნაციონალურ-გამანათვისებლებელი იერის მატარებელი იყო, ამიერიდან (1840 წ-დან) უმთავრესად სოციალურ, კლასობრივ ხასიათს ღებულობს, რის შედეგადაც ქართველი თვადანაწარობა რუსეთის ცარიზმის დასაყრდენს წარმოადგენდა აჯანყებულ ყმების დათრგუნვის დროს. ასეთი ძირითადი დისკენები, რომელსაც აეტორი ამ მნიშვნელოვან ნაშრომში ანეითარებს, ჩვენ აეტორისაგან ახლო მომავალში უნდა მოველოდეთ გაგრძელებას (შესამე და შეთანხმებერიოდებას, ე. ი. — 1864 წ-ს შემდეგ ხანას), მაშინ ხელთ გვექნება საქართველოში რუსული მმართველობის სისტემის დასრულებული შეცნიერული მონოგრაფია მთელი საუკუნის მანძილზე.

II. ამავე კატეგორიაში მოთავსებული, პროფ. ჩხეტის მეორე გამოკვლევა: — „Германский империализм и Грузия“, რომელიც ურბად აქტუალური მნიშვნელობისაა, აეტორი მისთვის ჩვეულ გულმოდგინებით და ფაროო ერუდციით, მდიდარ საარტეოო დოკუმენტებზე დაყრდნობით, აკეთებს ანალიზს ამ მოვლენებისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა გაგრძნებულ მენშევიკურ საქართველოში 1918 წ-ს გერმანულ იმპერიალისტების მიერ მისი ოკუპაციის პერიოდში. პროფ. შ. ჩხეტის ორივე ეს ნაშრომი „მოამბეში“ აკავებს 150 გვ-ს.

III. პროფ. შ. ამირანაშვილის გამოკვლევა: „ქართული რელიგიური ქანდაკების უძველესი ნიმუში“ — ეგება წარმართული ხანის დიდმნიშვნელოვან მატერიალურ კულტურის ისეთ ძეგლს, როგორიცაა ა. ფლორენსის მიერ აღბუღალის რაიონიდან ჩამოტანილი კირტყვის სტელაზე რელიეფურად გამოხატული ადამიანის ფიგურა. აეტორი ამ უძველესი ქანდაკების ქრონოლოგიურ საზღვრად სდებს XII — X საუკუნებს ჩვენს წ. ადვ. პროფ. ამირანაშვილი ემყარება რა დიდი მკვლევარის აკად. ივ. ჯავახიშვილის რ მოსაზრებას, რომ ქართველების მთავარი ღვთაება იყო მთვარე, რომელიც მამაკაცის საბჭო იყო წარმოდგენილი, ასეენის: „რომ ჩვენი რელიგიევი გამოსახავს მთვარის ღვთაებას“. აეტორის აზრითვე მთვარის ღვთაებას ძველად არ მიაზი ეწოდებოდა და უძველეს ქართულ საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით ცდილობს დასაბუთოს, წინააღმდეგ თიბქმის განმტკიცებულ მოსაზრებისა, რომ არმაზის წარმართული კერპები „გაცი“ და „გაიშ“. რომელთა სახის აღწერალობა ესოდენ მოხდენილადაა მოცემული წმ. ნინოს ცხოვრებაში, იყო ქართული წარმართული პანთეონის უმთავრესი და საპატრიო ერუდული კერპები და რომ არმაზის ღვთაების კულტს არეითიარი კვეშირი არა აქვს ორბულ აქრამაზდის ღვთაებასთან. პროფ. ამირანაშვილის ამ ნაშრომს უდიდესი სამეცნიერო მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ისტორიის არქიულ პერიოდის მთელი რიგი პრობლემების გათვალისწინებისა და ნაწილობრივ გადაწყვეტისათვის: აკ. ნაკლებ დამაჯერებელია: ეს სტელა თითქო მთვარის ღვთაების უძველესი გამოხატულება იყოს და ისიც, რომ მთვარის ღვთაებას ძველად არმაზი ეწოდებოდა. პროფ. ამირანაშვილის ეს გამოკვლევა ამოღებულა ახლანან გამოცემულ მისივე ნაშრომის „ქართული ხელოვნების ისტორიიდან“.

IV. სტ. მენტეშაშვილის ნარკვევა: „მაცვალებულთა დამარხვისა და სამარების ტერმინოლოგიისათვის“, არსებითად ლექსიკოლოგიური ხასიათისაა, რომელსაც საქმავად აქტუალური მნიშვნელობა გაანია. იგი განსაკუთრებით დიდ სამსახურს გაუწევს არქეოლოგებს, რომლებიც დიდად განიცდიან სამარების გათხრებთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიის უქონლობას. აეტორს დიდის გულმოდგინებით ამოუკრეფია საქირო ცნობები

ჭართლ უძველეს წერილობით ძეგლებიდან და ამ გზით შეუმუშავებია მდიდარი ტერმინოლოგიური მასალა მიცვალებულთა დამარხვისა და სამარხების შესახებ. სტ. მენაქ-შაშვილის ეს ნაყოფიერი ცდა ერთხელ კიდევ დამატებით გვაჩვენებს ქართული ენის ლექსიკური სამდიდრისა და დიდ მარაგთანაა. იკონდ საჭიროა მისი შესწავლა და დაუზარებელი გამოვლენება. ნაშრომი ამ სახით დაუმთავრებელია. *სტ. მენაქ-შაშვილის ნაშრომები* გაგრძელებას და ჩვენც ახლო მომავალში უნდა ველოდეთ მას.

V. დოც. კ. გრიგოლიას წერილი: „ქიბარის შეწირულების წიგნის დათარიღებისათვის“, მიზნად ისახავს ამ უთაროლო ძეგლის ზუსტად დათარიღებას. შეწირულება როგორც ძეგლის ტექსტიდან სწამს, თამარ მეფის სიცოცხლეშივე მომხდარა, მხოლოდ გაურკვეველია რომელ წელს, ავტორია არ იზიარებს თ. ეორდანიას, ამ ძეგლის ოჯგელ გამოცემლის — აზრს, რომელიც 1190 წ-ს ახლო ხანებით ათარიღებს ამ ძეგლს იგი არც აკად. ივ. ჯავახი-შვილის მოსაზრებას იზიარებს, რომელიც ამ ძეგლს 1184 — 1185 წლების მანძილზე ათარიღებს. წინააღმდეგ დღემდე გამოთქმულ მოსაზრებებისა, დოც. კ. გრიგოლია დაასკვნის, რომ ვინაიდან „ივანე მხარგრძელის ათაბაგად დისმა 1112 (?) წელს მოხდა, ამიტომ ხსენებული შეწირულების წიგნის საძიებელი თარიღიც 1112 — 1113 (?) წლებში უნდა ვეძიოთ“ — თ. (იხ. გვ. 182) ავტორის ეს მოსაზრება რასაკვირველია მცდარია. ოჯგ ერთი, ცნობილია, რომ ივანე მხარგრძელი ათაბაგობას მიიღებს არა 1112, არამედ 1212 წ-ს. 1112 — 1113 წლებში საქართველოში მეფობდა დავით აღმაშენებელი და არა თამარი. უდავოა ავტორის ეს კარგად მოეხსენება, მაგრამ განკუთვარი ხდება დადგენილ თარიღების ესოდენ აღრევა და ისიც დათარიღებისათვის განკუთვნილ სპეციფურ ნაშრომში; ილბათ ეს კორექტურული ხასიათის შეცდომებია, მაგრამ ცხადია მეტად უხეში. ავტორი ზოლოს და ბოლოს მანც იძლევა ქიბარის შეწირულების წიგნის განსხვავებულ თარიღს, მაგრამ მეტად არა ზუსტსა. მისი აზრით „საძიებელი თარიღის ვარაუდი 1191 — 1213 წლებს შუა, უდავოა“ (იხ. 182 გვ.). დოც. კ. გრიგოლიას ამ მოსაზრების დასასაბუთებლად მოჰყავს საითადაო საბუთები.

კრებულში ვრცელადია წარმოდგენილი ნუმისმატიკური გამოკვლევები. (ჩაოდენობით ზეთი, ამითან 3 დ. კაპანაძეს, 1 თ. ლომოურს და 1 ს. მკალათის ეკუთვნის), რომლებიც საქ. ისტორიის მეტად საინტერესო და აქტუალურ პრობლემებს პუნენენ შუქს. წვევბოთ საითაოდ.

VI. დ. კაპანაძის ნაშრომი: „X საუკუნის თბილური დრამა ალი ბენ ჯაფარიას“, მნიშვნელობა ენიჭება იმ მხრივ, რომ ამით ჩვენ პირველად ვტყობილობთ X საუკუნეში თბილისში მყოფ არაბ ამირას ალი ბენ ჯაფარის სახელს.

VII. დ. კაპანაძის მეორე ნაშრომი. „გიორგისა და თამარის“ სახელით მოკრილი ფულის შესახებ, არსებითად აბათილებს დღემდე დამკვიდრებულ მოსაზრებას ცნობილ ნუმისმატ. ე. პახომოვისას იმის შესახებ, რომ „გიორგისა და თამარის“ სახელით მოკრილი ფული გამოხატავს არა თამარის პირველი ქმარის, გიორგი რუსის სახელს, თამარ მეფესთან ერთად, არამედ თამარ მეფის მამის, გიორგი III და მისი ასულის (თანამოსაყდრის) თამარის სახელს. იგი მოკრილი უნდა ყოფილიყო 1178 წ-დან 1184 წ-დ, ე. ი. მეფე გიორგი III-ს სიცოცხლეში, როცა თამარი თანამოსაყდრედ ესეა ძლიერ მეფეს, ავტორი დამაჯერებელ საბუთაინობით ეკამათება პახომოვის და მისი დებულებები ებნეს არ იწვევენ.

VIII. ასევე მნიშვნელოვანია და საკმაო ინტერესს იწვევს კრებულში შეტანილი დ. კაპანაძის მე-3 ნაშრომი: „ზოგიერთი ტერმინების შესახებ ქართულ ნუმისმატიკაში“. აქ ავტორი ვურადღებებს ამახილებს ქართული ნუმისმატიკური ტერმინის, „კირმანულ“ — ს არგვლივ. იგი ამომწურავად არკვევს ამ საკითხს და ამისთანავე ებება საქართველოს და ტრაპეზონის საციისროს ურთიერთობის საკითხს XIII—XIV საუკუნის მანძილზე.

IX. დოც. თ. ლომოურის ნაშრომი: „ახალციხის ზარაფხანა“ ფრიად საინტერესო პრობლემის გადაწყვეტას ემსახურება. ამ გამოკვლევით ვრწმუნდებით, რომ თუ დღემდე ისტორიულად საქართველოში ჩვენ ვიცნობდით ორ ზარაფხანას: ერთს თბილისში (VIII—IX საუკ.) და მეორეს დანანსში (XIII საუკ-ში), ამიერიდან ვრწმუნდებით, რომ ყოფილა მესამეც ახალციხის ზარაფხანა, იგი არსებულა ახალციხეში XIII — XIV საუკუნის მიჯნაზე. აქ უკრიათ ვერცხლის ფული მონღოლთა ყაენის ყაზანის სახელზე. ავტორი მის მიერ წამოყენებულ პრობლემებს ასაბუთებს სრული ევემპტანლობით და სიზუსტით.

უცხოურ წყაროებით უკანასკნელად ირკვევა, რომ XV — XVI ს. სამცხე-საათაბაგოში ახალციხის გარდა კიდევ ყოფილა ზარაფხანა გვიმისხანეში. ამ მიდამოებში კი გრადინია

უჯაროვს ცნობით ძველთაგანვე სპილენძის საბადოები ზეგრი ყოფილა (იხ. მისი „Пут. Зап.“). ამრიგად ირკვევა: საქ-ში ისტორიულად არა სამი, არამედ ოდნე წარმოქმნის არ-სებობა ამ უკანასკნელის შესახებ ცნობა თ. ლომოურს არ მოეპოება.

X. დოკ. ს. შავკალითის გამოკვლევა: „სეფიეთში აღმოჩენილი ტრეპილურ-ფილუმების განძი“. ეხება ამ 15 წლის წინ აბაშის რაიონში სოფ. სეფიეთში შეპოვებულ ფიქსირებულ დიდ განძს, რაოდენობით 373 ეგზემპლარს. განძში ცხედებით რომელ 12 იმპერატორთა მიერ მოჭრილ ვერცხლის მონეტებს, დაწვებული ტრაიანედან (98 — 117 წწ.), დამთავრე-ბული ილექსანდრე სევერამდე (222 — 235 წწ). განძი კოლხეთში დაფლული უნდა ყო-ფილიყო III საუკუნის დასაწყისს სოფ. სეფიეთი ლაქის სატახტო ქალაქის არქეოლო-ლისის მიდამოებშია და ცნობილია, რომ ამ საუკუნიდან მოკლებული თითქმის 3 საუ-კუნის მანძილზე, სწორედ მის მიდამოებში უნდა ყოფილიყო, უმთავრესად, სისხლის-მღვრელი და დაუმთავრებელი ბრძოლები რომაა და ერანს შორის ლაზიკაში დამკვი-დრებისათვის. რომელთა ფულების ეს დიდი განძი ნათლად ადასტურებს რომის პოლი-ტიკურ და ეკონომიურ გავლენას კოლხეთში დასახლებულ პერიოდისათვის. ნაშრომს თან ერთვის კარგად ვაკეთებული ტაბლიცები.

XI. პროფ. გ. ჩიტაიას შრომა: „ლენჩხუმის ექსპედიციის მოკლე ანგარიში“ — გამოგვე-ცემს 1938 წ. მისივე ხელმძღვანელობით ჩატარებულ ეთნოგრაფიულ ექსპედიციის ნაყო-ფიერ მუშაობის ანგარიშს. თუ ამ მოკლე ანგარიშს თვისათვალ უკვე გააჩინა სამეცნიერო მნიშვნელობა, ადვილი წარმოსადგენია თუ რა დიდმნიშვნელოვანი სამეცნიერო შედეგები ექნება თვით გამოკვლევას.

XII. დოკ. ლ. მეფარიშვილის ნარკვევი: „პარზარე ჯორჯაძის ლიტერატურული მემკვიდრეობისათვის“. გვაძლევს წარმოდგენას „ციცყის მწერლობის“ თვალსაჩინო წარმომადგენლის, „შამათა“ ბანაკის აქტიური წევრის, ნახევრად მიღწეულ მწერალი ქალის, პარზარე ჯორჯაძის ლიტერატურულ მოღვაწეობის შესახებ. ავტორი დასასრულს იძლევა ბ. ჯორჯაძის ნაშრომთა ამოშურავ ბიბლიოგრაფიას, როგორც გამოქვეყნებულ, ასევე საქ. მუზეუმში დაცულ ჯერხნობით გამოუქვეყნებულ ლიტერატურულ შრომებისა, რომელთა საერთო რაოდენობა 85-ს უდრის. (იხ. 278 გვ.).

XIII. კრებულში არქეოლოგია წარმოდგენილია საქმოდ ვრცლად. იგი იწყება ნ. კი-ლაძის შრომით: „მღვიმევის პალეოლითური ნაშთები“. ნარკვევი აგებულია 1940 წ. ქიათურის რაიონში სოფ. მღვიმევი წარმოებულ არქეოლოგიურ საექსპედიციო მუშაო-ბაზე და რომდნადმე მის ანგარიშს წარმოადგენს. ცნობილია, რომ ქიათურის რაიონში სოფ. რგანში ჯერ კიდევ 1916 წ-ს ჩატარა გათხრები არქ. ს. კრუკოვსკიმ. რაც შეე-ხება სოფ. მღვიმევი, პირველად აქ 1934 წელს არქეოლოგიური დაზვერვები ს. ზამია-ტინმა აწარმოვა. ორთავე შეკვლევარს აქ უპოვია პალეოლითური დიდმნიშვნელოვანი ნაშთები, მაგრამ სამწუხაროდ საქართველოში იმათგან არაფერია დაცული. ქართულ ექსპედიციის და მის მიერ სოფ. მღვიმევი მიკვლეულ პალეოლითურ, საქმოდ მდიდარ მასალებს, ამ მხრივ გააჩნია დიდი მნიშვნელობა. ნ. კილაძის ნაშრომი უდაოდ საინტე-რესო ნარკვევია ამ თვალსაზრისით.

პალეოლითური ნაშთები საქართველოში საერთოდ მეტად მცირე რაოდენობითაა აღმო-ჩენილი. აღმოჩენილთაგან მონოგრაფიულად პროფ. გ. ნიორაძის მიერ შესწავლილია შოლოდ დევის ზერელის პალეოლითური ძეგლი. გამოურკვეველია პალეოლითურ იარაღთა წარ-მოების ცენტრები. სოფ. მღვიმევი ერთერთი ასეთი საწარმოო უბანი უნდა ყოფილიყო. ინოვაციური წარმოება პალეოლითის ადამიანს უნდა ჰქონოდა გაჩაღებული წყალტუმბის მიდამოებში, ამას გვიდასტურებს ენაბან იქ მიკვლეული პალეოლითური და ნეოლითური განძი: — დამუშავებული სხედასხვა ჯიშის და მასივის ქვისაგან, ქაენის და ოდნედიამის იარაღების დიდი რაოდენობა, ხელწისქვილი, საოჯახო ნივთები, — სანაყი ქვიჯა, სათამაშო და მოათულობის მნიშვნელობის კერძების ოდნე რაოდენობა და მრავალი ფერადი ქვის (კრემის ფერი) ბურთობები, არქაული კრამიკის და საკულტო ნაშთები, და სხვ. წყალ-ტუმბის პალეოლითური ძეგლის მიკვლევის შემდეგ მისი შესწავლა ჩვენს მიერვე უკვე საქმა ხანია დაწყებულია და იგი დასასრულს უახლოვდება.


XIV. პროფ. კულტინის გამოკვლევა: „К вопросу о древнейших корнях грузин-ской культуры на Кавказе“; უდაოდ დიდმნიშვნელოვანი სამეცნიერო ღირებულების ნაშრომია, საერთოდ არქეოლოგიურ მეცნიერებაში, და კერძოდ ქართული არქაული კულტურის სათავეებისა და მისი ცენტრების გასათვალისწინებლად.

ეგტორი წინააღმდეგ ქართულ ისტორიოგრაფიაში თითქმის უკანასკნელ პერიოდამდე გაბატონებულ შეხედულებებს, არქეოლოგიურ მდიდარ მონაცემებზე დაყრდნობა აყენებს დებულებას: 1. მცდარია მოსაზრება „თითქოს საქართველოს დღევანდელი შიშა-წყალი წარმოადგენდეს მეორად სამშობლოს ქართველი ერისათვის, რომელიც მხოლოდ ი. ვ. ა. II ათასწლეულის დასასრულისა და I ათასწლეულის პირველ ნახევარში საქართველოში მოველინა, განდგენა რომელიდაც ხალხები და ამის შედეგად თითქოს ქართველობა დამკვიდრდა იქ. 2. წინააღმდეგ ამ შეხედულებისა ეგტორი აყენებს სრულიად ნათელ და ცხად დებულებას იმის შესახებ, რომ ქართველი ერის სამშობლო, ამავე დროს არის მისი კულტურის უძველესი და თავდაპირველი სამშობლოც, რომ კავკასიაში ქართული კულტურა ეგტოკტონურ მოვლენას წარმოადგენს, მართალია ასეთ დებულებას პროფ. ბ. კულტინამდე საქ. ისტორიის მკვლევარნი გაკერით შეიძლება ანვითარებდნენ საქ. ისტორიის უძველესი პერიოდის შესწავლისას, მაგრამ ისე ცხადად, გაბედულად და უხვ საბუთიანობით, როგორც ეს კულტინმა მოიმიჯნედა, დღემდე არავის მოსვლია აზრად, პროფ. ბ. კულტინი თავის დებულებათა ურყევსაყოფად უხვ ლიტ. წყაროებთან ერთად, რაც მთავარია არქეოლოგიური ფაქტური მასალა მოჰყავს, დაწყებული პალეოანთროპოლოგიური ხანიდან (ძვ. წ. III ათასწლეულიდან), ვიდრე ბერძენ მწერლებში, — პეროდოტე, პინდარონტე, სტრაბონი და სხვათა ხანამდე.

ეგტორია გაურკვეველი მიზეზისა გამო სრულებით გვერდს უფლის პალეოლითისა და ნეოლითის ხანას საქართველოში. პალეოანთროპოლოგიური იარაღები ნაპოვნი საქართველოს ტერიტორიაზე ფოკებით დღედაღწევი წიგნით ნეოლითის იარაღებს, ეს ცხადად იგჩნობა ნეოლითიდან ენეოლითზე გარდამავალ პერიოდში. ეგტორს, რომ ამ მიმართულებითაც გაუმჯობესება ყურადღება ნაშრომი იღბით მოიგებდა, მიუხედავად ამ შენაშენისა პროფ. ბ. კულტინის ეს გამოკვლევა დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ქართველოლოგიაში. ამ ნაშრომით საქართველოს ისტორიის არქაული პერიოდი ახალ მასალებით გაძლიერდა და ბევრი გაურკვეველი პრობლემა გადაიჭრა კიდევ. ეგტორის ეს გამოკვლევა არსებითად დასცნა იმ ცხოველ და მეტად ნაყოფიერ მუშაობისა, რომელსაც პროფ. ბ. კულტინი ათეულ წელზე მეტია ეწევა საქართველოს არქეოლოგიურად შესწავლისათვის. ნაშრომი 120 გვს უფრის, ერთის XII ტაბლიცა, 24 სურათი და საძიებლები.

XV. დოც. აბაქიძის ნარკვევი: „ახალი არქეოლოგიური მასალები სოფ. ბორიდან“ გვაძლევს წარმოდგენას იმ განძის შესახებ, რომელიც 1934 წელს საქ. მუზეუმს შეუძენია თ. მაქავარიანისაგან. იგი უმცირესი ნაშთი უნდა იყოს იმ დიდი აღმოჩენისა, რომელიც 1902 წ. მოჭალაძე მაქავარიანს საევენზე მიწის გადაბრუნებისას ბორში აღმოუჩენია. თქვა შემდეგ წლებშიაც უწარმოებია მაქავარიანს. უნახავს ბევრი რამ, მაგრამ აღმოჩენილი ნივთები რუსეთში გაუგზავნია, მათი აღწერა გამოაქვეყნა ი. სმირნოვმა, გ. ფარმაკოვსკიმ და ე. თაყაიშვილმა. საქ. მუზეუმის მიერ შეძენილ განათავან სიონტერესთა ვერცხლს აზარდესა სკულპტურული გამოსახულებით, ოქროს კოლბური მონეტა არა-მეული წარწერით, მძივები და სხვა. ეგტორი საყურადღებო საბუთიანობით ფიქრობს, რომ ბორის საფლავები არსებითად არმასული ტიპის უნდა ყოფილიყო. ამ მოსაზრებას ასაბუთებს ბორისა და არმასუნი ნაპოვნი არქეოლოგიურ ნივთთა შედარებით შესწავლით ამით მთავრდება კრებული.

ასეთია შემოკლებით ამ დიდმნიშვნელოვანი სამეცნიერო კრებულის შინაარსი და ჩვენი შენიშვნები. როგორც დაგრწმუნდით, ყველა იქ გაზიარებული გამოკვლევები, მეტნაკლებად, ხასითდებან მნიშვნელოვანი მეცნიერული მიღწევებით. ისინი საუკეთესო მაჩვენებელია მუზეუმის მეცნიერებათა კოლექტივის ნაყოფიერ შემოქმედებითი მუშაობისა. რაც შეეხება ტომის გარეგან მოკავშელობას და გაფორმებას არააღმარებელია.



შინაარსი

გვ.
3
5
6



ამხანაგ სტალინის მიმართვა ხალხისადმი
ბრძანება
ბრძანება უმაღლესი მთავარსარდლისა

მხატვრული ლიტერატურა

ალექსანდრე აბაშელი — 9 მაისი (ლექსი)	9
ბარტონ ვარდოშვილი — სიხარული (ლექსი)	10
კალე ზოზოხიძე — (ლექსი)	11
კონსტანტინე ჭიჭინაძე — მგლები (ლექსი)	12
ალექსანდრე ქუთათელი — დედუღეთი (ლექსები)	14
ალიო მამაშვილი — მზის ამბორი (ლექსი)	19
სანდრო შანშიაშვილი — დედა (პოემა)	20
როდიონ ქორქია — შუე წითლად ამოდიოდა (მოთხრობა)	31
შაჰრუხ ჩარკვიანი — მზის შეხვედრა დავით აღმაშენებელთან (ლექსი)	50
ოთარ ჩხეიძე — შატრძალი (ეტაუდი)	52
გიორგი ვიასელი — ქეთევანის სიხარული (ლექსი)	55
კლავდია დედუღარიანი — შუქი (მოთხრობა)	57
ადამ შიციკვიჩი — მოგონება (თარგმანი ვასო გორგაძისა)	60
მურმან ლებანიძე — კრასნოდარის ვზაზე (ლექსი)	61
ოთარ ჭელიძე — შენია. რაღაც ახალი. ორნი. გამოთხოვება ორლობეში (ლექსები)	62
ვახტანგ გორგანელი — სიმღერა. დაჭრილი მხედარი (ლექსები)	64
რაზინდრანაძე თაგორი — ნამგალა მთვარე (ნოველები, თარგმანი ლავ-რენტი ძიძიგურისა)	67
აკაკი წერეთელი — განთიადი (პიესა, დასასრული)	72
უილიამ შექსპირი — რომეო და ჯულიეტა (ტრაგედია, თარგმ. ინგლი-სურტიდან ვახტანგ ჭელიძისა)	109

პართველები ბრძოლის ველზე

პოლიო აბრამია — სისხლიან ნაკვალევზე (ნარკვევი)	110
ქინიტია და ლიტერატურის ისტორია	
ქეთევან ირემაძე — ბარბარე ჯორჯაძისა	122
პროფ. ს. დანელია — ზოგიერთი სადაო საკითხი მეცნიერებაში გრიბო-ელოვის შემოქმედების შესახებ	142

მეცნიერება და ფილოსოფია

ალექსანდრე ქუთათელი — ლ. ფეიერბახის მატერიალისტური ფილოსო-ფია და მისი „ძირითადი მარცვალი“ (დასასრული)	152
---	-----

მოზონებანი

დავით სულიაშვილი — ყრმობა (დასასრული)	167
---------------------------------------	-----

გიგლიოგრაფია

ანდრო ლომიძე — კონსტანტინე ჭიჭინაძე — „ლექსები“	185
დავით შამათავა — იოსებ ნონეშვილი — „ლექსები“	186
ავთ. იოსელიანი — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე	
ტ. XII, B თბილისი, 1944 წ.	188

0560 16 856.

205 145 5



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„**М Н А Т О В И**“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ